

1961

7

საბჭოთა  
ხელოვნება

---

მთავარი რედაქტორი—ოთარ ეგაძე სარედაქციო კოლეგია: შალვა ამირანაშვილი,  
გელა ბანძელაძე, კარლო გოგოძე, ალექსი მაჭავარიანი,  
ნათელა ურუშაძე, გრიგოლ ფოფხაძე, დიმიტრი ჯანელიძე,  
ვანო წულუკიძე (პ/მგ. შლეგანი).

# საბავშვო ხელოვნება

საპარტვილოს სსრ კულტურის სამინისტროს ორგანო



7

საბავშვო გამოცემისათვის „საბავშვო საქართველო“

თბილისი

1961



ა. ვეფხვაძე

ღუშეთის აჯანყება.

ვ. ტორიძაძე

... „საქართველოს თავზე წითელი  
ალამი ფრიალებს“ ...





# საქართველოში

ქარლო გოგოძე

1921 წლის 25 თებერვალი იყო. საქართველოში ოქტომბრის დროშა ფრიალებდა.

ამ დიად დღეებში ქართული კომუნისტები ამხანაგ ლენინს სწერდნენ: „ქართველ და, საზოგადოდ, ადგილობრივ ინტელიგენციას ჩვენ ვეცდებით სრული დამობით, ჩვენ ვეცდებით ჩაგაყენოთ ინტელიგენცია შრომისთავის საკეთილდღეო პირობებში და მივცეთ სრული თავისუფლება განავითარონ საღი, ნაციონალური კულტურა სამშობლო ენის ნიადაგზე“. მართლაც, თუ თვალს გადავავლებთ იმ ხანებში მიღებულ ღონისძიებებს ლიტერატურის, ხელოვნებისა და, საერთოდ, ჩვენი კულტურის ყველა სფეროში, ნათლად დავინახავთ იმ დიდ მზრუნველობასა და პატივისცემას, რომელსაც იმთავითვე იჩენენ პარტია და მთავრობა კულტურის მოღვაწეთა მიმართ.

ამ მზრუნველობის ერთი გამომატყულება იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ლიტერატურის, ხელოვნებისა და განათლების დარგში საქმის აღორძინების მიზნით სპეციალური სუფილიდების გამოყოფა, ლიტერატურის და ხელოვნების მოღვაწეთათვის სპეციალური სასახლის გადაცემა და სხვ.

საქართველოს მიწინავე ინტელიგენცია, კერძოდ, ხელოვნების მუშაკები, რომლებმაც გულთ მიიღეს ახალი ცხოვრება, ღრმა პოლიტიკური შინაარსის, მგზნებარე სიტყვებით აღსავსე დადგენილებებით გამოეხმაურნენ პარტიისა და ხელისუფლების მშობლიურ მზრუნველობას.

„ფიცს ვდებთ, — ნათქვამია ამ დადგენილებაში, რომელიც მიღებული იქნა 1921 წლის 2 მარტს ხელოვნების მუშაკთა გაერთიანებულ კრებაზე, — დაგაყენოთ ჩვენი მუშაობა საჭირო სიმაღლეზე, ჩვენი ძალღონე, ნიჭი და უნარი მოვახმაროთ პროლეტარული მასების განვითარებას. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია გაწმინდოს ხელოვნება ყოველგვარი სიბილწისაგან, პროლეტარული ხელოვნება გახდება კაცობრიობის კეთილშობილ სკოლად. გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას, წინ პროლეტარული კლასიკური ხელოვნების ამომავალი ვარსკვლავებისაკენ!“ („კომუნისტი“, 1921 წ. 9 მარტი).

ამ დადგენილებას თავიანთ სმას უერთებდნენ ქართული კინემატოგრაფიის რევოლუციამდელი მუშაკებიც, ისინი, ვინც წლების განმავლობაში მშობლიური კინოხელოვნების შექმნაზე ოცნებობდა, მაგრამ რეაქციის შავნელ პირობებში, ამ კეთილშობილური მისწრაფების განხორციელებას ვერ ახერხებდნენ.

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის ასპარეზზე სამუშაოდ მოვიდნენ ჩვენი სასცენო ხელოვნების, ლიტერატურისა და მხატვრობის გამოჩენილი მოღვაწეები: ელისაბედ ჩერქეზი-შვილი, შალვა დადიანი, ალექსანდრე იმედაშვილი, ნიკო გოცირიძე, მიხეილ ჭიაურელი, შემდეგში კოტე მარჯანიშვილი, ალექსანდრე წუწუნავა, ლანსყერე და სხვები.

ქართული კინო იქცა პარტიისა და ხელისუფლების მზრუნველობის ერთ მნიშვნელოვან ობიექტად. მიღებული იქნა სპეციალური დადგენილება, რომელსაც საფუძვლად დაედო დიდი ლენინის მიერ 1919 წლის 27 აგვისტოს ხელმოწერილი ისტორიული დეკრეტი ფოტოგრაფიისა და კინემატოგრაფიის ნაციონალიზაციის შესახებ.

ყველა კერძო კინოთეატრი, ფოტოსაწარმო, ყოფილი პიროვნის ატყეო — „ფილმა“ (დღევანდელი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ადგილას) გადავიდა განათლების კომისარიატთან შექმნილი კინოსექციის განკარგულებაში, რამაც მტკიცე ნიადაგი შეუქმნა ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებას, იმთავითვე განაპირობა მისი სწრაფი იდეური და მხატვრული აყვავება.

1921 წლის ნოემბერში, ძირითადად ქართული ეროვნული შემოქმედებითი კადრების მონაწილეობით, განხორციელდა საქართველოში 1905 წლის რევოლუციური მოძრაობისადმი მიძღვნილი პირველი მხატვრული სრულმეტრაჟიანი ფილმის „არსენა ჯორჯიაშვილის“ დაგება. სურათისათვის

კადრი ფილმიდან „წითელი ეშაპონი“





ნატო ვანძაძე

სცენარი შავა დადიანთან ერთად დასწერა ფილმის დამდგმელმა რეჟისორმა ივანე პერესტიანმა. ფილმი გადაიღო ოპერატორმა ალექსანდრე დილმელოვმა. მთავარ როლებს ასრულებდნენ ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ალისა ქიქოძე, მიხეილ ჭიაურელი და სხვები.

ფილმი „არსენა ჯორჯიაშვილი“ მიუხედავად მთელი რიგი ნაკლოვანებისა, ქართული საბჭოთა კინომატორაფიის იდეურ და მხატვრულ გზებს სახავდა. ეს იყო ორიგინალური კინორამატიური ნაწარმოების საფუძველზე შექმნილი ფილმი, რომელმაც იმთავითვე განსაზღვრა ქართული ფილმის ნაციონალური სახე, მისი მტიკიც თემატური პროფილი.

ადარი ფილმიდან „ხანუმა“  
კოტე — ა. მიჭაბერიძე, ქეთო — თ. ბოლქვაძე



„არსენა ჯორჯიაშვილი“ ბიძგი მისცა იმავე ხანებში შექმნილიყო მეორე, ასევე ღრმა სოციალური მოტივების შემცველი, მაგრამ მხატვრულობის მხრივ უფრო ძლიერი და სრულყოფილი ფილმი — „სურამის ციხე“ (დანიელ ჭონჭიძის მოთხრობის მოტივების მიხედვით). იგი, თითქმის, იმავე შემოქმედებითი დამდგმელი კოლექტივის მიერაა განხორციელებული. ამ სურათის გამოსვლასთან დაკავშირებით, კინოსექცია მაყურებლებს მიმართავდა შემდეგი განცხადებით: „საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კინოსექცია მისწრაფვის უკუდავსოს ვერანუე მშობლიური მხარის მწერლები და ამ მიზნით ასურათებს მათ ნაწარმოებებს. პირველ რიგში დაყენებულია ის მწერლები, რომელთა შემოქმედებას სოციალური მიმართულება აქვს. ასეთ ავტორთა შორის პირველი ადგილი დანიელ ჭონჭიძეს უჭირავს“.

მართლაც, მოთხრობაში დახატული მრავალფეროვანი სახეები და მწვავე სოციალური კონფლიქტი, რომელშიც მკაფიოდ ჩანს მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოების წიაღში აღმოცენებული სხვადასხვა კლასების ინტერესთა მწვავე კიდილი და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, დამდგმელი რეჟისორის მიერ გამოყენებული იქნა დიდი შემოქმედებითი ინტენსივობითა და ოსტატობით ფილმმა მიიღო ახალი ვითარების შესატყვისი პოლიტიკური ფერადობა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა მაყურებელთა შორის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფილმი „სურამის ციხე“ პირველი ქართული საბჭოთა ფილმია, რომელიც გასცდა სამშობლოს საზღვრებს და წარმატებით მიიღო რეზონანსი ადმოსავლეთის ქვეყნების, ისე დასავლეთ ევროპის ეკრანებზე. ეს იყო პირველი ფილმი, რომელსაც სპეციალურად გაუკეთდა წარწერები და ადგილობრივ ენაზე უჩვენებს ირანსა და აპარანთში.

„სურამის ციხე“ ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიაში ის ფილმია, რომელიც საფუძველს უდრის ქართული ლიტერატურული მემოდერნობის აქტიური ეკრანისაციას, რაც ამ პერიოდის ფილმების შორის ჯერ კიდევ შექმნიული არ არის.

უნდა ითქვას, რომ კინოსექცია შემდგომაც მტიკიცდ იცავდა თავის შემოქმედებით პრინციპს კლასიკოსთა ვერანისხაციის საკითხებში. ამას ადასტურებს ლიტერატურულ საფუძველზე შექმნილი მთელი რიგი ქართული ფილმებისა. ეკრანიზირებული იქნა „მამის მკვლელობა“ — ალექსანდრე ყაზბეგის მიხედვით, „სამი სიცოცხლე“ — გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯის“ მიხედვით, „ტარიელ მკლავაძის მკვლელობის საქმე“ — ვნატან ნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის არინდის“ მიხედვით, „ვინ არის დამნაშავე“ — ნინო ნაკაშიძის პიესის მიხედვით, „ხანუმა“ — აქსენტი ცაგარლის პიესის მიხედვით, „თავადის ასული მერი“ და „ბეჭა“ — ლერმონტოვის მიხედვით, „ამოიკი“ — სტეფან ცვაიგის მიხედვით, „გიული“ — შ. არაგვისპირეთის მიხედვით და სხვა. უმეტესი ნაწილი ამ ფილმებისა ძირითადად სწორად გადმოსცემენ ლიტერატურული პირველწყაროს იდეურ კონცეპციას, მის მხატვრულ ძალას.

ამთ შორის მაღალი მხატვრულობის გამო განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რეალისტური ფილმი „სამი სიცოცხლე“ (რეჟისორი ივანე პერესტიანი, ოპერატორი ა. დილმელი).

ფილმის შეფასების თვალსაზრისით, ვფიქრობთ, ინტერეს-  
მოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ გამოჩენილი საბჭოთა  
მოღვაწის ა. ლუნაჩარსკის აზრი ამ ფილმზე:

«Мы очень внимательно смотрели постановку, кото-  
рая заслужила с художественной стороны нашего  
самого полного одобрения. Я думаю, не является  
несколько преувеличенным сказать, что с точки  
зрения количества горькой жизненной правды, бы-  
тового материала, захватывающего драматизма, а  
равным образом и с точки зрения кинотехники,  
этот фильм не только равняется с самым луч-  
шим заграничным производением, отличающ-  
имся от них глубиной своего реализма, но оставляет далеко  
за собой и все советское производство».

ფილმი „სამი სივსცხლე“ დიდი წარმატებით მიდიოდა  
როგორც საბჭოთა, ისე უცხოურ ეკრანებზე. სურათში პატარა  
მეკრავი ქალის — ესმას სახის განხორციელებით, კიდევ უფ-  
რო მეტი პოპულარობა მოიპოვა კინოთეატრებში ნატო ვანა-  
ძემ, რომელიც შემდგომ ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის  
მშვენივლა გახდა.

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის ჩასახვის და განვი-  
თარების პირველი პერიოდის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაით-  
ვალოს ფილმი „წითელი ეშმაკუნები“ — საბჭოთა კინემატო-  
გრაფიის ეპოქალური ნაწარმოები, რომელმაც ქართულ კი-  
ნოხელოვნებას არა მარტო სახელი და დიდება მოუტანა, არა-  
მედ ამავე დროს განამტკიცა მისი კეთილმოიური ბაზა, უდი-  
დესი შემოქმედებითი სტიმული მისცა მის შემდგომ წრდასა  
და განვითარებას.

„წითელმა ეშმაკუნებმა“ ჩვენს კინემატოგრაფიაში სა-  
ფუძველად ჩაუყარა სამოქალაქო ომის თემატიკას, გვიჩვენა  
საბჭოთა ადამიანების გმირული ბუნება, დაგვანახა ძლევაში-  
სილი წითელი არმია, მისი სარდლობა, გმირები, ახალგაზრდა  
სიცოცხლისტური ქვეყნისათვის თავდადებული ბრძოლები. ამ  
ფილმის გამოშვებისათვის საქართველოს „სახკინმრეწვის“  
პირველად მივლინ კავშირში მიიღო გარდასვალნი დროსა.

საბჭოთა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების წინსვლასთან და-  
კავშირებით, ხელოვნების დარგში მომხდარ გარდატეხვებთან  
შეფარდებით, ჩქარა შეიცვალა საბჭოთა კინემატოგრაფიის  
ორგანიზაციული სტრუქტურა. განათლების სახალხო კომი-  
სარიატთან არსებული კინოსექციები გადაკეთდა ახალ ორგა-  
ნიზაციებად. ასე მოხდა საქართველოშიც.

1923 წელს, საქართველოს განათლების კომისარიატთან  
არსებული კინოსექცია გამოიყო ცალკე ორგანიზაციად და  
ჩამოყალიბდა საქართველოს კინომრეწველობის სააქციო სა-  
ზოგადოება „სახკინმრეწვი“, რომელმაც დაფუძნებისთანავე  
შემიშვა თავისი წესდება და სამუშაო გეგმა, დასახა ფილ-  
მების გამოშვებისა და გავრცელების მტკიცე პროგრამა.

„სახკინმრეწვის“ მოქმედება არ შემოფარგლულა არც სა-  
ქართველოს, არც მთელი საბჭოთა ქვეყნის ტერიტორიით. მი-  
სი მოღვაწეობის არც გასცდა მოლიანად ჩვენი ქვეყნის საზღ-  
ვრებსაც.

დაწესდა სახკინმრეწვის წარმომადგენლობა მოსკოვ-  
ში, ლენინგრადში, როსტოვში, კრასნოდარსა და მთელ  
რიგ სხვა ქალაქებში. „სახკინმრეწვის“ განკარგულებაში გადა-  
მოვიდა კინოთეატრები: მოსკოვში — კინოთეატრი „მცირე  
დომიტროვკა“, ლენინგრადში — „კაპიტოლიი“, როსტოვ-  
ში — „პალასი“, „ოლიმპია“, სასაფხვლო „პალასი“ და  
ა. შ. გარდა ამისა, „სახკინმრეწვმა“ ხელში აიღო მის მიერ



კალრი ფილმიდან „არსენა“, არსენა — ს. ბალაშვილი

გამომწვეული ფილმების გაქირაების საქმე. ხელშეკრულება  
დასდო სახლვარგარეთული ქვეყნების სხვადასხვა ფირ-  
მასთან კინოსურათების გაცვლისა და შესყიდვის მიზნით  
და სხვ.

საქართველოს სსრ მთავრობის 1924 წლის მოკლე ანგა-  
რიშში ნათქვამია: „თუ რამდენად განვითარდა კინო ჩვენში,  
ამის საუკეთესო მაჩვენებელია ის, რომ საქართველოს კინო-  
ფილმები მოკავშირე რესპუბლიკებში და სახლვარგარეთაც  
მრავალ მწახველს იზიდავენ და უმრავლესი ჩვენი კინონა-  
წარმოებისა აღიარებულია საუკეთესო ნაწარმოებად“.

მართლაც, მოკლე ხანში გამოშვებული იქნა 11 მხატვრუ-  
ლი სრულმეტრაჟიანი და 50-ზე მეტი დოკუმენტური ფილმი.  
ახალგაზრდა ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის გა-

კალრი ფილმიდან „ელისო“  
ვკაიო — კ. ყვარალაშვილი, ელისო — კ. ანდრონიკაშვილი





კადრი ფილმიდან „გიორგი სააკაძე“



კადრი ფილმიდან „დარეიკო“  
მოსე — ა. ვორეჟიანი, დარეიკო — თ. ციციშვილი

რეჟისორი ნ. შენგელაია, რეჟისორი ივ. პერეტსიანი, ოპერატორი ალ. დიდმელოვი.



მოშვებული ფილმების პოპულარიზაციაზე ლაპარაკობს აგრეთვე ის ფაქტი, რომ „საგინორეჟისო“ შემოქმედებით კოლექტივი ამ პერიოდში მთრდელ ლეულობს საბჭოთა მწიკურებლების მიერ გამოგზავნილ ჯილდოს — ბროლის ნივთს წააწერით: „მადლობა საქართველოს კინომრეწველობას მის მიერ გამოშვებული კარგი სურათებისათვის“.

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებასა და წინსვლაში განსაკუთრებული როლი შეასრულა კინემატოგრაფიისადმი მიძღვნილმა პირველმა საკავშირო პარტიულმა თათბირმა, რომელიც 1928 წლის მარტში ქალაქ მოსკოვში გაიმართა. ამ თათბირზე მიღებული დადგენილებების შესაბამისად ქართულ კინემატოგრაფიაში სამუშაოდ მოვიდნენ ახალი ძალები, რომლებმაც ახალგაზრდულ ერთუზიანობის ერთად თან მოიტანეს თანამედროვე ცხოვრების ღრმად შეგრძნობის უნარი, ახალი მხატვრული გამომსახველი ფორმების განუწყვეტელი ძიების სურვილი და სიყვარული.

ნიკოლოზ შენგელაია, მიხეილ ჭიაურელი, სიკო დლიძე, დავით რინდელი, ლეო ესაკია, გიორგი მაკაროვი, სიკო ფალავანდიშვილი, მიხეილ გელოვანი და სხვ. ქართული კინემატოგრაფიის განვითარების პირველი პერიოდის ის ძლიერი ჯგუფია, რომლის შემოქმედებაც შემდგომში არა ერთ შესანიშნავ ფურცელს წერს ქართული კინოსელოვნების განვითარების ისტორიაში.

ამ ჯგუფის დამოუკიდებელი მოღვაწეობის დასაწყისს მხატვრულ კინემატოგრაფიაში წარმოადგენს 1928 წელს ნ. შენგელაიას მიერ დადგმული ფილმი „ელისო“ (ა. ყაზბეგის მოთხრობის მოტივების მიხედვით). ქართული კინემატოგრაფიის განვითარების პირველ პერიოდში ეს იყო სრულიად ახალი, მგზნებარე შემოქმედებითი სიტყვა, რომელიც ითქვამდა დიდი რეჟისორული ხელოვნებითა და ისტატობით. მათში ემოციური კინემატოგრაფიული ხერხების გამოყენებით.

„ელისო“ მკვეთრად დააყენა ქართული ფილმის გარდაქმნის, ღრმა შინაარსისა და ნაკიონალური ფორმის ძიებისათვის ბრძოლის საკითხი. ქართული კინემატოგრაფიის ამ ახალგაზრდა შემოქმედებითი ჯგუფის კრედიტ გარკვეული იქნა ნ. შენგელაიას სიტყვაში. რომელიც მან მოსკოვში კინომუშაკთა აქტივზე 1928 წ. წარმოთქვა. იგი ასე მთავრდებოდა: „ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ ახალი, საბჭოთა საქართველო“.

ამ პერიოდში შეიქმნა მთელი სერია ისეთი შესანიშნავი ფილმებისა, როგორც არის: „საბა“ და „ხაბარდა“ (რეჟ. მ. ჭიაურელი); „ახალგაზრდობა იმარჯვებს“ (რეჟ. მ. გელოვანი); „ღრუბელთა თავშესაფარი“ (რეჟ. შ. ბერიშვილი); „ჩქარი № 2“ (რეჟ. გ. მაკაროვი); „სოლოტუე“ (რეჟ. ლ. ესაკია); „ჯიმ შვანიე“ (რეჟ. მ. კალატოზიშვილი); „კრახანა“ (რეჟ. კ. მარჯანიშვილი); „ჯახი“ (რეჟ. ა. წულუწავა); „საკანი № 79“ (რეჟ. შ. ბერიშვილი) და სხვ.

ეს ფილმები შესანიშნავი მსახტვრობით გვისურათმდნენ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს, გვიჩვენებდნენ ახალ საზოგადოებაში მიმდინარე მძლავრ გარდაქმნებს როგორც ეკონომიკის, ისე ადამიანთა ცნობიერების სფეროში. ამასთან, ნათელი ფერებით წარმოგვიდგენდნენ წარსული ცხოვრების ზოგიერთ დამახასიათებელ სურათს — მშრომელი მასების გამირულ პირობებს ხალხთა თავისუფლებისათვის, ბედნიერი მომავლისათვის.

1922 — 1928 წლების ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიაში თვალსაჩინო როლს თამაშობს ქართული, რუსული და უცხოური კლასიკური მსახტვრული ლიტერატურა. კლასიკური ლიტერატურის ეკრანიზაციის ხშირი შემთხვევა, უპირველეს ყოვლისა, ქართული ნაციონალური კინოდრამატურგიის სისუსტით აიხსნებოდა.

კინოდრამატურგიას, მსახტვრული ლიტერატურის ამ მნიშვნელოვან დარგს, ჯერ კიდევ არ ჰყავდა პროფესიონალი მწერალი, ავტორი-კინოდრამატურგი, რომლის შემოქმედებაც ძირითადად უნდა დამყარებოდა კინოსტუდიების თავისებურებების შეგრძნებას, მისი პრინციპების ღრმა ცოდნას. ამ დროს ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიაში დამხარების მიზნით მოსული რამდენიმე მწერალი — შ. დადიანი, ს. კლდიაშვილი, ა. ჭუმბაძე და სხვები, ძალზე მცირე რაზმი იყო ამ დიდი, ჯერ კიდევ „აუღებელი ციხე-სიმაგრის“ ასაღებად.

კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის ეკრანიზაციამ ხელი შეუწყო ქართული ორიგინალური კინოდრამატურგიის ფორმირებას. მოგვცა მისი პირველი თაობა: გ. მდიენის, შ. ხუსკივაძის, პ. მორსკოის, შ. ალხაიშვილის, ს. სულაკაურის და სხვათა სახით, რომელთა შემოქმედებაც შემდგომი აზიერთ ღირსშესანიშნავ ფილმს დაედო საფუძვლად.



კადრი ფილმიდან „დავით გურამიშვილი“. ქეთევანი — დ. ჭიჭინაძე

რეჟისორები: მ. ჭიჭინაძე, დ. რონდელი, მსახიობი მ. გელოვანი





კარლი ფილიმიდან „აკაკის აკვანი“, დედა — თ. ციციშვილი.

ამ პერიოდს ეკუთვნის აგრეთვე პირველი ქართული სხორ-  
ვანი ფილმი „შაჰირი“ (სეენარი გ. მდიენისა, რეჟ. ლ. ესა-  
კია), რომელიც კოლექტივიზაციის პერიოდში მიმდინარე  
კლასობრივი ბრძოლის მეტად დიდმნიშვნელობა თემას ეხე-  
ბოდა. ფილმი „შაჰირი“ საფუძველს უყრის ქართული საბ-  
ჭოთა სხორვანი კინემატოგრაფიის განვითარებას.

ამ წლებში მხატვრულ კინემატოგრაფიასთან ერთად  
სწრაფად ვითარდება ქრისტიანულ-დოკუმენტური კინემა-  
ტოგრაფიაც. 1928 წლის დამლევს ჩამოყალიბდა ამ დარგის  
ფილმების ცალკე სექტორი, რომლის ხელმძღვანელობა დაე-  
კისრა ახალგაზრდა კინორეჟისორის სიკო დოლიძეს. გამოვი-  
და „სახანმრეწვის“ კინოჟურნალი, მთელი რიგი კინოჟურ-  
ნალებისა, და კინონარკვევებისა. კინონარკვევებს შორის აღ-  
სანიშნავია „მიწა გვეძახის“, „კოპაკეშვირი“ (რეჟ. ს. დო-  
ლიძე), „მალარია“ (რეჟ. ლ. პუში), „18-28“ (რეჟ. ნ. დო-  
ლიძე) და მ. კალატოზიშვილი), „ჯემო ქედის კომუნა“  
(რეჟ. შ. ხუსკივაძე) და სხვ. რომლებშიც რეჟისორული ოს-  
ტატობით და ოპერატორის კარგი ხელოვნებით ასახული იყო  
ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები.

ახალი შემოქმედებითი კადრებით გაძლიერებულმა, ტექ-  
ნიკური მოწყობილობით საკმაოდ აღჭურვილმა საბჭოთა ქარ-  
თულმა კინემატოგრაფიამ ამ პერიოდში ფრიად დიდად დაწინა-  
და და საბატიო ადგილი დაიჭირა მოძვე რესპუბლიკების კინე-  
მატოგრაფიის ერთიან ოჯახში.

შემდეგმა პერიოდმა, რომელიც იწყება 1933 წლიდან,  
პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის  
ისტორიული დადგენილების საფუძველზე კიდევ უფრო მეტი  
სახელი მოუხვეჭა ქართულ კინოსელოვნებას.

„1932 წლის 23 აპრილს ჩვენმა კინოს ისე, როგორც  
საბჭოთა ხელოვნების მთელმა ფრონტმა, ახალი სტიმული  
მიიღო შემდგომი ზრდისათვის. პარტიის ცენტრალური კომი-  
ტეტის დადგენილებამ რუსეთის პროლეტარულ მწერალთა  
ასოციაციის (რაპპი) ლიკვიდაციის შესახებ მოსპო ჯგუ-  
ფობრივობა და ჯგუფური სქოლასტიკა, საბჭოთა კინოს შე-  
მოქმედებითი ძალები გააერთიანა პარტიის ხელმძღვანელო-  
ბით და გადაშალა უმაგალითო შესაძლებლობანი კინოსე-  
ლოვნების ასაყვავებლად სოციალისტური რეალიზმის გზაზე“  
(„პრავდა“, 1935 წელი, 12 იანვარი). ამ წლებში (1933—

რეჟისორები: ვ. მუჯირი, ს. დოლიძე, შ. ბერიშვილი



1941), რომელიც ცნობილია, როგორც ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის აღმავლობის პერიოდი, გამოდის ისეთი თვალსაჩინო ფილმები, როგორიცაა „უკანასკნელი ჯვაროსნე-ბი“ (ავტორი-რეჟისორი ს. დოლიძე), „ქუეუასა სზიფევი“ (ავტორი-რეჟისორი ს. ფალავანდიშვილი), „ნახვამდე“ (სცენარი ბ. კუპრაშვილისა და გ. ცაგარლის, რეჟ. გ. მაკაროვი), „უკანასკნელი მასკარადი“ (ავტორი-რეჟისორი მ. ჭიაურელი), „არსენა“ (სცენარი მ. შანინაშვილისა და მ. ჭიაურელისა, რეჟ. მ. ჭიაურელი), „დარიკო“ (ავტორი-რეჟისორი ს. დოლიძე), „ნარინჯის ველი“ (სცენარი ლ. ქიანელი და ნ. შენგელაიასი, რეჟ. ნიკოლოზ შენგელაია), „მგრინავი მღებავი“ (თემა ს. ფალავანდიშვილისა, სცენარი გ. მდიფისა და ლ. ესკაიასი, რეჟ. ლეო ესკაია), „დაკარგული სამოთხე“ (სცენარი გ. მდიფისა და დ. რინდელისა, რეჟ. დავით რინდელი), „დაგვიანებული სასიძო“ (სცენარი კ. გოგოძისა და ვ. კარსანიძისა, რეჟ. კ. მიქაბერიძე), „დიადი განთიადი“ (რეჟ. მ. ჭიაურელი), „ქაჯანა“ (სცენარი კ. გოგოძისა და კ. პიპინაშვილისა, რეჟ. კ. პიპინაშვილი), „კოლხეთის ჩირაღდენი“ (სცენარი გრ. ჩიქოვანისა, რეჟ. დ. რინდელი) და სხვ.

მხატვრულად და იდეურად გამართული ეს ფილმები სწორად უპასუხებენ და დიდმნიშვნელოვან ამოცანებს, რომლებსაც უსახადნენ პარტია და ხელისუფლება ჩვენს კინემატოგრაფიას ქვეყნის ეკონომიური და კულტურული წინსვლის შესაბამისად შემდგომი ხუთწლეულების განმავლობაში. ეს ფილმები მიეძღვნა ადამიანის ცნობიერებაში კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციას, კაპიტალიზმის გადმონაშთების აღმოფხვრას, საბჭოთა ადამიანის სიფხიზლეს, მის დიად აღმშენებლობით შრომას, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს.

აღნიშნული ფილმებიდან უნდა გამოიყოს ფილმი „უკანასკნელი მასკარადი“, რომელშიც აისახა ქართველი მშრომელების თავდადებული ბრძოლა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთვის. ამხილებდა რა მენშევიკური მთავრობის ანტიხალხურ მოქმედებას, ფილმში მიხვილ ქიაურელი რეალისტი მხატვრის ხელოვნებით გვიხურათებდა უფლებაყრილ, უცხოელთა მიერ შეურაცხყოფილ ქართველ მშრომელთა ცხოვრების შემეძრწუნებელ სურათებს. ამავე



კალრი ფილმინდ „აკაის აკვანი“. ძიპა — ნ. ვანნაჟ

დროს მთელი სისავსით გვიხატავდა ხალხის გმირულ სახეს, მის საბრძოლველად ამხედრებულ სულიერ სამყაროს, რომელიც ქარიზმალივით აზვირთებულ ანადგურებდა რეაქციის შავენელ ძალებს და საფუძველს უყრიდა ახალ ცხოვრებას.

ფილმში ფართოდ არის გამოყენებული სატირული ფორმა, რომელსაც მიმართავს რეჟისორი მენშევიკური ხელი-სუფლებს წარმომადგენელთა დასახტავად. ღრმა ტრაგიზმით აღსავსე ეპიზოდების დრამატურული შერწყმა სატირული ხერხებით გადაწყვეტილ ეპიზოდებთან, მახვილ პოლიტიკურ ქედრადობას ანიჭებს ფილმს და აქცევს მას სრულიად ორიგინალურ, ისტორიულ-რეჟოლუციური ჟანრის მხატვრულ კინემატოგრაფიულ ნაწარმოებად.

1935 წელს „სახეიმრეწევი“ დაარსდა ნახატი ფილმის სექტორი, რომლის უშუალო ორგანიზატორი და ინიციატორი იყო რეჟისორი და მხატვარი გ. მუჯირი. მის მიერ დადგმულმა ფილმებმა — „არგონავტები“, „აიკივერა“ და „ჩიორა“ — საფუძველი ჩაუყარეს ამ სახის ფილმების წარმოებას ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიაში.

ამ პერიოდში ქართული კინოხელოვნება შეივსო დოკუ-

რეჟისორები: შ. მანაგაჟე, ლ. ესკაია, კ. პიპინაშვილი





კადრები ფილიდან „მაგდანას ლურჯა“.  
ზემოთ: მაგდანა — დ. წეროძე,  
ქვევით: — ბაბა ვიგო — ალ. ოშიაძე



რეჟისორი ა. ხინთიბიძე, ოპერატორი დ. კანდელაკი, რეჟისორი  
ფ. სახიშვილი



მენტური კინემატოგრაფიის ახალგაზრდა კადრებით, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით კიდევ უფრო ჩქარი ტემპით წაიყვანეს ამ ჟანრის განვითარება. დოკუმენტური ფილმის ახალგაზრდა ოსტატებმა შ. ხომერიკმა, შ. ჩაგუნავამ, ი. კანდელაკმა, ვ. ვალიშვილმა, გ. გუნიაშვილმა, მ. მარტაშვილმა, ვ. ავალიძემ, ა. მამულაშვილმა, კინოოპერატორებმა გ. ასათიანმა, ლ. არზუმაწივამ, ნ. ნაგორნიმ, ა. აჯიბეგიშვილმა, ა. სემიონოვმა, ლ. დეკანოზიძემ, გ. უსტინაშვილმა, შ. შიოშვილმა, გ. შანიძემ, ბ. კრესმა, მ. ნარიანიშვილმა და სხვებმა შექმნეს მთელი რიგი კინონარკვევებისა: „ამიერკავკასიის მეცხოველები“, „გამარჯვების 15 წელი“, „იალღებზე“, „კოლხიდა“, „ინდუსტრიული ქუთაისი“, „აჭარის სანაპიროზე“, „საბჭოთა აფხაზეთი“, „სალომე“ და სხვ., რომლებმაც საპატიო ადგილი დაიკავეს იმ დროის საბჭოთა დოკუმენტურ ფილმებს შორის.

ამ პერიოდში ძლიერდება, აგრეთვე, ქართული სამეცნიერო-პოპულარული ფილმების წარმოება. აღსანიშნავია „განახლებული მიწა“ (რეჟ. დ. ბაჟიძე), „შრომის ორგანიზაცია“ (რეჟ. კ. გელიშვილი), „აბრეშუმი“ (რეჟ. გ. გომართელი), „საქართველოს სიძველენი“ (რეჟ. ა. გაბუნია) და სხვა. ეს ფილმები თემატიკით, საკითხისადმი სწორი მეთოდური მიდგომითა და გადმოცემით, აგრეთვე თავისი მხატვრულობით ხელს უწყობდნენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი კადრების აღზრდის საქმეს. ბევრი მათგანი დიდი წარმატებით მიდიდა საბჭოთა ეკრანებზე.

სამამულო ომის დღეებში ქართველმა კინომუშაკებმა გარდაქმნეს რა თავიანთი მუშაობა ომის მოთხოვნილების შესაბამისად, შექმნეს როგორც წარსულის, ისე თანამედროვე ცხოვრების ამსახველი მხატვრული და დოკუმენტური კინონაწარმოებები, რომლებიც თავიანთი მიზანდასახულობით ემსახურებოდნენ ფაშისტ დამპყრობთაგან საბჭოთა ქვეყნის განთავისუფლების წინადათა წინადა საქმეს.

ამ პერიოდის ქართულ მხატვრულ ფილმებში განსაკუთრებით აღსანიშნავია „გიორგი სააკაძე (სცენარი ანა ანტონოვსკაიასი და ბორის ჩორნისი, რეჟ. მ. ჭიაურელი), მხატვრული მუსიკალური ფილმი „ჯურღალის ფარი“ (რეჟ. ს. დოლიძე და დ. რონდელი), კინოკომედია „ჭირვეული მეზობლები“ (სცენარი გ. მდიენისი, რეჟ. შ. მანაგაძე).

„გიორგი სააკაძე“ ისე, როგორც ამ დროის რუსული ფილმები „კუტუზოვი“, „სუვოროვი“ და სხვ. ისტორიული წარსულის ნათელი ასახვით ჩვენს ხალხს მოუწოდებდა ახალი საგმირო საქმეებისაკენ, შთაგონებდა ვერაგი მტრის წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლის კეთილშობილურ მისწრაფებას.

ფილმის დიდ მნიშვნელობაზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ „გიორგი სააკაძე“ გამოვიდა დიდი ტირაჟით — 2.000 ეგზემპლარად, რაც პირველი შემთხვევა იყო საბჭოთა კინემატოგრაფიაში. იგი გადასროლილი იქნა პარტიზანულთა ჯგუფებში დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სადაც ჩვენს მეომრებს უნერგავდა პატრიოტულ გრძნობასა და გამარჯვების რწმუნას.

„ჯურღამის ფარი“ სამამულო ომის დღეებში მასობრივად გაოსულ ფილმ-კონცერტების სერიას ეკუთვნოდა. ეროვნული კოლორიტითა და მხატვრული სიმღიერით იგი ამ ეპირის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოებია. ეს იყო შესანიშნავი სიმღერა ხალხთა მეგობრობაზე, მის საარაკო გმირობასა და თავდადებაზე. ფილმი განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდა საბჭოთა მეომრებს შორის.

„ჭირვეული მეზობლები“ ხალისიანი კომედიური ფორმით გვიჩვენებდა ჯურღამი მომუშავე ჩვენს მშრომელებს.

სამამულო ომის დღეებში შეიქმნა საფრონტო ჯგუფები, რომლებიც მოწინავე ცესხლის საზღვ ალბეტდავდნენ ჩვენი მეომრების საგმირო საქმეებს. ამ ჯგუფებმა შექმნეს დოკუმენტური ფილმები: „ომი ზღვაზე“ (რეჟ. შ. ხომერიკი), „ფაშისტი მხეცების კვალდაკვალ“ (რეჟ. შ. ჩაგუნავა), „გენერალი ლესელიძე“ (რეჟ. გ. გრძელიშვილი), „პატრიოტი მთევზებში“ (რეჟ. ვ. ვალიშვილი), „რა გააკეთე სამშობლოსათვის“ (რეჟ. ა. მამულაშვილი) და სხვ., რომლებშიც ასახულია ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლა სამამულო ომის დღეებში როგორც ფრონტზე, ისე საბჭოთა ჯურღამი.



ქალბი ფილმთან „ფატიმა“, იბრაჰიმი — გ. ჭიხონელიძე

კინოლოკუენტალისტი რეჟისორები: ვ. ვალიშვილი, გ. ასათიანი, ოპერატორი ფ. ვისოცკი





კინოოპერატორები: გ. კველიძე, ლ. პაპაშვილი, ნ. ნაგორინი

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში ქართულმა კინომუშაკებმა თავდადებული და უანგარო შემოქმედებითი მუშაობით პირნათლად შეასრულეს თავიანთი პატრიოტული ვალი სამშობლოს წინაშე. ამ პერიოდში ღირსშესანიშნავი მხატვრული ფილმების გამოშვებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 14 აპრილის ბრძანებულებით თბილისის კინოსტუდია დაჯილდოვებულ იქნა მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით.

ომის შემდგომ პერიოდში, 1954 წლამდე გამოსული ფილმების უმეტესობა, თუმცა იდუარად და მხატვრულად მაღალ დონეზე იდგა, რადენითობის მხრივ ძალზე ჩამორჩებოდა საერთო მოთხოვნილებებს. 1945 წლიდან 1954 წლამდე კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ სულ გამოუშვა 7 სურათი: „ფიცა“ (რეჟ. მ. ჭიაურელი), რომელშიც ასახუ-

ლი იყო საბჭოთა ხალხის ბრძოლა დიდი ლენინის ანდერძის შესასრულებლად ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით; ისტორიულ-ბიოგრაფიული ფილმი „დავით გურამიშვილი“ (რეჟ. ბ. თუმანიშვილი და ნ. სანიშვილი), ისტორიულ-ბიოგრაფიული ფილმი დიდ ქართველ პოეტ და საზოგადო მოღვაწე დავით გურამიშვილზე, ქართველი, უკრაინელი და რუსი ხალხის მეგობრობაზე; „აკაკის აკვანი“ (სცენარი ლ. ასათიანისა და კ. პიპინაშვილის, რეჟ. კ. პიპინაშვილი), „ქეთო და კოტე“ (სცენარი ს. ფაშალიშვილისა, რეჟ. ვ. ტაბლიაშვილი და შ. გედევანიშვილი), საკოლმურენო კინოკომედია „ბედნიერი შეხვედრა“ (სცენარი ვ. კარსანიძისა, რეჟ. ნ. სანიშვილი), „გაზაფხული საკენში“ (ავტორი-რეჟისორი ნ. სანიშვილი), რომელშიც აისახა კოლმურენეთა თავდადებული შრომა.

ამ წლებში შედარებით მაღალ დონეზე იდგა ნახატი და დოკუმენტური კინემატოგრაფია.

1951-1953 წლებში კინოსტუდიის მუშაობის ინტენსიურობა კიდევ უფრო დაეცა. გამოშვებული იქნა მხოლოდ ერთი მხატვრული ფილმი „მწვერვალთა დამპყრობნი“ და ერთი

რეჟისორები: რ. ჩხეიძე, ლ. დლობერიძე, თ. აბულაძე



სრულმეტრაჟიანი კინონარკვევი „საბჭოთა საქართველო“. ეს იყო შემოქმედებითი დაქვეითების წლები ქართულ კინემატოგრაფიაში.

მიაქცია რა ყურადღება ამ მდგომარეობას, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ თავის დადგენილებაში თბილისის კინოსტუდიის მუშაობის შესახებ დასახეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები საქართველოს კინემატოგრაფიის სისტემაში სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და მხატვრული ფილმების წარმოების საფუძვლიანი გაუმჯობესებისათვის. ამ მომენტს დაემთხვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოთა ორგანოების ერთობლივი დადგენილება ნაციონალური კინოსტუდიებისათვის მეტი ტექნიკური დახმარების გაწევისა და როგორც ფინანსიურ, ისე შემოქმედებით საკითხებში მეტი დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. ამ დადგენილებათა რეალიზაციისათვის გამოიღო ბრძოლაში ქართველმა კინოშემაჯობმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს — ნახტი, დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული სურათების გარდა, გამოუშვეს 40-ზე მეტი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი.

მიუხედავად იმისა, რომ 1954-1960 წლებში გამოსული ფილმები თავიანთი მხატვრული ღირსებებით სხვადასხვა დონეზე დგანან და განსხვავებულ შეფასებას იმსახურებენ, ეს პერიოდი თმატური მრავალფეროვნებითა და შექმნილ ნაწარმოებთა უმეტესობის მაღალი ღირსებით შეიძლება ჩაითვალოს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ აღმავლობის პერიოდად, მისი განვითარების ახალ ეტაპად.

ყოველივე ეს, უპირველეს ყოვლისა, განაპირობა სასცენარო საქმიანობაში ქართველ მწერლთა აქტივის ჩაბმამ და ახალგაზრდა კადრების გაბედულმა დაწინაურებამ დამოუკიდებელ შემოქმედებით სამუშაოებზე.

ა. ბელიაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, მ. ბარათაშვილი, ი. ნინეშვილი, ე. ფეიკინი, გ. მდივანი, რ. ჯაფარიძე, და სხვ. აი, ქართველი მწერლებისა და კინორეჟისორების ის ძირითადი ბირთვი, რომელიც ამ ხანებში მხარში უდგა ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის აღმავლობის საქმეს.

დამოუკიდებელ შემოქმედებით სარბიელზე გამოვიდნენ რეჟისორები თენგიზ აბულაძე, რევაზ ჩხეიძე, ლევან ხოტივარი, გენო წულაია, ნელი ნუნუვა, ლანა ლილობერიძე, თეატრატორები ლ. პაატაშვილი, გ. ჭკლიძე, დ. მარგივი; კინო-



კონრადმახარაძე  
გ. მდივანი

მსახიობთა კადრებს მიემატნენ, როგორც ახალგაზრდა, ისე ძველი თაობის მსახიობები: ლ. ვლიაძე, გ. აბაშიძე, ო. კობერიძე, დ. აბაშიძე, რ. ჩიჭიკაძე, ს. თაყაიშვილი, გ. ტყაბლაძე და სხვ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს პერიოდი ქართული კინემატოგრაფიისა ხასიათდება თანამედროვე ცხოვრების ამახავი თემებისაკენ მკვეთრი შემობრუნებით: „ჭრიჭინა“ (სცენარი მ. ბარათაშვილისა და ლ. ხოტივარის, რეჟ. ს. დოლიძე და ლ. ხოტივარი), „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ (სცენარი ა. ბელიაშვილის, ე. ბოლმინცოვის, და ნ. სანიშვილისა, რეჟ. ნ. სანიშვილი), „ორი ოკეანის საიდუმლოება“ (სცენარი ნ. რაჭკვისა და გ. ალექსევიკისა, რეჟ. კ. პიპინაშვილი),

კადრი ფილმიდან „ჭრიჭინა“, მარინა — ლ. აბაშიძე



კადრი ფილმიდან „ქელო და კოტე“  
კოტე — გ. კრავიშვილი, ქელო — მ. ჯაფარიძე





კადრი ფილმიდან „სხვისი შვილები“, ნატო — ც. ციციშვილი

„ჩრდილი გზაზე“ (სცენარი კ. ლორთქიფანიძისა და ე. ფიგინისა, რეჟ. დ. რონდელი), „ჩვენი უზო“ (სცენარი გ. მდივნისა, რეჟ. რ. ჩხეიძე), „საბუღარელი ჭაბუკი“ (სცენარი გ. მდივნისა, რეჟ. შ. მანავაძე), „სხვისი შვილები“ (სცენარი რ. ჯაფარიძისა და თ. აბულაძისა, რეჟ. თ. აბულაძე), „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“ (ავტორი-რეჟისორი ს. დოლიძე), „განძი“ (სცენარი დ. შენგელაიასი, რეჟ. რ. ჩხეიძე), „კეთილი ადამიანები“ (სცენარი გ. მდივნის, რეჟ. შ. მანავაძე) და სხვ. ყველა ეს ფილმი თემატურ მრავალფეროვნებასთან ერთად ხასიათდება დასახული პრობლემების აქტუალობითა და სიმასხვილით. გარდა იდეური სიღრმისა და მათში წამოჭრილი პრობლემების სწორი გადაჭრისა, ეს სურათები ყურადღებას იქცევენ მხატვრული ღირსებებითაც, რაც მათ საბჭოთა საუკეთესო კინოფილმებს შორის აყენებს.

კლასიკოსთა ლიტერატურული მემკვიდრეობის ეკრანიზაციის სფეროშიც ვხედავთ ერთგვარი სიახლის ნაკადს. ამ გზით შექმნილ უკანასკნელი დროის ქართულ ფილმებში, ავტორები ძირითადად რჩებიან ლიტერატურული პირველწყაროს ერთგულ მიმდევრებად, მაგრამ, ამასთან, ეს ნაწარმოებები აპყავთ ახალ მხატვრულ სიმაღლემდე, აძლევენ მას თანამედროვე უღერადობას, შემოქმედებითად ანვითარებენ მათში მოცემულ საფუძვლებს და ქმნიან ჩვენი დღეების სუნთქვით გამობარ კინონაწარმოებებს. ამ ფილმების ჯგუფს ეკუთვნის „მაგდანას ლურჯა“ (ე. გაბაშვილის მიხედვით, სცენარი კ. გოგოძის, რეჟისორები თ. აბულაძე და რ. ჩხეიძე), „ბაში აჩუკი“ (ავ. წერეთლის მიხედვით, სცენარი ვ. კარსანიძის და ლ. ესაკიასი, რეჟ. ლ. ესაკია), „ოთარანთ ქერივი“ (ი. ჭავჭავაძის მიხედვით, სცენარი ა. ბელიაშვილისა და მ. ჭიაურელისა, რეჟ. მ. ჭიაურელი), „ფატმა“ (კ. ხეთავაგუროვის მიხედვით, ავტორი-რეჟისორი ს. დოლიძე), „მამლუკი“ (უიარაღის მიხედვით, ავტორი-რეჟისორი დ. რონდელი), „მაიაკოვსკი იწყებოდა ასე“ (სცენარი კ. გოგოძისა და კ. პიპინაშვილის, რეჟ. კ. პიპინაშვილი).

ამ პერიოდის სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე სლოვაკის კინოსტუდია „კოლობასა“ და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ერთობლივი დადგმა „შეწყვეტილი სიმღერა“ (სცენარი კ. ლორთქიფანიძის, ალბერტ მარინჩი-

კინოლოკუმენტალისტი-რეჟისორები:  
შ. ჩაგუნავა, შ. ხომერაძე, ი. კანდელაკი



ნისა და ა. სანიშვილისა, დადგმა რეჟ. ნ. სანიშვილის, რეჟ. ზ. გულავაძე და ფრანტიშეკ ჯიჩეკი), რომელიც ხალხთა მეგობრობის თემას ეხება. იგი ასახავს საბჭოთა და ჩეხოსლოვაკელი ხალხების იმ მეგობრობას, რომელიც წარმოიშვა მეორე მსოფლიო ომის უძლეულ დღეებში და რომელიც კიდევ უფრო განმტკიცდა შემდგომ მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში ფილმი გვიჩვენებს ადამიანთა ტრაგედიას ომის წლებში, ამავე დროს, გვეკვლინება ოპტიმისტურ ნაწარმოებად, აღვივებს რა მასურებელში საერთაშორისო მშვიდობისათვის ბრძოლის სულისკვეთებას.

მაგამ ამ პერიოდის ყველა ფილმი როდი დგას სათანადო სიმაღლეზე. თანამედროვე თემაზე შექმნილი სურათები — „ორი ოჯახი“, „ნინო“, „ამბავი ერთი ქალიშვილისა“, „ნაოდ არის შენი ბედნიერება, მზია“, „წარსული ზაფხული“, „ყვავილი თოვლზე“ და სხვ. სამწუხაროდ, ვერ დგანან ჩაქოვილი იდეური კონცეპციის შესაფერ მხატვრულ სიმაღლეზე. ვერ გაამართლა იმედი, აგრეთვე, კლასიკური ლიტერატურის საფუძველზე შექმნილმა ზოგიერთმა ფილმმა („ქალის ტირითი“, „კარდავარა“). მიუხედავად ამისა, რეჟისორული ოსტატობის, მსახიობთა თამაშის, ოპერატორთა ხელოვნების ზრდის მხრივ ეს პერიოდი ქართული მხატვრული კინემატოგრაფიის წინსვლით ხასიათდება.

უნდა აღინიშნოს ამ წლებში კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნახტი ფილმების წარმოების ნაყოფიერი მუშაობაც. ამ პერიოდის ნახტ ფილმებს შორის აღსანიშნავია: „ნიკო და ნიკორა“ (სცენარი შ. დღლიანისა და ა. ხინთიბიძის, რეჟისორები ა. ხინთიბიძე და გ. ჩხუტაძე), „ხელმარჯვე ოსტატი“ და „საყვირის შემდეგ“ (სცენარი ნ. ბენაშვილისა, რეჟისორი გ. მახტაძე), „ჩხიკვთა ქორწილი“ (ცვაფაშველას მიხედვით, სცენარი ს. დოლიძისა, რეჟ. ა. ხინთიბიძე), „მტრობა“ (სცენარი რ. ებრაძისა და ა. ხინთიბიძისა, რეჟ. ა. ხინთიბიძე), „ვეფხი და ვირი“ (სულხან საბას მიხედვით, სცენარი კ. გოგოძისა, რეჟ. თ. ანდრონიკაშვილი) და სხვ. ეს სურათები, მიუხედავად ზოგიერთი ტექნიკური და მხატვრული ნაკლისა, ძირითადად მაინც დასატრეუნებ ნახტი ფილმის ქართველ მუშაკთა წარმატებებს, მათ მზარდ ოსტატობას.

არა ნაკლები გამარჯვებები მოიპოვეს დოკუმენტური ფილმის ოსტატებმა. ამ ხანებში გამოვიდა მრავალი დოკუმენტური სურათი და კინონარკვევი, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: „ალაზნის ველი“ (რეჟ. შ. ჩაგუნავა, ოპერატორი ა. სემიონოვი), „ასოფლი სამეურნეო გამოფენა მოსკოვში“ (რეჟისორი ი. კანდელაკი, ოპერატორი გ. ასათიანი), „ურდვევი მეგობრობა“ (სცენარი ს. მანველიანისა, რეჟ. შ. სომერიკი, ოპერატორი ლ. არზუმაწივი), „ლეისა უკრაინკა“ (რეჟისორები გ. ალაგიძე და ა. მამულაშვილი), „პამირის მწვერვალებზე“ (რეჟ. ზ. გულავაძე, ოპერატორები ბ. კრეპსი და ა. ამასისკი), „საბჭოთა საქართველო“ (რეჟისორები ს. დლიძე და რ. კარმენი), „წყალტუბო“ (სცენარი ნ. ბენაშვილისა, რეჟ. ვ. ალაგიძე, ოპერატორი ნ. ნაგორნი), „ველათი“ და „1500 წელი“ (რეჟ. ლ. დოლობერიძე, ოპერატორი ა. სემიონოვი), „ლადო გუდიაშვილი“ (რეჟი-



კლარი ქართული ფილმებიდან (ზემოდან ქვევით): „ბაში-აჩუკი“, „ამბავი ერთი ქალიშვილისა“, „წარდილი გზაზე“.



კადრი ფილმ-ბალეტიდან „ოტელო“  
ოტელო — ვ. ჭაბუკიანი, დეზდემონა — ვ. წიგნაძე



კადრი ფილმიდან „პიკოკონა“, ბოჩა — დ. აბაშიძე

სორები ნ. ნუნოვა და გ. ვულაია, ოპერატორი ნ. ნაგორნი), „ბრიუსელის მსოფლიო გამოფენა“, „ნებალი“, (ავტორი-რეჟისორი გ. ასათიანი), „მსოფლიო ტაშ სურავს“ (რეჟ. გ. ასათიანი და თ. ჭიაურელი), „სადაც გენებოთ“ (რეჟ. შ. ჩაგუნავა), „მტკვრის კვალდაკვალ“ (რეჟ. ი. კანდელაკი, ოპერატორი ა. სემინოვი), „სამხრეთ ოსეთი“ (რეჟ. შ. ხომერიკი, ოპერატორი ლ. არზუმანოვი) და სხვ. ამ ფილმებსა

და კინონარკვევებში მახვილად არის შეგრძნეული და ასახული უდიდესი ძვრები საბჭოთა საქართველოს დღევანდელ უბნებზე.

არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს ის შესანიშნავი და მეტად სასარგებლო მუშაობა, რომელსაც ატარებენ კინოსტუდიის სამეცნიერო-პოპულარული ფილმების მუშაკები. სურათები „ნორჩი ტენიკოსები“ (სცენარი ნ. ბენაშვილისა, რეჟისორი ა. მამულაშვილი), „სკოლის საცდელ ნაკვეთზე“ (სცენარი თ. თვალიაძისა, რეჟ. ა. მამულაშვილი), „დეპოს უფროსი“ (რეჟ. გ. გომართელი), „ამბავი სოფელ ნატანებზე“ (სცენარი ვ. კარსანიისა, რეჟ. ი. კანდელაკი), „ერთი ცდის ისტორია“ (რეჟ. დ. აბაშიძე), და სხვ. თავისი მხატვრულობითა და მასალის ორგანიზაციის ორიგინალობით გასცდნენ სამეცნიერო ფილმის ვიწრო ჩარჩოებს და ეკრანებზე მიდიოდნენ როგორც მხატვრული კინონარკვევები.

ჩვენს მავრებელს, განსაკუთრებით სოფლისას, მეტად სასარგებლო მომსახურებებს უწევს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სადუბლიაჟო სექტორი. ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტები, რომ აქ დუბლირებულია 300-ზე მეტი ფილმი. ამ დარგში წარმატებით მუშაობდნენ და მუშაობენ რეჟისორები: კ. ანდრონიკაშვილი, შ. ბერიშვილი, კ. გრძელიშვილი, ს. ჯალიაშვილი, დ. ხინთიბაძე, დ. ალავექი. მათ

კინოდოკუმენტალისტები: ოპერატორები შ. შიოშვილი, ლ. არზუმანოვი, რეჟისორი თ. ჭიაურელი





კადრი ფილმიდან „ცისკარა“ — გ. აბაშიძე



კადრი ფილმიდან „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“. ფოსტალიონი — ს. ზაქარაძე, ლამპრა — ბ. მირიაშვილი

მიერ ქართულად დუბლირებული რუსული და უცხოური ფილმები გამოირჩევიან ორიგინალთან სიახლოვითა და გახმოვანების მხატვრობით.

ქართულმა საბჭოთა კინემატოგრაფიამ ჩასახვის დღიდან 40 წლის მანძილზე თვალსაჩინო შემოქმედებითი გზა განვლო, რასაკვირველია, ეს გზა არ იყო უშეცდომო. იყო როგორც იდეური, ისე მხატვრული ჩავარდნები. მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის მუშაკები, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენელთა აქტიური შემოქმედებითი დახმარებით, დღემდე მხარდამხარ მოყვებიან მოძველ რესპუბლიკების კინომუშაკებს და მათთან ერთად ქმნიან საბჭოთა კინემატოგრაფიის თვალსაჩინო ნაწარმოებებს. ამით უზმარებიან პარტიას და მთავრობას ჩვენი ჭეყნის წინაშე მდგარ ამოცანათა განხორციელების დიად საქმეში.

სოციალისტური რეალიზმის სწორ გზაზე მიმავალი ქართული საბჭოთა კინემატოგრაფია დღეს მსოფლიო ავტორიტეტით სარგებლობს. ამაზე ლაპარაკობს ის ჯილდოები, რომლებიც დაიმსახურეს ქართულმა ფილმებმა როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო კინოფესტივალებზე.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მხატვრული ნაწარმოები „ფიცი“, „მაგდანას ლურჯა“, „ორი ოკეანის საიდუმლოება“, „ჩვენი ეზო“, „ოთარანთ ქერივი“, „სხვისი შვილები“, ნახატი ფილმი „საყვირის შემდეგ“, კინონარკვევები — „უშა“, „ალაზნის ველი“, „პამირის მწვერვალებზე“ პრემირებულია საერთაშორისო კინოფესტივალების სხვადა-

სხვა ჯილდოებით. საბჭოთა ფილმების საკავშირო ფესტივალებზე დაჯილდოებულია ფილმები: „საბადარელი ჭაბუკი“, „ფატიმა“, ნახატი ფილმები: „ხელმარჯვე ოსტატი“ და „მტრობა“, კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო“ № 11 (1958 წლისა), სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ერთი ცდის ისტორია“. კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ ამჟამად მიღებული აქვს 13 საერთაშორისო და 6 საკავშირო ჯილდო, სტალინური პრემია მიენიჭათ ქართულ ფილმებს: „ელისოს“,

კადრი ფილმიდან „ფატიმა“, ჯამბულტაი — მ. ზღვინიძე



კადრი ფილმიდან „საბუღარელი ჭაბუკი“ ცენტრში — მ.ს. ა. კვანტალიანი





მულტიპლიკაციური ფილმების რეჟისორი  
ვ. ზახტაძე



რეჟისორი-მონტაჟიორი ვ. დოლუნავა



სამეცნიერო-პოპულარულ ფილმების  
რეჟისორი დ. აბაშიძე

„ნარინჯის ველს“, „არსენას“, „ღღაღ განთიადს“, „გიორგი  
საკაძეს“, „ჯურღაის ფარს“, „ფიცს“.

იზრდება კინოსტუდია ქართული ფილმის ტექნიკური აღ-  
ჭურვილობაც. თუ 1921 წელს ქართველმა კინომუშაკებმა თა-  
ვინათი შემოქმედებითი გზა ნახვერად დანგრეულ ფარღალა-  
ლა ქოსში დაიწყეს, ამჟამად მათ განკარგულებაშია სამი  
ხმოვანი და ერთი უხმო დიდი პავილიონი, რომელთა საერთო  
ფართობი 2577 კვ. მეტრს აღემატება. თუ 1921 წელს მათ  
განკარგულებაში იყო მხოლოდ ერთი გადაძლები აპარატი „პა-  
ტე“ და ორიოდე გამანათებელი ხელსაწყო, ახლა მათ აქვთ  
60-ზე მეტი როტორც მუნჯი, ისე სინქრონულად გადაძლები  
აპარატი, 2000-მდე კილოვატის გამანათებელი აპარატურა,  
საკუთარი სტაციონარული ელსადგური და მ მოძრავი ელ-  
სადგური ნატურაზე გადაღებების საწარმოებლად. მთელ  
ამიერკავკასიაში განთქმულია კინოსტუდიის ფირის დამუშ-

საებელი სამჭრო, სადაც ყოველდღიურად რამდენიმე ათასი  
მეტრი ფირი მუშავდება.

დიდმის მახლობლად დაიწყო ახალი კინოსტუდიის მშე-  
ნებლობა, რომელიც დაიკავებს 22 ჰექტარ ფართობს. აიგება  
5 პავილიონი 3 800 კვ. მეტრი ფართობით, ხმოვანი პავი-  
ლიონების ცალკე კორპუსები, ნატურალური გადაღებისათვის  
გამოყოფილი იქნება 7 ჰექტარი, მოეწყობა მრავალი დამ-  
ხმარე სამჭრო. სტუდია ყოველწლიურად გამოუშვებს 15  
მსატრულ სრულმეტრაჟიან კინოსურათს. ეს იქნება საბჭოთა  
კავშირში ერთ-ერთი უძძლავრესი კინოსტუდია.

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფია თვალსაჩინო მიღ-  
წევებით ხვდება ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის  
22-ე ყრილობას. ეს წარმატებები მიღწეულია ლენინური  
ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების საფუძველ-  
ზე.

კარლი ფილმიდან „განძი“





ჩოხატაურის სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი

# ჩვენი საგზოვლოს ერთ კუთხეში

ილია ცინცაძე

აქ თვითონ მზეც კი სხვანაირია!  
უფრო თბილია, უფრო ტკბილია,  
გული ოცნებით გადაირია,  
გული ვარდებით დაბარდნილია!

მე აქაურზე აქაური ვარ,  
მე გურიამი ყოფნა მწყურია,  
რადგან გურია თავისუფლების  
და სილამაზის ნავსადგურია!

რა კუთხე არის, რა სანაქებო,  
გურიის ექი დღეს თან დამყვება,  
გურიამი ვარ, ამხანაგებო,  
და საქართველო შეამაყება!

ასე გამოთქვა საქართველოს ამ ერთი უმშვენიერესი კუთხისადმი მიმართული გრძობები ჩოხატაურში სტუმრად ჩამოსულმა პეტემა-აკადემიკოსმა გიორგი ლონიძემ.

გურული კაცისათვის გამრჯე შრომა ცხოვრების თანამგზავრია, ხოლო ხელოვნება სულიერი საზრდოა. მეტად თავისებურია გურული ხალხური მუსიკა და ცეკვა არა მარტო მრავალმნიშვნელოვანი, სიმკვირცხლით და შესრულების სირთულით, არამედ მისი შინაარსითაც. ამასევე მეტყველებენ ძველი ხალხური სიმღერები „შვიდაცა“, „ვახტანგური“, „ხელსავი“, „შავი შაში“, „ხასანგურა“, ცეკვები: „ფერხული“, „ფარცათი“, „ხორში“, რომლებშიც გურულები ხოტბას ასაშვენ მშვიდობას, ვაჟკაცობას, შრომასა და სიყვარულს. გაკვიცხვენ ორგულსა და მოლოლატეს.

გურული ხალხური სიმღერების მოამაგებისა და უბაღლო შემსრულებლების — ძმების სამუელ და ილარიონ ჩავლივიშვილების, ბესარიონ კონტიძის, ალექსანდრე მახარაძის, ვარლამ და ვესისი სიმონიშვილების, ბებურ ჩაბიძის, ილიკო ნინიძის, სამსონ ურუშაძის, ბესო ინჭვირავლის, ძმების არტემ, ანანი და ლადიკო ერქომაიშვილების გვერდით, საპატიო ადგილი უჭირავთ ჩოხატაურის რაიონის წარმომადგენლებს ვლადიმერ ბერძენიშვილს, ერმალო და ვახტანგ ხოსროლიძეებს, გიგო მგელაძეს, თეოფილე ლომთათიძეს და სხვებს. ბერძენი

მათვანი მონაწილეა პირველი გურული მომღერალთა გუნდისა, რომელიც ჩვენი თანამემამულის ფილიპონ ქორიძის მიერ იყო შექმნილი ჯერ კიდევ 1903 წელს. 1917 წელს გუნდის მატერიალური უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა ითავა ამ საქმის ენთუზიასტმა, ჩოხატაურელმა ნიუ გლახუნის-ძე სისარულიძემ, რომელიც იმ დროს თბილისში სასტუმროს ფლობდა (ამჟამად სასტუმრო „რუსთავი“). გუნდის მიერ ჩატარებულ კონცერტებს წინ უძღოდა ცნობილი კომპოზიტორის კოტე ფოცხვერაშვილის ლექციები. ამ კონცერტებმა, რომლებიც ყოველთვის წარმატებით მიმდინარეობდა, დიდი წვლილი შეიტანა გურული ხალხური მუსიკის პოპულარიზაციის საქმეში.

1935 წელს დიდ მწერალთან მაქსიმ გორკისთან ქალაქ მოსკოვში, გამოჩენილი ფრანგი მწერლის რომენ როლანის პატივსაცემად გამართულ საღამოზე მიწვეული იქნა გურულ მომღერალთა ჯგუფი ვლადიმერ ბერძენიშვილის, ერმალო სისარულიძის, თეოფილე ლომთათიძის, ძმები მიხეილ და ვევენი კორიშინაძეების შემადგენლობით. მათ მიერ შესრულებულმა გურულმა სიმღერებმა აღტაცებაში მოიყვანა რომენ როლანი, რომელიც განცვიფრებული იყო ამ სიმღერების აღნაგობით, მათი ვირტუოზული შესრულებით.

1937 წელი. მოსკოვი... ქართული ხელოვნების დეკადანზე მომღერალთა გუნდის ერთ ფრთას ამშვენებდნენ ჩოხატაურის წარმომადგენლები — ასოვანი ვაჟაკი და შეუდარებელი, ხავერდოვანი ბანის მფლობელი ვლადიმერ ბერძენიშვილი, მასთან ერთად, ერმალო და გარსევან სისარულიძეები, ევგენი და მისაკო კორიშინაძეები, სიმონ მეგრელიშვილი, თეოფილე

ჩოხატაურის კულტურის სახლის ანსამბლი „შვიდაცა“





ჩოხატაურის პიონერული ანსამბლი

ლომთათიძე, დავით ჯაყელი, ხლო თვალწარმტაცი გარეგნობის ქართველ ქალთა რიგს ამკობდა ჩუტა ერისთავი თავისი ქალიშვილით ირინე ქლდუხიძე.

ხალხური მუსიკისადმი სიყვარულსა და მემორულებელთა ტალანტების მასობრიობის საფუძველი ჩვენი რაიონის სინამდვილეში — ჩვენს წინაპრებში უნდა ვეძოთ. ამ რაიონის ყოველ კუთხეს წინადაც ჰყოლია საუკეთესო მომღვწეები, რომლებსაც არაერთხელ დაუტკბიათ მსმენელები თავიანთი სიმღერებით; მათ შორის იყვნენ და არიან ამჟღავნების კუთხიდან — ფელიმონ, ივანე (ნანია), არსენ, სამსონ, ანდრო, ბარნაბე, რაზმიდონ, გიორგი, ოქროპირი სხარულიძეები, ერასტო მახარაძე, ივანე და გიორგი ჯაში, თაყა თავაძე, გიორგი მეფარიშვილი, ერასტი ცინცაძე; ხიდისთავიდან: ილია, გრიგოლ, იასონ და ანტონ გოგიბერძენები, ერმილე და რაქუნე კალანდაძეები; დაბალციხიდან: ძმები ლევანტი, გიგო და ექვთიმე ჯაყელები, ერმილე კორთოშინაძე და ლიკო ჯაყელი; იანუელიდან: ანტონ თოდრია, ძმები ბესარიონ და სილობისტრო თოდრიები, რაქუნე გარუჯავა, გიორგი კვეციანი, ბარნაბე ცინცაძე; ბუქისცი-

ხიდან: ძმები სხარულიძეები; ფარხმიდან: იულონ, გერასიმე, ანტიმონ, კაბიტონ, ალექსანდრე, ვლადიმერ და ანტიფო ჩხიკვაძეები; მოცეკვავეები: გ. კეშელავა, ტ. გოგოლაძე, გ. გარუჯავა და სხვა მრავალი. გამოირჩევიანდნენ შესრულების ტექნიკით სოინარზე დაამკვრელები ლევან ბერძენიშვილი, ვლადიმერ მეფარიშვილი და ივაკი შათირიშვილი. სწორედ ამ უკანასკნელზე უთქვამს გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორს დიმიტრი არაყიშვილს: მის მიერ სოინარზე შესრულებული მელოდიები ბუღბუღსაც კი შეაყვანდათ. ხალხურ მოქმედებას და მომღერლებს შორის ჩვენს რესპუბლიკაში საკმაოდ ცნობილია კალისტრატე რამიშვილი, რომლის მჭერმეტყველური კულუბები არასდროს არ კარგავენ ძალას.

სახელოვანი წინაპრების ტრადიციებს მტკიცედ ინახავენ ჩოხატაურის მკვიდრნი. რაიონული ხელმძღვანელობა არ ზოგავს ენერჯის, რათა ამ ტრადიციებზე აღიზარდოს ახალგაზრდა თაობა, კიდევ უფრო მასობრივი გასაღები ხალხური შემოქმედება. ამ მიზართულებით ჩვენს რაიონში საიმედო კადრები გამოიზარდნენ, რომლებიც სასარგებლო მუშაობას ეწევიან რაიონის გარეთაც. მათ შორის აღსანიშნავია ხელოვნების დამასხურებელი მოღვაწე ვასილ მახარაძე, რომელიც, ათეული წლების მანძილზე პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად, დაუღალავად ეწევა გურული ხალხური მუსიკის პოპულარიზაციას, იბრძვის მისი სიწმინდისათვის. ვ. მახარაძე გარდა გურული სიმღერებისა, საუკეთესოდ ფლობს სხვა კუთხის სიმღერებსაც, აგრეთვე შალვა და ლევან მახარაძეები, ვანი გიორგაძე, აქესენტო ელიშვილი, დიმიტრი იმედაშვილი, ლავრენტი კვაჭანტირაძე, არსენ პაიქაძე და სხვ. მრავალი წლის ენერჯული მუშაობითა და საუკეთესო შესრულებით გამოირჩევიან მომდევნო თაობის წარმომადგენლები: ბესარიონ კობიძე, შალვა მეფარიშვილი, შოთა დოლიძე, დავით მათითაიშვილი, ოთარ ბერძენიშვილი და ვაჟა გოგოლაძე. ზრდება ახალი თაობაც სანდრო კალანდაძის, ციალა გოგოლაძის, გრიშა გიორგაძის, ვარდო თოდრიას და სხვათა სახით. დახელოვნდნენ ახალგაზრდა ქორეოგრაფები — იური ცხობიძე, ზურაბ ჯიბუტი, აწრო სურმანიძე.

მაღალი ორგანიზებულიობით და მრავალფეროვნებით აღინიშნა რაიონული დათვალეობა, რომელიც მიმდინარეობდა გასული წლის 2-დან 18 სექტემბრამდე. მასში მონაწილეობდა 48 კოლექტივი. 1600 მომღერალი და მოცეკვავე. თავი

სოფ. ნაბეღლავის მოხუც კოლმეურნე მომღერალთა კვარტეტი



სოფ. იანისელის მოხუც კოლმეურნე მომღერალთა კვარტეტი





ისახელეს ნაბელავის, ხევის, ქვაბლის, ვანის, ზემოსურების, ჩაისუბნის და ზოტის საკოლმურენო გუნდებმა, სარაიონო კულტურის სახლის ანსამბლმა „გურულმა შვიდაცამე“, ახალ-გაზრდულმა ანსამბლმა „შვიდაცამე“, რომელთა რეპერტუარში იყო „შვიდაცამე“, „აილა“, „ალიფაშა“, დიდი ხნიდან მივიწყებული სიმღერები „სამი მეელი“, „ჩარირამა“ და სხვ. კარგი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებელზე მოხსენმა მემსრულებლებმა იანეულიდან, ვანიდან, ნაბელავიდან, ბუკისციხიდან. ჟურის გადაწყვეტილებით (თავმჯდომარე პროფესორი გრიგოლ ჩხიკავაძე) ოცამდე კოლექტივი, ინდივიდუალური შემსრულებელი და ხელმძღვანელი დაჯილდოვებული იქნა საქართველოს კულტურის სამინისტროს სიგელებით. ქითილისში, მე-9 რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მოწვეული იქნენ ნაბელავის მოხუც მიმღერალთა კვარტეტი პარმენ, ბგეღარ, თოფოლე კოროზინაძეების და იორდანე კალანდაძის შემადგენლობით; ვანის მომღერალთა ტრიო შალვა მახარაძის, ლავრენტი კვაკატირაძის, დიმიტრი იმედაშვილის შემადგენლობით; „გურული შვიდაცამე“ ბესარიონ შობიძის, შალვა მეფარიშვილის, შოთა დოლიძის, დათე მათიათაძის, ვეჯინი ცინცაძის, შოთა გოციბერიძის და ამირან გოგოლაძის შემადგენლობით; და კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის სარაიონო ანსამბლი. ამ უკანასკნელის სამხატვრო ხელმძღვანელია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვასილ მახარაძე, ცეკვების დამმგებელი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ალექსანდრე ჯიჯიყვილი, ინსტრუმენტული ჯგუფი მოამზადა ერმალოზ სარიშვილმა, ქორეოგრაფული — ცხოძემ.

ჩოხატაურის რაიონის ეს ანსამბლი მონაწილეა რესპუბლიკური ოლიმპიადებისა 1927 წელს (ხელმძღვანელი კ. რამიშვილი), 1930 — 1931 წლებში (ხელმძღვანელი ერმალოზისხარულიძე); 1945 წლიდან სარაიონო ანსამბლს სათავეში ჩაუდგა ცნობილი გურული მომღერალი ვლადიმერ ბურძინიშვილი, რომლის ხელმძღვანელობით ანსამბლმა დიდ წარმატებებს მიაღწია 1949-51-54 წლებში გამართულ რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე.

მე-9-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის მზადებასთან დაკავშირებით, რაიონში შემოხიდილი იქნა 500-მდე ქართული ხალხური საკრავი, მათ შორის, ჩონგური და ჭიბონი. ფალაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩოხატაურის სარაიონო ანსამბლი 140 მემსრულებლით წარსდგა თბილისელთა წინაშე და მოწონება დაიმსახურა. მათ შეასრულეს სიმღერები: „სხიმგოსილი საქართველო“, „მესანეგურა“, „ეს-ლა გეგადე საყვარლო“, „შვიდაცამე“, „მერცხალო“, „კალოს ხელხავი“, ცეკვა სიმღერით „ნარინჯსა და ჩაის კვრეფი“ და ცეკვა „ლელო“, რომელშიაც ინსცენირებული იყო რესპუბლიკის 11 აჭის ჩემპიონის ჩოხატაურის ლელოზურთელეების 11 თასის შემოტანა. მსრულებულ სიმღერებსა და ცეკვებს მრავალფეროვნებას მატებდა და სასიამოვნო მოსამსენს ხდიდა ინსტრუმენტული ჯგუფი, რომელშიაც 35 კაცია გაერთიანებული და რომელშიაც ჩართულია ჩონგური, გურული ჭიანური, ჭიბონი, ჩანგი, დიალიპიტო, ფანდური, სალამური და სონარო.

\* \* \*

რაიონში ფართო გასაქანი მიეცა ბავშვთა თვითმოქმედებას. ყოველ სკოლაში შექმნილია თვითმოქმედი წრეები, რომელთა საუკეთესო წარმომადგენლებისაგან უკვე ოთხი წელია, რაც რაიონის პიონერთა სახლთან დაკომპლექტებულია მის-

წავლე-პიონერთა ანსამბლი (დირექტორი იური ცხოძე, ქორეოგრაფი ზურაბ ჯიბუტი, სამხატვრო ხელმძღვანელი სანდრო კალანდაძე). ამ ანსამბლში 160-ზე მეტი ბავშვი მონაწილეობს. ბავშვები საუკეთესოდ ფლობენ ქართულ საკრავებს, სიმღერებსა და ცეკვებს, პიონერულ ანსამბლი ხიბლავს მაყურებელს მხატვრული გაფორმებითაც. ის წარმატებით გამოვიდა ნორჩი ტალანტების რესპუბლიკურ დაგეოლოგიურებაზე გასულ წელს ქალაქ თბილისში, აგრეთვე, კონცერტებზე — მახარაძეში, ლანჩხუთში და ბახმარში. ნორჩ შემსრულებლებთან გამოირჩევიან მაინო ჩხიკავაძე, გელა და ვლადიმერ შენგელიები, შალა და თამაზ ტრაპიძეები, ლიანა გობრინიძე, გელა ცხოძე, ნაზი ცინცაძე, ნუგზარ მამალაძე, ციური ლომთაძე, ოთარ, დიმიტრი, ნოდარ, ჯაუმაზი ცინცაძეები და სხვ. ისინი ფრიადვე სწავლას კარგად უთავსებენ თვითმოქმედებას. მათი პროგრამიდან განსაკუთრებით გამოირჩევა „სიმღერა გურიაზე“.

ჩოხატაურის პიონერთა სახლს ესტუმრნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდენტის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ შევანაძე, პოეტი-აკადემიკოსები ირაკლი აბაშიძე და გიორგი ლეონიძე, მწერლები დ. შენგელაია, კ. კალაძე, ლ. გოთუა, მ. ჯაფარიძე, გ. ბერძენიშვილი, ს. ეული, ი. ლისაშვილი, ვ. ცეცხლაძე, მ. ასათიანი, ალ. შანიძე, აკადემიკოსი აკ. შანიძე, პროფესორი ს. ქლენტი, კინორეჟისორი ს. დოლიძე და სხვ.

მიმდინარე წლის თებერვალში ჩატარდა ხალხურ საკრავებზე დამკვრელთა სიმღერების, და ხალხური ცეკვების სარაიონო დათვალიერება. თავი ისახლება ხიდისთავის საშუალო სკოლის (დირექტორი ა. კალანდაძე) 40 მოსწავლე-პიონერისაგან შემდგარმა მწიგნურეთა ანსამბლმა, შუგანახლებილ საშუალო სკოლის (დირექტორი კ. ასიეშვილი) ქართული

ჩოხატაურის პიონერული ანსამბლის გურული სიმღერების ნორჩ შემსრულებელთა ტრიო





სკკ ცკ-ის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, სკკ. ცკ-ის პირველი

მდივანი ვასილ პავლეს ქე შეყვანაჲ ჩოხატაურელ ჰიონერებთან

ხალხური ცეცხების შემსრულებელთა ჯგუფმა. რაიონის ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა ჩაისუნის კოლმურწეობის ინიციატივას (კოლმურწეობის თავმჯდომარე ოქროპირ შარაშენიძე, კლუბის გამგე ლეილა პაიჭაძე) და ქართულ ხალხურ საკრავებთან ერთად ჩამოყალიბდა საესტრადო ორკესტრი. (ხელმძღვანელი გ. ისაევია), რომელიც სისტემატურად მეცადინეობს და ახლო მომავალში წარსდგება საკონცერტო პროგრამით მსმენელთა წინაშე.

\* \* \*

თეატრალური ხელოვნებისადმი სიყვარული დამასხაიათებელია ჩოხატაურელი ინტელიგენციისათვის. ჯერ კიდევ 1904 წელს სოფელ სამებაში ადგილობრივი ძალებით დაიდგა პირველი წარმოდგენა „ფული და ღირსება“, შემდგომ, დაბის ცენტრში 1907 წელს ვალერიან გუნას „და-ძმა“. სცენის პირველი მერცხლები იყვნენ: კბილის ექიმი ვალოდია ბერძენიშვილი, ნიკო და სერაპიონ ბერძენიშვილები, მარგალიტა ცინცაძე, შალვა (ცნობილი მხატვარი), ვენერა და ილია ძნელაძეები. შემდეგ დასს შეემატნენ სერგო ბოლქვაძე, მირიან ჭანიშვილი, გერგასი ყაჭეიშვილი, მირიან ჩხიკვიშვილი, გოგოლა შაქარიშვილი, აკაკი ცინცაძე, პარმეზ ჭანიშვილი, ალექსანდრე ჯაყელი, ვლადიმერ ღამბაშიძე და სხვები. დასმა ბევრი ახალი პიესა მოამზადა, მათ შორის, პ. ირეთელის „დამარცხებულინი“, ია კვალაძის „№ 21 ჯვრით“, ტ. რამიშვილის „სტუმარმასპინძლობა“, „ქრისტინე“, „სოფლის გმირები“,

„ბატონი და ყმა“ და სხვ. ჩოხატაურელმა თეატრის მოყვარულებმა საიუბილეო საღამო მოუწყვეს ქართული სცენის ბუმბერაზს ლადო მესხიშვილს 1913 წელს. პატარა სცენაზე დიდმა ხელოვანმა ჩოხატაურელ პარტიზორებთან ერთად ითამაშა „კრეზინსკის ქორწინებაში“ რასპლუევის როლი. ჩოხატაურის სახალხო თეატრთან არის დაკავშირებული ჩვენი რესპუბლიკის ბევრი ცნობილი მსახიობის სახელი, მათ შორის, გრიგოლ კალანდაძის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ლამარა სურმანიძის, მსახიობისა და რეჟისორის სანდრო რამიშვილისა. აქ გაიზარდა და დავაჯკვდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი აკაკი მგელაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნაზია კუჭუმაძე. ჩოხატაურის თეატრს ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, რეჟისორი მიხეილ ჯალაღანია, ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჩაუდგა სათავეში თეატრალურ კოლექტივს და დაუღალავად ემსახურება შრომულ მოსახლეობას. გარკვეული დღეწლი მიუძღვით ამ მიმართულებით მსახიობსა და რეჟისორს თეოდ წეროძეს და ნორა ელიაძეს, რომელთა ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით თეატრმა მრავალი სპექტაკლი დადგა.

უთუოდ დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ნაბიჯი დადგეს რეჟისორმა თ. წეროძემ და რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ვიქტორ ნინიძემ. პირველმა სამეხის კულტურის სახლში მოამზადა აღ. აფხაიძის კომედია „სახელგატყვილ-

ნი“, ხოლო მეორემ — რაიონის სახალხო თეატრში ტ. რამი-  
შვილის „სტუმარმასპინძლობა“. ორივე სპექტაკლმა წარმატე-  
ბა მოიპოვა და ისინი IX რესპ. ოლიმპიადის დღეებში გულ-  
თბილად მიიღო თბილისელმა მაყურებელმა. ჟიურიმ სამების  
კულტურის სახლის დრამატული კოლექტივი და სარაიონო  
სახალხო თეატრი პირველი და მეორე ხარისხის დიპლომებით  
დააჯილდოვა. სამებისელი კოლმეურენ მსახიობები აღაფრთო-  
ვანა ამ წარმატებამ და თებერვალს ისინი ახალი დადგმით —  
„სიყვარულის მსხვერპლი“ წარსდგნენ რაიონის მაყურებლე-  
ბის წინაშე. სახალხო თეატრმა კი საუკეთესოდ განაზოციელა  
ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. ხოლო ამჟა-  
მად ჩოხატაურის სახალხო თეატრი აწაადებს დრამატურგ მი-  
ხეილ ჯაფარიძის პიესას სახალხო გმირზე — თურქ დამპყრობ-  
თა წინააღმდეგ თავდადებულ მებრძოლზე ბ. მამალაძეზე.



სცენა სპექტაკლიდან „სტუმარ-მასპინძლობა“

ვასილ პავლეს ძე მტავაძემ პიონერული ანსამბლის მონაწილეებთან



# ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საკაბინო სიგელით დაჯილდოების შესახებ

### კულტურისა და ხელოვნების მუშაკები:

1. აბაშიძე გრიგოლ გიორგის ძე — ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი
2. ადამია ალიო კონსტანტინეს ძე — გამოცემლობა „ხელოვნების“ დირექტორი
3. ამასუკელი ელგუჯა დავითის ძე — მოქანდაკე
4. ანანიასიშვილი ნიკოლოზ იოსების ძე — საქართველოს ხელოვნების მუზეუმის სივვის გამგე
5. ანთაძე იოსებ (დოდო) კონსტანტინეს ძე — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი
6. ასათიანი თეიმურაზ გიორგის ძე — სუღლტორი
7. ასტაშიშვილი რევაზ ანდრეას ძე — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ხოლმეტი
8. ახობაძე ვლადიმერ ბესარიონის ძე — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტის მოვალეობის შემსრულებელი
9. ანაძე ალექსანდრე მათეს ძე — მხატვარი
10. ბახილაძე კალისტრატე გიორგის ძე — თბილისის № 5 სტამბის ტექნიკური ხელმძღვანელი
11. ბეგალიშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე — კინოთეატრ „ოქტომბრის“ დირექტორი
12. ბელიაშვილი აკაკი იონას ძე — მწერალი
13. ბერიძე ირაკლი გიორგის ძე — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტი
14. ბერულავა გუია ქეთარის ასული — ვ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური სახელმწიფო ბიბლიოთეკის მეთვალყურე
15. ბეჭვაია კარლო კირილეს ძე — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს განყოფილების უფროსი
16. ბოჭუყაძე ნიკოლოზ ვარლამის ძე — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტის მოვალეობის შემსრულებელი
17. ბურდული გიორგი დიმიტრის ძე — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სტამბის მკინძავი
18. ბურდული ნიკოლოზ გიორგის ძე — საქართველოს სიმფონიური ორკესტრის მსახიობი.

19. ბურთიკაშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე — თეატრმცოდნე
20. გაბედავა გრიგოლ გიორგის ძე — თბილისის სახელმწიფო ცირკის მსახიობი
21. გაბისკირია ამირან მიხეილის ძე — გამოცემლობა „საბჭოთა მწერლის“ დირექტორი
22. გაბაშვილი ზაქარია გრიგოლის ძე — სტალინის სტამბის ასოთმწიფი
23. გამრეკელი ბარბარე ალექსანდრეს ასული — თბილისის ვ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუზეუმის გამგე
24. გამსახურდია აქვსენტი ალექსანდრეს ძე — თბილისის მოზარდ მასურებელთა ჭართული თეატრის მთავარი რეჟისორი
25. განუგრაძე ავთანდილ ევგენის ძე — საქართველოს სახელმწიფო კაპელის მსახიობი
26. გაჩეჩილაძე ვივი შავას ძე — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის რეჟისორი
27. გეღეძე თამარ ნიკოლოზის ასული — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტის მოვალეობის შემსრულებელი
28. გელოვანი ეფთე გიორგის ასული — თბილისის სახელმწიფო თეატრის მსახიობი
29. გეგეძე მამადი სერგო ილიას ძე — რუსთაველის სახელობის კინოთეატრის დირექტორი
30. გოგეშვილი ვახტანგ ირაკლის ძე — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორის მოადგილე
31. გოგიანიშვილი ნიკოლოზ ესტატეს ძე — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ფოტოცინეოგრაფიის ცინეოგრაფი
32. გოგიძე შალვა ივანეს ძე — ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფოლიალის ლექტორი
33. გოლოშვილი ილია მარგარიტას კონსტანტინეს ასული — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ინსპექტორი

34. გოგოლაძე ვასილ მიხეილის ძე — საქართველოს წიგნის პალატის დირექტორი
35. გოლდფარბი ტატაიანა ოსიპის ასული — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტის მოვალეობის შემსრულებელი
36. გორდელი ოთარ მიხეილის ძე — კომპოზიტორი
37. გოცირიძე შალვა დავითის ძე — თელავის ს. ორჯონიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი
38. გრატიაშვილი ირაკლი დავითის ძე — სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კულტურის მუშაკი პროფკავშირის კოლექტივის სახლის თეატრალური კოლექტივის ხელმძღვანელი
39. გრიგორაშვილი იოსებ იოსების ძე — საქართველოს სიმფონიისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლის დირექტორი
40. გუნცაძე პეტრე ქაიხოსროს ძე — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ფილმების დუბლირების დირექტორი
41. გურბანიძე ნოდარ სარდინის ძე — ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციის განყოფილების გამგე
42. გურგენიძე ვახტანგ მოსეს ძე — თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის დირექტორი
43. დათეშვილი ასია ივანეს ასული — ჭიათურის ს. წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი
44. დალაძე შვილი კონსტანტინე ზაქარას ძე — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს № 1 სტამბის მკინძავი
45. დარბუაშვილი ივანე სერგის ძე — სტალინის ვ. სთავადაშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი
46. დეისაძე ნოდარ სერგის ძე — თელავის ს. ორჯონიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის რეჟისორი და მსახიობი
47. დემიანენაძე ივანე ევდოკიმეს ძე — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ფოტოცინეოგრაფიის ფოტოგრაფი
48. დვალისვილი აკაკი არჩი-



ლის ძე — თბილისის ქ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი

49. დოკვაძე აკაკი ერასტის ძე — საქალაქო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს მხატვრული თვითმკმედეშის მონაწილე

50. დოხაძე გიორგი არჩილის ძე — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს № 2 სტამბის დირექტორი

51. დოევაშვილი თინა გიორგის ასული — მწერალი

52. დოღონაძე ლამარა დავითის ასული — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თეატრების განყოფილების უფროსი რედაქტორი

53. დოღონაძე შალვა სიმონის ძე — ქუთაისის სტამბის სამაქროს ისტატ

54. დოღუშოვი გიორგი ვასილის ძე — სტალინის სახმატროს სასწავლებლის პედაგოგი

55. დუგლაძე ვუენუა იოსების ასული — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი

56. ვაასერმანი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე — თბილისის მოზარდ მკურნებელთა რუსული თეატრის დირექტორი

57. ვაშაძე მიხეილ სიმონის ძე — ჭიათურის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი

58. ვახტანგოვი რობერტ ტიგრანის ძე — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს უფროსი ინსპექტორი

59. ვეკუა სერგაიო გიორგის ასული — თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის პედაგოგი

60. ვიშკარიანი პლატონ ივანეს ძე — ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი

61. ვირსალაძე ველის კონსტანტინეს ასული — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტი, მუსიკოს-შემსრულებელთა საკავშირო კონსერვის ლურჯოტი

62. ვისოცკი ფელიქს მიხეილის ძე — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ოპერატორი

63. ვაქარია გრიგოლ იონას ძე — ქ. მარტის სახელობის რესპუბლიკური სახელმწიფო ბიბლიოთეკის განყოფილების გამგე

64. ზღაპტიანი მარკ ივრავლის ძე — საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ დირექტორი

65. ზღაპტოლინსკაია მარიამ ნიკოლოზის ასული — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის განყოფილების გამგე

66. თაბუკაშვილი მერაბ დავითის ძე — თბილისის ქ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი

67. თაგვაძე თამარ გიორგის ასული — მხატვარი-დეკორატორი

68. თაგართქილაძე იული მიხეილის ასული — ამირტავკასიის რეპიზის მხატვრული აღზრდის სასლოთან არსებული სიმფონიური ორკესტრის დირექტორი

69. თარხან-მოურავი რევაზ გიორგის ძე — მხატვარი

70. თაქთაქიშვილი შალვა მიხეილის ძე — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი

71. თაყაიშვილი დიმიტრი გიორგის ძე — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მხატვარი

72. თუხარელი არჩილ დავითის ძე — თბილისის სამხატვრო აკადემიის დეკანი

73. იაშვილი იოსებ როსტომის ძე — გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ საწარმოო განყოფილების გამგე

74. იაშვილი სოლომონ გიორგის ძე — ლოტყის

75. ივანიცკაია-ინგილო მარგარიტა აპოლონის ასული — თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის ყოფილი მსახიობი

76. იოსელიანი დარეჯან მელიტანის ასული — თბილისის კულტურა-განმანათლებლო სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგე

77. ისახაძე ლიანა ალექსანდრეს ასული — ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლის მოსწავლე, მუსიკოს-შემსრულებელთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი

78. იტირაიშვილი მარიამ ილიას ასული — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი

79. კალანდარიშვილი აბესალომ იაკინთეს ძე — საქართველოს კულტურის სამინისტროს სამმართველოს უფროსი

80. კალანდაძე ედმუნდ ლაფროსის ძე — მხატვარი

81. კალაშოვიშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს უფროსი ინსპექტორი

82. კანდელაკი ირაკლი ისაკის ძე — თბილისის სამეცნიერო-პოპულარული და ქორნიკალურ-დოკუმენტური ფილმების სტუდიის რეჟისორი

83. კანდელაკი პავლე მამანაკის ძე — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სამმართველოს უფროსი

84. კაპანაძე ქეთევან ივანეს ასული — საქალაქო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს მხატვრული თვითმკმედეშის მონაწილე

85. კეშელავა პლატონ გრიგოლის ძე — ვარლის ო. ჭავჭავაძის სახელმწიფო დირექტორი

86. კეჩიკელი პანო ვასილის

ძე — ჭიათურის სტამბის მმეკდაგი

87. კეკელიძე ბიძინა ალექსანდრეს ძე — კომპოზიტორი

88. კეკელიძე ცილა გრიგოლის ასული — მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტი, მუსიკოს-შემსრულებელთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი

89. კეკელიძე მიხეილ ალექსანდრეს ძე — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი

90. კეკელიძე ალექსანდრე ვეკითმეს ძე — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგე

91. კეკელიძე ვახტანგ დავითის ძე — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთავარი ინჟინერი

92. კეკელიძე ვლადიმერ ნიკოლოზის ძე — საქართველოს სახელმწიფო კაპელის მსახიობი

93. კეკელიძე გიორგი ბართლომეს ძე — თბილისის ქ. არაგვის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი

94. კილასონიძე შალვა მიხეილის ძე — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს განყოფილების უფროსი

95. კლდიაშვილი სერგო დავითის ძე — მწერალი

96. კობახიძე ირაკლი ვასილის ძე — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორის მოადგილე

97. კობახიძე პაატა კალისტრატეს ძე — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სამმართველოს უფროსი

98. კოვალოვი ალექსი მათეს ძე — საკავშირო რადიოს საოპერა-სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი

99. კოპაძე გიორგი მიხეილის ძე — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარი ინსპექტორი

100. კორსუნი მიტროფანე პროკოვის ძე — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტი

101. კოჩიევი ვასილ ნიკოლოზის ძე — სკულპტორი

102. კუპრავა ვახტანგ დავითის ძე — თბილისის სამეცნიერო-პოპულარული და ქორნიკალურ-დოკუმენტური ფილმების სტუდიის დირექტორი

103. ლაზრიევი ლაზარე გრიგოლის ძე — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ინსპექტორი

104. ლეღანიძე მურმან სილოვანის ძე — მწერალი

105. ლევკვა ზურაბ პლატონის ძე — მხატვარი

106. ლორთქიფანიძე კონსტანტინე ალექსანდრეს ძე — ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ რედაქტორი

107. მალაზონია ნოდარ ვასილის ძე — მხატვარი

108. შამიანი იოსებ ასატურის ძე — თბილისის ს. შაუმიანის სახელობის

სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის დირექტორი

104. მ ა ყ ა ვ ე ლ ი შ ა ლ ვ ა კონსტანტინეს ძე — მხატვარი

110. მ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი თამარ პეტრის ასული — გ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური სახელმწიფო ბიბლიოთეკის მთავარი პიბლიოთეკაი

111. მ ე ს ხ ი თამაზ ზეინამინის ძე — ქუთაისის ლ. მუსხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის რეჟისორი

112. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი მარგარიტა სერგოს ასული — მხატვარი

113. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი შოთა პავლეს ძე — მხატვარი

114. მ ი მ ი ნ ო შ ვ ი ლ ი ბაბილიან ვლადიმერის ასული — თბილისის ზ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მხახობი

115. მ ი რ ც ე უ ლ ვ ა ვ ა ალიო ანდრეას ძე — მწერალი

116. მ ე ჯ რ ნ ა ლ ი ანატოლ ანდრეას ძე — მხატვარი აკადემიის პრორექტორი

117. მ ო ლ ა რ ი შ ვ ი ლ ი ალექსანდრე იასონის ძე — მახარაძის სტამბის დირექტორი

118. მ უ რ ლ უ ლ ი ა პოლიკარპე ლევანის ძე — თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი

119. მ ჭ ე ლ დ ი ძ ე დიმიტრი სიმონის ძე — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორი

120. მ ჭ ე ლ დ ი შ ვ ი ლ ი მარიამ ალექსანდრეს ასული — მეჭდვითი სიტყვის კომპინატის მთავარი ბუალეტური

121. ნ ა ვ ო რ ნ ა ნ იკოლოზ პავლეს ძე — თბილისის სამეცნიერო-პოპულარული და ქირინკალურ-დიოკუმენტური ფილმების სტუდიის ოპერატორი

122. ნ ა დ ი მ ა შ ვ ი ლ ი სერგი ილიას ძე — გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი

123. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი გიორგი კონსტანტინეს ძე — „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორი

124. ნ ო დ ი ა ვ ა ვ ა ასლანის ძე — პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს კულტურის სახლის დირექტორი და მხატვრული ხელმძღვანელი

125. ო რ ლ ო ნ ი კ ი ძ ე გივი შიოს ძე — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის უფროსი მასწავლებელი

126. ო ქ რ ო ზ ო რ ი ძ ე გარი პავლეს ძე — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი

127. ო ჩ ი ნ ა უ რ ი გიორგი ალექსის ძე — სტუბატორი

128. პ ა ი ჯ ა ძ ე ნიკოლოზ ვეტიხის ძე — გორის სტამბის მეჭდვითი

129. პ ა პ ა ვ ა ძ ე დავით გრიგოლის ძე — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო

ფო თეატრის სცენის მუშაქანე

130. ჟ ე ლ ტ უ ხ ი ნ ი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე — თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუსიკალური ნაწილის გამგე

131. ჟ ო რ დ ა ნ ა გიორგი გრიგოლის ძე — თბილისის თოჯინების ქართული თეატრის დირექტორი

132. ჟ ე ნ ტ ი ბ ი ანასიონ (ბესო) დავითის ძე — საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის მდივანი

133. რ ო ყ ვ ა ვ რ ა ხოს ასული — ფოთის სტამბის ასოთამაშე

134. რ უ ბ ი ნ ი აბრამ ისაკის ძე — თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი

135. რ უ ხ ა ძ ე ქსენია ალექსანდრეს ასული — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მეჭდვითი სიტყვის კომპინატის ლინოტიპისტი

136. ს ა ვ ი ც ი ედუარდ ილიას ძე — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს განყოფილების უფროსი

137. ს ა მ ს ო ნ ა ძ ე თენგიზ მიხეილის ძე — მხატვარი

138. ს ე ფ ე ს კ ე ვ რ ა ძ ე გუგული ვარლამის ძე — ჭიათურის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი

139. ს ა ლ ი შ ვ ი ლ ი ნათელა ვლადიმერის ასული — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი

140. ს ო ხ ა ძ ე კონსტანტინე ალექსანდრეს ძე — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სამმართველოს უფროსი

141. ს ტ ე ფ ა ნ ა ნ ი ასია პავლეს ასული — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ყოფილი სოლისტი

142. ს უ რ მ ა ვ ა კონსტანტინე ვლადიმერის ძე — თბილისის მოზარდ მკურნებელთა ქართული თეატრის რეჟისორი

143. ს უ კ ი ა ს ო ვ ი მიხეილ ბაგრატის ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის მხატვრული აღზრდის სახლთან არსებული აღმოსავლურ სკარავა ანსამბლის ხელმძღვანელი

144. ს ნ ი რ ტ ლ ა ძ ე ივანე მუხარინის ძე — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს განყოფილების უფროსი

145. ტ ა ლ ი კ ა ძ ე გივი გიორგის ძე — თბილისის სანკულტურის თეატრის მხახობი

146. ტ ა ნ ა ძ ე დორა ვლადიმერის ასული — თბილისის სახელმწიფო ცირკის მხახობი

147. ტ ე ტ ე ზ ნ ა შ ვ ი ლ ი შალვა სიმონის ძე — თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის მხახობი

148. ტ უ ს კ ა ძ ე ივანე ნიკოლოზის ძე — საქართველოს სსრ კულტურის სა-

მინისტროს სამმართველოს უფროსი

მოადგილე

149. ტ უ ს კ ი ა იონა ირაკლის ძე — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

150. ტ უ ლ უ შ ი იოსებ ნესტორის ძე — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საცარტადო ორგანიზაციის ხელმძღვანელი

151. უ შ ი კ ი ა ნ ა ჰაიკ არაპიის ძე — თბილისის ზ. შუშუბანის სახელობის სოხმური დრამის სახელმწიფო თეატრის რეჟისორი

152. უ რ უ შ ა ძ ე ივანე აპოლონის ძე — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტი

153. უ შ ვ ე რ ი ძ ე დავით ანტონის ძე — ქორეოგრაფი

154. ფ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი ლევან პეტრეს ძე — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის მოვალეობის შემსრულებელი

155. ფ ი რ ც ხ ა ლ ა ვ ა გიორგი იასონის ძე — მხატვარი

156. ფ ე რ ი ძ ე აფანდილ კონსტანტინეს ძე — თბილისის სახელმწიფო ცირკის მხახობი

157. ფ ე რ ა ძ ე თამაზ ალექსანდრეს ძე — თბილისის სანკულტურის თეატრის მხახობი

158. ფ ე რ ნ ა ნ დ ე ს ი ალვარეს ლუისი — თბილისის სართავ-სატრიოკოტე კომპინატის კლუბის მუშაკი

159. ფ ო ხ ა ძ ე გრიგოლ გიორგის ძე — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მოადგილე

160. ქ ა დ ე შ ვ ი ლ ი ნიკოლოზ ივანეს ძე — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს განყოფილების უფროსი

161. ქ ა თ ა მ ა ძ ე თორია არქიპოს ძე — სახალხო მოქმედი

162. ქ ა რ თ ე ლ ი შ ვ ი ლ ი გაიოზ რობერტის ძე — ამიერკავკასიის რკინიგზულთა მხატვრული აღზრდის სახლის სახალხო თეატრის მთავარი რეჟისორი

163. ქ ა რ უ შ ი ძ ე თინა შალვაას ასული — საქართველოს ხელოვნების მუზეუმის განყოფილების გამგე

164. ქ ო რ ი ძ ე გიორგი პოპატორის ძე — თბილისის შ. რუსაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარი ადმინისტრატორი

165. ქ უ რ დ ი ა ნ ი შალვა ვლადიმერის ძე — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინოსურათების დირექტორი

166. ლ ვ ი ნ ა შ ვ ი ლ ი კონსტანტინე პიბერდონის ძე — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ადმინისტრატორი

167. ლ ვ ი ნ ა შ ვ ი ლ ი თენგიზ კონსტანტინეს ძე — სკულპტორი

168. ლ ო ლ ო მ ე რ ი ძ ე ბიძინა ვლადიმერის ძე — ლობტარი

169. ყუბანეიშვილი თეიმურაზ ლუარსაბის ძე — მხატვარი

170. ყურაშვილი სიმონ დიმიტრის ძე — ფოთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი

171. ყუფარაძე ეთერ რაფაელის ასული — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ინსპექტორი

172. შანიძე სერგო დომენტის ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის სიმფონიური ორკესტრის კონცერტმასტერი

173. შანშიაშვილი სანდრო ილიას ძე — მწერალი

174. შანშიანიძე ვლადიმერ ბესარიონის ძე — ქ. ბათუმის რევოლუციის მუზეუმის დირექტორი

175. შატბერაშვილი ლეო ივანეს ძე — ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი

176. შაფათავა ელენე ივანეს ასული — თეატრმცოდნე

177. შიოშვილი გიორგი გიორგის ძე — თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სიმფონიისა და ცეკვის ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელი

178. შენგელაია დემნა კონსტანტინეს ძე — მწერალი

179. შერაზაძე ივლი იასონილიას ძე — სტალინის ვ. ხუთავურების სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დეორაციული სამსახურის გამგე

180. ჩივაძე კონსტანტინე ისაკის ძე — საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ი. ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლის კოორდირაფი

181. ჩიქოვანი ნიკოლოზ გრიგორის ძე — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს განყოფილების უფროსი

182. ჩხლაძე გივი დავითის ძე — ბაკრკოშკავშირის მხატვრული თეატრ-მოქმედების კოლექტივის კოორდირაფი

183. ჩიქვაძე ოთარ ლონგინოზის ძე — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის უფროსი მასწავლებელი

184. ჩხიკვაძე გრიგოლ ზაქარაის ძე — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი

185. ცეცხლაძე საბონ ივანეს ძე — ბათუმის სტამბის მმეჭდავი

186. ცხვედიანი თამარ ნიკოლოზის ასული — ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის უფროსი მენეჯერი მუშაკი

187. ძაშაშვილი ნინო გარეგინის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის კონცერტმასტერი

188. ძიძიგური აკაკი ვარლამის ძე — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე

189. ძიძიშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტის შივაფილის შემსრულებელი

190. ძეგლაძე დარეჯან ვლადიმერის ასული — თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მსახიობი

191. წიგვივაძე ივანე პეტრეს ძე — მთავარპოლიგრაფიამოცემლობის განყოფილების უფროსი

192. წეროძე თედორე მელიტონის ძე — რეჟისორი

193. ჭეიშვილი ილარიონ ნიკოლოზის ძე — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ხელისძი

194. ჭელიძე ვახტანგ ვასილის ძე — თურნალ „ციცქრის“ რედაქტორი

195. ჭიბურელი ვლადიმერ ივანეს ძე — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე

196. ხიტვაიკი ლევან იოსების ძე — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორი

197. ხოფერიკა მარიამ კონსტანტინეს ასული — თბილისის ვ. აბაშიძის სახელმწიფო მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის მსახიობი

198. ხუჭუა პავლე ვასილის ძე — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის მოვალეობის შემსრულებელი

199. ჯავახიშვილი ვაჟიშ ალექსანდრეს ძე — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო განყოფილების გამგე

200. ჯალაშვილი ელისაბედ ალექსანდრეს ასული — თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის ზოკარნახე

201. ჯალიაშვილი შერაბ დიმიტრის ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის ტელერეჟისორი

202. ჯანდიერი ნინო ივანეს ასული — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სასწავლო ნაწილის მდივანი

203. ჯანელიძე თენგივ იონას ძე — თურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ განყოფილების გამგე

204. ჯიოევი ელიოზ თადეოზის ძე — თბილისის სამეცნიერო-პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის დირექტორის მოადგილე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ა. ძიქვანიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ხალვაშვილი**

1961 წლის 10 მაისი.

ქ. თბილისი.

კომპოზიტორები: არჩილ კერესელიძე, არჩილ ჩიმაჭიკაძე, რევაზ ლალიძე





ქართველი თეატრის მხატვრები მარცხნიდან მარჯვნივ: დ. შუ-  
ვარდნაძე, ს. ვირსალაძე, დ. კაკაბაძე, ირ. გამრეკელი, ლ. გუდია-  
შვილი, ს. ქობულაძე.





მარცხნიდან მარჯვნივ: პ. ოცხელი, თ. აბაქელია, ი. შარღმანი,  
ელ. აბულდიანი, ვ. სიღამონ-ერისთავი, ივ. ასყურაუა, კ. კუკულაძე





საქართველო  
საბავშვო

პარცხნიდან მარჯვნივ მხატვრები —  
ირ. შტენბერგი, ფ. ლაპიაშვილი, დ. თავაძე,  
ო. ლითაიშვილი, ი. სუმბათაშვილი.



დრამატურგი ე. პატარია

რეჟ. ნ. გომიშვილი

კომპ. შ. მილორავა





აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მსახიობები ქ. კაიროს ოპერის თეატრის შენობის წინ.

## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო დ ა ნ ა რ ა ბ ე თ უ ი

(აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ბასტროლიაზე)

### ვახტანგ ახვლედიანი

აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი

1960 წელი მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ცხოვრებაში, — იგი პირველად გაიგზავნა საზღვარგარეთ საგასტროლოდ. ეს არ იყო ჩვეულებრივი საგასტროლო ტურნე, არც იმპრესარიოს მიერ შემოთავაზებული მიწვევა, ეს იყო ვიზიტი კულტურული ურთიერთობის განმტკიცების მისიით.

რთული ამოცანის წინაშე იდგა ანსამბლი. საბჭოთა საჭრთველოდან შორეული აფრიკის ქვეყნებში საგასტროლოდ იგზავნებოდა ანსამბლი, რომელსაც ქართველი ერის უმდიდრესი და ულამაზესი კულტურა უნდა გაეცნო უცხოელებსათვის და ამ გზით უფრო მეტად გაეგმტკიცებინა მათთან ჩვენი ქვეყნის კულტურული ურთიერთობა და მეგობრობა, გვემბდა მიზანი მიაღწევდით, რადგან არაფერი ისე არ აახლებს ხალხებს, როგორც ხელოვნება. მისი ენა ხომ ცველასათვის გასაგებია, ინტერნაციონალურია. და ანსამბლი შეუდგა სამუზადისს.

ანსამბლი დაკომპლექტდა საუკეთესო შემსრულებლებით. გადახალისდა რეპერტუარი, შეიმოსა გემოვნებით შეკერილი ახალი ტანსაცმისით, რომლის ესკიზები ეკუთვნით თბილისელ მხატვრებს ძმებს ბერძენიშვილებს. გუნდმა მოამზადა და აღადგინა ბევრი ქართული სიმღერა. დაძაბული მუშაობით ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა ახმ. მ. ჩხიკვივილმა მიაღწია ვოკალური ტექნიკის დახვეწას. საგრძნობლად ამაღლდა მხატვრული შესრულების დონე. გუნდი გახდა უფრო დინამიური. სიმღერების წინანდელი მოუთოკავი ემოციურობა შინაარსის გააზრებული გადმოცემით შეიცვალა. საკმაოდ ამაღლდა საგუნდო კულტურის საშემსრულებლო ჩვევები, და ახლა გუნდის მღერა უშუალო გულწრფელობით ხასიათდება. გამომსახველი ნიუანსებით ასრულებს გუნდი ხალხურ, აგრეთვე, ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს და სხვ.

დაიხვეწა ცეკვებიც. ქორეოგრაფ ახმ. ხაბაძის მიერ და-



ალბოს გუბერნატორი რაჰაფაჟ ზეიდი (მარცხნივ), აჰარის ასსრ კულტურის მინისტრი ვ. ახლადიანი (შუაში)

გმულ ცვაკვებს ახლავს სპეციფიკური ლოკალური იერი. მან სრულიად უკუაგდო გარეგნული ეფექტები და ქორეოგრაფიული ნახატებით ქართველი ხალხის დამახასიათებელი სცენები შექმნა. ერთი სიტყვით, დაიცვა კოლორიტი და ანსამბლს შეუნარჩუნა ეთნოგრაფიული სახეც.

10 ნოემბერს, გამგზავრების დღეს ბათუმის ვაგზალზე უამრავი ხალხი შეიკრიბა. უსურვა ანსამბლს წარმატება და კეთილი მგზავრობა.

ჩვენი თვითმგრძნავი სფინქსებისა და პირამიდების ქვეყნის—ეგვიპტის დედაქალაქ კაირს აეროდრომზე დაეშვა. აეროდრომზე გულბილი შეხვედრა მოგვიწყვეს. საბჭოთა მსახიობებს ცოცხალი ყვავილები მიართვეს. შესახვედრად მოვიდნენ არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ეგვიპტის რაიონის კულტურისა და ნაციონალური ორიენტაციის სამი-

ქრნალ-ვაზეთები, რომლებიც გამოეხმაურნენ არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკაში აჰარის ანსამბლს გამოსვლებს შესახებ



ნისტროს, პრესისა და რადიოს მუშაკები, საბჭოთა კავშირის საელჩოს წარმომადგენლები.

პირველი კონცერტი დანიშნული იყო 17 ნოემბერს ღერძა ქალაქის თეატრ „ეზბეკიაში“. ამ კონცერტს უნდა გადაეწყვიტა ანსამბლის მომავალი წარმატებები. ჩვენ ვდღვლავთ, რადგან ძნელი იყო წინასწარ იმის გარკვევა, თუ როგორ მიგვიღებდა მაყურებელი, თანაც რეკლამა კონცერტების შესახებ არც თუ ისე კარგი იყო. მხოლოდ 16 ნოემბრის რამდენიმე ინგლისური და არაბული გაზეთი იუწყებოდა: ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი 65 კაცის შემადგენლობით 17-დან 27 ნოემბრამდე ატარებს კონცერტებს. მიუხედავად ამისა, პირველმავე კონცერტმა უამრავი ხალხი მოიზიდა. დარბაზი გადატვირთული იყო მაყურებლებით. დაესწრნენ ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწენი, კულტურისა და სხვა სამინისტროების მუშაკები, დიპლომატიური კორპუსისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

მაყურებელმა გულთბილად მიიღო კომპოზიტორ მილორაგას „მისალმება“ (ტექსტი შესრულდა ჯერ ქართულ, შემდეგ არაბულ ენაზე). დიდი წარმატება ხვდა ცეკვა „ქაერთულს“, მის შემსრულებლებს ლ. ურთმელიძესა და ნ. დაკაძეს, „ფარეიკობას“, რამდენიმე სიმღერა და ცეკვა („განდავანა“, „ლაზური“, „შეჯიბრი“, „საქართველო“, „სამშობლო“, „ჩემი ღამაში ქვეყანა“ და „დელიიდლა“) მაყურებელთა დატყნებული თხოვნით, გამეორებული იქნა. დარბაზმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვა შემსრულებლები ი. კალანდაძე, ი. ზაქაძე, ლ. ვერულაშვილი, თ. მიქელაძე, თ. ბეჟანიძე, ფ. კობლაძე, ვ. ინგოროყვა, ხ. ჭანტურიშვილი, დ. სარდენაშვილი, ი. ხალვაში და სხვ.

კონცერტის დამთავრების შემდეგ დიდხანს არ დამცხარალა ტაშის გრილი დარბაზში. სცენაზე ავიდნენ კულტურის და ნაციონალური ორიენტაციის მინისტრის მოადგილე აბდელ მონემ ელ სავი, საბჭოთა კავშირის ელჩი ვ. ი. ეროფევი, პირველი მრჩეველი სმეტანიძე და სხვ. მათ გულთბილი მადლობა გადაუხადეს ანსამბლს და უსურვეს შემდგომი წარმატებები.

ამრიგად, პირველი კონცერტი მაღალმატერულ დონეზე ჩატარდა და მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

კაიროში ანსამბლმა სულ 17 დღე დაჰყო და გამართა, ნაცვლად 10-სა, 17 საღამო-კონცერტი. ანსამბლი მთელი პროგრამით გამოვიდა ტელეეკრანში და ყოველდღე ტელეგადაცემებით უჩვენებდნენ ანსამბლის გამოსვლებს.

ქალაქ პორტსაიდის გუბერნატორმა, რომელიც ჩვენს კონცერტს ესწრებოდა კაიროში, ანსამბლი თავის ქალაქში მიიწვია. იქ გამართულ ორ კონცერტს დიდძალი ხალხი დაესწრო.

ეგვიპტეში ჩატარებული 19 კონცერტი 30 ათასზე მეტმა მაყურებელმა მოისმინა. არაბ მაყურებელს მოსწონდა შთამაგონებელი, ღრმად ეროვნული ქართული მელიოდები, მომხიბველელი სიფაქიზე და გრაციოზულობა, ტემპერაქმენტი ქართული ცეკვებისა.

ეგვიპტის შემდეგ ანსამბლი გაემ-

გზავრა სირიაში. 5 დეკემბერს დილის 10 საათზე დამასკოს აეროდრომზე შეგვხვდნენ არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონის კულტურის და ნაციონალური ორიენტაციის მინისტრი არის საბიტი თავისი მუღლით, სამინისტროს პასუხისმგებელი მუჰაჰედი და საბჭოთა კავშირის საკონსულოს თანამშრომლები. არის საბიტის მეუღლემ ანსამბლის მონაწილე ქალებს მორთვა ცოცხალი ყვავილები.

ანსამბლმა პირველი კონცერტი გამართა დამასკოს ერთ-ერთ საუკეთესო კინოთეატრ „ალჰამარაში“. ხალხით გაჭედილ დარბაზში იყვნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონის მთავრობის წევრები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, დამასკოს საზოგადოების წარმომადგენლები.

კონცერტის დაწყებამდე ქართველ მსახიობებს მიესალმა ხელოვნების დეპარტამენტის დირექტორი ნაჯად ჰასანი. ხელგება, რომელიც ასახავს ხალხის სულს, — თქვა მან, — გამსურება ხალხების დაახლოებას და მათი მეგობრობის გამტკიცებას. დღეს ჩვენ სინარულით მივესალმებით დამასკოში აჭარის ხალხურ ანსამბლს, რომელიც ჩამოვიდა ჩვენთან მეგობრობისა და ძმობის წარმოადგენლად. იმედი მაქვს, — თქვა დასასრულ ჰასანმა, — რომ შორს არ არის ის დღე, როცა ჩვენი მსახიობებიც წავლენ საბჭოთა კავშირში და გადასცემენ საბჭოთა ხალხს არაბი ხალხის მეგობრობისა და ძმობის სიტყვებს.

კონცერტის დამთავრებისას მსახიობებს ყვავილებს თაიგულები მიაბრუნეს კულტურის სამინისტრომ, სირიის კაზმულ ხელოვნებათა საზოგადოებამ, სირიის რაიონის კულტურის მოღვაწეებმა.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა აჭარულ მსახიობთა გამოსათხვარ კონცერტს დამასკოში.

ალექოში გამართულ კონცერტს დაესწრნენ ალეკოს გუბერნატორი რაფაათ ზრეიკი, ალეკოს სამხედრო ოლქის სარდალი პოლკოვნიკი ასაბაი, მაღალი თანამდებობის მოხელენი, კულტურის, ხელოვნების მოღვაწენი, ჟურნალისტები. კონცერტმა აქაც დიდი წარმატებით ჩაიარა. მსახიობებმა ყვავილთა მრავალი თაიგული მიიღეს.

დამასკოსა და ალექოში ანსამბლმა გამართა 8 კონცერტი, აქედან ერთი არმიის ნაწილისათვის, მთავარსარდლის თხოვნით.

13 დეკემბერს ანსამბლმა ქალაქ ალექოში გამართული კონცერტით დაამთავრა გასტროლები არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკაში და 14 დეკემბერს გაემგზავრა სუდანს.

18 დეკემბერს ქ. ხართუმის ნაციონალურ თეატრში გამართულ კონცერტს დაესწრნენ სუდანის მთავრობის ყველა წევრი და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. როგორც პირველ, ასევე დანარჩენ კონცერტებს დიდი წარმატება ხვდათ. სუდანელმა ხალხმა აღფრთოვანებით მიიღო ქართველი მსახიობების მიერ შესრულებული ყოველი სიმღერა და ცეკვა.

გვიპიტის, სირიისა და სუდანის ჟურნალ-გაზეთებმა დადებითად შეაფასეს ქართველ მსახიობთა ხელოვნება, აღნიშნეს მათი მაღალი პროფესიულობა, უბადლო ოსტატობა, სიმღერისა და ცეკვის შესრულების მაღალი დონე, მაღალი შემოქმედებითი დისკიპლინა და შესანიშნავი მხატვრული გემოვნებით შესრულებული ნაციონალური ტანსაცმელი.

კაიროს გაზეთი „ალ-აჰრამი“-ი წერდა: „ჩვენ ახლა ვათვა-



აღლულ მონინე ელ საბე და ეროფევეი ანსამბლის მონაწილეებთან

ლიერებთ ქართული ხალხური ანსამბლის პროგრამას. მან ჩამოგიტანა სომხეთის, უკრაინის, პოლონეთის, აზერბაიჯანის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ხალხთა სული. მათ პროგრამაშია სიმღერები და ტემპერამენტისანი ცეკვები, რომლებიც ასახვენ საქართველოს ეროვნულ ზნე-ჩვეულებებს. ყოველივე ეს ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ სცენაზე სიმღერებსა და ცეკვებში.

თუ განვიხილავთ ამ ანსამბლის პროგრამას, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ესაა გუნდური ანსამბლი სოლო ნომრების გარეშე, ცეკვებიც ასევე ჯგუფურია ერთი ან ორი

აჭარის ანსამბლის მსახიობები ბირამიდებთან





აჭარის ანსამბლის მოცეკვავეები ასრულებენ სუდანურ ცეკვას „კამბალას“

სოლისტი. ჯგუფრობაშია ანსამბლის ძლიერების საიდუმლოება“.

ამავე რეცეზიაში საკმაოდ ვრცლად არის დახასიათებული ქართული ცეკვები, სიყვარულსა და სილამაზეუ ზეშენილი ცეკვების უმრავლესობა გამოირჩევა მითრამბათა სისურაფით, ძლიერებით, ტემპერამენტით. ისინი გამოსატყვენ ან მოგვითხრობენ ცხოვრებაზე, ასალგაზრდობაზე, იმედებზე, სიხარულსა და ძალაზე. მოცეკვავე ვაჭები ძლიერ სწრაფი და მარდი არიან. მოცეკვავე ქალები ამშვენებენ მათ თავიანთი ქაღურის სინაზითა და სინარნარით“.

ასეთივე შეფასება მისცა ანსამბლს კაიროს ფრანგულმა გაზეთმა „პროგრეს ვივიტინ“ — მან: „ცეკვებში გაბატონებულია ხალხური სული. ქალიშვილების მოძრაობა მშვიდი და მსუბუქია. მათი ფეხები ოდნავ ეხება იატაკს. მამაკაცები წარმოადგენენ კეთილშობილობისა და უბრალოების შესამებას. ცეკვები განსაცვიფრებელია“.

„კაიროს გაზეთი“ „მელა“ რეცეზიაში სათაურით „სიმღერების ნიაღვარი“ „უზბეკისა“ სცნაზე“, ვრცლად მიმოიხილავს ანსამბლის რეპერტუარს, აღნიშნავს ცეკვების ვირტუოზულ შესრულებას — ცეკვებს თითებზე, მუხლებით, სიმღერებს გამსჭვალულს ღრმა ეროვნული სულით. „ერთი ცეკვაეს თითებზე, მეორე მუხლებით, ყოველივე ეს მაყურებელთა მქუხარ რეაქციას იწვევს. ცეკვები მოგვითხრობენ საქართველოს ისტორიაზე. დიდ მოწონებას იმსახურებს ცეკვა „ფარიკაობა“. უნდა აღინიშნოს ამ ცეკვის გასაკვირველი სიმართლე, მუსიკისა და მოცეკვავეობა, მათი ხმლის დაკერის უაღრესი შეთანხმებულობა. ისინი მართლა იბრძვიან, ნაპერწკლებიც ეცვივა. დიდი წარმატებით სარგებლობს, აგრეთვე, სპორტული სახუმარო ცეკვა. კარგად მოფორმებულია თამაში კაიროსა და ბათუმს შორის, თამაში, რომელსაც კაირო ივებს. ეს ცეკვა ძლიერ ახალისებს მაყურებელს.“

რაც შეეხება სიმღერებს, ისინი გამსჭვალულია ეროვნული სულით, ყველა სიმღერა მოგვითხრობს სამშობლოს სიყვარულზე, თავისუფლებისათვის ბრძოლაზე, მეგობრობაზე. მაყურებელს განსაკუთრებით მოსწონს სიმღერები: თილისზე,

ლაშქრული და სხვ. უნდა აღინიშნოს გუნდის განსაკუთრებული შეთანხმებულობა. გგონია, ერთი კაცი მღერის“.

დიდი ყურადღება დაუთმო სირიის პრესამ ქართველ მსახიობთა შემსრულებლობით ოსტატობას. „ქართული ხალხური სიმღერები გულის სიდრემდე აღწევენ“, „ცეკვა-საქორწილო ზეიმი მითს სოფელში“ მაყურებელს უხატავს ამის ცოცხალ სურათს.

ფართოდ გამოეხმაურა აჭარის ანსამბლის გასტროლებს სუდანის პრესაც. გაზეთმა „ალ-აიამ“ აღნიშნა არაბეთში საბჭოთა მსახიობების ჩასვლის დიდი მნიშვნელობა ხალხთა დაახლოებისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის. მალაში შეფასება მისცა ქართულ სიმღერებსა და ცეკვებს, მათ შემსრულებლებს.

„პირველ ორ განყოფილებაში ვხედავთ საბალეტო ცეკვებს, ხალხურ ცეკვებს, ხალხურ სიმღერებს და არიებს საბჭოთა ოპერიდან. უკანასკნელ განყოფილებაში ანსამბლი სუდანელები გაახარა ორი ნომრით: პირველი იყო ცნობილი კომპოზიტორის სეიდ ხალიფის სიმღერა: „ალ მამო სუდანი“ და მეორე — სუდანური ხალხური ცეკვა „კამბალა“...“

მაყურებელთა და ანსამბლს შორის მოხდა მეგობრულ მისალმებათა გაცვლა-გამოცვლა. „ხელოვნება ახლოებს ხალხებს, ხელოვნების საშუალებით მათ შეუძლიათ დაივიწყონ უთანხმოება და იშრომონ მშვიდობისა და მეგობრობის საკეთილდღეოდ“ — წერდნენ ჩვენი მასპინძლები. დიდი სილამაზით გამოირჩეოდა მსახიობთა ტანსაცმელი. ცეკვები აღფრთოვანებას იწვევდა. მომღერალთა ხმები საამოდ ეალერსებოდა ახუნას, მიუხედავად იმისა, რომ ის არ გვესმოდა. ცეკვები გამაოიჩრედა არაჩვეულებრივი სილამაზითა და გამომსახველობით. ნაციონალურ თეატრს შეუძლია იამაყოს ამით“ (ხართუმი ნაციონალური თეატრი, სადაც აჭარის ანსამბლი გამოდიოდა, — ვ. ა.).

აჭარის ასრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გასტროლებს ეგვიპტეში, სირიასა და სუდანში აღტაცებით გამოემხმურა არა მარტო ადგილობრივი პრესა, არამედ საბჭოთა კავშირის საკონსულოს წარმომადგენლებიც. სრულკულტურის სამინისტროში მათგან მიღებულია ცნობები ჩვენი ანსამბლის კონცერტების შესახებ.

დამსკოში სრ კავშირის გენერალური საკონსულოს ცნობაში აჭარის ანსამბლის გასტროლების შესახებ აღნიშნულია: „დამსკოს მოსახლეობამ იშვიათი ინტერესი გამოიჩინა საბჭოთა საქართველოს ხელოვნებაში, რომელიც პირველად იქნა ნაჩვენები სირიაში. ყველა კონცერტზე კინოთეატრ „ალ-ჰამას“ დარბაზი, სადაც ანსამბლის კონცერტები მიმდინარეობდა და სადაც 700 კაცი ეტყვა, ხალხით იყო გაჭედილი. ანსამბლის საკონცერტო პროგრამის მრავალი ნომერი, საზოგადოების თხოვნით, ორჯერ და სამჯერ იქნა შესრულებული. განსაკუთრებული წარმატება ხვდათ: „სისა-ტურას“, ცნაგალას კულალებსა ოპერა „დაისიდან“, „სიმღერის თილისზე“, „სულკოს“, ცეკვებს — „განდვანს“, „მეთევინა ლაურ ცეკვას“, „ფარიკაობას“ და სხვ.“

ანსამბლის კონცერტებზე მოსულმა ხელოვნების სირიელ-მა მოღვაწეებმა და სხვა მაყურებლებმა, მოიწონეს რა ანსამბლის ყველა მსახიობის ჩინებული ოსტატობა, განსაკუთრებით გამოიყვეს სოლისტები ილია კალანდაძე, ილია ზაქაძე, ლეილა ვარლუშვილი; მოცეკვავენი — ფამკა კობახიძე, თამაზ ზეგანიძე, თამაზ ჯახუტაშვილი, სოსო ჭანტურიშვილი, განტანჯ ინგოროყვა და სხვ. ისინი აღნიშნავენ აგრეთვე ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელის მ. ჩხივიშვილის და ქორეოგრაფ ვ. ხაბაძის დიდ დამსახურებას სიმღერების და ცეკვების დაცვაში.

სირიულმა პრესამ დიდი ყურადღება დაუთმო აჭარული ანსამბლის გასტროლებს დამასკოში, — მან ბრწყინვალე შეფასება მისცა საბჭოთა არტისტების საშემსრულებლო ოსტატობას.

ხელოვნების სირიელი მოღვაწენი აღნიშნავენ სიღამაზეს ქართული ეროვნული ტანსაცმლისას, რომელიც ეცვათ საბჭოთა არტისტებს, როცა თავისი პროგრამის სხვადასხვა ნომრებს ასრულებდნენ. ასე, მაგალითად, დამასკოში აჭარის ანსამბლის გასტროლების გამო დაწერილ სტატიაში მხატვარი ხაღელე მისათ აღლევდა რა მაღალ შეფასებას კონცერტებს, წერდა: „ხალხურ კოსტიუმთა სირიელმა დამფასებლებმა ნახეს ქართულ ეროვნულ ჩაცმულობათა სხვადასხვა ნიმუშები, რომლებიც იძლევა ქართველი ხალხის შვილთა ტანსაცმლის სიღამაზის და მხატვრული განვითარების დონის ნამდვილ სურათს. ეს შესანიშნავი ხალხური კოსტუმები გვაძლევს სწორ წარმოდგენას იმაზე, თუ რა კარგი გემოვნება ჰქონიათ საქართველოში.“

ქართული საბჭოთა ანსამბლის კონცერტებმა მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა ყველაზე, ვინც ისინი ნახა და მოისმინა. დამასკო მხურვალედ მისვალზეა ასეთ არტისტულ კოლექტივებს და უკვებდა მათ: „კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, ძვირფასო სტუმრებო! თქვენ შესძელით გადმოგეცათ საქართველოს ცხოველმყოფელი კეთილშობილური მისწრაფება მშეღობისაკენ“.

გაზეთი „საუტ-ალ-არაბ“-ი, აჯამებდა რა დამასკოში ანსამბლის გასტროლების შედეგებს, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქალაქი მოკადღებულ იყო საბჭოთა არტისტების ოსტატობით. „იმ ოთხ დღეს, — წერდა ეს გაზეთი 11 დეკემბრის ნომერში, — რომელიც ქართულ ანსამბლთან ერთად გაავატარეთ, დამასკო იმყოფებოდა საუცხოო სიმღერების და ცეკვების ტყვეობაში. დამასკოს საზოგადოება თითქმის გადასახლდა საბჭოთა საქართველოს სოფლებში, განიცდიდა ქართველი მთიელი ვაჭაკის მხურვალე სიყვარულს ბარელი ქალშვილისადმი, ხედავდა ხალხური ცეკვების მშვენიერ შესრულებას. დამასკოელმა მაყურებლებმა გამოიჩინეს სრული და ჩინებული გაგება დიდებული ქართული ფოლკლორული ხელოვნებისა, რომელიც მათ პირველად უჩვენეს.“

სირიული საზოგადოებრიობის სხვადასხვა წრეების წარმომადგენელნი, ოფიციალური პირები, მეცნიერების და

კულტურის მოღვაწენი ჩვენთან (საბჭოთა საკონსულოს ფუნქციონალურ პირებთან) საუბარში ძალიან მაღალ აზრს გამოთქვამდნენ ანსამბლის კონცერტების შესახებ, მშვენიერ შეფასებას აძლევდნენ საბჭოთა არტისტების საშემსრულებლო ოსტატობას და გამოთქვამდნენ სურვილს, რომ აჭარის ანსამბლი 1961 წელს კვლავ სირიის რაიონის გაერთიანებული რესპუბლიკის ეთნოგრაფიის რაიონის ანსამბლის სრული კონცერტი ორჯერ ექნა ნაჩვენები დამასკოს ტელევიზიით.

ისეთივე წარმატებით, როგორც დამასკოში, ანსამბლის გამოსვლები ჩატარდა ქალაქ ალექსოში, სადაც კონცერტები 11-დან 13 დეკემბრამდე მიმდინარეობდა. არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის პირველი არმიის სარდლობის თხოვნით, საბჭოთა არტისტებმა ქ. ალექსოში გამართეს უფასო კონცერტი ქ. ალექსო გარნიზონის ჯარისკაცებისა და ოფიცრებისათვის. ალექსო გუბერნატორმა და კულტურის ცენტრის დირექტორმა საბჭოთა არტისტების პატივსაცემად გამართეს დარბაზობა, რომელიც გულთბილ მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონში, უდიდესი წარმატებით ჩატარებულმა აჭარის ანსამბლის გასტროლებმა თვალსაჩინოდ დანახეს სირიელებს საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართველი ხალხის მიერ კულტურულ ცხოვრებას და ხალხური ხელოვნების განვითარებაში მიძინებულ შესანიშნავი მიღწევები.“

ქართული საბჭოთა ხელოვნების პოპულარიზაციის, კულტურული ურთიერთობის განმტკიცების და გამოცდილებათა ურთიერ გაზიარების მიზნით ანსამბლი აწყობდა შეხვედრებს ადგილობრივ შემოქმედებით კოლექტივებთან. ასე, მაგალითად, ანსამბლი შეხვდა ეგვიპტის ცეკვის ანსამბლს, რომელსაც ხელმძღვანელობს მოსკოვის ქორეოგრაფიული სასწავლებლის კურსდამთავრებული მაჰმუდ რედა და რომელიც პირველად დაარსებული ანსამბლია ეგვიპტის სინამდვილეში. ამ ანსამბლის შესრულებით ჩვენ გაეცანიით ეგვიპტის ნაციონალურ ცეკვებს.

აჭარული ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა ა.მ. ჩხი-

აჭარის ანსამბლის მსახიობები და კიაროს მეტოვრებლები კულტურის და დასვენების პარკში



კვიშილია სირიის ანსამბლის მსახიბტროს ხელმძღვანელსა და სირიის კულტურის სამინისტროს პასუხისმგებელ მუშაკებს გაუზიარა თავისი გამოცდილება და გააცნო ანსამბლის პერსპექტივები.

ქ. დამასკოში შემოქმედებითი შეხვედრა მოეწყო სირიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლთან. გუნდმა, აბდულ რაჰმან ხატის ხელმძღვანელობით, შეასრულა არაბული სიმღერები, ხოლო მოცეკვავეთა ჯგუფმა, ქორეოგრაფ ასიმ მირზას ხელმძღვანელობით, ცეკვა „ნაარა“. ცეკვა „ნაარა“ შეისწავლეს ქართველმა მსახიბებმა და დასკვნით კონცერტზე არაბ მოცეკვავეებთან ერთად შეასრულეს იგი, რამაც მაყურებელთა გააცხებაც გამოიწვია და აღფრთოვანებაც. მუტად გულთბილი და გულწრფელი კონტაქტი დამყარდა მაყურებელსა და მსახიბებს შორის. მასპინძლები გაიხარებოდნენ „სადაკა“, სტუმრები „დრუქბასა“. (სადაკა არაბულად ნიშნავს მეგობრობას. ვ. ა.)

სუდანში ანსამბლი შეხვდა ადგილობრივ მოცეკვავეთა კოლექტივსა და სუდანელ მომღერლებს. ჩვენმა გუნდმა შეისწავლა და ყოველ კონცერტზე ასრულებდა სუდანურ სიმღერას „ალ მამო სუდანი“, ხოლო მოცეკვავეთა ჯგუფი — სუდანურ ხალხურ „კამალა“ (ის. სურ.)

ჩვენი დელეგაცია დიდი პატივისცემითა და ყურადღებით სარგებლობდა ყველგან — ქაიროსა თუ პორტსაიდში, ალექსო-სა თუ დამასკოში, ხარტუმსა თუ ტირანში. ყველგან გულწრფელად და კეთილი სურვილებით მოგვესალმებოდნენ არა მარტო უბრალო ადამიანები, ადგილობრივი ორგანოები და მისი ხელისუფლები. ანსამბლს და მის ხელმძღვანელებს ჰქონდათ კიდევ საქმიანი შეხვედრები მათთან.

16 ნოემბერს არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ეგვიპტის რაიონის კულტურისა და ნაციონალური ორქესტრაციის მინისტრის მოადგილემ ბ-მა აბდელ მონემ ელ საეიმ (მინისტრი ამ დროს პარიზში იმყოფებოდა, იუნესკოს კონფერენციაზე) ქაიროს ოპერის თეატრში მიიღო ანსამბლის მთელი შემადგენლობა. მიღებას ესწრებოდნენ თეატრების დეპარტამენტის უფროსი დოქტორი რაი, ეგვიპტის გამოჩენილი

კინოსახიობი ქალი ამინა რუჰა, არაბი კომპოზიტორი ბ-ნი აზიზ აშუანი, კულტურისა და ლიტერატურის სხვა მუშაკები, საბჭოთა ელჩი არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკაში აშ. ვ. ეროფევი, მისი უფროსი მრჩეველი კულტურის დარგში აშ. ნ. სმეტანი, საელონ პასუხისმგებელი მუშაკები და ცნობილი ინჟინერთა პოეტ ტურსუნუადე, რომელიც იმ დროს ეგვიპტეში იმყოფებოდა. მიღებამ მეტად გულთბილი ვითარებაში ჩაიარა.

ასევე მეგობრული იყო შეხვედრა პორტსაიდის გუბერნატორთან, რომელმაც ანსამბლი თავის ქალაქში საკუთარი ხარჯით მიიპატივა. პორტსაიდის ქალაქის მერმა დაგვთავაზიერებინა ღირსშესანიშნავი ადგილები, მათ შორის, სუეისის არხი. მან უდიდესი თავაზიანობის ნიშნად ანსამბლი სრული შემადგენლობით მიიწვია მუნიციპალტეტში და დავითიმ ქალაქის დეპუტატების მრგვალი მაგიდა, ანსამბლის წევრებს — დეპუტატების ადგილები, მოგაზურობის ხელმძღვანელს — თავმჯდომარისა, რაც ჩვენდამი უსასურლო პატივისცემის გამოხატულება იყო.

საბჭოთა მსახიობები მიიპატივა ქ. ალექსო გუბერნატორმა რაფათ ზრეიკამც, რომელიც მიხიბლული დარჩა ჩვენი კონცერტებით. მან აღნიშნა ანსამბლის ბრწყინვალე წარმატებები და უსურვა შემდგომი გამარჯვებები.

სირიის რაიონის კულტურისა და ნაციონალური ორქესტრაციის მინისტრმა არის საბიჭმა ქართველი მსახიობების პატივსაცემად დარბაზობა გამართა. მიესალმა რა ანსამბლს ვრცელი სიტყვით, იმედი გამოსთქვა, რომ კონცერტები ისე როგორც ეგვიპტის რაიონში, დიდი წარმატებით ჩატარდებოდა სირიის ტერიტორიაზეც. საპასუხო სიტყვაში მე მაძლობა გადავუხადე გულთბილი შეხვედრისათვის და რწმენა გამოვთქვი, რომ ჩვენი კონცერტები ხელს შეუწყობს და განმტკიცებს არაბეთისა და საბჭოთა ხალხის კულტურულ ურთიერთობას.

ანსამბლს შეხვედრა ჰქონდა, აგრეთვე, სუდანის ინფრ-მაციისა და შრომის მინისტრ მახმუდ ტალატ ფარიდთან და მთავრობის სხვა წარმომადგენლებთან.

სირიაში ყოფნის დროს ანსამბლი მიიწვიეს სირიის ინჟინერთა შეგროვებულ, რომელიც ტრადიციულად ყოველწლიურად ეწყობა. შეგროების დამთავრების შემდეგ, ერთ-ერთ პირველსაზარისოვან რესტორანში ქართველმა მსახიობებმა შეასრულეს რამდენიმე ცეკვა და სიმღერა. ქართული ხელოვნების მოწონების ნიშნად, დამსწრენი შემოხვდნენ მსახიობებს და ულოცავდნენ წარმატებებს. დასასრულს გაიმართა ვახშამი. ჩვენი მაგიდა წარმართა ქართული წესის მიხედვით, არჩეული იქნა თამადა, წარმოითქვა სადღეგრძელოები, შესრულდა მრავალგამიერი და სხვა სიმღერები. არაბმა ინჟინრებმა მიატოვეს თავიანთი მაგიდები და ჩვენ შემოგვიერთდნენ. ისინი ალტყებით ისმენდნენ სადღეგრძელოებსა და შესმატებილებულ სუფრულ სიმღერებს. ცხადია, ისინი ერთხელ კიდევ მოიხიბლნენ ქართველებით, მათი ღამაზე ტრადიციული.

აჭარის ანსამბლის მსახიობებმა ცოცხალი ყვავილებით შეამკეს ჰაიატ ჰოსიონის სათეაო



ქვე უნდა აღენიშნო, რომ არაბები უაღრესი პატივისცე-  
მითა და სიმაპითით არიან გამსჭვალული საბჭოთა ხალხ-  
სადმი იმ ძმური, მეგობრული დანაშაულის გამო, რომელსაც  
მათ საბჭოთა კავშირი უწევს. ჩვენც გამოვსატავდით თანაგრ-  
ძნობას მათადმი. ჩვენი ყოველი შესჯედვრა მეგობრობისა და  
შვიდობიანი თანარსებობის სულისკვეთებით იყო ადრეკიდ-  
ლი. ამ ფაქტის დადასტურებას წარმოადგენდა ჩვენი დასრუ-  
ბა ნაციონალური გმირის—გავატ სუსეინის სოსენისადმი  
მიძღვნილ სამელოვიარო მიტინგზე. გავატ სუსეინი—ქაიროს  
იურიდიული ინსტიტუტის სტუდენტი 1956 წლის 3 დეკემ-  
ბერს გმირულად დაიღუპა პორტსაიდის დაცვის დროს, ფრანგ  
და ინგლისულ აგრესორებთან ბრძოლაში. 20 წლის ყმაწვილ-  
მა უდიდესი ნებისყოფითა და სიმტკიცით აიტანა რა სამინე-  
ლი წამება, თავისი ჯერ კიდევ გაუმწეული ტანპატუკური სიცოცხ-  
ლე მსხვერპლად მიუტანა მშობლიური ხალხის თავისუფლე-  
ბას. დღიდან მისი დალუპვისა, ყოველი წლის 3 დეკემბერს  
გმირის მშობლები, პორტსაიდის მცხოვრებლებთან ერთად,  
დასტარიან სასელოვან შვილს. ჩვენ ცოცხალი ყვავილებით  
შევაძვეთ გმირის საფლავი და რამდენიმე წუთის მემუშარებით  
გამოვხატეთ უდიდესი თანაგრძნობა არაბი ხალხისა და მისი  
სამაჟო შვილის — გავატ სუსეინისადმი.

თავისუფალ დროს ჩვენი დღეუბაცია დიდი ყურადღები-  
თა და ცნობისმოყვარებით ეცნობოდა ეგვიპტის ღირსშესა-  
ნიშნავ ადგილებს.

ლამაზია ქალაქ კაიროს ვერობული ნაწილი განიერი ქუ-  
ჩებით, ორ მხარეს ამშვენებს როგორც ძველიაძველი, ასევე  
ახალი ძვირფასი არქიტექტორული ფერადი შენობები. გან-  
საკუთრებით წარმატაცია ქალაქი დამით, როცა მუხის უკანას-  
კნელი სხვი ქრება და ღამე ცვლის დღეს, ინთება თვალის-  
მოჭრული სინათლე, ცაზე ჩნდება ფერადოვანი რეკლამები  
არაბულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ისინი ქრებიან  
გვიან, მაშინ, როცა ამოანათებს გათიანად. ოქტომბერის  
თვალში გვიჩანს ეგვიპტეთა ბოლოი კოკა-კოლასი. კოკა-  
კოლა ყავისფერი სასმელია, რომლითაც ქვეის ყოველ კუთხე-  
ში გაჭრებენ წითელი კიოსკები და რომელიც ეგვიპტეში უკა-  
ნასეულია ომის დროს გაჩნდა. ახლა იგი დიდად გავრცელებ-  
ილია და არაბები ხშირად გვიმასპინძლებოდნენ ჩვენც.

ქალაქის გაცნობის შემდეგ, შემოგვთავაზეს აქლემებით,  
ცხენებით, ჯორებით მოგზაურთა ნილოსის ნაპირების გასწვ-  
რივ მდებარე ქალაქების, ტაძრებისა და სასაფლაოთა ნანგრე-  
ვების დასათვალიერებლად. ჩვენც გავემგზავრეთ კაიროსთან  
ახლოს მდებარე პატარა არაბულ სოფელ-გიზაში, სადაც  
მკვეთ ზოლად გადის საზღვარი ნილოსის მწვენივ დაბლობსა  
და ყვითელ ქვიზთან საპარის უდაბნოს შორის. აქ რამდენიმე  
კილომეტრის სიგრძეზე ჩამწკრივებულია ცამდე აზიდული,  
მთლიანი კლდიდან გამოკვეთილი პირამიდები.

გიზაში შესვლამდე ცისფერ ფონზე თეთრად გამოჩნდა  
უცნაური გიგანტური ლოდებისაგან აგებული სამი პირამიდა  
ხეოპსისა, ხეფრენისა და მიკერიფოსის. უნებლიედ მომაგონდა  
ერთი არაბული ანდასა: „ყველა საგანს ემინია დროსი, დროს  
კი — პირამიდებისა“.

მართლაც, დროს ვერაფერი დაუკლია ამ ბუმბერაზი ნაგე-  
ბობებისათვის. ისინი არსებობის სუთითაოს წელს ითვლიან  
და ვერავითარ ძალას ვერ დაუძრავს ადგილიდან.

თუმცა ჩვენ კაიროდან საბინისტროს წარმომადგენელი და  
ექსპურსმძღოლი გამოგვყვენ, ვიზაში მანინ შემოგვიერთდა  
რამდენიმე არაბი „მეგზური“, რომლებიც ფხიზლად უთვალ-



აუპარის ანსამბლის მსახიობები მდინარე ნილოსის ნაპირზე

თვალბენ მიმსვლელებს და ყოველნაირად ცდილობენ ხელი-  
დან არ გაუშვან გამსარჯლო-ბაშიში, რომელსაც ისინი გზის  
ჩვენებისა და პირამიდების შესახებ არსებული ლეგენდების  
თხრობისათვის მოითხოვენ.

პირამიდებთან მისვლამდე დგას მთლიანი კლდის ლოდი-  
საგან გამოკვეთილი სფინქსი, რომელსაც ტანი ლომისა აქვს,  
თავი კი ადამიანისა (სიმაღლით 20 მეტრი, სიგრძით 58  
მეტრი.) ზოგიერთი ეგვიპტური გადმოცემა მას „შიშის მა-  
მას“ უწოდებს, ზოგიერთი კი აზრისა და ძალის გამოსახუ-  
ლებად მიიჩნევს, აღბათ, იმიტრ, რომ ქანდაკებას თვავილის  
გამომეტყველება ლამაზი აქვს, ხოლო ტუჩებზე დიმიდი დას-  
თამაშებს.

სფინქსის ტანი ტლანქადა დაშუშავებული და დამუთავ-  
რებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ეტყობა, იგი ფერადი სა-  
ღებავებით ყოფილა დაფარული, ხოლო თავი ვეება ოქროს  
დისკითი ქონია შეწყული. ამგავად სფინქსს სახე და ცხვირი  
დაზიანებული აქვს... ეგვიპტის მტრებს, ძვირფასი ძველების  
განადგურებასთან ერთად, სფინქსის დანგრევაში თვავილი-  
ბათ მისთვის ზარბაზნები დაუშენიათ, მაგრამ ამაოდ.  
სფინქსს დრომ ვერაფერი დააკლო, სამაგიეროდ ადამიანმა  
დაუმტვრია და დაუმახინჯა მშვენიერი სახე. სფინქსის დიდი  
ნაწილი დიდხანს ქვიზით ყოფილა დაფარული. შემდეგ კი,  
არქეოლოგიური გათხრებით, თავებქვეშ აღმოუჩენიათ ტკაპ-  
რი და სასაფლაო ძვირფასი განძეულობით. ეგვიპტური ხე-

ანსამბლის კონიორაჰისტიკრი როსლდან ელიავა  
პირამიდების რაიონში



ლოწების ეს უკვდავი ძეგლი უსოვარ დროსაა შექმნილი. თვით ეგვიპტელების არ ასხვით მისი შექმნის დრო. ზოგი მის შექმნას ეგვიპტის პირველ ფარაონს მენეს მიაწერს, ზოგი კი ხფურენს (29-ე საუკუნე).

საინტერესო ცნობები მოგვაწოდებს ხეობის პირამიდზე, რომელიც შემოსენებულ ორ პირამიდაზე უფრო დიდია და მასალა. იგი აგებულია 2900 წლის წინათ ჩვ. წ. ა. მისი სიმაღლე 147 მეტრი ყოფილა, ამჟამად 140 მეტრია და 50-60 სართულიან სახლს მოგვაგონებს.

ფარაონს ხეობის ამ უსარმაზარ პირამიდას 30 წელი აგება თურმე. მას დაუხურავს ტაძრები, აუკრძალავს ფელა-ხებისათვის შესაწირების მიტანა ტაძრებში და მთელი ხალხი პირამიდის ასაკებ საშუაოებზე გაუყვანია. ისტორიკოსმა ჰეროდოტემ, რომელმაც ეგვიპტეში რამდენიმე წელი დასაყო, შეისწავლა და აღწერა ხეობის პირამიდა. ჰეროდოტე აღნიშნავს, 100 ასაი კაცი მთელ 20 წელიწადს შეეცლით მუშაობენ პირამიდების ასაგებად, ხოლო იმ გზის გაყვანას, რომლითაც უსარმაზარ ლოდები მიჰქონდათ, 110 წელი დასჭირდა.

ცხადია, ფარაონი, რომელმაც ხალხის ტანჯვითა და ვაე-ბით აუცი ვეება შენობა, საყოველთაო ზიზღს დაიმსახურებდა.

ხეობის სისახტიკის შესახებ ერთ-ერთმა არაბმა მეგზურმა გვიამოვ დღემდე შემორჩენილი გადმოცემა: აგრობებდა რა სახსრებს პირამიდის ასაგებად, ფარაონს საკუთარი ქალიშვილი გაუგზავნია საროსკიპო სახლში და მიუსჯია მისთვის სახსრების შეგროვება. ქალიშვილს შეურახლებია მამის დავალება. მასთან მიმსჯელობა თვითიველს მამაკაცს თხოვდა თურმე თითო ლოდის მიტანას. ამ გზით შეგროვებო ლოდებით აუცია შედარებით მეტი ზომის პირამიდა. მეგზურმა მიგვიითა დიდი პირამიდის აღმოსავლეთ კედლის წინ მდებარე, მართლაც, პატარა ზომის პირამიდაზე.

ფარაონ ხფურენის პირამიდა ხეობის პირამიდის მსგავსა, მაგრამ მასზე მეტრეა. მისი სიმაღლე 137 მეტრს, ხოლო სიგრძე 215 მეტრს უდრის.

ხფურენის პირამიდის აგებაზედაც დიდალი მონური შრომა ყოფილა გაწეული. კირქვის ვეება ლოდებს მდინარე ნილოსის მარჯვენა მხრიდან 24 საათის განმავლობაში ეზიდებოდნენ თურმე. თითოეული ასეთი ლოდი, წონით 2,5 ტონა, გადაჰქონდა რამდენიმე ათეულ კაცს ერთად. პირამიდას 2 300 000 ასეთი ქვა დასჭირებია. მშენებლობამ უაზრავი ხალხის სიცოცხლე შეიწირა, გამოიწვია ქვეყნის დასუსტება, სიღატაკე და სიმშობი.

მიკრონის პირამიდა ორივეზე ბევრად უფრო პატარაა. სიმაღლე მისი 66 მეტრია.

ვნახთ აგრეთვე არაჩვეულებრივი სიდიადის ნავი. მისი სიგრძე 43 მეტრია, სიმაღლე კი 10. იგი 1954 წელს იქნა აღმოჩენილი ხეობის პირამიდის გვერდით, მის სამხრეთ ნაწილში. ნავი მოთავსებული ყოფილა ლოდებით გადახურულ ორმოში. ამავე სამარხში იპოვეს უსარმაზარი ხის ძეგლები, რომელთაც დღესაც ძველბურთი სიმაგრე შერჩენიათ.

იქვე ასლეს ვარაუდობენ მეორე ნავის არსებობას. გათხრების დაწყება განზრახული აქვთ მიმდინარე წელს.

არაბეთის გაერთიანებული არსებობის კულტურისა და ორიენტაციის მინისტრის მოადგილის აბელ მენაევე ეს ლავის მიწვევით, გაემგზავრეთ ლუქსორში. ეს არის ეგვიპტის ცნობილი ისტორიული ადგილი მდინარე ნილოსის მარცხენა ნა-

პირას. აქ მთებებით აღმართულ საარაკო სიდიდის ტაძრებს ყოველდღიურად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსვლის უთვალავი ადამიანი ათავალმობს.

აქაც შეგვიხდის უფრო პატარა ზომის სფინქსებს, რომლებიც კარანჯა ტაძრის შესასვლელთან იწყება და ქნის გზებულ ხეობას. ხეობის ბოლოს ორივე მხარეზე დგას წითელი გრანიტის სვეტები — ობელისკები, რომელთაგან ზოგი ბაგნალე ოქროსაგან ყოფილა ჩამოსხმული (შემდგომ, დროთა განმავლობაში დუტაციით, გაუნეივებით). მათ კედლებზე ამოჭრილი იეროგლიფები იუწყება, თუ რომელი ღმერთის სახელზე იქნა იგი აგებული, რომელმა ფარაონმა როდის დაიწყო და როდის დაამთავრა მათი მშენებლობა.

ობელისკები ჩვეულებრივ მთლიანი ლოდებისგანაა გამოკვეთილი. ობელისკების გვერდით აღმართულია ფარაონთა ქანდაკებანი ვარდისფერი ქვისა, ან წითელი გრანიტისაგან.

ლუქსორს, რომელიც შორეულ წარსულში ფარაონთა და წარჩინებულთა სასაფლაოს წარმოადგენდა, დღესაც „მეფეთა ხეივანი“ უწოდებენ.

დიდი ინტერესით დაგვათავლიებთ ცალკეული ხეობა, რომელშიც მეფეთა და წარჩინებულ პირთა აკლდამებია მოთავსებული, დინასტიების მიხედვით.

მეფეთა პირველ „ხეობაში“ 62 აკლდამაა; მეორეში — ჯერ-ჯერობით ორია აღმოჩენილი. როგორც პირველი, ასევე მეორე ხეობაც ფარაონებს ეკუთვნით, მესამეში კი მეფის შეილები, ახლობლები და წარჩინებული პირები არიან დაკრძალული.

განსეიფრებაში მოგვიყვანა რამზეს მეორის სასახლე-ტაძარბა, რომლის შესასვლელთან აღმართულია წითელი გრანიტისაგან გამოკვეთილი რამზესის ოთხი ქანდაკება, აგრეთვე, სხვადასხვა ღმერთების ქანდაკებები, ობელისკები და სხვ.

არანაკლებ საინტერესოა ფარაონ ცუტანხამონის ტაძარი, რომელიც 1922 წელს იქნა აღმოჩენილი.

მთის ძირში, ვიწრო შესასვლელთან იწყება კიბე, რომელიც ფართოდ დღერვანში გადაის, იქიდან კი — დარბაზებში. დარბაზების კედლები დაფარულია ნახატებითა და წარწერებით, რომლებიც აკლდამის მოვლობის ამბებს მოგვითხრობენ.

დარბაზთაგან ზოგი სალოცველოს წარმოადგენდა, ზოგი განძეულობა და სიდიდრე ინახებოდა, ზოგიც გარდაცვლილთა განსასვენებელი ადგილი ყოფილა და ა. შ. აღმოჩენის დროს ტაძარში ხელუსულებელი დახვდით განძეულობა, ქინება. ამიტომაც მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეგვიპტის ისტორიისათვის.

ტაძრის ერთ დარბაზში უპოვნიათ სხვადასხვა ზომის, ერთი-მეორეში ჩაწყობილი ოთხი ყუთი. მეოთხე ყუთში მოთავსებული ყოფილა კრისტალისაგან გაკეთებული სარკოფაგი გრანიტის სახურავით; სარკოფაგიც უპოვნიათ ერთიმეორეში ჩადგმული 3 კუბი. მესამე მთლიანად ოქროსი ყოფილა, კუბოში ჩასვენებული იყო ბალზამირებელი გვამი ფარაონ ცუტანხამონისა. ცუტანხამონს უმოღვაწია 3500 წლის წინათ 9 წელი და 18 წლის ასაკში გარდაცვლილა.

ვინახულებ აგრეთვე არაჩვეულებრივად სიდიდრულად მორთული მეფე ფარუკის სასახლე. მუხამაღ ალის მამლოცველო ჯამე, რომელიც მე-19 საუკუნეშია აგებული. მისი მშენებლობა მიმდინარეობდა 136 წელს და დათავრებულია 1824 წელს. უსარმაზარია შენობის სამლოცველო დარბაზი. მისი



გუმბათის სიმაღლე 52 მეტრია, სიგრძე 52, სიგანე კი 45 მ. სირიაში ყოფნის დროს ვინახულეთ ომეიადების მეჩეთი, მეზუეში „აზემის სასახლე“, სალან ედ-დინის აკლდამა და სხვ.

გულთაღი მადლობით უნდა აღენიშნო, რომ ყველგან, სადაც კი ჩვენ ფეხი დავდეთ, მისახლეობა გულთბილად და მეგობრულად გვხვდებოდა.

ამრიგად, აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გასტროლები არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკასა და სუდანში დიდი წარმატებით დამთავრდა, და 28 დეკემბერს იგი სამშობლოსაკენ გამოემგზავრა.

უამინდობის გამო ჩვენი თვითმფრინავი ერთი დღით გაჩერდა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ ტირანაში.

ალბანეთის კულტურისა და განათლების სამინისტროს თხოვნით, ანსამბლმა ტირანას საკონცერტო დარბაზში მასურებლებს უჩვენა პროგრამის ერთი განყოფილება. პირველი განყოფილება ალბანეთის ძალებით იქნა წარმოდგენილი.

კონცერტის მეორე განყოფილების დაწყების წინ, ურთიერთის მისახალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ალბანეთის კულტურისა და განათლების მინისტრის მოადგილე პიპი მიტროიორგი და საგასტროლო მოგზაურობის ხელმძღვანელი ვ. ახელედიანი.

მიტროიორგმა მიულოცა რა ანსამბლს დიდი წარმატებები არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკასა და სუდანში, — უსურვა შემდგომი გამარჯვება, ილაპარაკა იმ დანმარებაზე, რომელსაც საბჭოთა ქვეყანა უწყებს ალბანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

საპასუხო სიტყვაში ვ. ახელედიანი უღრმესი მადლობა გადაუხადა დამსწოე საზოგადოებას გულწრფელი შეხვედრისათვის, უსურვა გამარჯვება ალბანეთის ხალხს სოციალისტურ მშენებლობაში, ალბანელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

მისალმეთა მეშუაზე ოვაციამ დაჟვარა.

ჩვენმა მსახიობებმა უდიდესი პატივისცემა გამოამჟღავნეს ალბანელი ხალხისადმი, ყველანი მთელი პასუხისმგებლობით და სერიოზულობით მოეზადნენ კონცერტისათვის. იმ მიზეზით, რომ კაიროდან ჯერ კიდევ არ იყო ანსამბლის ფორმა გამოგზავნილი, მსახიობები თავიანთ საუკეთესო ტანსაცმელებში გამოეწყვენენ და დიდი მონდობით შეასრულეს ყოველი ნომერი, რამაც დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვა ალბანელ მაყურებლებზე, რომლებიც დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ჩვენი ანსამბლის ოსტატობას და თითქმის ყველა ცეკვა და სიმღერა გაამეორებინეს.

კონცერტის დასასრულს ხანგრძლივი ოვაციები გაუმართეს ჩვენს მსახიობებს. ქართველი მსახიობების გამოსვლა ტირანაში ალბანელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის ნამდვილ შეიმაღ გადაიქცა.

ამრიგად, ანსამბლმა წარმატებით შეასრულა თავისი მისია — შორს, ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ, გაიტანა საბჭოთა ქართული ხელოვნება, არაბ ხალხს, რომელთაც მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს წარმოდგენა საქართველოსზე, გააცნო ქართული ცოცხალი, რეალისტური ხელოვნება, გააცნო ჩვენი ხალხის კულტურა და ამით ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირისა, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკისა და სუდანის ხალხთა სულიერ დაახლოებას, კულტურული ერთიანობის განმტკიცებას.

კაიროს ხედი



# ალამიანის შინაგანი და გარეგანი კულტურის შესახებ

წამრილი მისრე

ტაქსისა და აქთილზოგილური მანერაშის შესახებ

## გელა ბანძელაძე

თავაზიანობა, ტაქტი და კეთილშობილური მანერები შეიძლება გავარტყიანოთ ზრდილობის ცნებაში. ზრდილობიანობა ადამიანის გარეგანი კულტურის მესამე და ყველაზე არსებითი ნიშანია. თუ სისუფთავე და სიკობხტავე ადამიანის კულტურულობის ნიშნებად მივიჩნიეთ იმის გამო, რომ ეს თვისებები საზოგადოებრივად სასარგებლონი არიან, მით უმეტეს ითქმის ეს ზრდილობიანობაზე.

გარეგანი კულტურის პირველი ნიშანი — სისუფთავე საზოგადოებრივი სარგებლიანობის ნეგატიური პირობაა. სისუფთავე კარგია იმით, რომ სიბინძურეა ცუდი, უსიამოვნება იწვევს. თუ რაიმე არ იწვევს უსიამოვნებას, უკვე ამის გამო არის იგი კარგი; სისუფთავე შეიძლება აქტიურად სიამოვნების წყაროდ იყოს, მაგრამ მთავარი მაინც მისი ნეგატიური ბუნებაა.

სიკობხტავე კი მეტია სისუფთავეზე იმით, რომ ნეგატიურ ბუნებას ჭარბობს და ჩრდილავს მისი პოზიტიური ბუნება. სიკობხტავე გაცილებით უფრო მეტ სიამოვნებას იწვევს, ვიდრე სისუფთავე, თუ რა თქმა უნდა, ამ სიკობხტავს არ ჩრდილავს უსუფთაობა. სიკობხტავე იმიტომ კი არ არის უფრო მეტი სიამოვნების წყარო ვიდრე სისუფთავე, რომ სიკობხტავს ფასი აქვს სისუფთავის პირობებში და სისუფთავე და სიკობხტავე ერთად უკეთესია, ვიდრე მხოლოდ სისუფთავე. აქ ლაპარაკია აბსტრაქტულად იზოლირებულ „სიკობხტავის“ და „სისუფთავის“ ღირებულებათა შედარებაზე.

შენ რომ კობხტა ხარ, უკვე ამით სიამოვნებას ანიჭებ ყველას, ვისაც სიკობხტავე სიამოვნებს.

მართალია, შენი სიკობხტავეთი გამოსხივებული სიამოვნება რეალური სიდიდით, მაგრამ იგი მაინც ვერ მალდება სხვა ადამიანის დაფასებისა და პატივისცემის დონეზე. ზრდილობიანობა კი ადამიანის გარეგანი კულტურის ისეთი ნიშანია, რომელიც სხვა ადამიანისათვის ზრუნვის, მისი უფლებებისა და ინტერესების დაფასების, პატივისცემის გარკვეულ ელემენტებს შეიცავს. ზრდილობის ცნება იჭრება ზნეობის ცნებაში და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზნეობის მინიმუმის გამოხატულებაა. ეს ზნეობის ისეთი მინიმუმია, რომელიც მხოლოდ გარეგნულ, თვალთი დასანახ მოქმედებებში მკლავნდება.

ზრდილობა ობიექტურ-საგნობრივი ვითარებაა, რაც აუცილებლობით არ ეულისხმობს რაიმე გარკვეულ სუბიექტურ მდგომარეობას. ზნეობა კი პირველ რიგში სწორედ სუბიექტურ მომენტში, განზრახვებისა და მოტივის გარკვეულობაში მდგომარეობს. შეიძლება ადამიანი ზრდილობიანი იყოს, მაგრამ მას ზნეობა არ გააჩნდეს. ამის გამო უნდა მივიჩნიოთ ზრდილობა ადამიანის გარეგანი კულტურის ნიშანად, ხოლო რამდენადაც ზრდილობიანობაში ზნეობის ელემენტებია, ამი-

ტომ იგი გარეგანი კულტურის ყველაზე არსებითი ნიშანია.

ზრდილობიანობის ცნებაში, როგორც უკვე ითქვა, იგულისხმება თავაზიანობა, ტაქტი და კეთილშობილური მანერები. ეს სამი ცნება ერთმანეთს აპირობებს და განსაზღვრავს. ისინი ერთსა და იმავე არსებას გამოსთქვამენ და ამდენად მათ შორის რაიმე პრინციპული სხვაობა არ არსებობს. ვინც თავაზიანია, — იგი ტაქტსაც ფლობს და მამასადავ, კეთილშობილური, ანუ, როგორც იტყვიან, კარგი ტონის მანერები ახასიათებს მას.

მიუხედავად ასეთი შინაგანი ერთიანობისა, ეს ცნებები არ ემთხვევიან ერთმანეთს და არ არიან ზრდილობის ცნების გამოთქმელური სინონიმები. (მართალია, თითოეული ეს ცნება ერთსა და იმავე არსებას (ზრდილობას) გამოხატავს, მაგრამ თვით გამოხატვის ასპექტი და კუთხე განსხვავებულია.)

შეიძლება ითქვას, რომ თავაზიანობის ცნება მოქმედების შინაარსს გამოხატავს; ტაქტი — მოქმედების ფორმას; ხოლო მანერა ამ შინაარსისა და ფორმის ერთიანობის კონკრეტული გარკვეულობაა. როგორც საერთოდ არ არსებობს შინაარსი ფორმის გარეშე, ფორმა შინაარსის გარეშე, ე. ი. ორივე ერთიანობის გარეშე, ასევეა აქაც.

ვინ შეიძლება მივიჩნიოთ თავაზიანად? ადვილია თავაზიანად მიიჩნიოთ მითითება, თუ კი ასეთები არიან ჩვენს ირგვლივ, მაგრამ მწელია თავაზიანობის აღწერა და მისი ნიშნების ჩამოყალიბება.

პირველ რიგში უნდა დავასახელოთ საზოგადოებრივი თანაცხოვრების წესებისა და დისციპლინის დაცვა. უდისციპლინო ადამიანი იშვიათად თუ იქნება თავაზიანი. თავაზიანობის ამ ნიშანს ჩვენ ხშირად ვუწოდებთ წესიერებას. ცხადია, ეს ცნება აქ მეტად ვიწრო მნიშვნელობით იხმარება, იმ მნიშვნელობით, როგორც ამას ჩვენ ვხმარობთ ბავშვების მიმართ, როცა გვიან დავნახავთო წესიერი ბავშვი ცელქი, ცუდლუქტი ბავშვისაგან. ერთი სიტყვით, წესრიგის დაცვა თავაზიანობის უპირველესი ნიშანია.

თავაზიანი ადამიანის თვისებებიდან თვალში გვეცემა აგრეთვე თავმდაბლობა, მაგრამ ეს ნიშანი უფრო მეტია, ვიდრე თავაზიანობა და მთელი გარეგანი კულტურა საერთოდ. თავმდაბლობა ა და მ ა მ ა ნ ა ს შინაგანი კულტურის ერთ-ერთი ნიშანია და იგი არაა აუცილებელი იმისათვის, რომ ადამიანი თავაზიანი იყოს. მართალია, თავმდაბალი ადამიანი გაცილებით უფრო ადვილად მოახერხებს თავაზიანობას, მაგრამ არაა ადამიანი, რომლებიც ათავსებენ ქედმაღლობას და თავაზიანობას. არსებობს თავაზიანი თავხედობის

ცნებაც კი. სწორედ ეს გარემოება გვაიძულებს თავაზიანობის მიჩნევას გარეგანი კულტურის ნიშნად.

თავაზიანობის ცნებისათვის სახეებით საკმარისია ადამიანი იქცეოდეს ისე, როგორც თავმდაბალი, ანუ გავჩვენდეს თავს თავმდაბლად, თავმდაბლობდეს. ე. ი. ერთია, როცა ადამიანი თავმდაბალია, და სხვაა, როცა ადამიანი თავმდაბლობს. ცხადია, აქ არავლენიერებასთან გვექნია საქმე, მაგრამ ასეთი არავლენიერება შეუთავსებელია მხოლოდ შინაგან კულტურასთან, გარეგანი კულტურა კი ითავსებს და იტანს მას. შეიძლება ადამიანი არ იყოს გულწრფელი, მაგრამ იყოს თავაზიანი.

თავაზიანობისათვის, როგორც ვხედავთ, საკმარისი ყოფილა სხვისი უფლებებისა და ინტერესების გარეგნული დაფასება და პატივისცემა. როგორი მიმართებაც არის სიკეთესა და სამართლიანობას შორის, ისეთივე მიმართებაა თავმდაბლობასა და თავაზიანობას შორის. სასურველია ვიყოთ კეთილი, მაგრამ სავალდებულოა ვიყოთ სამართლიანი. ასევე, სასურველია ვიყოთ თავმდაბალი, მაგრამ აუცილებელია ვიყოთ თავაზიანი. იგი მინიმალური მოთხოვნაა, ელემენტარული და ამიტომ მიეკუთვნება გარეგანი კულტურის სფეროს.

თავაზიანი ადამიანის სხვა თვისებებთან ყურადღებას იპყრობს მოკრძალება და მორიდებულობა. ამ თვისების შეფასება ერთგვარ სიძნელესთან არის დაკავშირებული. ეს სიძნელე შედეგი სახაითისაა: თითქმის ყველას მოსწონს, როცა ადამიანი მოკრძალებული და მორიდებულია, მაგრამ იშვიადად თუ ვინმეს მოსწონს, როცა თვითონ არის მოკრძალებული და მორიდებული. აქ ადამიანის ბუნებაში ეგოიზმის ელემენტების გამოვლენასთან უნდა გვეჩინდეს საქმე. მოკრძალებული და მორიდებული ადამიანი თითქმის კარგავს რაღაც კუთვნილს, კანონების სხვის სასარგებლოდ. ე. ი. მოკრძალებისა და მორიდებულობების გრძნობები თითქმის უფრო უსამართლობას უწყობს ხელს, ვიდრე სამართლიანობას და სიკეთეს. მოკრძალება და მორიდებულობა ფსიქოლოგიურად სხვა არაფერია, თუ არა ერთგვარი კეთილშობილური შიშის გრძნობა რაიმე კუთვნილისა და კანონიერებისადმი. ამ გრძნობას მორცხობა ეწოდება. არის თუ არა იგი საიწივება?

მორცხობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისეთი ნედლი მასალაა, რომლიდანაც შეიძლება სათნოება გამოიყურწოს, მაგრამ თვითონ არ არის სათნოება. მორცხვობის გრძნობას დროთა განმავლობაში პრაქტიკული ცხოვრების გამოცდილება გადააქცევს სათნოებად, რომელსაც თავაზიანობა ეწოდება. სანამ ჯერ კიდევ არ არის პრაქტიკული ცხოვრების გამოცდილება, — მორცხვობის გრძნობა არ განიცდება როგორც მანიერება, პირობები, იგი სათნოებადაც კი მიიჩნევა, მაგალითად, პატარა ბავშვებში. ზნეობრივი სისპეტაკის იმედის მომცემა მორცხვი, მორიდებული ბავშვს. მაგრამ ამას ვეღარ ვიტყვით სწორად მორცხვობაზე. რამდენადაც საიწივება პატარა ბავშვების მორცხვობა, იმდენადაც მანიერებაა სწორი, ასაკოვანი ხალხის მორცხვობა. ასეთებზე ჩვეულებრივ ამბობენ: ვლახაია, საწყალია, უნაოა. სივალახე არ შეიძლება სათნოებად მივიჩნიოთ.

მასმადვე, მორცხვობის გრძნობა, რაც მოკრძალებასა და მორიდებულობაში მქადნებდა, არის არა სათნოება, არამედ მისი პირობა, საფუძველი, რომელიც უნდა გადაიზარდოს თავაზიანობაში. სათნოებათა გამოყენების არისტოტელესეული პრინციპის თუ გამოვიყენებთ, მაშინ მორცხვობა უნდა მივიჩნიოთ ერთ უკიდურესობად, ამის საპირისპირო უკიდურესობა იქნება თავხედობა, ხოლო მათ შორის მოთავსდება თავაზი-

ანობა, როგორც სათნოება. ცხადია, თავაზიანობა არ არის ამ მორცხვობის საშუალო არითმეტიკული ჯამი. იგი არ არის ცოტა მორცხვობა და ცოტა თავხედობა. თავაზიანობა ძალიან ახლოსაა მორცხვობასთან, ხოლო ძალიან შორს თავხედობისგან. ე. ი. არც ერთია და არც მეორე, მათგან განსხვავებულია.

მორცხვი, მორიდებული ადამიანი თითქმის სიმომბ თავის უფლებებს, ინტერესებს, ზიანს აყენებს საკუთარ თავს. ხოლო თავხედი ადამიანი ლახავს სხვების უფლებებს, ინტერესებს, ზიანს აყენებს სხვებს. თავხედობა თუ ვინმეს გაუღდის, ის იმას ნიშნავს, რომ ვიღაც ითმენს დამცირებას, მორცხვი და მორიდებულია. ორივე ამ უკიდურესობას მოხსნის თავაზიანობა. როცა მორიდებული აღარ იქნება მორიდებული, არც მისცემს სხვის თავხედობის უფლებას. თავაზიანობა დავეცემითა საკუთარი უფლებების და ინტერესების დაცვაში, სამართლიანობის აღდგენაში. თავაზიანობის გამოვლენას განსაკუთრებულ ფორმა უნდა, რომელსაც ტაქტი ეწოდება.

მასმადვე, თავაზიანობის ცნება მოკრძალებასა და მორიდებულობას გულისხმობს არა როგორც შემადგენელ ელემენტებს, არამედ, როგორც ამოსვლად მასალას, რომელსაც ტაქტი აძლევს ფორმას და აქცევს თავაზიანობად. ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება ადამიანი აღარ იყოს მორცხვი, მორიდებული, მაგრამ არ იყოს არც ურცხვი და თავხედი, ე. ი. იყოს თავაზიანი.

ბევრ რამეში მქადნებდა ადამიანის თავაზიანობა ნაცნობისადმი მისალმებით დაწყებული და უცნობისადმი დახმარებით დამთავრებული. არც პირველია უმნიშვნელო და არც უკანასკნელი — ზედმეტი. უფრო მეტის თქმა შეიძლება. ხშირად ჩვენ არაფერი არ ვიცით ადამიანის შესახებ, მაგრამ თავაზიანად მივიჩნევთ მას მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ არასოდეს არ ავიწყდება და არ გვახადლის სალამს. მისი თავაზიანობა მქადნებდა სწორედ იმას, რომ თვითონ გვესალმებოდა პირველი (მისალმებაზე პასუხის გაუცემლობას მხოლოდ უკიდურესი თავხედი თუ მოახერხებს). ცნობილია, რომ პირველი უმცროსი მისალმება უფროსს და ვაჟი მისალმება ქალს, მაგრამ თავაზიანი უფროსი და ქალი პუტედ არ იყენებს ამ უფლებას და თვითონ ესალმება პირველი, თუ კი უმცროსი და ვაჟს რატომაც მისალმება შეავიანდათ.

ცხადია, ეს არ ეხება ხელის ჩამორთმევას. ხელის ჩამორთმევა ერთგვარი შეწუხებაა, ამიტომ ამის ინიციატივის უფლება ეძლევა მხოლოდ უფროსს და ქალს. თვეწნე უფროსი და ქალი არ უნდა შეაწუხოთ ხელის ჩამორთმევით, მაგრამ თუ მათ თვითონ შეიწყება თავი, ეს იმას ნიშნავს, რომ დაფასავთ და მამსადამე, ამ შემთხვევაში სიამოვნებით უნდა „შეიწუხოთ“ თავი და ჩამორათვით ხელი.

თუ როგორ უნდა განზოცილებდეს თავაზიანობის ეს ელემენტარული ნიშანი — მისალმება და ხელის ჩამორთმევა, — ეს უკვე ტაქტისა და კეთილშობილური მანერების საკითხია. თავაზიანად იქცევა ყველა, ვინც, მაგალითად, ადგილს უთმობს სხვას, კერძოდ, ქალს არ უფროსს, მაგრამ ვინც ამ ზნეობრივ აქტს განსაკუთრებით გაუსვამს ხაზს, აქაო შემხედლი თა თავაზიანი ვარო — იგი უტაქტია. თავაზიანობა ნაცნობისათვის ტროლიუტუსის ბილეთის ალება, მაგრამ უტაქტობა ამ მიზნით ჭიღოლ-ჯიჯივას მოწყობა და სხვა მზარბრების შეწუხება. თავაზიანობა ჩუმი და უხმაურო უნდა იყოს, არ უნდა ყვიროდეს. ეს არის სწორედ ტაქტი. ხოლო კონკრეტული სხეულებრივი მოქმედება, რომელშიც ვლინდება ტაქ-



ტიანი თავაზიანობა, — არის კეთილშობილური მანერა.

მანერებად ითვლება ადამიანის სხეულის, მისი კიდურებისა და სახის ნაკეთების ისეთი მოძრაობა, რომელიც მიზანდასახულად ან უნებლიედ გამოიხატება ამ ადამიანის დამოკიდებულება სხვა ადამიანებისადმი, ცალკე მოვლენებისა და გარემო სინამდვილისადმი საერთოდ. ლაპარაკია ისეთ ფიზიოლოგიურ ჩვევებზე, ან მოქმედებებზე, რომლებიც ფსიქოლოგიურ განწყობილება-მდგომარეობას გამოხატავენ და ერთგვარი ზნეობრივი ღირებულება აქვთ, მაგალითად, ექსტი, მიოპია.

კეთილშობილური მანერების ცნებაში ექსტისა და მიმიკის კულტურაც იგულისხმება. ბერს სჩვევია უწყის ქედმალური მანჭვა-გრეხვა, ხელების ზედმეტი მოძრაობა, გაუთავებელი ლაპარაკი, სხვისთვის სიტყვის ჩამორთმევა, უურაღმდეგობა, ადამიანთა საუბრის დროს გვერდზე ყურება გამვლელთა შესამოწმებლად, ლამაზების უტიფარი ჩათვლიერება, საათზე დახედვა და ათასი მისთანანი. ყოველივე ეს ცალკე ტონის მანერებზეა, უტაქტიბა, უზრდელობა და უკულტურობა.

კარგი ტონის ანუ კეთილშობილურ მანერად ითვლება ყოველი ისეთი მოქმედება, რომელიც სხვა ადამიანისადმი პატივისცემას, დაფასებას, ყურადღებას და ზრუნვას გამოხატავს თავისი შინაარსით, ხოლო ესთეტიურ სიამოვნებას იწვევს თავისი ფორმით. ამ აზრით ვამოზღვით, რომ სიკვხავებ ფართო ცნებაა და იგი არ ამოიწურება მხოლოდ ჩაცმა-დახურვისა და სტილის სფეროებით. კეთილშობილური მანერებიც სიკვხავებით გამოირჩევიან, მოხდენილობით, მიმზიდველობით. მოქმედების სიკვხავებას და მოხდენილობას ქმნის ისეც და ისეც ტაქტი.

ტაქტი ზომიერების გრძნობაა და იგი შეიძლება გამოითქვას ცნობილი ბერძნული ფორმულით — „არაფერი ზედმეტი“. არც ზედმეტი დაყოვნება, არც ზედმეტი ამქარება; არც უფიქრით დუმილი, არც ზედმეტი ლაპარაკი, არც ზედმეტი ოფენიერება, არც ზედმეტი ფაქიზიარობა და ა. შ. არც ერთი უკიდურესობა. ყველაფერში გარკვეული ზომაა საჭირო. თუ კონკრეტულ სიტუაციას შეესატყვისება სწორედ ერთ-ერთი „უკიდურესობა“, მაშინ იგი აღარ იქნება „ზედმეტი“ და, მაშასადამე, არც უკიდურესობა არ იქნება. ე. ი. ფორმულა „არაფერი ზედმეტი“ ყოველსიმომცველია და უნივერსალური.

ასეთი ზომა არა მარტო ქცევის კულტურის, არამედ საერთოდ სილამაზისა და მშვენიერების ერთ-ერთი სასიყვარლო ნიშანია. საერთოდ, მშვენიერების ზომიერებისაგან განსხვავებით, ქცევისა და მოქმედების ზომიერება ანუ ტაქტი გულისხმობს გონკრეტული სიტუაციისადმი შესატყვისობას, მიზანწინაობას, იმის უსუსტად განსაზღვრას თუ როგორ, რა, როგორ და რა დროით არის საჭირო, შესაძლებელი ან აუცილებელი. ასეთი მიზანწინაობა განაპირობებს მოქმედების მაქსიმალურ ეფექტიანობას. ტაქტის როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით კარგად იცანა გამოცდელმა დიპლომატებმა, კრიმინალისებებმა, პედაგოგებმა, ხელოვნების მუშაკებმა.

მასობის ხელოვნება მნიშვნელოვანად ეყრდნობა ტაქტის გრძნობას. აქ მშვენიერების ზომიერება და მოქმედების ტაქტი ერთ მთლიანობაშია მოცემული. რაც უფრო ღრმა და ფაქიზია ხელოვნებაში ზომიერებისა და ტაქტის გრძნობა, მით უფრო დიდ და სრულქმნილ ხელოვნებაში ვგაქვს საკუთარ სიბრძნეულ მოქმედების თინორებლობასა და გულწრფელობის შეთავსებაშია. ვისაც ტაქტი აქვს, მან არა მარტო იცის, თუ როგორ უნდა დაიჭიროს თავი საზოგადოებაში ან ცალ-

კულ პიროვნებებთან, არამედ სრულიად თავისუფლად და ბუნებრივად ახერხებს ასეთ თავდაჭერას.

ვისაც ტაქტის გრძნობა განვითარებული აქვს, იგი უსუსტად და შეუმცდრად არჩევს შესაფერის დისტანციას ადამიანებთან ურთიერთობაში.

ადამიანებთან დამოკიდებულების თვისებრივი გარკვეულობა: ნაცნობობა, ამხანაგობა, მეგობრობა, ნათესაობა, მათადმი სიმამობა თუ ანტიპათია განაპირობებს მათთან ურთიერთობის გარკვეულ მანძილს, დისტანციას.

რაც უფრო ღრმა და მაღალია კავშირი, მით უფრო ნაკლებია დისტანცია. მაგრამ ვინც დისტანციის ხელოვნური შემცირების გზით ცდილობს კავშირის გაღრმავებასა და ამაღლებას, ის შეცდომას უშვებს. დისტანციის არაბუნებრივი შევლა (დაახლოებისაკენ) უტაქტიბობა, რაც ზოგჯერ საპირისპირო შედეგს იწვევს. თუ ვინმე თქვენთან ზედმეტად შინაურულობს, უნებოთ გელაპარაკება, მხარზე ხელს გირტყამს, იგი ამით თავს გაბეზრებთ. დისტანცია ურთიერთ სიმაპათიის ფუნქციაა და არა პირიქით: ურთიერთ სიმაპათია არაა დისტანციის ფუნქცია.

გარკვეული დისტანცია საჭიროა ყველაზე ახლომდებ და საყვარელ ადამიანებთანაც კი. აბსოლუტური უშუალობა ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის მოზეზრების ფაქტორის მოქმედებისათვის. განსაკუთრებით ითქმის ეს ქალ-ვაჟის ურთიერთობაზე. სიყვარული აახლოებს ქალ-ვაჟს, მაგრამ ამ დაახლოებას თავისი საზღვარი აქვს. უზომო სიახლოვე ისეთვე არაბუნებრივია, როგორც უსიყვარულო სიახლოვე. ასეთ არაბუნებრივობას კი უკულტურობად და უზნეობად მივიჩნევთ. ასეთი უკულტურობა ზოგჯერ შეიძლება სწორედ იქ იკედოდეს ფეხს, სადაც უფრო მეტია „უკულტურა და ცივილიზაცია“. ეს თავისთავად მეტად საინტერესო საკითხია, მაგრამ ახლა ამისათვის არ გვცალია. აქ იმის თქმა კმარა, რომ ასეთი წინააღმდეგობა აჩვენება გარეგანი და შინაგანი კულტურის არასრული შესატყვისობით, მათი ნაწილობრივი გათიშვითა და დაპირისპირებით.

ქალი და ვაჟი, თუ მათ სურთ, რაც შეიძლება, ნაკლებად მოზეზრდები ერთმანეთი — უნდა ცდილობდნენ არ ჩაჩქონ ურთიერთდაახლოებისა და ცნობისმოყვარეობის ინტერესის. მხოლოდ ზნეობრივი მოვალეობის გრძნობა ვერ გამოკვებას სიყვარულს, თუ ამ გრძნობას არ ახსვას, ან უფრო მეტი, თუ ეს გრძნობა არ ყურნობა ემოციურ-უსთეტიკურ ინტერესს. ემოციური ინტერესის შენარჩუნებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დისტანციას და ტაქტს. განსაკუთრებით ეხებათ ეს ქალებს.

კულტურულმა ქალმა არასოდეს არ უნდა დაჰკარგოს დისტანციისა და ტაქტის გრძნობა ქმართან ბუნებრივ უშუალობასა და ინტიმობაში. ინტიმობა და დისტანციურობა თითქმის გამორჩეულად ერთმანეთს, მაგრამ სწორედ ამ ურთიერთ დაპირისპირებულა შეთანხმების უნარია ტაქტი და ზომიერების გრძნობა.

ქალი თავისი მოკრძალებით, თავშეკავებულებით, სიფაქიზით უნდა ცდილობდეს იყოს ვაჟისათვის მუდმივი ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის საგანი. მხოლოდ სისუფთავე და სიკვხავე ვერ გაუმკლავდება მოზეზრების ფაქტორს, თუ მათ არ წაითმველათ თავაზიანობა, ტაქტი, დისტანცია, სიფაქიზე და კეთილშობილური მანერები. ყოველივე ეს მოვალეობა ზრდილობიანობის ცნებას, როგორც გარეგანი კულტურის ყველაზე არსებით ნიშანს.

ზრდილობა, როგორც თვითონ სიტყვა გვეუბნება, აღზრდილი ფუნქციაა. იგი გამოუმუშავდება ადამიანში თანდათანობით, ბავშვობიდანვე. არაფერი ისე დიდ გავლენას არ ახდენს ზრდილობის გამოუმუშავებაზე, როგორც მაგალითი და წრე, გარემო.

მართალია, ბავშვს უნდა ასწავლო ზრდილობის წესები, თავაზიანობა, ტაქტი, კეთილშობილური მანერები, კამის, ლაპარაკის და საერთოდ ყოველგვარი მოქმედების კულტურა, ხშირად უნდა შეასწავლოს და დამახსოვროს ისინი, მაგრამ მხოლოდ დასწავლით ზრდილობიანობა ვერ მიიღწევა. ერთია გასხვავდეს ზრდილობის წესები და სხვაა გაგაჩნდეს შინაგანი მიდრეკილება, მისწრაფება მათი განხორციელებისა, ანუ ჩვევა.

ზრდილობიანობის ჩვევების გამოუმუშავებას სჭირდება ზრდილობიანობის მაგალითი, ზრდილობიან ადამიანსა წრე და საერთოდ კულტურული გარემო. შეიძლება ასევე უთხრა ბავშვს, რომ, მაგალითად (მეთხველის წინაშე ბოდიშს ვიხდი არასეთეტიკური მავალითებისათვის). სწორედ ამ არასეთეტიკურობის გამო იფიქრებს ისინი უკულტურობაზე ხალხში დამტყნარება პირზე ხელის დაუფარებლად, სხეულის მოხება, შარვლის ღილებს შეგვრა, ცხვირის მოწეწება უცხლისასოცოდ, ცხვირში თითის შეყოფა (საერთოდ, არამატრო ხალხში) და სხვა ასეთები უკულტურობაა, მაგრამ საკმარისია ერთხელ მაინც შევისწროს ამავე უკულტურობაში, რომ მთელი შრომა წყალში ჩაიყაროს. მართალია, ამით ბავშვი კიდევ ერთხელ დარწმუნდება, რომ ყოველთვის უკულტურობაა, (მასწავლ წარმოითქმა უარყოფითი ემოციები, თუ კი კარგად გაიო მან ასეთ მოქმედებათა უკულტურობა), მაგრამ მოეწონება მისი ყურადღება და თვითკონტროლი. იგი ადვილად შეითავისებს წესს: „ამ ერთხელ და მეტი არა!“ როგორც გვხვავით, უარყოფითი მაგალითიც მაგალითია, მაგრამ დადებითი სულ სხვაა. პედაგოგებმა კარგად იციან მაგალითის როლი ბავშვთა აღზრდაში საერთოდ, განსაკუთრებით ემება ეს ზრდილობიანობის აღზრდას. ვისაც სურს, რომ მისი აღსაზრდელი ზრდილობიანი იყოს, პირველ რიგში თვითონ უნდა იყოს ზრდილობიანი.

რა ქნა იმ ადამიანებმა, რომლებიც არ იზრდებოდნენ ზრდილობიან, კულტურულ ადამიანთა გარემოცვაში და ახლა კი მტკივნეულად გრძობენ ამ ხარვეზზე? ვინც თავის უტაქტობას და „გაუთვლოლობას“ მტკივნეულად გრძობს, ის არ შეიძლება მონდომებული არ იყოს დაეუფლოს გარეგანი კულტურის ამ ელემენტებს, ხოლო თუ არის მონდომება, მაშინ არაფერი არაა მიუწვეველი. დასწავლა და ვარჯიში ის საშუალებებია, რომლითაც ადამიანი თანდათანობით დაეუფლება ამ ჩვევებს. სიმძლე აქ ძველი უკულტურო ჩვევების გადაწვევა უფროა, ვიდრე ახალი ჩვევების გამოუმუშავება, მაგრამ ის, რაც ძნელია, მიუღწეველი როდია. თავაზიანობას, ტაქტს, კეთილშობილურ მანერებს და ზრდილობის საერთოდ მით უფრო მტკი შინაგანი ღირებულება გააჩნია, რაც უფრო ძნელი შრომა-გარჯობა და მონდომებით არის იგი მიღწეული. ასეთი მონდომებებია და ზრუნვითი შექმნილი გარეგანი კულტურა უფრო ადვილად გადადის შინაგან კულტურაში.

გარეგანი კულტურის ნიშნებიდან განსაკუთრებულად ურომა-გარჯა ესპორტობა მეტყველებს კულტურის დაუფლებაში. იგი იმდენად მნიშვნელოვანი თვისებაა, რომ უნდა შევხედოთ კიდევ მიიჩნინო გარეგანი კულტურის ნიშნად. რამდენადაც იგი ზრუნვების კულტურის გამოხატულებაა, ამდენად, მართ-

ლაც, შეიძლება მისი მიჩნევა შინაგანი კულტურის ნიშნად მაგრამ ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანი ძალიან ზრდილობიანობის, მაგრამ ცუდად აზროვნებს, ამიტომ პრიციპულად იგი მიიღვარება კულტურის სფეროს მიეკუთვნება, თუ კი ულოგიკო ლაპარაკი გარეგანი კულტურიდან შინაგან კულტურაში გარდამავალ სპეციფიკურ ფორმებზე.

ასეთ სპეციფიკურ ფორმებზე არ ვლაპარაკობთ, იმიტომ, რომ გარეგანი კულტურის ყოველი ნიშანი უფრო მათ არსებას ჩავეყვებით — გადადის შინაგან კულტურაში. საკმარისია თანმიმდევრულად შევადაროთ ერთმანეთს გარეგანი და შინაგანი კულტურის ნიშნები:

სისუფთავისა და ჯანმრთელობისათვის ზრუნვა გადადის სხეულის უმაღლესი ფუნქციის — აზროვნებისათვის ზრუნვაში, სიკოტავე, წესიერი ჩაცმა-დახურვა, გადადის ესთეტიკურ აღზრდაში, მხატვრული გემოვნების სიფაქიზეში; ზრდილობიანობა, ტაქტი კეთილშობილური მანერები გადადის ზნეობრივ სისპეტაკეას, სინდისსა და პატიოსნებაში.

### შინაგანი კულტურის ნიშნები

ადამიანის შინაგანი კულტურა, როგორც იტყვა, იგივე სულიერი კულტურაა. სულიერი კულტურის ნიშნების გარკვევისათვის თვით სულის ცნების ანალიზის საჭირო. სულ არსებობს, მაგრამ იგი არ არის არც სუბაფიზიკური და არც რელიგიური რამ. ადვილია იმის თქმა, თუ რა არის სული, მაგრამ ძალიან ძნელია იმის თქმა, თუ რა არის სული. ფსიქოლოგის შენიჭებებს დღემდე ვერ მიღწევიან ამ ცნების ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებელი განსაზღვრებისათვის. ამ სფეროში ჩვენი ცოდნა ჯერჯერობით ვერ სცილდება ზოგად განსაზღვრებებს და სულიერ ფენომენთა აღწერა-დახასიათებას.

სული, როგორც ცნობილია, სხვა არაფერია, თუ არა ცნობიერება. ცნობიერება არის მატერიის განვითარების უმაღლესი პროდუქტი. იგი უმაღლესად ორგანიზებული მატერიის — ტვინის ფუნქციაა, ამასთან ყველაზე მაღალგანვითარებული არსების — ადამიანის ტვინის ფუნქცია. ცნობიერების საშუალებით მატერია თავისთავში იხედება და ასეთი თვითცნობიერებით უფრო ორგანიზებულ ხასიათს აძლევს თვითგანვითარებას. მატერიის მიერ თავის თავში ჩახედვა ადამიანის მიერ სინამდვილის შეცნებაა. ცნობიერების ამ ფუნქციას გრძობა და ეწოდება.

აღქმული, ასახული, შეცნებული, სინამდვილე ადამიანში ან სიმორფების იწვევს ან უსიამოვნებას. ადამიანს ან მოსიამოვნება სინამდვილე, ან არა. ცნობიერების ამ ფუნქციას გრძობა და ეწოდება.

აზროვნებითა და გრძობადობით შევასებებ სინამდვილეს ადამიანი გარკვეულ აქტობურ შემოქმედებას ახდენს, რომ გარდაქმნას იგი საკუთარი ინტერესების შესაბამისად. ცნობიერების ასეთი აქტობის ფუნქციას ნებელითა ეწოდება.

აზროვნების, გრძობადობისა და ნებელობის ფუნქციებით ხასიათდება ადამიანის ცნობიერება ან სული. შესაბამისად, ადამიანის შინაგანი, სულიერი კულტურა მოიცავს აზროვნების სიღრმეს, გრძობადობის სიღრმეს და ნებელობის სიმტკიცეს. აზროვნების სიღრმეს იძლევა ინტელექტური განვითარება. გრძობადობის სიფაქიზეს ესთეტიკური აღზრდა, ხოლო ნებელობის სიმტკიცეს — ზნეობრივი სისპეტაკე. მასშაბადამე, ადამიანის შინაგანი კულტურის ნიშნებია: ინტე-

ლექტური განვითარება, ეს თეტიკური აღ-  
ზრდა და ზნეობრივი სისხეკეტაჲ.

### ინტელექტური განვითარება

„ინტელექტი“, „გონება“, „აზროვნება“, „ჭეუბა“ — ერთს და იმავე მნიშვნელობით იხმარებს. ეს ტერმინები აღნიშნავენ სინამდვილის შემცნების, გაგების, ახსნის უნარს, რაც მხოლოდ ადამიანს გააჩნია. აზროვნება მატერიის მოძრაობის უმაღლესი ფორმა და მოაზროვნე არსების წარმოშობა ბუნების უმაღლესი პროდუქტია, მისი კანონზომიერი აღმავალი განვითარების ლოგიკური შედეგია. თუ ბუნებამ ადამიანი გააჩინა როგორც მოაზროვნე არსება, პირველ რიგში სწორედ აზროვნებაში უნდა ხედავდეს იგი თავის სპეციფიკას, შინაარსს და დანიშნულებას.

რომ შევეცადოთ შევაჯამოთ კაცობრიობის ცხოვრების გამოცდილება და მოაზროვნება აქედან ცხოვრების აზრი, ვნახავთ, რომ ერთ-ერთი ობიექტური შედეგი კაცობრიობის არსებობისა, არის სამყაროს შემეცნება, მის არსებაში შეჭრა და ჭეშმარიტების დაგროვება. ჭეშმარიტების დაგროვების პროცესში და მის შედეგად ადამიანი გარდაქმნის სინამდვილეს თავისი ინტერესების შესაბამისად.

ადამიანის ინტერესი თვითდაკმაყოფილების მოთხოვნილებაა, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სიცოცხლის შენარჩუნება და ჭეშმარიტებისაკენ უსასრულო სვლა. ადამიანი იკმაყოფილებს მოთხოვნილებებს, უკლის საკუთარ თავს, რომ შესძლოს წარმატებით განახორციელოს თავისი ძირითადი დანიშნულება, სამყაროს შემეცნებისა და ჭეშმარიტების წვდომის საქმე.

ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ბრძოლის სუბიექტური აზრი აქვს და იგი გამოიხატება ბედნიერების იდეით. ჭეშმარიტებისათვის ბრძოლა ისტორიაში კვალს ტრავებს კონკრეტულ ჭეშმარიტებათა სახით. ხოლო ბედნიერებისათვის ბრძოლა არავითარ კვალს არ ტრავებს. ინდივიდის მიერ მოპოვებული ბედნიერება ქრება ინდივიდის სიკვდილიან ერთად (უფრო მეტი, ხშირად ადამიანი ბედნიერებას უფრო ანადრავს, ვიდრე სიცოცხლეს). ე. ი. ჭეშმარიტება კაცობრიობის ცხოვრების ობიექტური აზრია, ხოლო ბედნიერება — სუბიექტური.

კაცობრიობის ცხოვრების ეს ობიექტური და სუბიექტური აზრი არ არის ერთმანეთისაგან მოწყვეტილი და გათიშული. ობიექტური აზრი, მიზანი ვერ განხორციელდება ისე, თუ იგი არ გადაიქცევა სუბიექტური აზრის ძირითადი შინაარსად. ჭეშმარიტების იდეას რომ არავითარი კავშირი არ ჰქონდა ბედნიერების იდეასთან, მაშინ ადამიანი მხოლოდ ბედნიერებისათვის იბრძოლებდა და თავს არ შეიზღუებდა ჭეშმარიტების ძიებით. მაგრამ, როგორც ვიცით, ასე არ ხდება. ეს ორი იდეა მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან და განაპირობებენ ერთმანეთს:

1. ადამიანს სურს ბედნიერი იყოს იმიტომ, რომ კარგად ემსახუროს ჭეშმარიტების საქმეს და 2) ადამიანი ემსახურება ჭეშმარიტების საქმეს იმიტომ, რომ სურს ბედნიერი იყოს.

ორივე ეს დეჲულება, გარკვეული აზრით, სწორია, ჭეშმარიტია, მაგრამ აჲ ჯერ კიდევ არ არის გამოთქმული ამ ორი იდეის შინაგანი კავშირი.

თუ ადამიანი იმიტომ ემსახურება ჭეშმარიტებას, რომ ჭეშმარიტების საშუალებით უფრო ეფექტურად დაიკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს და უფრო მეტად იქნება ბედნიერი,

მაშინ ჭეშმარიტება მხოლოდ საშუალება ყოფილა, ხოლო ბედნიერება — მიზანი. ასეთი ვარაუდის შემთხვევაში, კაცობრიობის არსებობის არავითარი აზრი, მიზანი არა აქვს და ადამიანი არსებობს მხოლოდ არსებობისათვის. ადამიანი ჩნდება არა თავისი ნებით, მაგრამ რადღან გაჩნდა მას სხვა არაფერი არ დარჩენია, თუ არა ბრძოლა სიცოცხლისათვის. თუ მის არსებობას სხვა რაიმე აზრი არ გააჩნია, გარდა თვით არსებობისა, მაშინ არც არსებობას არა აქვს აზრი, და ისეთივე აზრი აქვს სიკვდილს, როგორც სიცოცხლეს.

ესადაა, ასეთ კონცეფციას ჩვენ ვერ გავიზარებთ. მაშასადამე, უნდა ვივაროთ, რომ არსებობას აქვს რაღაც ობიექტური აზრი თვით არსებობისაგან განსხვავებული. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ჭეშმარიტების სამსახური. ე. ი. ჭეშმარიტება არის არა მარტო საშუალება, არამედ ამავე დროს (და პირველ რიგში) მიზანი. ამ მიზნის სამსახური ადამიანის შინაგან მოთხოვნილებად იქცევა და ამის გამო გამოირცხლება ჭეშმარიტებისა და ბედნიერების ცნებათა დაპირისპირება. ადამიანი ბედნიერად მიიჩნევს თავს იმდენად, რამდენადაც იკმაყოფილებს ამ უმაღლეს მოთხოვნილებას ანუ ემსახურება ჭეშმარიტების იდეას. ადამიანი არსებობს არა არსებობისათვის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ჭეშმარიტების სამსახურისათვის. ეს არის კაცობრიობის ცხოვრების ერთ-ერთი ობიექტური მიზანი. ამის გამო აზრი აქვს მხოლოდ სიცოცხლეს და არა სიკვდილს. ადამიანის სიცოცხლის აზრი გარკვეული ობიექტური ღირებულების არის. ასეთი ობიექტური ღირებულება, პირველ რიგში, არის ჭეშმარიტება.

თუ ადამიანი არ ქმნის რაიმე ობიექტურ ღირებულებას, იგი ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას და ვერ აკმაყოფილებს ადამიანობის ცნებას. მაგრამ ხომ არ შეიძლება, რომ ყველა ადამიანი ჭეშმარიტებას ემსახურებოდეს უშუალოდ, ანუ ყველა სწავლული და მეცნიერი იყოს? რა თქმა უნდა, არა.

ჯერ ერთი, გარდა ჭეშმარიტებისა, არსებობს კიდევ სხვა ღირებულებანი (როგორცაა, მაგალითად, მშვენიერებისა და სიკეთის იდეები) და მათთვის სამსახური ადამიანური ბუნების გამოვლენაა. გარდა ამისა, ადამიანურ ბუნებას ავლენს ისიც, ვინც ემსახურება არა უშუალოდ ამ უმაღლეს იდეებს — ჭეშმარიტებას და მშვენიერებას. არამედ ამ იდეებისათვის სამსახურის პირობებს. ე. ი. ადამიანურ ბუნებას ავლენს ყველა, ვინც შრომობს და რაიმეს აკეთებს.

მაშასადამე, სწავლულობა, მეცნიერება ანუ მაქსიმალური ინტელექტური განვითარება საგალღებული არაა ყველასათვის, იგი მხოლოდ სასურველია.

თუ მაქსიმალური ინტელექტური განვითარება მხოლოდ სასურველია ყველასათვის, სამაგიეროდ მინიმალური ინტელექტური განვითარება საგალღებულა და ითვლება ადამიანის შინაგანი კულტურის ერთ-ერთ ნიშნად. თუ სისულთავე და ჯანმრთელობისათვის ზრუნვა ადამიანის გარეგანი კულტურის ერთ-ერთ ნიშნად მივიჩნით იმიტომ, რომ იგი ხელს უწყობს ადამიანის კეთილდღეობას და მისი ძირითადი დანიშნულების — გონიერი მოღვაწეობის რეალიზაციის საქმეს, თვით ეს ძირითადი დანიშნულება — გონიერი მოღვაწეობა მით უმეტეს უნდა მივიჩნიოთ ადამიანის შინაგანი კულტურის ერთ-ერთ ნიშნად.

ინტელექტი თუ შემეცნების უნარია, განვითარებული ინტელექტი იმას ექნება, ვინც უფრო კარგად, ღრმად შემეცნებს სინამდვილეს, ვინც მოვლენების იქეთ მათ არსებას სწავლება,



ამ მოვლენათა მიზნების იცის და შეუძლია მომავალი შედეგების გათვალისწინება.

შემცენება, როგორც ცნობილია, ხორციელდება ცოცხალი განჭვრეტადან აბსტრაქტული პროფესიისაკენ სვლის გზით, რომლის შედეგები მოწოდება პრაქტიკაში ანუ ისევ ცოცხალი განჭვრეტებით. რაც უფრო მრავალმხრივ არის აღქმული მოვლენა შეგრძნებების სფეროში, მით უფრო ადვილად იქმნება წარმოდგენები და ცნებები. მეორეს მხრივ, რაც უფრო შრიდა იმეცნება ადამიანი სინამდვილის სხვადასხვა მოვლენებს, მით უფრო ვარჯიშდება როგორც ცალკე შეგრძნებებისა და აღქმების, ისე წარმოდგენებისა და ცნებების შემუშავების უნარი ანუ პროფესიის უნარი. პროფესია, გონება, ჭკუა ჩვენ გვინდა არა თავისთვისად, არამედ იმისათვის, რომ ვიცოდეთ სინამდვილე, ანუ გვეჩვენებოდეს ცოდნა ე. ი. ცოდნა, განათლება მიზანია, ხოლო ჭკუა და გონება საშუალებაა. ჭკუა-გონების საშუალებით დავეუფლებით ცოდნას და გარდავექმნით სინამდვილეს.

ცოდნისა და გონების ასეთი დაფიქრებითი შეფასების მიხედვით, უფრო ადვილია მათი ერთიანობისა და ურთიერთგანპირობების წარმოდგენა და გათვალისწინება. ინტელექტური განვითარების ცნება აუცილებლობით გულისხმობს პროფესიის შინაარსის ორსვე ამ ელემენტს: ერთადიციას და გონებობას.

ინტელექტური განვითარების გარეშე შეუძლებელია ლაპარაკი ადამიანის შინაგან კულტურაზე, ამასთან, მასზე ბევრად არის დამოკიდებული შინაგანი კულტურის სხვა ნიშნები, როგორცაა ესთეტიკური აღზრდა და ზნეობრივი სისხეპეკე.

**ესთეტიკური აღზრდა**

ადამიანი არა მარტო იმეცნება სინამდვილეს და იცის თუ როგორია იგი, არამედ ამავე დროს აფასებს სინამდვილეს, ზოგს იწონებს, ზოგს იწუნებს. სინამდვილის ასეთი შეფასება, მოწონება-დაწუნება, როგორც ითქვამს, სინამდვილისადმი ადამიანის გრძნობა-ემოციური დამოკიდებულების უნარის ფუნქციაა. გრძნობა სინამდვილე მოქმედებს ჩვენი გრძნობის ორგანოებზე: მხედველობაზე, სმენაზე, ყნოსვაზე და ა. შ. ადამიანი ამ ორგანოებით შეიგრძნობს ფერს, ფორმას, ბევრს, სუნს, გემოს და ყოველივე ამით აღიქვამს მთელ საგანს.

შეგრძნებებისა და აღქმის გზით წარმოდგენები და ცნებები წარმოიშობა და ადამიანი საგნის შინაგან კანონზომიერებას შეიმეცნება, ასეთი შემეცნების შედეგი არის ცოდნა, აზრი, ჭეშმარიტება. მაგრამ ცოდნის გარდა, გრძნობად აღქმის შედეგად (და შიშობდება უფრო ადრეც, ვიდრე ცოდნა წარმოიშობდება) წარმოიშობა გარკვეული ემოციები.

სხვადასხვა საგანი ან მოვლენა ადამიანში სხვადასხვა ემოციებს იწვევს, მოსწონს ან არ მოსწონს იგი. ის, რაც მოსწონს — ახარებს, ატკობს, ამშვიდებს ან აღაზნებს, ააქტიურებს, ხოლო რაც არ მოსწონს — აწუხებს, ამფთობს, აღუნებს, პასიურს ხდის; ერთი სიტყვით, საგანი ადამიანში ან სასიამოვნო ემოციებს იწვევს ან უსიამოვნოს.

საგანთა და მოვლენათა ის ნიშანი, თვისება, მხარე, რომელიც სიამოვნებას იწვევს, იწოდება სიამაზულად ან მშვენიერებად, ხოლო ის, რაც უსიამოვნებას იწვევს — სიამაზუნდა, ჭეშმარიტებისა და სიყალბის გარდა, გვაქვს მშვენიერებისა და სიამაზუნის კატეგორიები. ჭეშმარიტება ან ყალბი შეიძლება იყოს მხოლოდ აზრი, სუბიექტური, რომელიც ობიექტურია ანაზრად. მშვენიერი და მახინჯი კი შეიძლება იყოს ყველაფერი, რაც კი შეიძლება მოქმედებდეს ჩვენი გრძნობის ორგანოებზე.

ნიშნებს. გამოთქმებს: „მშვენიერი აზრი“, „მახინჯი აზრი“ უპირველეს ყოვლისა, ფიქრალური მნიშვნელობა აქვთ, ხოლო შემდეგ მათ შეიძლება ჰქონდეთ „მოსაწონი ან დასაწონი აზრის“, „სხარაგებო ან სასიამო აზრის“ და „კეთილი ან ბოროტი აზრის“ მნიშვნელობები.

თუ ჭეშმარიტება-სიყალბე, როგორც პრედიკატები, მიეწერება მხოლოდ სუბიექტურს და გამოხატავს აუცილებლად ობიექტურს, მშვენიერება-სიამაზუნე მიეწერება მხოლოდ ობიექტურს (რაც მოქმედებს გრძნობის ორგანოებზე) და გამოხატავს როგორც ობიექტურს, ისე სუბიექტურს. ეს იმას ნიშნავს, რომ მშვენიერება არა მარტო საგნის თვისებაა, არა მარტო ობიექტურია, არამედ ამ საგნის შემფასებლის, ადამიანის თვისებაც არის, სუბიექტურია.

მშვენიერების ობიექტურ ნიშნებად მიღებულია საგანთა და მოვლენათა ისეთი ობიექტური თვისებები, როგორცაა სიმეტრია, პროპორცია, რიტმი, პარმონია და სხვა. საგანთა ეს თვისებები სილამაზის ფორმალურ პრინციპებად არიან მიჩნეული.

მშვენიერების კრიტერიუმად აქ გამოდგება არა მარტო ობიექტურობა, არამედ საყოველთაოობა. ობიექტურად მშვენიერი საგანი ყველა ადამიანში ერთნაირ დადებით ემოციებს, სიამოვნებას უნდა იწვევდეს. თუ ეს არ ხდება — იმით აიხსნება, რომ შედა და იმავე საგანს აფასებენ სხვადასხვა შეფასებებით. შეფასების უნარი ადამიანებს განსხვავებული აქვთ. არავის არა აქვს შეგრძნების ერთნაირი უნარი, ერთნაირი სიძლიერის ინტელექტი, წარმოსახვის უნარი და შესიერება.

შემფასებელი აპარატის ელემენტთა სხვაობა იწვევს შეფასების ინდივიდუალურობას, რასაც ინდივიდუალური, სუბიექტური გემოვნება ეწოდება. ეს უკანასკნელი ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული: მიორეალური მონაცემებზე (თანდაყოლილი ელემენტები), გრძნობის ორგანოთა სიჯანსაღეზე, ინტელექტური განვითარების დონეზე, პრაქტიკული ცხოვრების გამოცდილებაზე, გარემოზე, ტრადიციებზე, აღზრდაზე, კონკრეტულ განწყობაზე და ა. შ.

რაც უფრო ნაკლებია სხვაობა ამ ფაქტორებში, მით უფრო მეტია მსგავსება გემოვნებაში. გარდა ამისა, რაც უფრო განვითარებული არიან ადამიანები ინტელექტურად, მით უფრო მსგავსი გემოვნება აქვთ. იდეალურად განვითარებულ ადამიანებს არ შეიძლება მსგავსი გემოვნება არ ჰქონდეთ, რამდენადაც სუბიექტურ გემოვნებათა განვითარების იდეალ ობიექტურ მშვენიერებასთან მაქსიმალური მიახლოებაა. ობიექტური მშვენიერება კი ერთიანი და საყოველთაოა.

მაშასადამე, მხატვრული გემოვნება საგანთა და მოვლენათა ობიექტური მშვენიერების შეფასებაში მთავარ როლს, და მალაღვანურადად, ჯანსაღი გემოვნება აქვს იმას, ვინც ყველაზე ღრმად სწვდება ერთიან საყოველთაო ობიექტურ მშვენიერებას.

იმისათვის, რომ ადამიანი სწორად აღიქვამდეს მოვლენებს და სწორად აფასებდეს ობიექტურ მშვენიერებას, საჭიროა იზრუნოს როგორც გრძნობის ორგანოების, ისე ინტელექტის განვითარებამზე. მხატვრული გემოვნება არ არის მოწყვეტილი ინტელექტურ უნარს, პირობით, იგი ან უკანასკნელის ერთ-ერთი ფუნქციაა.

ინტელექტური უნარის განვითარება ბევრად არის დამოკიდებული გრძნობის ორგანოების განვითარებაზეც, მაგრამ, თავის მხრივ, მნიშვნელოვან როლს უწყობს სვლს გრძნობის განვითარებას.



აქ ლაბარაკია არა იმაზე, რომ ადამიანს კარგი მხედველობა და სწენა უნდა ჰქონდეს ამ ფუნქციათა ბიოლოგიური მნიშვნელობით. ბევრ ცხოველს შესანიშნავი მხედველობა და სწენა აქვს, მაგრამ ისინი, როგორც ფიქრობენ, ბევრად უფრო ნაკლებად შეიგრძნობენ ფერებისა და ბგერების მშვენიერებას, ვიდრე ადამიანი. აქ პრინციპულად, თვისობრივ სხვაობასთან გვევს საჭმე. კარგი მხედველობა ნიშნავს ამ შემთხვევაში არა შორს ხედვას და პატარა სხეულის შემწნევას, არამედ ფერების ყოველი ნიუანსის გარჩევას და მათი რეპროდუქციის, წარმოსახვის უნარს. ასევე სწენაც; კარგი, აქტიური სმენის მთავარი ნიშანი მოსმენილის რეპროდუქციისა და წარმოსახვის უნარში მდგომარეობს.

ვისაც ასეთი წარმოსახვის, ან ყოველ შემთხვევაში, გარჩევის, შეოფასების უნარი განვითარებული აქვს, ის უფრო სწორად აღიქვამს ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერებას, სწორად აფასებს საგნების და მოვლენების სილამაზეს, და თვითონაც ყიდება თავისი მოქმედება და ცხოვრება სილამაზის, მშვენიერების კანონებს დაუქვემდებარებს. ასეთ ადამიანზე შეიძლება ითქვას, რომ მას მაღალგანვითარებული ესთეტიკური გეოვრება აქვს.

თუ გარკვეულ სიოხტავე და წესიერი ჩაცმა-დახურვა ადამიანის გარეგანი კულტურის ერთ-ერთი ნიშანია, საერთოდ მხატვრული, ესთეტიკური გემოვნების სიფაქიზე და მშვენიერების შეფასების უნარი ადამიანის შინაგანი კულტურის შემადგენელი ელემენტია.

რაც უფრო ხშირად ეზიარება ადამიანი მშვენიერებას, რაც უფრო მეტ მშვენიერ საგნებსა და მოვლენებს აღიქვამს, მით უფრო უნეითარდება ესთეტიკური შეფასების უნარი, ფაქიზი და დახვეწილი ხდება მისი მხატვრული გემოვნება.

ადამიანი არ გამაყოფილებდა ბუნების მშვენიერებით, იგი თვითონ ქმნის მშვენიერებას ხელოვნების სხვადასხვა დარგების სახით, და მათი ათვისების გარეშე, ხელოვნებისა და ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების გაჩინების გარეშე, შეუძლებელია ესთეტიკური გემოვნების აღზრდა და განვითარება.

კულტურული ვერ იქნება ადამიანი, თუ მას წარმოუდგენია არა აქვს კლასიკურ ხელოვნებასა და ლიტერატურაზე, თუ იგი არ ეცნობა თანამედროვე ხელოვნების მიღწევებს და საუკეთესო ლიტერატურულ ნაწარმოებებს.

კულტურული ადამიანი ზოგადად მაინც უნდა ერკვეოდეს ხელოვნების ყოველ დარგში და სისტემატურად უნდა კითხულობდეს მხატვრულ ლიტერატურას; მან უნდა იცოდეს არა მარტო თავისი შობილიური, არამედ მთელი მსოფლიოს ყველა ხალხთა ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევები.

ესთეტიკური განათლება მხატვრული გემოვნების აღზრდის ძირითადი საშუალებაა. ესთეტიკური განათლება საერთოდ

განათლების ერთ-ერთი სახეობაა და იგი ინტელექტური განვითარების საშუალებაა, მაგრამ იგი გადაუმყვებ რღმს ახტრულებს მხატვრული გემოვნების აღზრდაში და ამიტომ განვიხილავთ მას შინაგანი კულტურის ამ ნიშანთან დაკავშირებით. აქ ისიც კარგად სჩანს, თუ როგორ აპირობებს ინტელექტური განვითარება ესთეტიკურ აღზრდას და ადამიანის მთელს შინაგან კულტურას საერთოდ.

ესთეტიკური აღზრდის ამოცანა მხოლოდ იმაში არ მდგომარეობს, რომ ესთეტიკური განათლების გზით ადამიანის მხატვრული გემოვნება ფაქიზი გახდეს და მას მშვენიერების ღირსეული შეფასება შეეძლოს. ესთეტიკური აღზრდის ცნებაში შედის მშვენიერების არა მარტო შეფასების, არამედ შექმნის უნარის განვითარებაც. ერთია, როცა უნარი გაქვს გაიგო და დატკბე მშვენიერი მელოდით, ლექსით, მხატვრული ტილოთი ან ცკვით, და სულ სხვაა, როცა შენ თვითონ ქმნი ამ მელოდის, ლექსს და ა. შ. პასიური და აქტიური მხატვრული უნარის განსხვავება სწორედ ამაშია.

მართალია, საუფლებლო არაა ადამიანი დიდი შემოქმედი იყოს იმისათვის, რომ იგი კულტურულად მივიჩნიოთ, მაგრამ აუცილებელია ყოველი ადამიანი ზრუნავდეს განავითაროს მხატვრული შემოქმედების ის ნიჭი, უნარი, მიდრეკილება, რაც მას გააჩნია.

ნორმალურ ადამიანს არ შეიძლება მხატვრული შემოქმედების რაღაც მიდრეკილება არ გააჩნდეს. თუ იბადებიან ამა თუ იმ მხატვრული ნიჭით დაკავშირებული ადამიანები, არავინ არ იბადება ნორმალურთაგან ამსოფლებლოდ ყოველგვარ ნიჭს მოკლებული. საჭიროა მხოლოდ სწორად გაიგოს მან, თუ რა მიდრეკილება აქვს და ვარჯიშისა და ესთეტიკური განათლების გზით მიაღწიოს მხატვრული უნარის სრულყოფას. ესთეტიკური აღზრდის ცნებაში ესეც იგულისხმება, და ვისაც სურს მაღალ-განვითარებული მხატვრული გემოვნება ჰქონდეს, უნდა ცდილობდეს თვითონაც შემატოს რაიმე მშვენიერების მსოფლიო საგანს. ადამიანი ზრა მარტო უნდა ტკბებოდეს სხვების მიერ შექმნილი ესთეტიკური ღირებულებით, არამედ თვითონ უნდა მიწაწილობდეს ამ ღირებულების შექმნაში.

სხვისი სიაგონებისათვის ზრუნვის აუცილებლობას ესთეტიკური გრძნობის სფეროდან გადავყვართ ეთიკური გრძნობის სფეროში. ხელოვნების დანიშნულება, როგორც ცნობილია, არ ამოწურება ესთეტიკური ტკბობის ფუნქციით. ამ ტკბობის პროცესში და მისი საშუალებით ხელოვნება, მშვენიერება ამაღლებს ადამიანს, სწმენდს მის სინდისს და აჯანსაღებს ზნეობას. ყოველივე ეს განიხილება, როგორც ადამიანის შინაგანი კულტურის მესამე და ყველაზე უმნიშვნელოვანესი ნიშანი.





კ. თოთიბაძე

სტამბოლი „სია სოფია“



ბ. თეთრაძემ

ქ. თაყაიშვილი 1961 წ.

თურქული ჩანახატებიდან სტამბოლის "ერთი ქუჩა"



კახეთი, ზამთარი


ა  
ბ  
გ  
დ  
ე  
ვ  
ზ  
ი  
კ  
ლ  
მ  
ნ

ვერიკო ანჯაფარიძე

სსრკ სახალხო არტისტი

**მ**ეგობარზე ლაპარაკი ძალიან ძნელია, მით უფრო, თუ ის დიდი ხელთვალია და იმ დარვის წარმომადგენელი, რომელზეც ლაპარაკი ზერელედ არ შეიძლება. სხვაგვარად კი ვერ შევძლებ, რადგან არ ვარ მცოდნე, სპეციალისტი ამ დარგისა. ელენე ახვლედიანი ჩემი საყვარელი მეგობარია. ჩვენ ერთად განვეუღეთ დიდი გზა — ქართული სამჭოთა თეატრის დაბადებისა და განვითარების პერიოდი, მეგრულ ერთად განვიცდით უდიდესი სიხარული და მწუხარება. ელენე ახვლედიანის შემოქმედება განუყოფელია ჩვენს საყვარელ თბილისთან, ქართული მაჯისცემაა მის მხატვრობაში, ქართული ტემპერამენტი, ქართული სიუჟე და სიჭარბე. მთავარი თემა ელენე ახვლედიანის მხატვრობისა არის ბუნება, ის, რითაც განსაკუთრებით მდიდარი და გასაოცარია საქართველო.

ქალხორის უღელტეხილზე





ჭიათურა




ვაჟა-ფშაველას „მელის ნუკრის ნაამბობის“ ილუსტრაცია

ელენე ახვლედიანის სელოვნებაში იგრძნობა ბუნების დიდი სიყვარული, ბუნებამ თითქოს გადაუხსნა მას გული. ბევრი მისი სურათი მალეღვებს, მე ვხედავ მათში არა მარტო დიდოსტატის ხელს, არამედ შინაგან სიცოცხლეს, შინაგან თრთოლვას, ღრმად ჩაუვლდომას ბუნების საიდუმლოებაში, მის ნაირფერობაში. კომპოზიციის საოცარი გრძნობა, ერთ-ერთი მიმზიდველი თვისებაა ელენეს მხატვრობისა, დახვეწილ გემოვნებას ავლენს იგი. ძველი თილისის ამსახველ ტილოებში, ან პარზის კუბხეებში, ანდა სულ ახალ-ბოლო ორი წლის ნამუშევრებში, ყველგან ნათლად ჩანს, თუ რა მაღალი გემოვნებით ქმნის იგი კომპოზიციას. ბრწყინვალეა მისი ზამთრის პეიზაჟები! რა დინამიკაა, რა მკაფიო რიტმი! ზამთრის სუსხი იგრძნობა სურათებში, თითქოს ცივი ქარი ზუზუნებს ხეებს შუა, თითქოს თოვლის სიწმინდეს სიცოცხე მოაქვს და სითბოც... ან თუნდაც მისი ჯვარი — მედიდური, საოცრად შთამბეჭდავი, ქართლის მზის სხივებით მოფენილი ველები...

თეატრში ელენე ახვლედიანი კოტე მარჯანიშვილმა მოიყვანა, მანვე გააცნო პირველად თეატრალური მხატვრის როლი პროფესიას. ელენე ახვლედიანის მრავალი დადგმა გამოირჩევა მაღალი გემოვნებით. დეკორაციების კონსტრუქცია და, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია, ფერწერა საოცრად მკაფიოა; იგი ქმნის ატმოსფეროს, ღრმად წვდება აწარმოების დედაზრს. ელენეს ესკიზები ტიპიკისათვის — ეს უკვე ცალკე თემაა, იმდენად საინტერესო და მეტყველნი არიან ისინი. ყოველი მათგანი მოქმედებაშია, დაჭერილია თვითთელი მოქმედი პირის დამახასიათებელი მოძრაობა, შესტიკულაცია, სახის გამომეტყველება. ამიტომ ველოდებით ხოლმე მოუთმინლად ჩვენ — მსახიობები მისგან პერსონაჟთა ესკიზებს. ისინი არათუ იზმარებიან მსახიობს სახის გახსნაში, ხანდახან მიაგნებიანებენ კიდევ მოვარს, რაც ერთბაშად ვერ ამოუკითხავს მსახიობს როლში. ჩემი მუშაობის სტატი რეჟისურის დარგში პატარაა, სამი დადგმიდან ორ საქვეტაკოში ელენესთან ერთად ვიმუშავე, და უნდა ვაღიარო, მისმა ნიჭმა, გემოვნებამ, ცოდნამ დიდი გავლენა იქონია ჩემზე. მე კვლავ ვაპირებ დადგმების მომზადებას და მისარია, რომ მომეცემა საშუალება კვლავ შევხედდე ელენეს. მხატვარი არავის არ ანდობს დეკორაციების განხორციელებას. ის დღე და ღამე თეატრშია, არ იცის დაღლა, დასვენება. ხან ჩაქუჩით ხელში ნახავთ მას, ხან ხერხით, რა თქმა უნდა, ფარდების ტილოების დახატვას არავითარ შემთხვევაში არავის დაუთმობს; მხურვალედ იზრძვის ყოველი პატარა დეტალისათვის.


ელენე ახვლედიანი ცნობილია არა მარტო საქართველოში. მას სწორად იწვევენ საბჭოთა კავშირის დიდი ქალაქების თეატრები.



ტალინი, ზამთარი



მატილი



თილახი

ელენეს ძალზე უყვარს მუსიკაც, და არ  
 არის შემთხვევითი, რომ მისი საუკეთესო  
 მეგობრებია დიდი პიანისტები რის-  
 ტერი, ნეიგაუზი და სხვები. მას უყვარს  
 ადამიანები, კეთილი გული აქვს, ყვე-  
 ლაზე ნაკლებად თავის თავზე ფიქრობს,  
 ხოლო მეგობრისათვის მზად არის უკა-  
 ნასკნელიც გაიღოს, უმწელესიც გააკე-  
 თოს. დიდბუნებოვანი, მუდამ მამიე-  
 ბელი, მუდამ დაუცხრომელი, ახალგაზრ-  
 დული ენერჯით სავსე — ასეთია ელენე  
 ახვლედიანი. მას ცხოვრებისა და შემოქ-  
 მედების ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გა-  
 სავლელი. ჯანმრთელობასთან ერთად  
 ვუსურვებთ ახალი შემოქმედებითი  
 მწვერვალების დაპყრობას, სიხარულსა  
 და ბედნიერებას.

მოსკოვი ომის დღეებში



# საქართველოს გიგლიოთეკები ორმოცი წლის თავზე

გრიგოლ ზაქარაია

საქართველოს შრომელები არჩახული შრომითი ენთუზიაზმით შეხედნენ დიდ ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 40 წლისთავს.

ამ ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავად რესპუბლიკის ყველა კუთხეში გაჩაღდა თავდადებული შრომა ახალი შეიქმნილი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ჩვენი ქალაქების, დაბებისა და სოფლების კიდევ უფრო გამწვანებისა და კეთილმოწყობისათვის. ყოველივე ეს განსაკუთრებით საგრძნობია ჩვენი რესპუბლიკის გულში — თბილისში.

ქართველი ხალხი აჯამებს თავის მიღწევებსა და მონაპოვრებს ყველა დარგში.

რაკი ამ წერილში საბიბლიოთეკო საქმეზე გვექნება ლაპარაკი, თვალს გადავაფიქროთ ამ დარგის განვითარებას.

1917 წელს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშიც ბიბლიოთეკების რაოდენობა ძალზე მცირე იყო. სოფლის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა დარჩენილი იყო საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე.

საბიბლიოთეკო მუშენებლობა ფართოდ გაიშალა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებების შედეგად მწიფდებოდა გაიზარდა საბიბლიოთეკო ქსელი. შეიკვალა ბიბლიოთეკების მუშაობის ამოცანები, შინაარსი, ფორმები და მეთოდები.

დღეს, საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავზე შექმნილია და აქტიურად მოქმედობს საბიბლიოთეკო სისტემა, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, მასობრივ, სასკოლო, უმაღლეს სასწავლებლებს, დარგობრივ, პროფკავშირულ, სასოფლისეობრივ ორგანიზაციას, სამეცნიერო და სხვა ტიპის ბიბლიოთეკებს, რომელთა რაოდენობა ხუთი ათასზე მეტია, ხოლო მათი წიგნები ფონდი კი 28 მილიონს აღემატება. აქედან სოფლად მუშაობს 2.600-მდე ბიბლიოთეკა, რომელთა წიგნობრივ ფონდში 7 მილიონზე მეტი ეგზემპლარი წიგნია.

საბჭოთა ბიბლიოთეკების მუშაკები წარმატებით ატარებენ ცხოვრებაში დიდი ბეღლის ველადიშვრ ოლიას ძე ლენინის მითითებებს მშრომელთა ფართო მასაში წიგნის აქტიური პროპაგანდის შესახებ. ჩვენი რესპუბლიკის მარტო მასობრივი ბიბლიოთეკები, სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკების ჩათვლით, ყოველწლიურად 800.000 მუდმივ მკითხველს ემსახურებიან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული იქნა სპეციალური დადგენილება ჩვენი ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი გამჯობების ღონისძიებათა შესახებ, რომელიც სსრ კავშირში საბიბლიოთეკო საქმის შემდგომი განვითარების გამოწმ პროგრამას წარმოადგენს.

საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნა-

ციონალიზმის სულისკვეთებით მასების აღზრდაში, მათს მობილიზაციაში კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადასაჭრელად ინტენსიურად მონაწილეობენ სამეცნიერო და მასობრივი ბიბლიოთეკები. ამ მხრივ, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მუშაობა. 1923 წელს ამ ბიბლიოთეკას თავის წიგნობრივ ფონდში ჰქონდა მხოლოდ 50.000 ცალი წიგნი, ამჟამად კი საქართველოს ეს ცენტრალური წიგნსაცავი წარმოადგენს საბიბლიოთეკო მუშაობის ცენტრს, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიისა და საქართველოს სსრ წიგნის ისტორიის დარგში. იგი ყოველწლიურად ემსახურება 400.000-მდე მკითხველს და აძლევს მათ 1,5 მილიონამდე ცალ წიგნს. რა დროსაც არ უნდა ესტუმროთ ბიბლიოთეკის ნათელ და ღამაზად გაფორმებულ სამკითხველო დარბაზებს, ნახათ ასობით მკითხველს, მათ შორის აკადემიკოსებს, პროფსოფლებს, მეცნიერ-მუშაკებს, მუშებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს, სტუდენტებს, მოსწავლეებს და ა. შ.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მუშაობა კოლექტივი დიდფერეცირებულად ემსახურება მკითხველთა სხვადასხვა კატეგორიას. მრავალმა სტუდენტმა და ასპირანტმა აქ დაამუშავა თავისი სადიპლომო და სადისერტაციო შრომა.

ყველა დასახლებული პუნქტის, ყველა ოჯახის წევრით მომსახურებისათვის ჩვენი რესპუბლიკის სოფლებში გარკვეული მუშაობა ტარდება. თითქმის ყველა რაიონში შედგენილია სოფლის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ერთიანი გეგმები. საქართველოს მთელი რიგი სასოფლო საბჭოების დასახლებული პუნქტები მთლიანად უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო მომსახურებით.

მკითხველთა მომსახურების მოძრავე ფორმები, როგორც ეს სკაპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაშია მითითებულიც, ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაობაში, რაც ხორციელდება კიდევ პრაქტიკაში.

ახლა უკვე საჭიროა ბიბლიოთეკებმა თავიანთ მუშაობაში გამოიყენონ ახალი ქმედითი ფორმები და მეთოდები. ერთ-ერთ ასეთ ფორმას წარმოადგენს თაროებთან მკითხველთა თავისუფალი დაშვების მეთოდი.

მოსკოვისა და სხვა ქალაქების ბიბლიოთეკების მაგალითსამებრ, ეს მეთოდი გამოყენებულია ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ ბიბლიოთეკაში. მაგალითად, თბილისში ამ მეთოდით ემსახურება მკითხველებს ხუთი საქალაქო ბიბლიოთეკა, ასეთ მუშაობაზე გადავიდა აფხაზეთის რესპუბლიკური, ბორჯომის, მცხეთის, სამტრედიის სარაიონო, ლესელიძის (გორის რაიონი) სასოფლო და სხვა მთელი რიგი მასობრივი ბიბლიოთეკა.

რეკოლეციაში თითქმის ჩამოსათვლიელი იყო ბიბლიოთე-

კები თბილისშიც. ამგვარად კი თბილისში 600-ზე მეტი ბიბლიოთეკაა, რომელთაც ცამეტი მილიონი ეგზემპლარი წიგნი აქვთ.

ნაყოფიერად მუშაობს ალ. ჯაფარიძის სახ. თბილისის ცენტრალური საქალაქო სამეცნიერო ბიბლიოთეკა, — დედაქალაქის მისობრივი ბიბლიოთეკის მეთოდური ცენტრი. მის წიგნობრივ ფონდში 150.000-ზე მეტი ეგზემპლარი წიგნია, ყოველწლიურად 8.000-მდე მკითხველს ემსახურება.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შემდეგ, ალ. ჯაფარიძის სახ. თბილისის ცენტრალური საქალაქო სამეცნიერო ბიბლიოთეკაში წარმოებასთან წიგნობრივი ფონდის მიახლოების მიზნით, მ. კალინინის სახელობის პოლიტიკურ ჯარხანაში გახსნა ბიბლიოთეკის ფილიალი, სადაც მულტიკორულ და მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად დიდი რაოდენობით აქვთ ტექნიკური ხასიათის ლიტერატურა; შემოღებულია თავისუფალი მისვლა წიგნების თაროებთან, სისტემატურად ეწყობა ტექნიკური წიგნების დათვალიერება საამქროებში, აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ფილიალი მომსახურებას უწევს არა მარტო ჯარხნის მუშა-მოსამსახურეებს, არამედ მათი ოჯახის წევრებსა და ჯარხანასთან ახლო მცხოვრებ მოსახლეობასაც.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან აგრეთვე ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სახ. მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის, თბილისის ისტორიულ სამეცნიერო და დედაქალაქის სხვა მთელი რიგი მასობრივი ბიბლიოთეკები.

თუ თბილისის მეორე სახალხო ბიბლიოთეკაში, რომელიც დაარსებულია 1894 წელს და რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაშინ ფონდში ჰქონდა სულ 1.444 ქართული და 49 რუსული წიგნი, ჰყავდა 179 მუდმივი მკითხველი — დღეისათვის, შუამნიშნის სახელობის ამ საქალაქო ბიბლიოთეკაში 70.000-ზე მეტი ეგზემპლარი წიგნია. თუ მაშინ ბიბლიოთეკა ერთი წლის განმავლობაში იძინდა მხოლოდ 60-მდე ეგზემპლარ წიგნს, ამგვარად, ბიბლიოთეკა ყოველწლიურად საშუალოდ იძენს 3.500-ზე მეტ ეგზემპლარს, ნაცვალად მ. შინდინი 179 მუდმივი მკითხველისა, ახლა ბიბლიოთეკის მუდმივი მკითხველთა რაოდენობა 7.000-ს აღწევს. აქ სისტემატურად ატარებენ ხმავალად კითხვა-საუბრებს, მკითხველთა კონფერენციებს, გაშლილია საწრეთ მუშაობა, ყოველ ისტორიულ თარიღთან დაკავშირებით ეწყობა ლიტერატურის თემატური გამოფენები და სხვ.

ასევე შეიძლება ითქვას დედაქალაქის ლენინის, სტალინის, პლენანოვის, კრუჟსკაიას, ა. წერეთლის სახელობისა და სხვა საქალაქო ბიბლიოთეკების მუშაობის შესახებ.

\* \* \*

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ იზრდებოდა საბიბლიოთეკო დაწესებულებათა ქსელი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, შეიძლება მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითები ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებიდან და რაიონებიდან.

როგორც ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიური ანგარიშობად ჩანს, აფხაზეთის ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ბიბლიოთეკების რაოდენობა ძალზე მცირე იყო, ისიც მეტად დაირიბი და უმნიშვნელო წიგნობრივი ფონდით. ორომეო წლის მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა საბიბლიოთეკო დაწესებუ-

ბულებების რაოდენობა და მასთან ერთად წიგნობრივი ფონდიც. ახლა აფხაზეთის ასსრ მშრომელთა საბიბლიოთეკაში — სახურებს ასორციელებენ მკითხველის სხრ ბულებების სამინისტროს გამგეობაში მყოფი 213 ბიბლიოთეკა, მათ შორის ერთი რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, საქალაქო — 13, რაიონული — 5, საბავშვო — 9, სასოფლო — 80, საკლუბო დაწესებულებებთან არსებული — 74, სოფლის სამკითხველო — 19 და საკულმურნო — 11, რომელთა წიგნობრივი ფონდში 1.021.500 ეგზემპლარზე მეტი წიგნია. გარდა ამისა აფხაზეთის ასსრ-ში წიგნის პროპაგანდას ეწევიან: პროფკავშირული 15 ბიბლიოთეკა, 93.000 ეგზემპლარი წიგნობრივი ფონდით და 283 საუწყებო ბიბლიოთეკა — 1.171.200 ეგზემპლარი წიგნადი ფონდით. ასე, რომ ამგვარად აფხაზეთში მთლიანად არის 511 ბიბლიოთეკა, 2.285.855 ეგზემპლარი წიგნით.

ეგვიპტოში, აღნიშნული ციფრები თავისთავად დალადებენ. აფხაზეთის ასსრ-ში მოქმედ ბიბლიოთეკებს შორის, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია აფხაზეთის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ნაყოფიერი მუშაობა.

სიხუმის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, საბიბლიოთეკო მუშაობის მეთოდურ ცენტრს წარმოადგენს ოლქის მასშტაბით. ამგვარად ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდში 185.000-მდე ეგზემპლარი წიგნია. ბიბლიოთეკა ყოველწლიურად ემსახურება 7.500-ზე მეტ მუდმივ მკითხველს და მათზე სცემა ნახევარ მილიონ ეგზემპლარზე მეტ წიგნს. მის მიერ ჩატარებული მთელი რიგი მეთოდური მუშაობის შედეგად, საგრძნობლად გაუმჯობესდა ცალკეული ბიბლიოთეკების საქმიანობა.

მაგალითად, ვაგრის რაიონი, რომელიც საბიბლიოთეკო მუშაობის მხრივ 1956 წელს უკანასკნელ ადგილზე იდგა, შვედ მესამე წელია პირველობის ინარჩუნებს აფხაზეთში. რაიონის ყველა ბიბლიოთეკა მუშაობის ნორმალური პირობები აქვს. შედგენილია სისტემატური და ანაზნური კატალოგები, წიგნობრივი ფონდი გაუმყინდელია მოძველებული ლიტერატურისაგან, გამოციცხლდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგადაა დაყენებული საქვ. ვაგრის სარაიონი, საქალაქო, ლესელიძის, განთიადის სასოფლო, სალმეს საკულმურნო და ბუიფის სასოფლო კლუბთან არსებულ და სხვა ბიბლიოთეკებში. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ რაიონის ბიბლიოთეკების მუშაკები უმირადა უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას. ვაგრის სარაიონო ბიბლიოთეკამ მოაწყო სასოფლო ბიბლიოთეკების გამგეობა ექსპურსია სოფ. სალმეს საკულმურნო ბიბლიოთეკაში მისი მდიდარი გამოცდილების გაზიარების მიზნით.

საბიბლიოთეკო მუშაობის დარგში აფხაზეთის მასშტაბით მეორე ადგილზეა ოჩამჩირის რაიონი. ცხადია, აქვე დიდი მუშაობა გაწეული, მაგრამ ეს რაიონი მრავალეროვნად, ტერიტორიულად დიდი, რის გამოც ვაგრის რაიონთან შედარებით მუშაობა უფრო ძნელია. ამ რაიონში 54 ბიბლიოთეკაა. მათ შორის სარაიონო ბიბლიოთეკა წარმოადგენს მეთოდურ ცენტრს. საგულმსხმოა ისიც, რომ სარაიონო ბიბლიოთეკაში ორგანიზებულია სოფლის ბიბლიოთეკარის კუთხე, შედგენილია სოფლის ბიბლიოთეკებისადმი მეთოდური დახმარების გეგმა. სარაიონო ბიბლიოთეკის მუშაკები სისტემატურად ენიღიან ადგილებზე (სასოფლო ბიბლიოთეკებში) მეთოდურ-პრაქტიკული დახმარების გასაწევად სასოფლო ბიბლიოთეკების უმრავლესობას აქვს ანაზნური კატალოგი, ხოლო ნა-



წილს — სისტემატურიც ყოველწლიურად იზრდება მუდმივ მკითხველთა რაოდენობა. მაგალითად, თუ 1956 წელს 1,554 მუდმივი მკითხველი იყო, მიმდინარე წელს იგი გაიზარდა 2,350-მდე. წარმოება-დაწესებულებებში, საკოლმეურნეო ბრევადებსა და ფერებში ბიბლიოთეკას 13 მოძრავი ბიბლიოთეკა აქვს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — „ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, ბიბლიოთეკების მუშაება წინაშე გრ-ანდო-ზულ ამოცანებს აყენებს. ეს ამოცანები მდგომარეობს სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პროპაგანდაში, საბჭოთა ადამიანების კომუნისტურად აღზრდაში და ა. შ.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკის თანამშრომლები, სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით, არ ზოგავენ ენერჯიას, რათა უახლოეს ორ-სამ წელიწადში წარმატებით განახორციელონ დასახული ამოცანები.

ორბიცი წლის მანძილზე აჭარის ასსრ-ში დიდად გაიზარდა საბიბლიოთეკო დაწესებულებების ქსელი.

ამჟამად აჭარის მოსახლეობას ემსახურება ყველა უწყებებისა და ტაბის 219 ბიბლიოთეკა, ერთ მილიონამდე ეგზემპლარში წიგნით; აქედან სოფლად 187 ბიბლიოთეკა, 52ა.000 ეგზემპლარი წიგნით. მართო კულტურის სამინისტროს გამგებლობაში მყოფი ბიბლიოთეკების რაოდენობა 89-ს აღწევს, 600.000 ეგზემპლარი წიგნობრივი ფონდით. ეს ბიბლიოთეკებია: საოლქო — 1, სარაიონი — 5, საქალაქო — 6, სასოფლო — 67, საბავშვო — 9, და მოძრავი ბიბლიოთეკა-ავტომობილი — 1.

აღსანიშნავია აჭარის საოლქო ბიბლიოთეკის მუშაობა, რომლის წიგნობრივი ფონდში 135.775 ეგზემპლარი წიგნია. ყოველწლიურად ამ ბიბლიოთეკას 6.800 მუდმივი მკითხველი ჰყავს.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში 71 ბიბლიოთეკაა, 340.000 ეგზემპლარი წიგნით, მათ შორის სოფლად — 60 ბიბლიოთეკა 190.780 ეგზემპლარი წიგნით.

ჩვენი რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიულ ცენტრში — ქუთაისში მოსახლეობას მომსახურებდას უწყვეტ სხვადასხვა უწყებების ბიბლიოთეკები, სულ 34, მათ შორის სახელწიფო საჯარო — 1; საქალაქო — 17, საბავშვო — 6 და პროფკავშირული 10, რომელთა ფონდში 756.000 ეგზემპლარი წიგნია.

ქუთაისის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა, ქალაქის მასშტაბით საბიბლიოთეკო მუშაობის მეთოდური ცენტრი, თავის ფონდში 280.000 ეგზემპლარი წიგნს ითვლის, ყოველწლიურად ემსახურება 5.600 მუდმივ მკითხველს.

თუ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გორში მხოლოდ ერთი ბიბლიოთეკა-სამკითხველო იყო, დღეისათვის გორის რაიონში 85 მასობრივი ბიბლიოთეკაა 380.525 ეგზემპლარი წიგნობრივი ფონდით, აქედან სოფლად 76 ბიბლიოთეკა 242. 469 წიგნით.

გორის საქალაქო, რაიონული და სასოფლო ბიბლიოთეკები ყოველწლიურად 2.000-მდე მუდმივ მკითხველს უწყვენ

მომსახურებას. სისტემატურად აწყობენ ლიტერატურის გამაფრენებს, მკითხველთა კონფერენციებსა და ლექცია-მოსხენებებს. მკითხველთა უკეთ მომსახურების მიზნით, ბიბლიოთეკათა შორისობი აბონემენტით სხვა მსხვილი ბიბლიოთეკებიდან ლეზულტონ მათთვის საჭირო წიგნებს და ა. შ.

გორის სარაიონი ბიბლიოთეკა რაიონის მასშტაბით საბიბლიოთეკო მუშაობის ნამდვილი მეთოდური ცენტრია. იგი სისტემატურად ემსახურება სასოფლო ბიბლიოთეკებს მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების 1915 წლის ანგარიშიდან ირკვევა, რომ ამ საზოგადოების სენაკის განყოფილების გამგებლობაში იყო: ახალ-სენაკის, აბაშის, ნაოლაქების, აბეღაბის, ბანძის, ეწერის, ლეზანდაროს, ნაქალაქების, ნოსირის, ონტოფოს, სეფიეთის, წყნის, კვაუთისა და გეკეთის 14 ბიბლიოთეკა. ამჟამად მარტო ცხაკაის (ყოფ. სენაკი) რაიონში 35 ბიბლიოთეკაა, გატყვევების — 60, აბაშის რაიონში — 35.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან წარმოებებთან, კოლმეურნეობებთან სარაიონი, სარაიონო საბავშვო, გატყვედილის, ნაფოსტარის, საელიავოს, ნაგავაზოს, ქვედა ხუნწის, კურსუს და სხვა სასოფლო ბიბლიოთეკები. გახსნილია მოძრავი ბიბლიოთეკები, გაცემის პუნქტები, წარმოებს წიგნდამატარებლობა, ოჯახების შემოვლა და ა. შ.

რაიონის ბიბლიოთეკებმა შემოიღეს წიგნის თარობებთან მკითხველთა თავისუფალი დაშვების მეთოდი. გარდა სარაიონო ბიბლიოთეკისა, ამ მეთოდით მუშაობენ ნაფოსტარის, საელიავოს, გატყვედილის, ქვედა ხუნწის, აბეღათის, ზედა ნაგავაზოს, ინჭურის, პირველი ნაქოლოფოს, თამაკონის, კურსუს, გურძემის და კიწიის სასოფლო ბიბლიოთეკები. ამის შედეგად გაუმჯობესდა მუშაობის ხარისხი, საგრძნობლად გადიდა მკითხველთა და მათზე გაცემული წიგნების რაოდენობა. ასე, მაგალითად, თუ სარაიონი ბიბლიოთეკას 1959 წელს 2400 მკითხველი ჰყავდა, 1960 წელს მკითხველთა რაოდენობამ 3000-ს გადააჭარბა.

ცხაკაის და აბაშის სარაიონო ბიბლიოთეკები წიგნ-ს პროპაგანდის მძლავრ კერებს წარმოადგენენ. ბიბლიოთეკებში ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები, მკითხველთა კონფერენციები, რომლის ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად წინასწარ ადგენენ ლიტერატურის სარეკომენდაციო სიებს, აწყობენ გამოფენებს, უშვებენ კედლის გაზეთის სპეციალურ ნომერს, ამზადებენ მოსვენებებს და ა. შ.

ცხაკაის, გვეჯეკორის და აბაშის სარაიონი ბიბლიოთეკებმა ეროვნული დღესასწაულისათვის მზადების პერიოდში კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობა. პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პროპაგანდის მიზნით მოწყობილი აქუო ლიტერატურისა და სხვა მასალების გამოფენები.

იგივე შეძლება ითქვას აღნიშნულ რაიონებში არსებულ სხვა ბიბლიოთეკებზედაც.

ახლა, როცა ჩვენი დიდი ქვეყანა მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ კომუნისტების კამპანა მწვერვალებისაკენ, ბიბლიოთეკებმა, როგორც ცოდნის მძლავრმა კერებმა, მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ მშრომელი ხალხის კომუნისტურად აღზრდის საქმეში.





მოსწენებით გამოდის კრიტიკოსი  
ბესო ჯღენტაძე

## თამარ ჭავჭავაძის საიუზილეო საღამოზე



სენა სპეტაკილიან „მადამ სან-ჟენი“  
კატრინ ლეფერვი — თ. ჭავჭავაძე, ნაოლეონი — ტ. საყვარელიძე



რიგელი სტუმრები  
მისაღებების იუბი-  
ლარს



სამალაზებლო სიტყვას ამბობს იუბილარი — თამარ ჭავჭავაძე

სცენა სპეტაკელიდან „ოთარაანთ ჭერიი“. ოთარაანთ ჭერიი — თ ჰეიზაიძე



ხელოვნების  
მუშაკები  
მეისაღმებთან  
იუბილარს

# სახვითი ხელოვნების სწორი შეფასებისათვის

ზურაბ აკაბაძე

ცნობილია მარქსისტულ-ლენინური დებულება იმის შე-სახებ, რომ ნამდვილი ხელოვნება მისაწვდომი და გასაგები უნდა იყოს ხალხისათვის. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელოვნება გასაგები იქნება ესთეტიკური გემოვნებისა და ესთეტიკური მიმდებარების აღზრდის გარეშეც. სხეულები დე-ბულება მხოლოდ იმას გამოსთქვამს, რომ არ არსებობს პრინციპული საზღვრები ესთეტიკური მიმდებარებისა და გე-მოვნების გამომუშავებაში, რომ ყოველი ნორმალური ადამი-ანისათვის შესაძლებელია მაღალი მხატვრული გემოვნების აღზრდა.

ამ ბოლო ხანებში ჩვენში განსაკუთრებით გახშირდა სახვითი ხელოვნების გამოფენები. ამას უდიდესი მნიშვნე-ლობა აქვს ფართო საზოგადოებრიობის სთეტიკური აღზრ-დისათვის. ხელოვნება საერთოდ, და სახვითი ხელოვნება კერძოდ, ფლობს გამოსატყვის თავისებურ, სპეციფიკურ საშუ-ალებებს, ანუ იყენებს, ასე ვთქვათ, სპეციფიკურ „ენას“, რომლის ადეკვატური გაგებაც მოითხოვს მასთან სისტემა-ტურ ურთიერთობას და ამის საფუძველზე შესატყვისი ჩვე-ვების გამომუშავებას.

ჩვენი ფართო საზოგადოებრიობა ძირითადად კარგად ერკვევა სახვითი ხელოვნების მხატვრულ ნორმებში, ახერ-ხებს სახვითი ხელოვნების ნიმუშების მართებულ შეფასებას. მეორეს მხრივ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ადგილი აქვს შეცდარ შეფასებებსაც, რომელთაგან შეიძლება გამოი-ყოს მოტივიტი ტაბიური შემთხვევა.

ერთ-ერთი ასეთი ტაბიური შემთხვევაა ხშირად გამოთქმუ-ლია ხოლმე იმ შენიშვნის სახით, რომ მოცემულ ნაწარმო-ებში წარმოდგენილი გამოსახულება არა ჰგავს, ან ნაკლებად ჰგავს შესატყვის რეალურ საგანს.

საერთოდ რეალური, ბუნებრივი საგნისადმი მსგავსების მოთხოვნა თავისთავად არც მართებულია და არც უმართე-ბული; გააჩნია, თუ როგორი მსგავსებაა ნაგულისხმევი.

ყოველი საგანი და საგნობრივი სიტუაცია ერთის მხრივ რაღაც არსებული ფაქტია, რომელიც შეიძლება აღწერიდ ამ თუ იმ გარეგული ნიშნის მიხედვით, მაგალითად, თუ რა სიერებისა, ზომისა, ფერისა და, ვთქვათ, კონტრულური მიხა-ზულობისა იგი. მეორეს მხრივ საგნები, საგნობრივი სიტუა-ციები მონაწილეობენ ადამიანის არსებობასა და ცხოვრე-ბაში, მონაწილეობენ ადამიანის ბედში. ამიტომაც მათ ადა-მიანის არსებობისა და ცხოვრებისათვის, ადამიანის ბედი-სათვის გარკვეული მნიშვნელობა და ღირებულება გააჩნიათ. ადამიანი გაიარებს და განიცდის მათ, როგორც გარკვეულ ღირებულებებს. ამასთან, ადამიანს არა მხოლოდ არსებო-ბის მოთხოვნილება აქვს და არა მხოლოდ ამ თვალსაზრი-სით აუხებენ სამყაროს, არამედ მას გააჩნია ღირსების შეე-რება და ეს იმას ნიშნავს, რომ იგი აგრეთვე თავის არსებო-ბასაც აძლევს გარკვეულ შეფასებას ადამიანური არსებობის რაღაც იდეალის მიხედვით; ანუ ადამიანს ყოველთვის გააჩ-ნია რაღაც იდეალი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს

ადამიანის არსებობა და ცხოვრება, თუ როგორი არსებობა და ცხოვრება შეფერის ადამიანს, და ამ იდეალთან მიხალო-ვებისა თუ დამორების მიხედვით, გაიარებს და განიცდის თავის და საერთოდ ადამიანის ფაქტიურ ცხოვრებას.

სახვითი ხელოვნება, წარმოსახვას რა ჩვენს ცხოვრებაში ფაქტიურად თუ შესაძლებლობის სახით მონაწილე საგნებს, საგნობრივ სიტუაციებს, მათ შორის, თვითონ ადამიანებს, ამით მათ უნრათოდ აღწერას კი არ იძლევა, არამედ გამოხა-ტავს მათს მნიშვნელობას და ღირებულებას ადამიანის არ-სებობისა და ცხოვრების თვალსაზრისით, საბოლოო ანგარი-შით, ადამიანური არსებობისა და ცხოვრების გარკვეული იდეალის თვალსაზრისით. ამგვარი გამოსატყვის შესაძლებ-ლობა ყურდნობა შემდეგ გარემოებებს: საგნები და საგნო-ბრივი სიტუაციები იმ სახით, რა სახითაც ისინი მონაწილეო-ბენ ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენგან ღებულობენ გარკვეულ შე-ფასებას, ანუ გაიარებიათ და განიცდიან როგორც გარ-კვეული ღირებულებანი. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ სახვითი ხელოვნება ახდენს საგანთა და მოვლენათა მნიშვნე-ლობა-ღირებულების გამოსატყვის უკვე იმით, რომ მიუთი-თებს ჩვენი ნაცნობ საგნებსა და მოვლენებზე და ჩვენს წარმოდგენაში აცოცხლებს მათ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ სახვითი ხელოვნება არ შეიძლება დასაყრდეს მხოლოდ ამ ამოცანას, ანუ იმას, რომ მივცემა ჩვენთვის ნაცნობ საგანთა გამოსახულებანი და ამის საფუძველზე აღძრას ჩვენი ცხოვ-რების გამოცდილების შესატყვისი შეფასებითი დამოკვეთუ-ლება ამ საგნებისადმი. ამ ამოცანის განხორციელებას სჭირ-დება მხოლოდ საგანთა გარეგნობის ზუსტი გადმოღება, რა-საც, სხვათა შორის, შესანიშნავად აკეთებენ ფოტოგრაფია, სახვითი ხელოვნების ამოცანა კი ის არის, რომ ადამიანის ბე-დი და სამყაროს მნიშვნელობა-ღირებულება პრინციპულად იმაზე მეტი სიღრმითა და ინტენსივობით დაგვანახოს და განვაცდევინოს, ვინემ ამას ადგილი აქვს ჩვენი ცხოვრების უბრალო გამოცდილების საფუძველზე.

ამ ამოცანისათვის მისაწვდომი არაა საგანთა დატო-ვება იმ სახით, რა სახითაც ჩვენ მას ისედაც ვხვდებით ცხოვრებაში; მისთვის საკმარისი არაა ბუნებრივ საგანთა და მოვლენათა გარეგნობის უბრალოდ სისუსტით გადმოღება და, მასსადავმე, ჩვენთვის ნაცნობ საგანთა და მოვლენათა გაცოცხლება ჩვენს ცნობიერებაში. ამისათვის საჭირო იქნე-ბა ხილული ბუნებრივი საგნობრივი კონსტრუქციის რამდე-ნადმე გარდაქმნა გარკვეული მნიშვნელობა-ღირებულების და შესატყვისი აზრისა და განცადა-განწყობილების გამოი-ხატულობის გაძლიერების მიმართულებით. ხილო ასეთი გარდაქმნის შესაძლებლობა, ერთის მხრივ, ყურდნობა საგნის ბუნებრივ-ემპირიული ნიშნების ერთგვარ შერჩევასა და გა-დალაგვებას, ხოლო მეორეს მხრივ იგი ყურდნობა იმ გარემო-ებებს, რომ საგნობრივი სამყაროს გარკვეული ნიშნების — ფერების, ხაზების, ფიგურის და ა. შ. შერჩენებასა და აღქმას ჩვენითვის მუდამ თან ახლავს ემოციური ტონები. მაგალითად,



ზოგი ფერი სიხარულსა და ხალისს იწვევს, ზოგი მწუხარებას ან სინანულს, ზოგი დამამწყვდიებელია, ზოგიც შემამფოთლებელი და ა. შ. ანუ საგნობრივი სამყაროს გარკვეულ ხილულ ნიშნებს შეუძლიათ აღიზან ჩვენში ბარკვეული შეფასებითი დამოკიდებულება, ანუ გარკვეული განცდა-განწყობილება, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენთვის ნაყნობი და ჩვენს ცხოვრებაში მონაწილე, გამოცდილებას საფუძველზე შეფასებულ საგნებსა და მოვლენებზე მიუთითონ. საგნობრივი სამყაროს ხილულ ნიშნებს გააჩნიათ გამოხატელობა რეალურ საგნებზე მითითებისაგან დამოუკიდებლადაც ანუ გააჩნიათ უშუალო გამოთხატელობა; ეს იძლევა შესაძლებლობას — შექმნას ისეთი ხილული კონსტრუქცია, რომელსაც ექნება მჭტი გამოხატელობითი ძალა, ვინემ რეალურ საგნობრივ ფორმებს. სასებითი ხელოვნება ყურდნობა ამ შესაძლებლობებს და ქმნის ისეთ ხილულ კონსტრუქციას, რომელიც მაქსიმალური ადეკვატობით გამოხატავს გარკვეულ მნიშვნელობა-იტირებულებას, შესატყვის არსა და განცდა-განწყობილებას. ყოველივე ეს კი თავისთავად გულისხმობს, რომ სასებითი ხელოვნების მიერ შექმნილი ხილული კონსტრუქცია არ წარმოადგენს რეალური საგნობრივი კონსტრუქციის უბრალო გადმოღებას, ზუსტ ასლს, არამედ მის რამდენადმე გარდაქმნილ სახეს; ამიტომაც არ არის გამართლებული სასებითი ხელოვნების ნაწარმოების დაწუნება უბრალოდ იმ მოტივით, რომ მასში მოცემული გამოხატელობა, ზუსტი მსგავსების აზრით, არა ჰგავს შესატყვის რეალური საგნის გარეგნობას.

შესაძლოა ლადო გუდიაშვილის ზოგიერთი ნაწარმოების, მაგალითად, კინტოების თემებზე შესრულებული ნამუშევრების მიმართაც მოვისმინოთ მსგავსი საყვედურები; მაშინ, მარტოც, აწილი არაა ზოგიერთი ანატომიური ზუსტობის შემწევა. მაგრამ საყვედური ამჯერადაც სრულიად გაუმართლებელი იქნება; ამ ბრწყინვალე ნაწარმოებებში ანატომიურად რამდენადმე არაზუსტი ფიგურების საშუალებით მაქსიმალური ექსპრესიულობით გამოხატული უაღრესად კოლორიტული ხასიათებისა და ბედის განცდა.

დავით კაკაბაძის ნამუშევრების გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ფერწერული ტილო თემაზე „იმერეთის პეიზაჟი იმის დროს...“ მის მიმართ ერთმა დამთვალიერებელმა შემდეგი შენიშვნა გააკეთა: „განა სადმე გინახავთ ასეთი ცა?“ მართლაც, ზუსტად ასეთი ფერის ბუნებრივი ცა არავის უნახვია, მაგრამ სწორედ ამიტომ ბუნებრივ ცას არც არასოდეს გამოუწვევია იმგვარი განცდა, როგორსაც იწვევს მოცემული ნაწარმოები კვალიფიციურ დამოუკიდებლობით. ტილოს უდიდესი ნაწილი უკავია ოდნავ მოწყობილ და კვამლიფერ ზარბაზნარ ცას, რომელსაც რაღაც ნერვული და შემამფოთებელი ზოლი ამწვავია. ტილის კუთხეში მიწერილია დედამიწის მიერ ნაკეთი, რომელიც ზარბაზნარი და რისხვანი იცის ფონზე ნაფოტოტი უსუსური მიზანს. ყოველივე ეს იწვევს შეშარავი კოლოსალური კატასტროფის განცდას, — და მოფოფიო ომი ხომ სწორედ ამგვარ განცდას იწვევს და ასეთ შეფასებას იმსახურებს!

როგორც ვთქვით, ხელოვნება ყოველთვის ახდენს ბუნებრივ-ემპირიული საგნობრივი ფორმების რამდენადმე გარდაქმნას. ასეთი გარდაქმნა ხელოვნების უშუალოდანი ნორმა და იგი ასათითებს არა მხოლოდ ბეჟასის, არამედ, აგრეთვე რაფაელისა და ლეონარდოს ხელოვნებას; მაგრამ საქმე იმაშია, რომ გარდაქმნა არა ხდება ყოველთვის ერთნაირად, ასე ვთქვათ

ერთნაირი „დროითი“. ამ მხრივ აშკარად შეიმჩნევა განსხვავება, მაგალითად, კვლავი სიკურ ხელოვნებასა და თანამედროვე ხელოვნებას შორის. ეს გარემოებაც ზოგჯერ იწვევს თავისებურ გაუგებრობას.

ხშირად გამოფენის დამთვლიერებელი გამოსტეჟამს უცმაყოფილებას არა იმის გამო, რომ მოცემული ნაწარმოები ამჟღავნებს ბუნებრივ-ემპირიული საგნობრიობის გარდაქმნას, არამედ იმის გამო, რომ ეს გარდაქმნა ჩატარებულია არაკლასიკური და არატრადიციული „დროითა“ და წესით. ასეთი შენიშვნაც არ არის გამართლებული.

ისევე, როგორც ყოველივე, მუდმივ განვითარებას განიცდის ხელოვნების ფორმა ანუ ხელოვნების მიერ სინამდვილის გამოხატვის წესი. ხელოვნების ფორმის განვითარება დავარდა დემუღალია და ამ მხრივ შეუძლებელია მისი აბსოლუტური ნორმირება.

ამიტომაც გაუმართლებელია ძველი დროის ხელოვნების თუნდაც უბრწყინვალესი ნიმუშები გამოვაცხადოთ თანამედროვე ხელოვნების უპირობო ფერმაღალურ კრიტიკიუმებად. აქ განასტორებოთ ხაზი უნდა გაესვას შემდეგ გარემოებას: კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაგვარია ადამიანთა ბედი; იგი, ასე ვთქვათ, სხვადასხვა მდგომარეობაშია მოქცეული. ამის შესატყვისად სამყარო სხვადასხვაგვარ შეფასებასა და განცდას იმსახურებს; ხოლო სამყაროს სხვადასხვაგვარი შეფასება და განცდა მისი გამოხატვის რამდენადმე სხვადასხვაგვარ წესს მოითხოვს. კლასიკური, რენესანსული ხელოვნების შესატყვის სამყაროში უმადრებით შეფერხებელი სწინადა ადამიანის ბედი და ადამიანური ძალების განვითარება. მაგრამ თავისი კანონზომიერი განვითარების ძალები რენესანსული სამყაროს, ცხოვრების წესი და იდეალი წინააღმდეგობით გაისლართა, კრიზისულ მდგომარეობაში მოქცევა; შეფერხდა ადამიანის ბედი, ადამიანური ძალების განვითარება. ამაშია ძირითადი და იმ განსხვავების ძირი, რომელიც ვხედავთ, ვეკვთა, ვან გოგისა და რაფაელის შემოქმედების შორის. რაფაელის ფორმა მშვიდსა და ლალ განწყობილებას შეესატყვისება, რაც ადამიანის პიროვნული და ზოგადად-მიანური იდეალებისა და ძალების პრიციპული შერიგების რწმენას ემყარება. ხოლო ვან გოგი იმ შთაბეჭდილების ქვეში იმყოფება, რომ მოცემულ სამყაროში აღარ მოქმედებს რაიმე ზოგადად-მიანური იდეალი, პიროვნება განმარტებელი და მიტოვებული აღმოჩნდა; ვან გოგს აწვავლებს ადამიანის ბედის კატასტროფულობისა და საბედისწერო განწირულების განცდა; მისი შემოქმედება აღსავსეა უკიდურესი შემოფოთებულიობით. სწორედ ამის შესატყვისია მისი „ენის“ განსაკუთრებული სიმწვანე და ენერჯელობა, რაც ეგლისხმობს ემპირიული საგნობრივი კონსტრუქციების შედარებით ენერჯეულ გარდაქმნას. ამ მხრივ ვან გოგმა აშკარად დაარღვია კლასიკური რენესანსული ხელოვნების ფორმაღალური ნორმები, მაგრამ ამით მან სრულიადაც არ უღალატა რეალიზმს.

რეალისტური პრინციპის აღიარება იმას კი არ მოსწავებას, რომ ზუსტად იქნას დაცული კლასიკური რეალიზმის დამახასიათებელი ფორმაღალური ნორმები, არამედ გულისხმობს ახალი სამყაროს შესატყვისი გამომხატველი ფორმებისა და „ენის“ გამოშუშავებას. თანამედროვე სამყარო, მიუხედავად იმისა, პესიმისტურ-ტრაგიკული თვალთაა იგი დანახული,



უ უკანასკნელი, ოპტიმისტური იდეოლოგიის მიხედვით შეფასებული, „კლასიკურ სამყაროსთან“ შედარებით, პრინციპულად მეტი შინაგანი „ძაბვისა“, მისი განცდა პრინციპულად მეტი სიმწვანისა, რისი გამოხატავს ფორმის მტკნარ ენერგიულობას და სიმწვანეს მოითხოვს. მაგალითად, დამოკიდებულება მეორე მსოფლიო ომისადმი, რომელიც, აღინიშნა ომებთან შედარებით, ბევრად უფრო მეტი კატასტროფიულობით ხასიათდებოდა, და რომელიც, მასმასაღამე, სხვაგვარა, „ძაბვის“ განცდას იმასხურებს, არ შეიძლება აღქმავტურად გამოიხატოს კლასიკური ხელოვნების ტრადიციული „ენის“ საშუალებით; საამისოდ ეს უკანასკნელი ნაკლებად ექსპრესიულია. საერთოდ, კლასიკური რეალიზმისადმი შედებით ერთგულება, რომელიც თანამედროვე ხელოვნებისაგან მოითხოვს კლასიკური, ტრადიციული ნორმების უპირობო დაცვას, ნაშედეგად არარატის-ტური ტენდენციაა. რეალიზმი შესატყვისად და იგი ვერ მოახერხებს თანამედროვე სამყაროს აღქმავტურ გამოხატვას.

მეცარი შეფასების ერთ-ერთ ტიპურ მაგალითს წარმოადგენს აგრეთვე შემთხვევა, როცა დამოკიდებულები სახვითი ხელოვნების ნაწარმოებს „კიბუხულებს“ მხოლოდდამხოლოდ, ანდა ძირითადად, მისი სიუჟეტური პლანის მიხედვით.

ხელოვნების ფორმის ძირითადი ნიშანი გამოიხატელობა; მაგრამ ხელოვნების ფორმა გამოხატვის სხვადასხვა საშუალებებისაგან შედგება, იგი ამ მხრივ მრავალფეროვნაია. ცნობილია, რომ გამოხატვის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ნაწარმოების სიუჟეტი. სიუჟეტი არ უნდა აფვირის იმში, რასაც უპირატესი აზრით ეწოდება შინაარსი (როგორც ამას ადვილი აქვს ზოგჯერ). სიუჟეტი შეიძლება კონკრეტული საგნის (თუ საგნების) და მის თავს გადამდარი კონკრეტული ამბის აღწერას, ხოლო შინაარსი ყოველთვის რაღაც განზოგადებული შეფასების გამოთქმაა, რაღაც ზოგადი დიდებულების წყდომბა და განცდა (მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსული მხარეა მის, რომ სიყვარული და მეგობრობა უნდადღესი ღირებულების მომუდებნია, ხოლო სიუჟეტია ის, რომ ავთანდილი, თინათინის თხოვნით, მიდის ტარიელის საძებნელად, პოულობს მას, მასთან ერთად ეძებს ნესტან-დარეჯანს და ა. შ.). მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტი არასოდეს არ წარმოადგენს რაიმე რეალურ, ემპირიულ საგნისა და ამბის სასურველად მომდებლას, არამედ ყოველთვის აგებულია შემოქმედებითი ფანტაზიის მონაწილეობით. სიუჟეტის აგება ფანტაზიის მონაწილეობით გულისხმობს დარკვეული კონკრეტული საგნის (თუ საგანთა) კონკრეტულად დამახასიათებელი ნიშნების შერწყმას, ერთთა წინ წაწოწვას, მეორეთა მიჩქმაღვას, ამბის კონკრეტული მომენტების თავისებურ დალაცებას. ყოველდღე ეს ხდება იმ მიმართულებით, რომ განზოგადილდეს გარკვეული შეფასებითი დამოკიდებულება, გარკვეული ღირებულების წყდომბა და განცდა, ანუ გამოხატულ იქნას გარკვეული შინაარსი. მაგრამ სიუჟეტი ხელოვნების ადრ ერთი დარგისათვის არ არის შინაარსის გამოხატვის ერთადერთი საშუალება. იგი, როგორც თქვა, მხოლოდ ერთ-ერთი ხერხია. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მიმართულებით მუსიკა, რომელიც მუსიკალური ხელოვნების წამყვანი სახეა, მეტწილად მოკლებულია სიუჟეტურ პლანს; მასში ადვილი არა აქვს რაიმე კონკრეტულ საგნებზე და შესატყვის კონკრეტულ ამბაზე ერთმნიშვნელოვანი მინიშნებას, იგი ამის გარეშე ახერხებს სრულიად გარკვეული

შინაარსის უარესად ექსპრესიულ გამოხატვას. სამაგიეროდ, მაგალითად, ბელეტრისტიკასა და კინოხელოვნებაში საკმაოდ დიდი როლი ენიჭება სიუჟეტის დამოყენებას; ხოლო რაც შეეხება სახვით ხელოვნებას, მასში სიუჟეტური მომენტის როლი საგრძობლად ნაკლებია ბელეტრისტიკასა და კინოხელოვნებასთან შედარებით, ხოლო ასევე საგრძობლად მეტია სიმფონიურ მუსიკასთან შედარებით. სიუჟეტისადმი ხელოვნების სხვადასხვა დარგების ასეთი დამოკიდებულება გამოწვეულია იმით, რომ ხელოვნების სხვადასხვა დარგში ამ მხრივ (დასაერთოდ გამოიხატელობის ხერხების მხრივ) სხვადასხვაგვარი შესატყვისება გააჩნია. ბელეტრისტიკისათვის, ცხადია, უფრო მისახერხებელია კონკრეტული საგნების ყოველმხრივ აღწერა და შესატყვისება რაიმე რთული ამბის თხრობა, ვიდრე სახვითი ხელოვნებისათვის, რომელმაც ეს უნდა გააკეთოს ხანუბისა და ფერების, საერთოდ, ხილული ფორმების საშუალებით.

სამაგიეროდ ფერებსა და ხაზებს, საერთოდ, ხილულ ფორმებს უშუალო, სიუჟეტური დამოყენებისაგან დამოუკიდებელი გამოიხატელობა გააჩნიათ, ბოლომდე მათი დამოყენება კი მხოლოდ სახვით ხელოვნებას უშეძლია. ეგ არის მისი სპეციფიკური ხერხი და მან თავისი ამოცანა მნიშვნელოვნად აღწერა ამ სპეციფიკური ხერხით უნდა გადაწყვიტოს. ასევე ხდება ხოლმე სახვითი ხელოვნების ყოველ მალალხარის სხვაან ნაწარმოებში.

უნდა გავარჩიოთ სახვითი ხელოვნების ნაწარმოებში მოცემული გამოსახულების სიუჟეტური გამოყენება მისი არასიუჟეტური დამოყენებისაგან. როცა გამოხატულების დეტალი კონკრეტულ საგანსა და შესატყვის ამბაზე მიუთითებს და ამ გზით აღძრავს გარკვეულ აზრსა და განცდა-განწყობილებას, მაშინ მათი სიუჟეტური დამოყენება აქვს; ხოლო როცა იგი ასეთი მიმართებისაგან დამოუკიდებლად აღძრავს გარკვეულ აზრსა და განცდა-განწყობილებას, მაშინ იგი არასიუჟეტურად გამოყენებულია. კვლავ ციხისენობი და კაკაბაძის „იმერეთის გეოგრაფიის ომის დროს“. იგი თვსზე რაღაც ზოლისა აღბეჭდილი. სიუჟეტის მიხედვით ეს თვითფრინავის ნაკველვებს აღნიშნავს; მაგრამ ფეჟეტი შეუდარებლად სუსტი იქნებოდა, მას რომ მხოლოდ ასეთი დანიშნულება ქონოდაც; ამ სიუჟეტური მნიშვნელობისაგან დამოუკიდებლადაც იგი იწვევს შემამოთხებელი მოლოდინის დამამავე განცდას. ასევე ითქმის ცის ფერების შესმაბნეზე, უშუალოდ აღძრავს ბოროტი ძალის თავისებურ განცდას.

რემბრანდტის ტილოზე „ავტობორტრეტი სასკისთან ერთად“ თავის ფერებით მხოლოდ იმ მხრივ კი არ ზემოქმედებს ჩვენზე, რომ კონკრეტულ საგნებზე — გაწვიმულ სუფრასა, ახალგაზრდა კაცსა და ქალზე მიუთითებს, არამედ ამის გარეშე გამოხატავს გრძობადა-სიოცხლისეული ტკობის ინტენსიურ განცდას. როდენის ქანდაკებას „მოაზროვნებასისათვის“ შვედული სხეულის ამოხრეკულ მრგვალ ფორმათა თავისებური რიტმი, რომელიც ნაკლებად მიუთითებს მოაზროვნე კაცის კონკრეტულად დამახასიათებელ ნიშანზე, მაგრამ სხვა გამოიხატავს ფორმებთან კავშირში უარესად ექსპრესიულად გამოხატავს აზრისა და მოაზროვნეობის მნიშვნელოვნების განცდას.

ყოველივე ამის საუფველზე გასაკვება, რომ გაუმართლებელია სახვითი ხელოვნების ნაწარმოების „წაკითხვა“ მხოლოდდამხოლოდ ან თუნდაც უპირატესად, მისი სიუჟეტური მომენტის მიხედვით. განსაკუთრებით გაუმართლებელია სახ-



ვითი ხელოვნების გამოხატულებით ხერხები შორის გადამწვეტილი მიმართულებისა. მაგრამ ჩვენი გამოყენების დამოუკიდებელი ზოგჯერ გამოსიტყვებენ ისეთ შეფასებას, რომელიც ფორმალისტურ თვალსაზრისს აძლავებს. ეს თვალსაზრისი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: სახვით ხელოვნებაში მთავარია ფორმა, შინაარსი არა აქვს მნიშვნელობა; მას არც ესაჭიროება რაიმე გარკვეული შინაარსი.

აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევებში მთლად ნათლად არ არის ხოლმე გაცნობიერებული ის, თუ რა შედეგებს სახვითი ხელოვნების (და საერთოდ ხელოვნების) შინაარსს. ხშირად შინაარსის ქვეშ გულისხმობენ ნაწარმოების სიუჟეტს; ანდა, თუმცა იმ ნახსენებებზე ნაწარმოების სიუჟეტსა და შინაარსს, მაგრამ მიანიშნავს, რომ გარკვეული შინაარსი მხოლოდ ისაა, რაც სიუჟეტის საშუალებითაა გამოხატული. ეს რომ ასე იყოს, მაინც ყალბად უნდა მიგვიჩინოს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მისწავლილია სახვითი ხელოვნების ნაწარმოების სრული განათავისუფლება სიუჟეტური პლანისაგან ანუ ერთმნიშვნელოვნად ამოსაცნობი კონკრეტული საგნობრივობისაგან. მაგრამ ამგვარად ჩვენთვის საინტერესოა არა ეს საკითხი, არამედ ის გარემოება, რომ სახვითი ხელოვნების (და საერთოდ ხელოვნების) ფორმა არასოდეს არ წარმოადგენს ცარიელ, უშინაარსო ფორმას, არამედ გარკვეული შინაარსის გამოხატულება, გარკვეული შინაარსის ფორმაა. სახვითი ხელოვნების ნაწარმოებში მოცემული ფერების შესაბამის, ხაზების რიტმი და საერთოდ ხილული ფორმები, მათი სიუჟეტური გამოყენების გარეშე, ყოველთვის გარკვეულ განცდა-განწყობილებებს აძლევს მიმართულებით მოქმედებენ; ისინი ამ მხრივ არასოდეს არ არიან საკუთარი ნეიტრალური.

ხელოვნების ფორმას ძირითადად ორი ნიშანი ახასიათებს, ერთის მხრივ ეს არის ილი, მოსახერხებელი აღქმადობა, ხოლო მეორეს მხრივ — გარკვეული აზრისა და განცდა-განწყობილების ინტენსიური გამოხატულება. ფორმის ილი, მოსახერხებელი აღქმადობა იწყებს ისეთ სიამოვნებას, რომელიც დაკავშირებულია გრძნობის ორგანოების (თვალის, ყურის და ა. შ.) ფუნქციონირებასთან და რომელიც სწორედ ამიტომ ახლოსა ფიზიოლოგიური ხასიათის სიამოვნებასთან, ხოლო ხელოვნების ნაწარმოებისაგან მიიღებულ სიამოვნებას, ცხლად, არ შეიძლება ამოიწურებოდეს ამგვარი სიამოვნებით; იგი განიცდება როგორც დიდი სულიერი აქტივობა და ეს იმითია განპირობებული, რომ ხელოვნების ნაწარმოების ფორმა ხასიათდება არა მხოლოდ ილი აღქმადობით, არამედ აგრეთვე გარკვეული აზრისა და განცდა-განწყობილების გამოხატულებით. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ, ცხლად, გაუმართლებელია იმის თქმა, რომ ხელოვნების ნაწარმოები ცარიელი, უშინაარსო ფორმაა. ხელოვნების ნაწარმოების ფორმა, უპირველეს ყოვლისა, არის გარკვეული შინაარსის გამოხატულება ფორმა; მაგრამ მეორეს მხრივ ისიც უნდა იყოს გათავალისწინებული, რომ ეს გამოხატულება არაა იმდენად ფორმის ილი და მოსახერხებელი აღქმადობის ვერგე.

მხატვრული ფორმა, რომლის ძირითად პრეტენზიასაც ილი აღქმადობა და ამასთან დაკავშირებული სიამოვნების მიღწევა შეადგენს, უბრალოდ დეკორატიული ფორმაა. ამისაგან განსხვავებით დიდი ხელოვნების ფორმა, უპირველეს ყო-

ვითა, ინტენსიური გამოხატულებით ხასიათდება, თუმცა კი, როგორც აღვნიშნეთ, მისთვისაც აუცილებელია ილი და მოსახერხებელი აღქმადობა.

ფორმის ახალი ტიპის მიგნება ხელოვნებაში, როგორც წესი, ყურდობა ახალ შინაარსზე ხელვებს. ცნობილია იმპრესიონისტ მხატვრების თავისებური წერის მანერა, ფერების თავისებური გამოყენება, მაგრამ ასევე ცნობილია მათი შინაარსული მამარკო; ეს არის ლირიზმითა და ინტიმურობით გამბარაი გრძნობა-სიყვარულისებური ტიპობის განცდა და შესატყვისი ცხოვრების იდეალი. ამასთან, იმპრესიონისტული ფერები თავისებურ ნერვულ ვიბრაციას ამჟღავნებს, რაც დადამიანის ბედის გამო ფარულ შემოფთობას გამოხატავს. ვან გოგი იმპრესიონისტული სკოლიდან გამოვიდა, რომელთანაც მას ფორმის მხრივ ბევრი რამ აქვს საერთო, მაგრამ ილი შესამჩნევია სხვაობა; იგი შეუდარებლად ამწველებს ფერებს, ბევრად უფრო ენერგულად ახდენს საგანთა კონკრეტულ მიხატვას. მათი ბუნებრივი მონახაზის დეფორმაციას და ა. შ. მაგრამ ეს არ აიხსნება უბრალოდ ვან გოგის ფორმალური გემოვნების თავისებურებით, ეს უფრო განსხვავებული შინაარსული ხილვის შედეგია; მისი ხელოვნების შინაარსში ლირიკულ-ინტიმურ განცდებს ამგვარად სჭარბობს ადამიანის ბედობა, მისი საბედისწერო განწირულობით შემოფთობის გრძნობა, რომელიც ხშირად ისტერიულობის ხარისხშია აყვანილი.

ხშირად სხვადასხვა მხატვარს, შინაარსული ხედვის თვალსაზრისით, სხვადასხვა დიაპაზონი გააჩნია. სხვადასხვა მხატვარი, მხატვრული ხედვისა და განცდის თვალსაზრისით, სამყაროს ხშირად სხვადასხვა მასშტაბით და, ასე ვთქვათ, სხვადასხვა „ფუნაში“ ხედავს და განიცდის. არიან მხატვრები, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებს, ასე ვთქვათ, ფილოსოფიური მასშტაბის ჟღერადობას აძლევენ; მაგრამ არიან მხატვრები, რომლებიც მხოლოდ შედარებით ზედაპირული, ნაკლებად მასშტაბის, ასე ვთქვათ, კამერული გრძნობების მხატვრულ გამოხატვას ახერხებენ; ეს არის მათი ამჟღავ. ამგვარ ხელოვნებას თავისი ადგილი აქვს. მაგრამ ცუდი ისაა, რომ ზოგჯერ მხატვარი თავისი შესაძლებლობების, თავისი ამჟღავის გამოხატვას არ არის სახვითი ხელოვნების საქმე, რომ ეს, ვთქვათ, მხატვრული ლიტერატურის საქმეა. მხატვრის ასეთი შეხედულება ხშირად გავლენას ახდენს ჩვენი გამოყენების აუდიტორიის ნაწილზე, და ზოგჯერ ესეც არის მისეზი სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების მტდარი შეფასებისა.

არსებობს შედარებით მსუბუქი შინაარსის მხატვრული ლიტერატურა. მაგრამ არსებობს აგრეთვე დიდი ლიტერატურა — დიდი პროლეტარების გამხსნელი ლიტერატურა. არსებობს მსუბუქი მუსიკა, მაგრამ არსებობს აგრეთვე მასშტაბური სიმფონიური მუსიკა. ასეთივე მდომარეობაა სახვით ხელოვნებაში; მასაც ამ მხრივ არ გააჩნია პროცეპული საზღვრები. სახვითი ხელოვნებისათვის შეუფერებელია არა რაიმე მასშტაბის შინაარსი, არამედ მხოლოდ ის, რომ შინაარსის გამოხატვისას გამოყენებულ იქნას ამ ხელოვნებისათვის არასუციფიკური, ვთქვათ, ლიტერატურული ხერხები. არ არსებობს საბუთი იმის სასარგებლოდ, რომ სახვითი ხელოვნებას, მხატვრული ლიტერატურისა და მუსიკალური ხელოვნებისაგან განსხვავებით, შინაარსის მასშტაბის მხრივ დაედოს პრინციპული საზღვრები.



ცეკვა მანლით. იაკო — ე. გუნაშვილი



## რეპაზ მალაშვილი — ოტელი

მ. ჯაფარიძე, ნ. გამყრელიძე

როცა ხელოვანის წინაშე, მის გვერდით იდგალია, რომლისკენაც იგი მთელი თავისი არსებით ისწრაფვის, მის შემოქმედებით მუშაობასაც უფრო მეტი ხალისი და გატაცება ახლავს თან.

ასეთი ზორცხესმული იდგალია ბალეტის მსახიობთა მრავალი თაობისათვის ცეკვის უბადლო ხელოვანი ვახტანგ ჭაბუკიანი, რომელმაც არნახულ სიმაღლეზე აიყვანა მასურებელი, და ახლა იგი სხვების ხელოვნებას ჭაბუკიანისეული მწერვალეზიდან უცქერის, სჯის და აფასებს.

შნელია ისეთივე მაღის აღტაცება გამოიწვიო იმაში, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ჭაბუკიანის სწორუპოვარი ცეკვა და თამაში.

„მავრიტანული ცეკვა“,  
ოტელი — რ. მალაშვილი



სცენა პირველი მოქმედებიდან: ოტელი —, მალალაშვილი, დუხდემონა — ვ. წიგნაძე

იქნებ ამიტომ შემოჰყვა სცენაზე მალალაშვილის ოტელის შიში და მდღეგრება. ეს შიში თითქოს არ აძლევდა მას საშუალებას უფრო ღრმად ჩასწვდომოდა თავისი ვიზიის ბუნებას და უწყვეტ ხაზად განვითარებინა მისი ხასიათი.

აი, ოტელი-მალალაშვილი ღღაღღ შემოიჭრა რამის ჩირაღდების შუქში... იგი ელის დეზდემონას... რამდენი მოთხოვნითაა, რა ზღვა მოლოდინია მის ყოველ მოძრაობაში. და მაინც, რატომღაც მაყურებელთა გულის უხილავ სიმებს ვერ შეხებია, მსახიობი დარბაზის უცნაურ გარიდებაში უნდობლობას გრძნობს და ვიდრე ამას გრძნობს იგი, ოტელის იერსაზე ვერ გადაქცეულა მის მეორე არსებად, ვერც თვითონ აღგზნებული და სხვებზე ვერ გაუტაცინა. სცენა სცენას მიჰყვება...

ოტელი იგონებს თავის ბავშვობას, მშფოთვარ ახალგაზრდობას, მრავალ „ქირა-თამენას“, ცოცხლებდა მისი ვიწროული წარსული. მალალაშვილი-ოტელი მთლიანად წარსულში გადადის, დაფრინავს მკერდში.

მერე კი ზეიმი უკნაშლურ, სიყვარულით თავბრუსხვევულ ბედნიერ მავრს ავიწყდება თავისი სახელი და დიდება. იფიქრებს, რომ იგი ვენეციის სენატის მიერ პატივცემული იყოფნებს მაყურებელსაც, შოხსაც მის წინაშე და ჭეშმარიტ მავრად აისყვება. აქ თითქოს ახალი არაფერია, თითქოს ქაბუკიანისებელი მავრიტანული ცეკვის უბრალო განმეორება... მაგრამ ეს ასე როდია, იგივე კორეოგრაფიული სტრუქტურულ შერტყობვას ცეკვაში მას მაინც შეაქვს თავისი, რომელიც მაყურებლის უშუალო აზრს ეხმარება. ეს არის ახალგაზრდული სიჩაქვ, სიწმინდე, სილადე, ვაჟაყობა...

ამ წუთიდან მალალაშვილის ოტელი იყურებს მათთვის გულს და სექტაციას ბოლომდე ეპატორება მას.

დასრულდა ოტელის ბედნიერება. მავრის გულში ეჭვის გეზს აწევთებს ბორკიტბა, და მასაც თავგზა ებნევა, ვერ დაუგრებია საყვარელი არსების დაღი. მაგრამ აღარც ეჭვი აძლევს მოსვენებას. ქარშმალივით დაჰქრის სცენაზე, და ყოველი იღითი და მოძრაობა მის თავზე დატეხილ უბედურებას ვეგვრანობინებს.

და აი ბოლო სცენაც... ნელი ნაზიჯიტი უახლოვდება ოტელი-მალალაშვილი მშვიდად მძინარე დეზდემონას... დააკრება და წუთით კვავ იფეთქებს სიყვარული წინაღობა მათი, ნაზად ეღერსება მას. მაგრამ დეზდემონა იღვიძებს და მასთან ერთად იღვიძებს ოტელიში მრისხანე შურისძიების სურვილაც.

მაგრამ როდესაც ოტელი აკანკალებულ ხელებს დეზდემონას ყელზე შემოაღობს, იგი მამოხვაც არ არის მხეც...

აი, ეს თავშეკლება და ზომიერება გასდევს თავიდან ბოლომდე მალალაშვილის ოტელის. იგი ძიწწობს როგორც ტანჯვისა და მწუხარების, ისე ბედნიერების გამოხატვაში. მაგრამ ამ გარტყულ სიმწუწუნის იქით იმალდება დღი ადამიანობა. მაყურებელშიც იგრძნობს ეს ამიტომაც დააჯიღოვა მსახიობი მშუბარე ოკაციით.

რეჟის მალალაშვილის ოტელიმ ჭეშმარიტი სიამოვნება აგრძნობინა მაყურებელს, და მანაც მოხიბლულმა აპატია მის მცირედი რამ, რაც მის ოტელის ახლდა, რადგან ამ წარმატებაში მისი უშუალო სრული გამარჯვების საწინდარი დაინახა.

წამდელი მსახიობისათვის ცეკვა არასოდეს არ არის თვითმზანი. იგი აზრისა და მოქმედების მთლიანობას გამოხატავს. როცა

ქაბუკიანი ცეკვავს, იგი ქეშპარიტად ტრადიციული მსახიობის სიმალმედვე აღის, ცეკვით წარმოგვისახავს ვიზიის ლენასა და მწუხარებას, სიძულვილს და სიყვარულს. ახალგაზრდა მსახიობი ამ გზას ადგას, და ვეჯერა, რომ მომავალ სეზონში უფრო გააღრმავებს ოტელის იერსახეს.

როცა ვახტანგ ქაბუკიანი შეუცვლელად ცეკვავდა ოტელის, ხშირად ისმოდა კითხვა: „იქნება თუ არა წარმატება „ოტელის“, ვახტანგ ქაბუკიანის ნაცვლად მისი პარტია სხვა რომ შეასრულოსო“. მაშინ მამაზე ეჭვით უპასუხებდნენ, დღეს კი დარწმუნებით რეგვიძლია ვთქვათ, რომ მოწმენი ვართ იტყვა მალალაშვილის ოტელის წარმატებისა.

ერთს კი ახლავ ურჩევთ: მალალაშვილი — ოტელი შეუშადახლად გადმოიდა მავრიტანულს საცეკვაოდ. სპირით კია, ჯერ სახისოდ ღუნუნობდება შეამზადოს, თავისი ცეკვა ღუნუნობდება საყვარელი გრძნობების გადმოშლის წუთად აქციოს, ცეკვით აუწეროს, რომ ესაუბრება მას და მისთვის მდერის, შემდეგ კი თვალაფრებებს მიეცეს და მთელი არსებით, გულად, გონებითა და ტანით აცეკვოს, რომელიც დღი გრძნობისა და განცდების, სიზარატისა და ბედნიერების კრებულში გაღაიზრდება.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ახალგაზრდა მსახიობის გამარჯვებით კიდევ ერთხელ გამიარჯვა ვახტანგ ქაბუკიანმა როგორც უხალხო ბალეტებისტრემა და გულისსმირება ს პედგოგმა, რომელმაც დღი შემოქმედების გზაზე გაიყვანა ნიჭიერი ახალგაზრდა ჩვენ ვეჯერა, რომ ამ დღი სულგანის დახმარებით რეჟის მალალაშვილის ოტელის იმ უმწიმინდელი ჩრდილებს ჩამოიკლდება, და ეს ცოცხალყოფილი სახე ქეშპარიტ შემოქმედების სიზარატს მოგავიწყებს.



## „ოტელო“ ლენინგრადის სცენაზე\* იგორ ლვოვი

საბჭოთა ქორეოგრაფიის სახელგანთქმული ოსტატის, სსრკ სახალხო არტისტის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელი განსაკუთრებით ძვირფასია ლენინგრადელებისათვის, რადგან სწორედ ლენინგრადში დაიწყო მისი შემოქმედებითი გზა, პირველად ლენინგრადში გამოვიდა საბალეტო სცენაზე და აქვე მოიპოვა პირველად გამარჯვებები. ლენინგრადელი მაყურებლის სამსჯავროსუ გამოიტანა პირველად ვახტანგ ჭაბუკიანმა თავისი დადგმები, რომელნიც მრავალი წლის მანძილზე დამკვიდრდნენ ჩვენი ქვეყნის საბალეტო რეპერტუარში.

ამიტომ გასაკვირა, თუ როგორის მღელვარებითა და ინტერესით მოელოდა ჩვენი მაყურებელი ბალეტ „ოტელს“ პრემიერას, რომლის დადგმა ს. კიროვის სახელობის ლენინ-

გრადის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე განახორციელა ვ. ჭაბუკიანმა.

1960 წლის 24 მარტს, ალ. მაკავარიანის სახელგანთქმული ბალეტის „ოტელს“ პრემიერის დღეს, ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრში ტვეა არ იყო. ვ. ჭაბუკიანმა ოტელის პარტიაც თვითონვე შეასრულა პირველ სამ სპექტაკლში. ჩვენი მაყურებლების ეს მოუთმენელი მოლოდინი საესებით ბუნებრივი აღმოჩნდა, რადგან მან იხილა უაღრესად მკაფიო, ღრმად ამღლევებული და მეტად სინტერესო სცენური ქმნილება. ძნელია დარწმუნებით ითქვას, თუ ვინ შექმნა ესოდენ ძლიერი შთაბეჭდილება ჭაბუკიანმა — დამდგმელმა, თუ ჭაბუკიანმა — მთავარი როლის შემსრულებელმა; ერთი რამ კი გარკვევით შეიძლება ითქვას, — ვახტანგ ჭაბუკიანის ტალანტს კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება ხვდა წილად ბალეტ „ოტელს“ ქორეოგრაფიული მასალის გაცნობამ გვიჩვენა, რომ დამდგმელი წარმატებით იყენებს გამოხატველობით საშუალებათა იმ არსენალს, რომელიც დრომ გამოსცა და და რომელიც რუსული და საბჭოთა ქორეოგრაფიული ხელოვნების კლასიკურ საშუალებად იქცა. როგორც ჩანს, ვ. ჭაბუკიანმა ყოველგვარი ექსპერიმენტებისა და ცდების ახალი ფორმების ძიების გარეშე შესძლო ახალი და მართებული გზის პოვნა მაყურებელთა გულისაკენ. მან თითქოს უბრალო და გულწრფელი ენით მოინდობა გადმოცემა იმ მარტივი ამბისა, რომელშიაც სიყვარულისა და მზავკრობის, ღრმა ადამიანური განცდისა და უკიდურესი ბოროტების შესახებ არის მოთხრობილი.

სპექტაკლის გმირს ოტელს განუწყვეტილვ ეუყურებთ სცენაზე წარმოდგენის პირველი წუთიდან უკანასკნელამდე. ჩვენს წინაშე იგი იმ მომენტიდან, როდესაც აფრიალებული მოსასამიბით შემოიჭრება სცენაზე და სიყვარულით მოვრალი ელის სატრფოს. სპექტაკლის დასასრულს კი, ჩვენ ვხედავთ უმძიმესი დარღობა და სულიერი ტანჯვით მოტეხილ ვენეციელ მაცრს, რომელიც გულგანგმირული ეცემა თავისივე უნებელი მსგვრპლის ფეხით.

ვ. ჭაბუკიანი თანდათანობით ავითარებს „კეილიშობილ მავრის“ სახეს, მავრისა, რომელსაც „ამოქმედება პატიონება და არა გამოროტება“. ყოველი მისი გამოჩენა სცენაზე ახალ-ახალ თვისებებს მატებს მავრის ძლიერ ხასიათს, ამდიდრებს მის სახეს, უფრო მკვეთრს და რელიეფურს ხდის მას.

ყველაზე ღიდ გამომსახველობას აღწევს ჭაბუკიანი ცეკვაში. მისი ცეკვა ამღლევებობა და ვნებიანი თორბობა, იგი უყვება სენატს თავისი სიყვარულის შესახებ, იმ ბრძოლის შესახებ, რომლებშიაც თავი გამოიჩინა და ასახელა ვნევის რესპუბლიკა. მაყურებელთა მქუხარე ტანს იმსახურებს თურქეთში შემბრძობების ეპიზოდი, როდესაც ა. მაკავარიანის ტემპერამენტოანი მუსიკის თანმღებით მეტროლო რაზმი ოტელის მეთაურობით გრივალავით გადაიქროლებს სცენაზე.

ამ სცენაში ჭაბუკიანი-ოტელი ეწვეება ბრძოლის მუსიკას, მისი ცეკვა აღსავსეა ენერჯითა და ვაჟაკური სულით.

მეორე სურათი — ზეიმი ოტელის კომედი. ოტელი თითქოსდა სტუმრების თხოვნით ემბება მავრიტანელი ჭალების ცეკვაში. ეს ორიგინალური და ხატოვანი ცეკვა ჭაბუკიანის შესრულებით მიდის დაუცხრობელი ტაშის ქვეშ. თითქოს ცეკვავს ოტელის მღელვარე სული.

და ბოლოს ეჭვით დაბრმავებული, ცოლის „დალატით“ სურის სიღრმედ შეურაცხყოფილი ოტელი ფიცს სდებს მური იძიოს. ოტელის ვარიაციას ჭაბუკიანი გამსახვეული

\* წერილი ეხება სპექტაკლ „ოტელს“ ქორეოგრაფისა და აქტორის მიხნად არ დაუსახავს ალ. მაკავარიანის მუსიკის გახსილვა. ეურნალი „ოტელს“ მუსიკას კვლავ დაუბრუნდება.



ასრულებს, მის ყოველ მოძრაობაში გამოიჭვივის გულისტკი-  
ვლი და რისხვა, ყოველი ნახტომი მრისხანე აფეხქემაა. ჭა-  
ბუკიანს მამაკაცის კლასიკური ცვევის ტექნიკის გამოყენებით  
ამ სცენაში შეაქვს ჭკუმიარტი დრამატისში.

კალე უნდა აღინიშნოს წინა სცენა, როცა აივანზე სვეტს  
ამოფარებული ოტელი უსმენს იაგოსა და კასიოს საუბარს.  
ჭაბუკიანი მხოლოდ პანტიმიმის საშუალებით ისე საზინავად  
გამოვყვამს გრძობათა ღელვას, მის სუნში რომ ბობოქ-  
როს, რომ ეს არსებითად ტრაგიკური სუბმა ცვევად აღიქმება.  
ხელების და ტანის მოძრაობა, ტკივილებისგან შეშლილი  
სახე, ტანჯვით აღსავსე პოზები ისე ნათლად მოგვითხ-  
რობენ ოტელის განცდებზე, თითქოს გესმოდნენ მავრის  
კენესა.

თამამად უნდა ითქვას, რომ ამ სპექტაკლში ჭაბუკიანმა  
გამოამყვანა არარეგულიერო დრამატული ნიჭი, რომელიც  
აესებს მის ცვევით ოსტატობას.

სპექტაკლის წარმატებას ხელს უწყობს ს. ვირსალაძის შე-  
სანიშნავი დეკორაციები და კოსტუმები. მან სპექტაკლის გა-  
ფორმების სწორი გზა მონახა. დეკორაციები სადა და უბრა-  
ლოა, ხან მგვეთრი და სასუიბო, ხან კი დიდებული და პირ-  
ქუში, მაგრამ ყოველთვის მთლიანად შეესაბამება ეპოქის კო-  
ლორიტს და დამდგმლის ჩანაფიქრს.

ბალეტ „ოტელის“ გაფორმებამ კიდევ ერთხელ გვიჩვენა  
ს. ვირსალაძის ნატივი გამოვლენა და ფერების შერჩენების  
უნარი. ს. ვირსალაძემ ამაყმად საბჭოთა საბალეტო ხელოვნების  
საუკეთესო მსატკარია.

ლენინგრადელი მკურნებელი დიდი ინტერესით შეხვდა  
ნიჭიერი ქართველი მოცეკვაის ზ. კიკალეიშვილის გამოსვლას  
„ოტელის“ პირველ ორ წარმოდგენაში. ზ. კიკალეიშვილის  
მიერ შექმნილი იაგო შვეა შუქპირის სახეთა გალერეაში.  
როგორც ადამიანის ვერავობის საუკეთესო ამსახველი.

კიკალეიშვილი-იაგო ხან „პატოსან კაცად“ წარმოვად-  
გება, ხან გაქონი მტაცებლად, რომელიც შუქპირის სიტყვე-  
ებით ქოსს „ხადეს სიკეთისაგან, რომ ყველა შიგ გახაბას“.  
კიკალეიშვილის მახვილი ცეკვა თავისებურ იერს ატარებს.  
მსახიობის სწრაფ და ზუსტ მოძრაობებში ჩანს მისი გმირის  
ხასიათი, ბოროტი სული, რითაც იგი ცდილობს მიად-  
ვიოს მიზანს.

ოტელი როლს ლენინგრადის სცენაზე ასრულებენ ცნობი-  
ლი მოცეკვავეები, რსფსრ სახალხო არტისტები ბ. ბრეგვაძე  
და ა. მაკაროვი. ბრეგვაძეს შეიძლება მივულოცოთ დიდ შე-  
მოქმედებით წარმატება ამ საინტერესო და რთულ როლში.  
ბრეგვაძე საუკეთესო მოცეკვავეა. მან აშერადაც გააკვირვა  
მკურნებელი თავისი ვირტუოზობით და დინამიზმით. ამას-  
თან ოტელის სახეს იგი საკუთარ ქორეოგრაფიულ ელფერს  
აძლევს და ამით ხაზს უსვამს გმირის სულიერ სიფაქიზეს და  
მისი დიდი სულის ღირებულებას.

კონტრასტულად გამოიყოფა ბრეგვაძის ენერგიული და  
მტკიცე ცეკვა ეჭვიანობის და ფიცის სცენაში. საინტერესოდ  
თავისებურად და მისთვის ჩვეული მომხიბვლელობით ასრუ-  
ლებს ბრეგვაძე მთვე მოქმედებაში მავრტანულ ცეკვას,  
რომელიც ოტელის გრძობების განვითარების კულმინაციას  
წარმოადგენს. ბრეგვაძის ოტელი თანდათანობით უფრო და-  
მაჯერებელი ხდება და ახალ-ახალ ფერებს იძენს. გვიან გუ-  
სურფით მას წარმატებები როლზე შემდეგ შემოაბნია, რომ  
უფრო გააღრმავოს სახის ფსიქოლოგიური დახასიათება.

ამ პარტიის მეორე შემსრულებელი — ა. მაკაროვი, ყო-

ველთვის მკაფიოდ ვერ აღიქვამს და ასახავს გმირის შინაგან  
განწყობილებას. ამით აიხსნება, ალბათ, ეჭვიანობის სქესნი-  
წმედები სტატუტობა. თუმცა დესდემონსთან დუეტს მაკა-  
როვი აქტიურულად საინტერესოდ და ტემპერამენტით ატა-  
რობს.

შემთხვევითი არ არის, რომ ქალების სახეები სპექტაკლში  
შედარებით ნაკლებად შთამბეჭდავი არიან. თუ მეგველო-  
ბაში მივიღებთ, რომ დესდემონსა ქორეოგრაფიული პარტია  
ნაკლებად გამომსახველია, ამ როლის შემსრულებელს უნდა  
ახასიათებდეს განსაკუთრებული არტისტობა და მხატვრული  
აღლი, რომ შექმნას დესდემონსა სრულყოფილი სახე, აივ-  
სის იგი გრძობით და სიყოფილით. ეს ვერც ა. ოსიპენკის  
და ვერც ი. კალაპაკამ ვერ შესძლეს. მკურნებელს სპექტაკლის  
ბოლომდე მიყვება დესდემონსა შინაგან შემოტიკობა. სამ-  
წუხარია, რომ ვერც ჭაბუკიანის და ბრეგვაძის ტემპერამენტმა  
და დიდმა შინაგანმა სიხივებულმ, რამაც აღანთო სპექტაკლის  
ცველა სხვა მონაწილე, ვერ გააღწეს ყინული, რომლითაც შე-  
ბოჭილია „მშვენიერი ვენეციელი ასული“.

ამ გაწვევებამ შეუქმნა ხელი ქალის მეორე პარტიის —  
ბიანკას წინა პლანზე წამოიწვას. ბიანკას ეპიზოდურ პარტიას  
ქვეშტურად ასრულებენ ა. შელესტი, ი. ზუბოვსკაია და  
ო. მოსიგევა.

როგორც ყოველთვის, თვითმულმა მათგანი ერთი როლის  
ფარგლებში ამქალაქებს ინდივიდუალობას. თუ ა. შელესტის  
ბიანკა ძლიერი, მირტანებელია, ი. ზუბოვსკაია — ამაყი და  
გაბედული, თ. მოსიგევა ქმნის მოქნილი, ვენიანი და ვერაგი  
ქალის მომხიბლავ სახეს.

წარმატებით გამოვიდა იაგოს პარტიაში ს. კუსნეცივი. იგი  
არ იმარტებს. ზ. კიკალეიშვილის ხერხებს. როლზე მუშაობის  
დროს ხან მოქმენა მუსიკაში ისეთი ინტონაციები, რომელ-  
თაც მისცეს მას საშუალება მოეცა იაგოს ორმა და დახვეწილი  
გაგება.

პ. შატილოვის იაგოს აკლია შინაგანი ძალა და დამაჯე-  
რებლობა, ურომლისოდაც იაგოს სახე ვერ გახდება სპექტაკ-  
ლის ღერძი, რომლის გარშემო უნდა განვითარდეს და ჩამოყა-  
ლიბდეს გმირთა ხასიათები და მოქმედება.

რასაკვირველია, შეუძლებელია ამ პატარა წერილში  
წერილობით შევხებით წამყვანი პარტიების შემსრულებლებსაც  
კი. ერთი კი ცხადია, ე. ჭაბუკიანი მუშაობდა გამოცდილ და  
ძლიერ კოლექტივთან. ამ კარგი კოლექტივის წევრები შესაძ-  
ლებლობებისა და მიხედვით ცდილობდნენ თავისი წვლილი  
შეეტანათ მათ წინაშე მდგარი ამ რთული ამოცანის გადაჭ-  
რაში.

კიროვის სახ. თეატრის რეპერტუარი გამდიდრდა კიდევ  
ერთი საინტერესო სპექტაკლით. ბალეტ „ოტელის“ წარმოდ-  
გენებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ლენინგრადელმა მომ-  
თხოვნამ მკურნებელმა ეს სპექტაკლი კარგად მიიღო.

უდავოა, ე. ჭაბუკიანის ეს შემოქმედებითი გამარჯვება  
შევა საბჭოთა ქორეოგრაფიული ხელოვნების ოქროს ფონდში.  
მინდა მაღლიბო ვუთხრა დიდ ხელოვანს — ე. ჭაბუკიანს  
ამ შესანიშნავი საჩუქრისათვის. „ოტელის“ წარმატება ლენინ-  
გრადში ქართული ხელოვნების გამოჩენილი ოსტატების და  
ლენინგრადის კიროვის სახ. თეატრის ნიჭიერი საბალეტო  
დასის შემოქმედებითი თანამეგობრობის ნაყოფია.

იმედ გვაქვს, რომ ეს თანამეგობრობა შემდგომშიც გან-  
მტკიცდება, განვითარდება და ახალ გამარჯვებებს მოუტანს  
საბჭოთა ხელოვნებას.



საქ. სსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი  
ნინო რამიშვილი



სსრკ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი  
ილიკო სუსხვილი

## ტრიუმფით მსოფლიოს გზებზე

სიკო ვადაჭკორია

**ს**აქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი, სტალინური პრემიის ლაურეატების — საქ. სსრ სახალხო არტისტის ნინო რამიშვილისა და სსრ კავშირის სახალხო არტისტის ილიკო სუსხვილის ხელმძღვანელობით უკვე თხუთმეტი წელია უდიდესი წარმატებებით სარგებლობს არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც. მან შესანიშნავი ოსტატობით გადაგვიშალა ქართული ცეკვების სიმდიდრე და კოლორიტულობა, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ პირველმა გაიტანა და მსოფლიოს გააცნო მშობლიური ხალხის წარმატებით ქორეოგრაფიული ხელოვნება. ქართულ ცეკვებში ასახულია ხალხის საუკეთესო თვისებები, ფიქრები და გრძნობები. მუსიკისა და მეტყველ მოძრაობათა კარმონიულ მთლიანობაში გახსნილია ადამიანის შინაგანი სამყარო, ქართველი ხალხის სახე, მისი სულიერი ცხოვრების სიღამაზე და სიღიადე.

...მთელი ეს სიღამაზე, პოეზია და სიხარული, რასაც ასე უხვად გვიძღვნიან ქართველი მსახიობები, უმეტესია კიდევ უფრო განამტკიცებს გულითად მეგობრობას ჩეხოსლოვაკელ ხალხსა და საბჭოთა ხალხს შორის — წერდა ჩეხოსლოვაკური გაზეთი „რუდე პრავო“ ანსამბლის მოგზაურობის დროს ამ ქვეყანაში.

...ქართველებმა ჩვენი გული და გონება მიიხადირეს. მათი ცეკვების რიტმული მკაფიოება მახლობელია ჩვენთვის; ამ ცეკვებში ტექნიკური ოსტატობა შესამჩნევია ღრმა გრძნობასთან... ანსამბლი ჭეშმარიტი მხატვრული გემოვნებით გადმოგვცემს ხალხური ცეკვის მდიდარ, დამასახიფთებელ თვისებებს. ცოცხალი მხიარულება, ამაყი მოძრაობა, განსაცვიფრებელი ტექნიკა, ერთი სიტყვით, შეუძლებელია ჩამოთვალო ყველა შესანიშნავი თვისება, რომელიც ქართველ მოცეკვავეებს აქვთ. — ასე აშუქებდა იტალიური გაზეთი „ბოპოლო“ ქართველი მოცეკვავეების ხელოვნებას.





ცეკვა „ქართული“, ასრულებენ ნ. რამიშვილი, თ. ლომიძე

... ვაჟთა უძლიერესი ტემპერამენტი, ქალთა სინაზე — აი როგორ არის გადმოცემული ქართველი ხალხის ეროვნული თვისებები ანსამბლის მრავალფეროვან ცეკვებში.

ყველგან, ყველა ქვეყანაში ქართული ცეკვით მოხიბლული მაყურებელი აღტაცების გამოსატყმელად სიტყვებს ვერ პოულობდა...

სტუმრად ჩეხოსლოვაკიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან ე. კოპეცისთან



„ანსამბლის შექმნის აზრი დაგვებადა ჯერ კიდევ 1935 წელს, — მოგვითხრობენ ანსამბლის ხელმძღვანელები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი— ლონდონში ხალხური ცეკვის მსოფლიო ფესტივალზე ქართველ მოცეკვავეთა წარმატებამ, ამ დღესასწაულზე სხვადასხვა ქვეყნის ცეკვის უდიდესმა მრავალფეროვნებამ იმდენად გავცხატა, რომ გადავწყვიტეთ შევექმნა ქართული ცეკვის ანსამბლი. ჩვენ მიზნად დავისახეთ არა მარტო გადაგვეტანა სცენაზე ხალხში გავრცელებული ცეკვები, არამედ აღგვედინა მივიწყებულიც, ამასთან ხალხურ საფუძველზე შევექმნა ახალი ცეკვები. შევუდექით ფოლკორის ღრმად შესწავლას, დაგვიოდი თხატერული თვითმოქმედების ოლიმპიადებზე. პარალელურად ვეძებდით შემსრულებლებს მომავალი კოლექტივისათვის. კარგად გვესმოდა, რომ არ შეიძლებოდა სცენაზე ხალხური ცეკვის გადატანა ხელუხლებლად. დამდგმელისაგან ისინი მოითხოვენ ფოლკორული მასალის რეჟისორულ დამუშავებას, სხვათადაც რომ ვთქვათ, სცენაზე საჩვენებელი ცეკვების თეატრალიზებას...“

და, აი 1944 წლის 8 ავისტოს საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლმა თავისი შემოქმედებითი ცხოვრება დაიწყო: ოქტომბერში კი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზღვრული თეატრში პირველი კონცერტი გაიმართა. ნიჭიერი კოლექტივის გამოსვლა თბილისელმა მაყურებელმა აღტაცებით მიიღო. დიდი მოწონება ხვდა აგრეთვე სოლიკო ვირსლაძის მიერ დიდი გემოვნებით შესრულებულ ქართულ კოსტუმებს, რომელიც ქართული ცეკვების თავისებურებასა და სილამაზესთანაა შერწყმული და მაყურებელთა აღტაცებას იწვევს ყველა ქვეყანაში, სადაც კი ანსამბლი მოგზაურობს. ანსამბლის პირველ წარმატებაში თავისი წვლილი აქვთ შეტანილი აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო არტისტს რეჟისორს დიმიტრი ალექსიძეს და საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს კომპოზიტორ არჩილ კერესელიძეს.

პირველი კონცერტების შემდეგ ანსამბლი მოსკოვს ეწვია. 1946 წლის მარტში წარმატებით გამოვიდა ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში, მეცნიერთა სახლში და სხვა დიდ საკონცერტო დარბაზებში. შემდეგ ანსამბლმა ექვსთვიანი ტურნე მოაწყო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებსა და ქალაქებში. ამ გასტროლების უდიდესმა წარმატებამ გადასწყვიტა საკითხი ანსამბლის საზღვარგარეთ გაგზავნის შესახებ.

ქართველი მოცეკვავეები პირველად ფინეთს ეწვივნენ. ეს იყო 1948 წელს. ჰელსინკში დიდი წარმატებით გამოსვლის შემდეგ, ანსამბლმა ფინეთის ქალაქებში 32 კონცერტი გამართა და პრესის ბალაი შეფასება დაიმსახურა.

ფინეთის შემდეგ დაიწყო ანსამბლის ტრიუმფალური მოგზაურობა საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში: ეწვია დანია, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ავსტრიას, პოლონეთს, უნგრეთს, ჩეხოსლოვაკიას, რუმინეთს, საფრანგეთს.

გაზეთი „ტეგლიკე რუნდმაუ“ — ბერლინის გამართული კონცერტის გამო წერდა: „...ოცდაათათასზე მეტი ბერლინელი გახდა აღტაცებული მოწმე საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის პირველი ღია გამოსვლისა.“

გერმანია პირველად გაეცნო დიდი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკის შესანიშნავ მსახიობებს — საქართველოს მოცეკვავეებს. მათმა ცეკვებმა გვიჩვენა თუ რა ფართოდ განვითარდა კულტურა გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში. კონცერტით გამოწვეულმა ალტაცებამ, ყვავილების წვიმამ, მანების სიხარულის აღტირებამ, რაც „ინტერნაციონალის“ საერთო მღერით გამოიხატა, აგვისტოს ამ საოცარი საღამოს გულითადად ატმოსფერომ დააასტურა, რომ მშვიდობისა და დემოკრატიისთვის ბრძოლაში გერმანული ხალხი თავს შეკავშირებულად გრძნობს საბჭოთა კავშირის ხალხებთან“.

გასტროლების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ანსამბლი ახალი ენერჯითა და შთაგონებით განაგრძობდა მუშაობას, იხვეწებოდა და მდიდრდებოდა მისი რეპერტუარი.

... ილიკო სუხიშვილი, ნიჭიერი ბალეტმეისტერი — ცეკვის კომპოზიტორი... მისი კომპოზიციები ზუსტი მოფიქრებულობით და მკაფიოებით გამოირჩევა. მის შემოქმედებაში ყველაფერი ექვემდებარება ერთ ამოცანას: საოფნოდ, ლაკონურად, ძუნწი, მარამ მტკიცეული საშუალებებით აჩვენოს მაყურებელს ცეკვის მთავარი აზრი, მისი მიზნობა... იგი ცდილობს მოხაზოს ცეკვის პერსონაჟთა დამახასიათებელი ყველაზე ზუსტი მოძრაობანი, ვესტები და მიმიკა. ნამდვილი ეფმოვნებისა და ხალხური შემოქმედების მაკონსერვებელი წყაროებით გაძლიერებული მაღალი კულტურის ნიმუშად წარმოვიდგება ნინო რამიშვილის ხელოვნება. თავის ცეკვებში იგი ხან ნახ კამეას მოვგაგონებს, ხან გაცოცხლებულ აღმოსავლურ მიწიჭურას. რამიშვილი შესანიშნავად არის დაუფლებული ცეკვაში ხელების ტექნიკას. მის ხელებს თითქმის შეუძლიათ ქალის გულის ურთულესი განცდები გადმოგცენ...“ წერდა რსფსრ სახალხო არტისტი პროფესორი როსტისლავ ზახაროვი გაზეთ „პრავდაში“ ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დღეებში.

მსოფიელები მოწმინდი იყვნენ ანსამბლის ხელოვნების ზრდისა და დახვეწისა. განსაკუთრებით მოხიბლა ისინი ცეკვებმა „ფარცამ“, „ქართულმა“, აჭარულ-გურულმა „ხორუმმა“, „ქართულმა სუიტამ“, „ძველი თბილისის სურათებმა“, „ლელომ“, „დავლუმმა“ და სხვ. 1958 წელსვე ანსამბლი სავასტროლოდ იტალიაში გაემგზავრა. იტალიის პრესამ მაღალი შეფასება მისცა ქართველ მოცეკვავეთა ხელოვნებას. მალე კი კოლექტივმა ასეთივე ტრიუმფით იმოგზაურა ინგლისში, ბელგიაში, ლუქსემბურგში, ამერიკაში, კანადაში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში, მექსიკაში, კუბაში, ვენესუელაში, კოლუმბიაში.

ამერიკაში ანსამბლი ორჯერ იყო, მეორედ — სრული შემადგენლობით. „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“, აგრეთვე სხვა გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე მათი გასტროლების პერიოდში თვალსაჩინო ადგილზე იბეჭდებოდა ქართველ მოცეკვავეთა შესახებ, ალტაცებას ბოლო არ უჩანდა.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში — რუმინეთსა და პოლონეთში ანსამბლი სამჯერ იყო, მეხოსლოვაკიაში — ორჯერ. ამ ქვეყნებში მისი მოგზაურობანი — მეგობრობის დიდ ზეიმად იყო ქცეული. ანსამბლი გამოდიოდა ქარხნებში, ფაბრიკებში, ღია ცის ქვეშ, სახელდასხეულ გამართულ მოედნებზე. შთაბეჭდილებათა წიგნი საეჭვა გულთბილი ჩანაწერებით. რუმინეთის სახალხო დემოკრატიული მთავრობის



ქართველი მოცეკვავეები პოლონეთში კონსახიზობა ჯეიმს კეგნესთან

მიერ ანსამბლის ხელმძღვანელები „ოქროს ვარსკვლავის“, ხოლო ანსამბლის თორმეტი მსახიობი „ეფრესელის ვარსკვლავის“ ორდენით დააჯილდოვეს. ბუქარესტში, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV მსოფლიო ფესტივალზე ანსამბლმა პირველი პრემია, დიდი ოქრის მედალი და ლაურეატის საპატიო წოდება მიიღო.

საზღვარგარეთის ქვეყნებში მოგზაურობისას ანსამბლის წევრები ერთ-ორ დღეში სწავლობდნენ იმ ხალხთა ცეკვებს, რომელთა წინაშეც გამოიღონენ და მაყურებლებს ანცეცენ-

ი. სუხიშვილი სტუმრად ქ. კოპენჰაგენის მერთან





ანსამბლის თხუთმეტი წლისთავის საიუბილეო საღამოზე. სიტყვას ამბობს პავლე ხუჭუა

რებდნენ ამ ცეკვების ბუნების ღრმა გაგებით, მაღალსტატუსური შესრულებით.

15 წლის მანძილზე ანსამბლმა საბჭოთა კავშირში 2000-ზე მეტი კონცერტი გამართა, საზღვარგარეთ 23-ჯერ იყო 26 ქვეყანაში და 760-ზე მეტი კონცერტით გამოვიდა. კონცერტებს ოთხ მილიონზე მეტი მაყურებელი დაესწრო.

ნიჭიერმა კინოოპერატორმა და რეჟისორმა საჭარტველოს სსრ სახალხო არტისტმა გიორგი ასათიანმა საჭარტველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის საგასტროლო მოვზაურობა კინოფირზე გადაიღო.

ახლახან ეს ფილმი კვრანებზე გამოვიდა სახელწოდებით „მსოფლიო ტაშს უკრავს“.

ხალხური ცეკვის ანსამბლის შემოქმედებითი კოლექტივი ორმოცდათამდე მოცეკვაისაგან შედგება. ანსამბლში აღიზარდნენ და პროფესიულად მომწიფდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები: მარინე მხეიძე, ნინო ლორთქიფანიძე, გულნარა ნიკოლოზიშვილი, გივი სურგილაძე, ვლადიმერ ყუფუნაძე, ილიკო თაყაიშვილი, ვალერიან კალანდაძე, მათ მხარს უშვებდნენ: ნინო კირვალიძე, რუსუდანი ენუქიძე, ელენე წერეთელი, ბელა კაპანაძე, ლიანა აბრამიშვილი, ლია გოგელიანი, ლილა დუმბაძე, იაშვი დოლაბერიძე, ეუფუნა ართმელაძე, სოფიო იაშვილი, ელენე დოლიძე, ომარ მხეიძე, თენგიზ სუხიშვილი, დავით ბასილაშვილი, ნოდარ გიორგაძე, გიორგი ჯიბლაძე, თენგიზ უთმელიძე, ნოდარ კლდიაშვილი, ვახტანგ სალუქაშვილი, შალვა გარუნავა, ოთარ ნასყიდაშვილი, დავით ქველიძე, თამაზ კიკალაიშვილი, ჯემალ გეგუჩაძე, ანზორ ნიკოლეიშვილი, მურმან კიკნაველიძე, გიზო ბერაძე, იაშა ზედაძიძე, ასლან კახისოვი, კარლო ბერაია, თენგიზ მინდიაშვილი, შოთა ხოფერია, ზურაბ იაშვილი, გივი ჯიბლაძე, ანზორ ბუაძე, შოთა გიგაური, ფრიდონ სულაბერიძე, ჯემალ ნავროსაშვილი, თეიმურაზ მაგალითიშვილი, ბახში იაგეტოვი, ანზორ ასლანიშვილი, გიორგი შენგელაია, ვახტანგ ხუციშვილი, ჰამლეტ მუშეუდანი.

მიმდინარე წლის 22 იანვარს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში სახელოვნამო ანსამბლმა 15 წლის საიუბილეო საღამო გამართა. ეს იყო ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიში მშობლიური ხალხის წინაშე, რომელმაც ხუთმეტი წლის წინ ახალგაზრდა კოლექტივის გზა დაულოცა ფართო აპარჩუნისაკენ და რომელსაც მან იმედები გაუმართლა ბრწყინავალად.

ოსური ცეკვა



საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული  
ანსამბლის თხუთმეტი წლისთვის საიზილიო საღამოზე



კინოოპერატორები იღებენ საიზილიო საღამოს



ცეკვა „მზედრული“

ხევსურული ცეკვა





ხვესტრული ცეკვა

ცეკვა „ფერხელი“



# მევიკრიმეტყველი ქართველი ქალი

სიმონ სხირტლაძე



«...ქვეყნის ერთგულ-მოყვარული, ქმარშვილისათვის თავადღებულო, დარბაისლურად ზრდილი და საუბრის დროს ტბილ-მოქართულე, მართლა რომ მადლსა ჰქვენდა გარეშეშოს.»

აკაკი.

ორატორული ხელოვნების საკაცობრიო საგანძურში განუმეორებელი ორიგინალობით ბრწყინავენ ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების შედეგები. ზეპირი მეტყველების ეს უმაღლესი და უმშვენიერესი ფორმა არც მზამზარეულად მიგვიღია საიდანამე და არც სახელდახელოდ შეგვიმუშავებია.

საქართველოს უმშვენიერესმა ბუნებამ, მცხუნვარე მუხის ცხოველმყოფელმა ძალამ, მშობელი ქვეყნის ბარაქიანმა მიწამ, მასზე და მისი შენარჩუნებისათვის დათხეულმა სისხლმა, ხანგრძლივმა, მაგრამ ხშირად ცვალებადმა ისტორიულმა ქართველი ხილებმა, საუკუნეთა გზაჯვარედინზე მომხდარმა სოციალურმა და პოლიტიკურმა ძვრებმა, ქართველი ხალხის მომადლებულმა ნიჭიერებამ, ძარღვიანმა, — მთაწმინდელებისა და რუსთაველის გენიით ფრთავსესმულმა ენამ, უძველესი და დიდად კულტურული ერის ფერად ზნეჩვეულებათა საარაკო გამოსხვივებამ, ნოყიერი ნიადაგი მოუშადა და უაღრესად კოლორიტული სახე მისცა ჩვენს ნაციონალურ მჭევრმეტყველებას.

ქართული მჭევრმეტყველება მართოდენ სასოტო-საზეიმო ხასიათს როდი ატარებს. მასში, როგორც სარკვეში, უკუფენილია მთელი ერის სასოგადოებრივი ყოფა, მისი ჭირი და ლხინი, მისი ვაკეკუერი შემართება დამპყრობი მოძალადეებისა, უსამართლო და უგარგისი სოციალური წყობილებებისა.

კამუსულიტყვაობის ამ მომხიბლავ ნიმუშებში ხშირად ტრაგიკული აკორდები გაისმის, გამოწვეული რაიმე სახალხო უბედურებით, ამა თუ იმ შესანიშნავი პიროვნების დაკარგვით.

მაგრამ, საერთოდ, ისტორიულად ქართულ ორატორულ ხელოვნებას, ისევე, როგორც ჩვენს ფოლკლორსა და მხატვრულ ლიტერატურას, დაცემულობის განწყობილება როდი ახასიათებს. მტკიცე ხელით და ლოგიკური თანამიმდევრობის განსაკვირვებელი ძალით ნაჭუქ სტრუქტურებში აწეული ტონით გაისმის განუხრელი რწმენა იმისა, რომ მუხის დაცემა არ ნიშნავს ფესვმავარი ჯიშის მთლიან მოსაბოას, რომ ისტორიული ბედშეკლმართობის შედეგად დატყბილი უბედურება არ შეიძლება იყოს მარადიული, რომ უკეთეს მომავალზე ხელის ჩაქვება, ბრძოლაზე ხელის აღება ნიშნავს სიკვდილს.

კლასიკური მჭევრმეტყველების ამ სწორუპოვარ შედეგებში მთელი სიძლიერით ჩქვეს ქებათა-ქება ყოველივე დიადისადმი, მშვენიერისადმი, მათადმი და მისდამი, ვინც და რაც ერის ზნეობრივ ამაღლებას, გონებრივ წარმატებას ემსახურება, მის ავტორიტეტს უფრთხილდება, უკვდავების შარავანდედით აცისკროვნებს. ამ საოგმანებელ მარგალიტებში უფვალავ ფერებად ბრწყინავს ქართველი დედების მადლი, წინაპართა საქმენი საგმირობი, მათი აზრისა და მკლავის ძალა, სულიერი ახივნება. ამავე დროს, ორატორის ბაგეთაგან წამლკვიცა ტალღების მქუხარებით გაისმის ზიზღი და კრულვა ფილისა და ორგულისა, საშობლოს განსაცდელის ქამბოლსის ყურეში ძილად მიგდებულისა.



ღარაა დავაა

ქვემარტად დღია ორატორული სიტყვის ზემოქმედების ძალა! მას შეუძლია შეცვალოს, თავდაყირა დააყენოს ჩვენს წარმოდგენაში დღემდე განმტკიცებული დოგმები, ფეტიშად ქცეული აზრები.

იყოს თუ ორატორმა ჩვენი სიტყვის უძღურება, იგი გულთამხილავი ძალით იჭრება ჩვენს სულსა და გულში და ჩვენც ხარბად ვუღებთ დღეძველ გადარასულ გულს და ჩვენც მის მღელვარე სიტყვებს. ამ სიტყვების ვეფხეთ და დაფტირით არა მარტო ჩვენს გაფრენილ ბედნიერებას, არამედ ნუგეშითვე ვეგებებით ხვალინდელ, კიდევ უფრო პირმომცინარე დღეს.

დაიხაც რომ ქებათა-ქება ვეკუთვნის სიტყვის დიდოსტატს! ჩვენს სათქმელს ის ასჯერ და ათასჯერ უკეთ ამბობს, ამხეურებს, ჩვენს მოზღვავებულ, მაგრამ გამოუთქმელ გრძნობებს ხორცს ასხამს, უმშვენიერეს მხატვრულ ფორმებში ხვევს.

\* \* \*

ქართული ორატორული მჭევრმეტყველება ისევე ძველია, როგორც მისი შემქმნელი ერის ისტორია, ისევე მომხიბლავი და ღრმავარდობიანი, როგორც მისი სულიერი და მატერიალური კულტურის საკვირველებანი.

ეს სწორუპოვარი ნიმუშები ერის სულიერ საღაროს ისეთივე სიდიადეს მატებენ, როგორც რუსთაველის უკვდავი პოემა, დ. გურამიშვილის ლექსთა კრებები, ბარათაშვილის. ილიას, აკაკის, ვაჟას პოეტური შემოღებანი, როგორც თამარის კოშკები, დავითის იგლავა, სვეტიცხოველი, სიონი.

რომელი და რამდენი ერთი დავასახელოთ! მსოფლიოში აღიარებულ რომელ ოქროპირთა სიტყვებს ჩამოუვარდებიან თავის შინაარსით ან ფორმის კახმულობით არსენ ბერის, სოლომონ ლინინის, გაბრიელ ქიქოძის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო დადიანს და სხვათა ორატორული მჭევრმეტყველების ნიმუშები! როცა ამ შედეგებს კითხვობთ, გაოცებულნი რჩებით წინადადების სინტაქსური წყობით, სასტიკ ბრძოლებში გადარჩენილ სიტყვათა ლოგიკური შედლებით, მხატვრული ვირტუოზობით, რომელნიც საბოლოოდ აზრისა და გზონიის ერთ დიდებულ და დასრულებულ გრესილს ქინან.

ერის რჩეულთა ამ სიტყვებში მკაფიოდ ელერს არა მარტო დრტვენა და ჩივილი უვარის აწყვილე, არამედ ისიც, თუ რანი ვიყავით გუშინ, რა ღირსებით ბრწყინავდა ჩვენი წარსული. კიდევ მეტი, ამ სიტყვებში მთელი ძალითა სჩქედს ნათელი რწმენა უკეთესი მომავლისა, ჰიმნი ბრძოლისა და შრომისა. ვიტყვით მოკლედ: ჩვენი ნაციონალური მჭევრმეტყველება საქართველოს ჩაჩახა მზის სხივებითა მოიჭროვოდ-მოვარაყებული, ცისარტყელს ფერებშია გაგლეხული; მასში ვაისმის და იგრძობა ლომის გრგვენა, ვეფხის შემბრთება, არწივის გაყვამი, მტრედის ღუღუნი, იადონის სტვენა-გალიბა, თურვის ყფვა, რიონის ქუხილი, მტკვრისა და ალაზნის ღუღუნი, მთის ანკარა წყაროთა რაკრაკი.

\* \* \*

ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების ძირითადი ნიმუშები მეფეების, სახელმწიფო მოღვაწეების, მხატვრული სიტყვის ოსტატების, ეკლესიის მსახურთა ბაგეთაგან დარჩეულია. ფრიად საყურადღებოა, რომ ამ მხრივ ნაკლებად ბრწყინავენ დაბალი ფენები. ცხადია ეს გარემოება მათი სოციალური და სასოციალური მდგომარეობით უნდა აისხნას. რაც შეეხება ქალს, თუ მისი ნიჭი წარსულში მთელი ძალით არ გამოხსივებულა, ამაში მარტო მას ნუ დავდებთ ბრალს. უკიდურესად შეზღუდულს, მხოლოდ და მხოლოდ საოჯახო საქმიანობაზე იზიარებულს, ქალს არ შეეძლო მთავებმარე სულიერი ძალები აემოქმედებინა, მთელი შესაძლებლობით გაეშალა.

ქართველ დედათა პლეადიდან მხოლოდ ერთი ქალის, დეიდი დიდებულ თამარის ორიოდე ორატორული სიტყვა შემოგვრჩა (ერთი თქმული დარბაზში ეკლესიის უზენაეს მსახურთა მიმართ და მეორე მხედრობის წინაშე შაჰქორის იმის წინ<sup>1</sup>).

უდავოა, ორატორული ხელოვნების თავისებური ნაპერწკლები ციმციმებენ 17-18 საუკუნის ქართველ პოეტ ქალთა მხატვრულ ნაწერებშიც. ამ მხრივ მხედველობაში გვყავს ცნობილი პოეტი ქალი მანანა და დები ბატონიშვილები. განსაკუთრებით კი, ერეკლე მეფის უმცროსი, მისთვის ყველაზე უსაყვარლესი ასული თეკლე („თეკლა ბიჭი“), რომელმაც თავის ძალუღლოვანი მამის სიკვდილით გასწავული სხედ, საუკეთესო რიტორიკულ ფორმებში ჩამოსაბა და წერილის სახით გარსენა ჭავჭავაძის მუღულეს — მაიას შესტარა. რა თქმა უნდა, აღარფერს ვამბობთ იმ დიდ ამავსე, რომელიც სხვადასხვა დროს ქართველთა ქალებმა დასცეს საუბრით ქართულ კულტურას, მწიგნობრობას, წიგნების გადაწერა-მოკაზმის, ხელოთვა-კალიგრაფიის საპატიო საქმეს.

<sup>1</sup> ორივე ეს სიტყვა შეტანილია დოც. ნ. კანდელაკის მიერ სამაგალიოდ შედგენილ კრებულში „ქართული მჭევრმეტყველება“.

ამჯერად, ჩვენ ეს ქალები გვანტერესებს, რომელთაც ქართული ორატორული ხელოვნების სავანურში რამე წარსული შეუტანიათ, „ტუბილ-ქართულით“<sup>2</sup> ელერადი ბაგე გაუპიათ. ვიმეორებთ, მაღალი სოციალური მდგომარეობის ქალთაგან ჩვენამდე მხოლოდ თამარის საჯარო სიტყვებმა მოაღწიეს და ეს სიტყვებიც მხოლოდ სადარბაზო მჭევრმეტყველების კლასიკური ნიმუშებია. საესებით მართებულად შენიშნავს ქართველი მჭევრმეტყველების ისტორიის მკვლევარი ნ. კანდელაკი, როცა წერს: „ამ აღობინებებს არ შეიძლებოდა ჩამორჩენილა ქართული მჭევრმეტყველება“ (ნ. კანდელაკი, ქართული მჭევრმეტყველება, 1958 წ. გვ. 159).

როგორც აღვნიშნეთ, მდამოი წრიდან გამოსული ქართველი ქალის ორატორული სიტყვა (ამ სიტყვის სპეციფიკური გაგებით) ჩვენი ვერ ვხედავთ. გამონაკლის წარმოადგენს მხოლოდ ვინმე ქიხიელი ქვრივი დედაკაცის მიერ ერეკლე მეორის ზართი დატრება. სოლომონ ლინინძის გენიალური სიტყვის შემდეგ, თუ რა ხელისდაწერივ უზემოქმედება მოუხდენია მსმენელთა სულსა და გულზე ამ მართებულად საისტორიო ქალის დატრებას, მოვესმინით თეიმურაზ ბატონიშვილი:

„იყო ამან ხმითა მალეთისა ტირილად. ესრეთისა შესაბამითა სიტყვეთისა ტირილს მას შინა მოიღებდა თვითუფლითა ღირს სახსოვართა საქმეთა მეფისა მიერ თქმულთა, რომელ ყოველი მსმენელნი სიტყვათა მით უმეტეს ლომიერ იქმნებოდეს და სტიროდეს გოდებთა დიდეთა და ყოველთა მიეყრათ უური მისა მიმართ და განუკვირდებოდით თუ ვითარ ერთმან მსოფლიომან დედა-კაცმან ესრედ შესაბამისა სიტყვებითა დაიტრია გაგამი დიდებულისა მეფისა“. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართული მხედველობის მოთქმით დატრება ძველ ქართველ ქალებს მიეკუთვნებოდათ უკეთესი მისხდვით (ე. წ. ზარი) უფრო ეხერხებოდათ. ქიხიელი დედაკაცის ეს დატრება კი ერთგვარი გამონაკლისია, რადგან მაღალი საფეხურია. საოცარი ისაა, რომ ეს ცამდე ასული გოდება ამავე დროს მოხდენილი სამისი ყოფილა ღრმასწორვანი, მკაფიოდ გამოკვეთილი რიტორიკული სიტყვებისათვის.

როგორც ირკვევა, ჩვენთვის დღემდე უნცობი კახელი ქალის ეს ზართი დატრება ქართული ხალხური მჭევრმეტყველების უმაღლესი სახე უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ამჯერად ჩვენ სულ სხვა ვინმე გვწავლია წარუდგინით ქართველ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, ქალებს. ლაპარაკია დარია ფულავაზე, რომელიც თავის დროზე ფიზიკურად და რაც უფრო სათაყვანოა, — სულიერად აცისკროვნებდა „მწვენიერთა საგინეს“.

\* \* \*

არავითარი კლასიკური განათლებით არ ბრწყინავს სახელი იმ ქალისა, ვინც ამიერიდან მტკიცედ და საპატიო ადგის იკავებს ქართული მჭევრმეტყველების ისტორიაში.

თამარის შემდეგ, ქრონოლოგიურად, დარია ფულავა, მეონია, მეორე ქალთა, რომელმაც თავის მხრივ ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების ერთადერთი, მაგრამ ნამდვილად ობოლი მარგალიტი დაგვიტოვა. და ეს მით უფრო საკვირველია, რომ თვითნასწავლ ქალს იგი 26 წლის ასაკში წარმოუთქვამს.

მხედველობაში გვაქვს დარია ფულავას სიტყვა თქმული



1896 წლის 10 მარტს, გელათში, გაბრიელ ქიქოძის კუბოზე<sup>2</sup>. როგორც ცნობილია, „სოფლიოში სახელმანტიფიო მქადაგებლის“ (მ. ჯანაშვილი) და „ღრმად მოწყვნილი მცენიერის“ (ილია ჭავჭავაძე) გაბრიელის გარდაცვალებამ ქართული ხალხის საყოველთაო გლოვა გამოიწვია. ანტონ ფრეცელაძის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ერი დასტიროდა მქადაგებელს მცენიერს, მქადაგებულს მებრძოლს წინააღმდეგ ყოფილსა ბოროტებისა, მშლარობისა, ძალმომრეობისა, უსამართლობისა, ჩაგვრისა...“ (ივერია 1896 წ. № 33).

აღსანიშნავია, რომ გაბრიელ ქიქოძის დაკარგვამ ქართულ ორატორულ მწვერმეტკვლეობას რამდენიმე სწორიზოგავის შედეგური შესძინა. საკმარისია დავასახელოთ ილია ჭავჭავაძის, აკაკის, ვ. წერეთლის, ნიკო დლიანის, ილია ხონელის (რუსულად), გრიგოლ დლიანის (კოლხიდელის), ვასილ მაჩაბლის (ივანე მაჩაბლის ძმის) დიდი ორატორული ხელოვნებით შეზავებული სიტყვები.

მათ რიცხვში ბრწყინავს ორატორთაგან ერთადერთი ქართველი ქალის დარია ფაღავას სიტყვა, რომელსაც მამინეგ უჩვეულო შთაბეჭდილება მოუხდინა სასოგადოებაზე, პირველ რიგში, დიდი ილიაზე და მართლაც, ახალგაზრდა, ოჯახურად აღზრდილი ქართველი ქალის ეს სიტყვა ბრწყინვალეა არა მარტო ფარგვანი სამკაულით, არამედ შინაარსითაც.

დარია ფაღავას სიტყვაში პარონიულადაა შეზავებული ორატორული ხელოვნების სამი სავალდებულო მოთხოვნა, უკეთ რომ ვთქვათ, მხარე: შინაარსი, ფორმა და შესრულება.

როგორც წესი, ნიჭიერი ორატორი წინა პლანზე აყენებს შინაარსს ე. ი. მთელი დატვირთვით, უკრავდების მთელი დაბაბულებით გვაგალებს მოგონებით, შევიწინოთ მიცალღებულის საერთო და საზოგადოებრივი ღვაწლისილება, მისი სულიერი ახორცება, სიდიადე. ფრიად საყურადღებოა, რომ ორატორის სიტყვის შინაარსობრივ მხარეს ფლობს ძლიერი ოპტიმიზმი, უკეთესობა და უკეთესის მოლოდინი. მოვეხმინოთ სტრიქონებს: „ამისთანა უღმატებულესი და დიდბუნებოვანი შვილის წართმევა სამშობლოსა და მის ერს ისე ახდის, როგორც რომ მშვენიერ ბაღში ხეებს ქერქის გართმევა და სტრუბის აღკვეცა, მაგრამ მას კი ჯერ ფესვები არ გახშიბია, მამასადამე კვლავ აქვს საკმაო სინედლე დარჩენილი, რომლითაც კვლავ ისამს თავს“. მაგრამ მიცალღებულის ვასაპატიონებლად, მის ასამღლებლად ორატორი მარტო ორატორი, ერთმანეთზე მიყრილი სიტყვების გროვას როდი უნდობა. ამ სიტყვებში იგი სათანადო მხატვრული ფორმით, გახშული გამოთქვებით უღვამს სულს, მიატყვს მსმენელს გულთან და ამით დაეძინვარ ხატების ქმნის იმისას, ვინც და ფაღავასვე სიტყვებით რომ ვთქვათ: „მისის კეთილგონიერებით ქვეყანაზე მალდა იდგა კაცთა შორის უმანჯოდ და ღმერთთან კი ახლოს“.

ფორმის მხრივაც დ. ფაღავას სიტყვა უნაკლოა. წინადა-

დგამთა სინტაქსური წყობა, შედარებით, ჰიპერბოლიტი, ეპითეტები, განმეორება, ინვერსია და სხვა მხატვრული სამკაულები სრულს ამინარსთან იმყოფებიან სიტყვის ცენტრალურ მხარესთან — შინაარსთან.

რაც შეეხება შესრულებას ე. ი. თვითონ წარმომთქმელის სხეულის დაჭერას, ესტეტბას და სახის მიმიკას, ამ მხრივ შევვიძლია იქ დამსწერ მიხეილ სხირტლაძის უპირიგამოცემა დავიმოწყოთ.

ვისაც ონდავ მიინც ახსოვს გაბრიელის დიდებით დაკრძალვა, — იგინებდა მიხეილ სხირტლაძე, — მას არასოდეს დაავიწყებდა ცისკენ მიპყრობილი, ღრმადმეტყვეული თვალები ახალგაზრდა ორატორი ქალისა, ქალისა, რომლის ქადაგებული ფიგურაც არღვანისფრად გაიპოხილი ბავიდან ბგვრადი, მაგრამ მტად საამური ტრანალობით აფრქვევდა ირგვლივ ხვეწროდვან ხმებს.

ქუმარიტად საარაკო ყოფილა სანახაობა. ამ სურათის მნახველს უუკვევლად უნდა გახსენებოდა უკვდავი რუსთაველის სტრიქონები:

„გახეტქა ლალი, გათლოლი,  
ანდამატისა კვერითა,  
მუნით წყარონი გამიჩნდეს,  
ძიწსა ვამზავავს ფერითა“

ამ განსეგრავ ურთიერთობას ორატორსა და მრავალრიცხოვანი მსმენელ შორის, ალბათ, კიდევ უფრო რომატიკულსა ხდიდა და რაღაც სხვაგვარი გრძნობით ამაღლებდა გელათის დიდებულ ტაძარი, მდგმარე გარემოში ისედაც გარინდებულო თაღების ქეჩ, რჩეული სასოგადოება და იქ ყოფილი ილია ჭავჭავაძის შინაარსიდედი...

კმარა, მიდი ჩვენს ოცენაში წარმოსახვის ძალით გავაცოცხლოთ ეს მაღლიანი ქართველი ქალი და მიგრძალვენი მოგისმინოთ ის სიტყვა, რომელშიც უთუოდ იგრძნობა კოლხიდის რიტორიკული სკოლის შორეული სურნელება<sup>3</sup>.

„ისი ძლიერია სასოება რწმუნებულთაში, რომ მუც კი ერთი უსურბის პირის ქალსაც ენას მადგვეთიებს სალაპარაკოდ ამ საკვირველ ტაძარში, ბრწყინვალე საზოგადოება შორის.

დღი ოუ მიერე ყველა ქართველთაში საკმაოდ გრძნობს ამ დიდად საწუხარო შემთხვევას, ყველა ალოვობს, ყველა სტრის და სამშობლოს ურთიერთ შორის ამ საუბედურ მოვლენას. სწორედ რომ სამშობლო ჩვეთივს ეს დღე, — ვის ჰკარავს დღეს საქართველო და ვის გავსადემეს სანაშადიმდ უმოპოხილი სიკვდილი? იმას, ვინც მისი კეთილგონიერებით ქვეყანას, მალდა იდგა კაცთა შორის უნაკლო და ღმერთთან კი ახლოს.

ჩვენ უხედავი დღეს ამ იმ უმოპოვს კაცის უბორო ცხედარს და თავყანას ვესტეო ამის დინსტელს, პატიონას ვაგას, რომელც იყო უპირიტიკული მოღვაწე, სამავალითი სულიერი მამა და მისის სიციხის უკანასკნელ წერტილთან განდგომილი მოღვაწე თვისის სამწესოსათვის იმეტიანა ჩვენი ისეთი ვინმე ჩამორჩეული და ჩვენი ერთგულ დილხებისაგან გამოუწყველი კაცი, რომელსაც არ გავივინოთ ამ ნეტარ სწენებულს დიდ-კაცობა.

ამის დიდებულო გაბრიელი და მისი სანატრო ცხოვრება, არამედ თვალსაჩინოა, მავალითი დასაფხები ყოფილი მისი საქმე, რომელმან არ მორადა პირი არავითარ ჯერვანს შრომას, არ შერეინდა, არ ერთგავს კვლასა და მზელით მყურე ზახა; გაიარა მიწათადად ყოფილ მსოფლიო შემთხვევაში და დააწინა ქუმარიტების ისინი, რომორც მუც აღმოსავალით დასავას.

მან გაარღვია ხალხის ბუბოში შეხავალი ციხე, ხელში დაიჭირა ხალხთა გარბენის გასვლი; დურეკა ყველას გრძნობის გასაღვიწყლად და გაღვამულა მათ ვის სწავლა-განათლებლასა; არც ივის ამისი დილხება: ამისი დილხება იყო ზეგარდამო-შთაგონებითი მისი, ამისი დილხება იყო განათლება, ამისი სურნება იყო საზოგადო საკეთილდღეო მოღვაწეობა და ამისი მიწარეგება საყოველთაო შემოღობა.

ეს იდგა ცნობიერების მწვერვალზე და ერთხელაც არ მიმწყდარა

<sup>2</sup> გაბრიელ ქიქოძის პედაგოგიურ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო დამსახურებაზე იხ. «Большая Советская Энциклопедия», т. 20, 1953 г., стр. 616; Н. А. Добролюбов, Избранные философские произведения, т. I, Москва, 1848 г., стр. 491. პრირფ. ა. ბოლოხოვილი, გაბრიელ ქიქოძის ცდისიდედი ფსიქოლოგის საფუძვლები. ფსიქოლოგის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1950 წ. გვ. 63; პრირფ. ა. ქუთუთისა წერელი გაბრიელის ფსიქოლოგიაზე, «მშობლი» 1943 წ. № 7, გვ. 65; მ. ახლელავი «ქართველი მკვლამტკვლეობა», 1958 წ. გვ. 258; სიმ. სხირტლაძე, ი. გოგავაშვილი და გაბრიელ ქიქოძე, «იკავმ გოგავაშვილის სათბილელი კრებულო». 1960 წ.

<sup>3</sup> დარია ფაღავას ეს სიტყვა აკაკის რჩევით, მისსავე სიტყვისათან ერთად, შეუტებითი სპეციალურ კრებულში ასულმწიხიო გაბრიელის საუნჯეა, რომელშიც ქ. ქუთაისში გამოცემა 1897 წელს, იხ. გვ. 75.





მოგაწოდა დარია ფაღავას ის პორტრეტიც, რომელიც ჩვენს წერლის თან ერთვის.

ყველა ამ მონაცემის საფუძველზე, რომელსაც აკაკი წერეთლის მიერ დარია უკვდავსაყოფად დაწერილი გულთბილი ნეკროლოგიც ასხვისონებს, ორატორი ქალის ასეთი მედლაიონი გვეხატება.

დარია მურზუაყაის ასული ფაღავა დაბადებულია 1863 წელს სოფ. ზანას (ზუგდიდის მაზრა).

დედიან მისი პაპა ყოფილა კონსტანტინე აფაქიძე, კაცი თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული; მისი ცოლი, დადიანის ქალი, ახლო ნათესავე ყოფილა მაღლა დადიანისა.

სწორედ ამ ოჯახში დაბადებულია და აზრდა წარმოშობით ბანძელი გოგონა. აქვე შეუსწავლია წერა-კითხვა, სასულიერო მკვლევარებას შედევრები. დედულთშივე გაიზარდა და შეიტკბო უკვადი „ვეფხისტყაოსანი“; ღრმად ისუნთქა რუსთაველის ენის სტიქია.

წლებმა სწრაფად გადაიქროლეს... დარია გასათხოვარი ხდება.

დედისერთა, მდიდარ, თვალტანად ქალიშვილზე ბევრს ეჭირა თვალი, ბევრს ეკვეთა მისგან ტრფობის ისარი. მაგრამ წინადახედულ, დიხჯ, ზნემაღალ ოჯახზე მეოცნებე დარია ასე აცდილად როდი მოხიზლავდა უსაქმურ, ფუჭსაგატ ჩიხოსანთა სტრუქტურის ნამუღლ სამიჯნურ უსტარები.

რჩეული რჩეულს უხმობდა, გული დაეძებდა გულს.

დარია ფაღავას რომანტიკულ თავგადასავალში მრავალთაგან ერთი ეპიზოდიც სამუდამოდ ჩაიწერა.

ერთმა უგონოდ გამიჯნურებულმა თავადმა, როცა მისგან ცლობისზე სასტიკი უარი მიიღო, მოტაცება სცადა, მაგრამ მამაცი, სწრაფი ორიენტაციის გოგონა არ დაიბანა, თავსაფი გადაასხა თოფ-არაღში ჩაძვლად „რანდელს“. იგი ეფვის სისწრაფით გადმოეკლო მაღალ მოაჯირის და შერკინებაში ჩამოშლილი შვი თმებით ბნელ ღამეს შეუერთდა.

ბანძელი გოგონას ეს „ლეგენდარული ნახტომი“ მთელ დასავლეთ საქართველოში დიხვანა, პრესაშიც კი გახანდურდა.

ამ ამბავმა კიდევ მეტი თავყავისმცემლები შესძინა დარიას და, აპა, ტოლიც გამოჩნდა. ეს რჩეული იყო მთელ დასავლეთ საქართველოში სიღამაზით და ნიჭიერებით განთქმული ლიეკუმდამთავრებული იურისტი მეჭი ფაღავა. მეჭი ფაღავას სახელსა და ავტორიტეტს კიდევ უფრო ამაღლებდა ის გარემოება, რომ მის ახლო მეგობრობა და სახანუო საქმიების გამო საქმიანი დამოკიდებულება ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან.

მის ბიოგრაფიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა ილიას მიპატივება ბანძაში 1885 წელს, როცა დიდი პოეტი, როგორც ქართველთა შორის წ. კ. ჯ. საზოგადოების თავმჯდომარე, სამეგრელოს ესტუმრა ნიკო დადიანის (მინერგულსკის) სავგარეულო ბიბლიოთეკის გადმოსაბარებლად.

აქ აღარაფერს ვამბობთ მასპინძელთაგან ილიას გულზე მიღებაზე, პოეტის მოლხენაზე, ენაწმუბობაზე, სამეგრელოს ხილვით გამოწვეულ აღტაცებაზე. ამაზე საკმაოდ ბევრი ითქვა და დაიწერა.

დაუბრუნდით ისევ დარია ფაღავას ცხოვრების გზას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დარია ამ თავისავე გვარის, მაგრამ სისხლთ შორეულ ვაჟაქვს მეჭი ფაღავას გაუწოდა ხელი. ახალგაზრდა ქალი ყოველმხრივ ირისულად შეხვდა დედობის უშიშმეს, მაგრამ სახარბიელო ბუნებას.

აფაქიძეების ძველ ქართულ ოჯახში ტრადიციულად აღზრდილ, შინაური სწავლითა და თვითგანვითარების გზით

გონებვახსნილ დარიას ამავად ეჭირა თავი იმ წრეში, რომელიც მეჭი ფაღავას გარშემო ტრიალებდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ დარია ჯერ კიდევ გათხოვებამდე სახსებილი მომზადებული ყოფილა ცხოვრებისათვის. ნუ დაგვიწყნდება, რომ ძველ ქართულ ოჯახში, როგორც ვახუშტიც გვიმოწმებს, ქალების ასეთი საქმიანობაში „ცოდნა-ხელოვნების მოყვარულობას“ საპატიო ადგილი სჭირა.

ეს წეს-ჩვეულება ოდიანვე მთელი ტრადიციულობით იყო დაცული სამეგრელოში. არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც თითქმის 20 წელი დაჰყო სამეგრელოში, სიამაყის გრძნობით წერს: „ქართული წერა-კითხვა დღეს სულ მოსპობილი იქნებოდა აქ, რომ ქალებს არ შეენახათ იგი“.

რაც შეეხებოდა მათ სულიერ საზრდას, თუ რა წიგნებით იკმაყოფილებდნენ გონებრივ და ესთეტიკურ მოთხოვნილებას, ამაზე ჩვენს სახელთან ისტორიკოსებს და ბაქრაძეს მივუხსენიოთ: „ისინი ტაბუთდნენ ჩვენს ენაზე დაწერილის ანუ სწავლით გადმოღებულის საერო თხზულებებით; კითხულობდნენ უფრო განთქმულს რუსთველის „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც უშეშვიერებდა სიტყვიერებას და განუწყმინდა აზრსა და ზნეობის გემოვნებას, მრავალი იცოდნენ ზუბირა; კითხულობდნენ საბერძნეთის ფილოსოფოსთა მშობლიურს ენაზედ, მამაბა ცხოვრებასა და საღმრთო წერილებსა.“ (დ. ბაქრაძე, ქართველი ქალები, 1891 წ., გვ. 9).

მართალია, დარია ფაღავაც ასეთ ატმოსფეროში იყო აღზრდილი, მაგრამ, ახლა, განახლებისა და გრივალის ქოროლის საუკუნეში, ეს ცოდნა უკვე აღარ კმაროდა.

მე-19 საუკუნის II ნახევრის საზოგადოებრივი აზროვნების დედული რომ გვერძნო, ახალ სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებაში რომ ჩაგებდა, საჭირო იყო ჩვენი პერიოდული პრესის, ბეჭდვითი ლიტერატურის თვალყურის დევნება.

დარია ფაღავა, როგორც გახსნილი გონების ქალი, აქაც თავის სიმაღლესე აღმოჩნდა. ქუთაისში ცხოვრების წლებში იგი ძალზე ბევრს კითხულობდა, ახლის იმყოფებოდა მორწინავე ინტელიგენციისთან, განსაკუთრებით, ორ პოეტთან აკაკისთან და ცახელთან. თავის მხრივ, როგორც ერთი, ისე მეორე მოხიბლული ყოფილა შინაურულად „განსწავლული“ ქალის ნიჭიერებით, მისი მაღალი ზნეობით და ეროვნული იდეალებით. დარია სისტემატყად ესწრებოდა წარმოდგენებს. იგი უღრმეს პატივს სცემდა ქართული სცენის ვეტერანებს ლადო მესხიშვილსა და ვასო ბაბიძეს. ქალთაგან კი — ნუცა ჩხვიძეს, რომელიც მისმა ქმარმა მეჭიმ მონათლა.

განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია დ. ფაღავას კულტურულ-საქვეყნობრივ საქმიანობა. მან საუცხოო წიგნთსაცავი გახსნა თავის სოფელში და თავისივე ხარჯით ბევრ ახალგაზრდას გაუცავა გზა ცოდნისა და განათლებისაკენ.

ქუთაისის მოწინავე საზოგადოებაში ტრიალმა კიდევ უფრო გააფართოვა ბუნებით ნიჭიერი ქალის გონიერება პოეტისონტი, კიდევ უფრო მეტად აზიარა იგი მოწინავე და პროგრესულ იდეებს.

\* \* \*

როგორც მშობელი ქვეყნის მხურვალე პატრიოტი და თავის დროისათვის საკმაოდ განვითარებული ქალი, დარია ფაღავა გააფაცივებით ადევნებდა თვალყურს ქართულ პრესას, ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებას, აზრთა და იდეათა შესლა-შემოსლას.



ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ამბოქრებულ საუკუნეში, რომლის ტალღებზე ილიას ფოლადის მკერდს ეხეთქებოდა, მოწინავე ქალისთვისაც მიუღებელი და დასაგმობი იყო ყველაფერი, რაც სახალხო საქმეს ზიანს მიაყენებდა, ეროვნული შეგნების მილიანობას დასუსტებდა, ძირს გამოუთხრიდა.

დარია ფაღავამ „ივერიის“ ფურცლებიდან საინტერესო პოლემა გაუგებრობა გ. წერეთელს, რომელმაც წერილში „საით მივიწერათ?“ ქალაქის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით, ცოტა არ იყოს, ტენდენციური თვალსაზრისი განავითარა ზოგიერთი საკითხის ირგვლივ.

გამოჩენილ ბელეტრისტთან და საზოგადო მოღვაწესთან კამათის დროს, ზოგიერთი თავგაბანული, ქარაფშუტა პატრიოტების გამოხედვებით გულმოკლული ქალი, ნაღვლიანი კილოთი შეწინააღმდეგებდა: „ვინ არ იყოს, რომ ჩვენი, ჩვენდა სამწუხაროდ ჯერ კიდევ არსებობს ვერცე წოდებული „პროვინციული პატრიოტობა“. ამ ორი წლის წინათ თვით საქართველოს დედაქალაქე კეთილშობილთა კრებულში ბანკის ყრილობაზე ათასი კაცის წინაშე, ზოგიერთმა მამულიშვილმა (?) საქვეყნოდ წარმოთქვა შეუწყნარებელი სიტყვები: „იმერლები ნუ ერევანი ჩვენს საქმეში“ („ივერია“, 1897 წ. № 87).

დარია ფაღავას იდეალთა ყველა ქართველისათვის ერთგვარად სათაყვანო ჩვენი საზიარო დედა — საქართველო, „კოორტხის ორივე მხარე იმერეთ-ამერეთი“.

ნიჭიერი ქალის სმენას მიუღი გრძნობით ატკობდა დიდი ეროვნული პოეტის აკაკის გულში ჩამწედილი სტრიქონები:

„ჩონჯური საქართველია,  
სიმები ჩვენ ვართ ყველაო“...

დარია ფაღავას სხვა ნაწერებს ჩვენამდე არ მოუღწევია. სინანულით უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერების საკმაოდ მორზდილი რეგული მისი გარდაცვალების შემდეგ, მექის მეორე ცოლმა, ანჩხლამ დედაცაცმა ცეცხლს მისცა.

როგორც გულნარა ფაღავამ გადმოგვცა, მისთვის დაუეცყარი დღის ამ ძვირფას რეგულში თავმოყრილი ყოფილა საკუთარი ლექსები, ვრცელი საენათმეცნიერო ნარკვევი ქართული და მგერელი ენების ახლო ნათესაობის შესახებ და რაც „ველაზე დიდი დანაკარგია, განსაცვიფრებელი ორატორული ხელოვნებით დაწერილი სიტყვა ილია ჭავჭავაძის საუბილოდ, რომელიც არ გამართლდა. ეს სიტყვა დარის უნდა წარმოთქვა საგანგებოდ შეკერილ ქართულ კაბაში, რომელიც მან ერთ ხნით მოლოზანს თვალსომეჭურული სილამაზით მოაქარვინა. მაგრამ, დახეთ ბედის სიმეხილუმ! ამ საოცნებო კაბაში იგი მხოლოდ კუბოში იხილეს.

\* \* \*

1899 წლის 18 იანვრის სუსხიანი საღამო იდგა. ქუთაისის თეატრში ტევა არ იყო. ვლ. მესხიშვილი და ვ. აბაშიძე მეტეორებივით ულაღდენ სცენაზე. მეორე მოქმედებაში მოულოდნელად ხმაური ატყდა. რამდენიმე წუთიც და პარტრიდან გულწასული ქალი გამოიყვანეს.

ეს ქალი დარია ფაღავა იყო. იგი კონსერვს მიეწააღდა და მომაკვირვებელი შხამი სწრაფად ედებოდა მთელ სხეულს, გულსიცა მიიწვავდა. სიკვდილთან ბრძოლა ხუთ დღეს გაგრძელდა. დღისა და ღამის გაყარას რუსთაველის ბრძნულ აფორიზმებზე აღზრდილი ქალი ორი სიტყვით და წყვილი კურცხალით შეგება:

— „არაფერია — მშვიდობით“, წამოიძახა მან და მის ღაწვთავან სასიკვდილო აგონიის კვალი ორმა მარგალიტმა ჩარეხა. ქმარი კედლს ეხეთქებოდა, თოხი პატარა ბავშვი გიმრისფერ დალაღებს ელაშუქებოდა. ყველა დააღონა ხე-მალაღი, სამაგალითო ქართველი ქალის უდროოდ გარდაცვალებამ.

მისი დედაქალაქის დღეს ქუთაისის თეატრმა წარმოადგინა გადადი. ჩანს საზოგადოება გლოვობდა თავის მშვენივალს.

მწუხარების დღეებში „ივერიაში“ გამოქვეყნდა ილია ჩიქვანის (პონტელის) წერილი „სასიქაღლო ქალის სხოვნას“ (სათაური რედაქტორისაგან უნდა იყოს შეორჩეული! ს. ს.). მამინ ახალგაზრდ მსახიობმა ნიოს ჩხუტემ კი იმავე „ივერიაში“ (1899 წ. № 23) თავისი გამოსთხოვარი სიტყვა ასე დაამთავრა: „საკუთრო იყოს ხსენება შენი, პატისანო ქართველო დედაო“.

დიდება აკაკიმ თავის „კრებულში“ საგულდაგულოდ დაწერილი ნეკროლოგი მიუძღვნა დ. ფაღავას სხოვნას. ამავე დროს ილია ჩიქვანის წერილი უცვლელად გადმოაბეჭდვინა „ივერიიდან“.

თუ რა ღირსებით ბრწყინავდა დარია ფაღავა და მისი სახით ვინ დაკარგა მაშინდელმა ქართველმა საზოგადოებამ, ამაზე მაკაფიოდ მეტყველებს საყვარელი პოეტის შემდეგი სიტყვები: „ის იყო ერთი უკანასკნელი ნაშთთაგანი იმ ძველებურ ქართველ ქალებისა, რომელნიც დროს და ვითარებას დღეს ჩვენთვის საკლებმოდ გაუხდია“ (აკაკის კრებული, 1899 წ. 111, გვ. 1).

კრებულის ამავე ნომერში აკაკი ათავსებს ვრცელ წერილს „დედაცხადელი ჩვენი საჭიროება“, რომელშიც ეხება რა თანამედროვე ქალების უნუგუმო მდგომარეობას, დედათა ქსესის მაღალი დანიშნულებიდან გამომდინარე, ხმამაღლა გაიძახის: „ქალები! ქალები!! და კიდევ ქალები!!!! ჯერ ისინი უნდა დაეყენეთ ღვთისა და კაცის სასიამოვნო და სასარგებლო გზაზე, რომ მერე იმათაც გამოვიზარდონ ნამდვილი ქართველები“ (გვ. 16).

\* \* \*

24 იანვარს ბანძის სასაფლაოზე დიდძალ საზოგადოებას მიეყარა თავი. ყველა მწუხარე სახით გამოიყურებოდა. აღარც აკაკის ბავშვი კოთოდა ჩვეული ღიმილი. მისი ნაღვლიანი თვალები დარიასათვის გათხრილი ბნელ სამარეს ჩასქერდნენ...

სიტყვები დამთავრდა. ვლადიმერ მესხიშვილის ხმამაღალი ტირილიც მიწყდა. მესაფლავებმა ბარები მოიმარჯვეს. კიდევ რამდენიმე წუთიც და ბანძის მიცვალბულთა მარადულ სამყოფელს ერთი შემალბებული საფლავიც შეემატა. ათიქოს იქიდან სიტყვა უნდა წარმოეთქვა ვილაყას...



საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდობის  
ლიტერატურის სექციამ ამასწინათ შეხვედრა მოუწყო ცნობილ  
საბავშვო მხატვარს იოსებ გაბაშვილს. შეხვედრაში მონაწილეობდა  
სურათზე: შეხვედრის პრეზიდენტი, გოგონა ესალმება მხატ-  
ვარს.



ნორჩი მკითხველი პიონერის ყელსახვევს უძღვნის მხატვარს

ნორჩი მკითხველა ყვავილებს შიართმევს იოსებ გაბაშვილს





კაპ. ახლელაშვილი

# სახალხო თეატრის დაულაპი მოღვაწე

ნიკო კვეციანი

მე-19 საუკუნის მიწურულში და მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოს და, კერძოდ, თბილისის განაპირობებულნი მხივრებები მშრომელი მოსახლეობისათვის ახალი ერა იწყება. რევოლუციური გამოფხიზლებათაა ერთად იწყება მათი პოლიტიკურ-კულტურული გაკეთილგობიერება. მუშათა კლასში იბადება და იზრდება კულტურული ცხოვრების მოთხოვნილება. სწორედ ამ პერიოდში იწყება მუშათა და სახალხო თეატრების წარმოშობა, რომელშიც უშუალო მონაწილეობას იღებენ მოქმედი მუშები პროგრესულად დაწესებულ ინტელიგენციასთან ერთად.

ქართული მუშათა სახალხო თეატრის ერთი დაულაპი მუშაკათაგანია კვიციანი, ანუ როგორც მას ახლობლები და მეგობრები ეძახიან, ეპი კულუაშვილი. იგი დაიბადა 1894 წელს რაჭაში, სოფელ ტიბერში, მშრომელი გლეხის ოჯახში. მალე ეგის მამა ალექსი კულუაშვილი ჩამოვიდა თბილისში და შეიკო შეყავს სამოქალაქო სასწავლებელში, რომელიც იმხანად ავლანბარში მდებარეობდა.

ქალაქში ჩამოსული პატარა ეპის ყველაფერი აინტერესებდა. ერთხელ მამამისმა ეპი აუკვანძო ყოფილი თეატრის წარმოება, სადაც ბავშვმა პირველად იხილა ქართული წარმოდგენა: ეს იყო ვ. ვუჩინას „და-ძმა“. პიესაში ოტია ჯოლიას როლს ასრულებდა შემოვლილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშვილი. ამ წარმოდგენა

მე ბავშვზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

თეატრალურმა ხელოვნებამ ეპი იმდენად გაიტაცა, რომ მას არ გამოუტოვებია არც ერთი სპექტაკლი, ხოლო თეატრით მოვალოებელი თავს უყრის უბანში თანაორო ბავშვებს, აყალიბებს დამატულ წრეს და თავისი ხელმძღვანელობით მართავს სისტემატრად მონაწილე წარმოდგენებს ეზოებში.

აუსრულდა ოცნება. ეპი კულუაშვილი 1910 წელს პირველად გამოდის ნამდვილი თეატრის — „არაქაინისეული თეატრის“ სცენაზე, ითამაშა ოტია ჯოლიას როლი (ვ. ვუჩინას „და-ძმა“). ირველი გამოცდა სცენაზე ეპიმ შესანიშნავად დაიჭირა. 15 წლის ტაბუკს ქებით იხსენიებდა ყველა, ვისაც ეპი წარუბოდა ქონდა ნახული. ამან ეპი იმდენად დაინტერესებულ ეპი უფრო წახალისა.

აქედან იწყება ეპი კულუაშვილის „სცენაში მოღვაწეობა ხან ავღაბრის მურამკოსეულ თეატრში“, ხან „არაქაინისეულ თეატრში“, ხოლო 1911 წლიდან გადადის ხარფუხის ყოფილ მუსიკანთან აუდტორიის ქართულ დამატულ წრეში. ამავე დროს ეპი კულუაშვილი შედის თბილისის რკინიგზის ტექნიკურ სასწავლებელში. მიუხედავად გადატვირთვასა, მაინც აქტიურად განაგრძობს მუშაობას სახალხო თეატრის სცენაზე.

ამ ხანებში ეპი კულუაშვილი ემბედა რევოლუციურ მუშაობაში და ეკავი მნიშვნელოვან როლს ქართული თეატრის რის შემდეგაც მათ შორის ნათესაური კავშირიც და მყარდება (ე. კულუაშვილმა ცოლად შეირთო არსენ ჯორჯიაშვილის და ელენე). რევოლუციური მუშაობისთვის მას 1915 წელს აპატიებენ 1916 წლიდან ეპი კულუაშვილი სცენასთან დროებით წვეტიან კავშირს. ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მას აუზანთან არზრუმის რკინიგზის მშენებლობაზე, სადაც 1918 წლამდე დასწავლა.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ეპი კულუაშვილი ერთხანს ყოფილ ადელსანოვის ქარხნის მუშებისაგან ჩამოყალიბებულ ქართულ დამატულ წრეში მუშაობდა. ხოლო მალე კვლავ არაქაინისეულ თეატრში გადადის და განაგრძობს შემოქმედებით მუშაობას, თავის გარშემო იკრებს ახალგაზრდობას. დაღმწე წარმოდგენებს მუშათა უბნებში და ხალხს მოუწოდებენ რევოლუციური ბრძოლისაკენ.

განსაკუთრებული სიხარულით შეხვდა ე. კულუაშვილი საქართველოში სამჭოთა ხელისუფლების დაწყებას. რევოლუციის შემდეგ მან გაააყვას თავისი შემოქმედებითი მუშაობა. ახლა იგი სახალხო თეატრის ორგანიზატორიც არის, რეჟისორიც და მსახიობიც. ამ ხანებში ავღაბრის სახალხო თეატრის შენობის აგარეულ მდგომარეობაში ყოფნის გამო, თეატრთან არსებული ქართული დამატულ წრე მთლიანი თუ მარგველითი გადადის ორთაქალაქში

ქარხნებთან ახლად დაარსებულ მეტყვეთა მუშათა კლუბში. აქ დასწავლილი 1923 წლიდან 1937 წლამდე, სადაც გამუდმებით ხელმძღვანელობს ქართულ დამატულ კოლექტივს.

ამ კლუბში აღიზარდა და მომწოდდა მრავალი ახალგაზრდა მუშა, რომლებიც დღესაც დიდი პატივითყვით იხსენიებენ იმ ფასდაუდებელ ამაყსა და დეწულს, რომელიც მიუძღვის ეპის მათ დაგაკავებამში.

მომდევნო წლებში სამსახურთან ერთად ეპი კულუაშვილი კვლავ განაგრძობს მოღვაწეობას კულტურულ ფრონტზე. ამ პერიოდში თბილისის ფაბრიკა-ქარხნებსა და წარმოებებთან არსებულ მუშათა კლუბების მთელი ქსელი, სადაც ეპი კულუაშვილი აყალიბებს ქართულ დამატულ კოლექტივებს სხვადასხვა პროფკავშირების ხაზით და განაგრძობს ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე, როგორც რეჟისორი და მსახიობი. იგი თავის გარშემო იკრებს ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომელთაგან ბევრი დღესაც განაგრძობს მუშაობას თეატრალური ხელოვნების, სამეურნეო და კულტურულ, მშენებლობის სხვადასხვა უბანზე.

ეპი კულუაშვილის ეკუთვნის მრავალი ქართული პიესის დადგმა.

ეპი კულუაშვილი იგი ფრონტზე მოღვაწეობდა ერთდროულად — თეატრალურ ხელოვნებაში და საინჟინრო-სამშენებლო დარგში. 1920 წლიდან 1931 წლამდე იგი მუშაობდა ქალაქის საბჭოს ამბისკომში. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა 26 კომისიის და ოქტობრის რაიონებში, როგორც მათხილელი საბჭოების დელეგატი და მთავარი ინჟინერი, ხოლო 1941 წლიდან ეპი კულუაშვილი მუშაობს საქ. სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საბინაუ-სასტრუქტურ მეურნეობის განყოფილების მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე.

ეპი კულუაშვილი დღესაც განაგრძობს თავის სასცენო შემოქმედებით მუშაობას ყოფილ სარეწავ-საბჭოს კულტურის სახლთან არსებულ ქართულ დამატულ კოლექტივში და მისი ხალხი ახალგაზრდობის მთავარი მადალითაა ბევრი მონდომებით არიან ჩამოყვანილი დამატულ კოლექტივში და კულტურის სხვა დაწესებულებათა ნაყოფიერ მუშაობაში.

ასეთია მოღვაწეობა ამ შესანიშნავ ადამიანსა, თავისი ქვეყნის პატრიოტისა, რომელმაც უნერგია, ცოდნა და გამომკვლეობა უნერგო მოახმარა თავის ხალხს. ამიტომაც ჩვენმა პარტიამ, მთავრობამ და საბჭოთა ხალხმა ღირსეულად დააფასეს ეპი კულუაშვილის დამსახურება. შარხან, 1960 წლის 25 დეკემბრის მას სასცენო მოღვაწეობის 50 წლისად და საინჟინრო საქმიანობის 45 წლისათვის აღსანიშნავი სალომო გაუბარეს.




ბ. თათბაძე

სტამბოლის სანაპირო



1932



1932

1932

ბ. თოთიბაძე

თურქული ჩანახატებიდან

# ისტორიული სკულპტურული პორტრეტის გადაწყვეტა ქართულ ქანდაკებაში

ლევან მხეიძე

ისტორიულ თემატიკას ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სახვით ხელოვნებაში, კერძოდ, სკულპტურულ პორტრეტში, როგორც კამერული (დაზგური), ისე მიონუმენტური ნაწარმოებების სახით.

ისტორიულ პიროვნებათა პორტრეტული წარმოსახვა მხატვარს ფართო შესაძლებლობას აძლევს თავისი ეპოქის იდეალებებისა და სოციალურდევულობის გამოსახატავად.

ბუნებრივია, რომ ამ სახიათის ყოველ ნაწარმოებში მოცემულია არა მარტო გარეგნული, ასე თუ ისე ზუსტი დახასიათება ისტორიული პიროვნებისა, არამედ მისი ისტორიული როლიც, შინაგან სულიერ თვისებებთან შერწყმული. ისტორიული პორტრეტის მნიშვნელობა მდგომარეობს არა მარტო ამა თუ იმ პიროვნების მართალ დახასიათებაში მისი განუმეორებელი პირადი თვისებებით, არამედ იმ ეპოქის გადმოცემაშიც, რომლის წარმომადგენლადაც ეს პიროვნება გვევლინება. ამავდროს მასში უნდა იხატებოდეს თანამედროვე მხატვრის, ნაწარმოების შემოქმედის დამოკიდებულებაც.

სწორედ თანამედროვეობისა და წარსულის იდეების ეს კავშირი შესაძლებლობას იძლევა გამობატულ იქნას თანამედროვეობა წარსულის საშუალებით, წარსულის შეფასების თვალსაზრისში გამომჟღავნდეს თანამედროვეობასთან დამოკიდებულება. ისტორიული პორტრეტის სწორედ ეს თავისებურებანი იზიდავს მხატვრების ყურადღებას ამ ქანდაკებაში.

თვით ასახვის ობიექტს შემთხვევით როდი ირჩევენ მხატვრები. იგი თავისში უნდა შეიცავდეს ეპოქის გარკვეული მხარეების განზოგადების ნაწილს, კერძოდ, საბჭოთა მხატვრისათვის იმ პროგრესული ხალხური ნაციონალური ტრადიციებისა, რომლებიც ჩვენთვის ძვირფასია.

ამიტომაც, ისტორიულ პორტრეტს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს და ღირსეული ადგილი უჭირავს საბჭოთა სახვით ხელოვნებაში.

ისტორიულ პორტრეტზე მუშაობისას მხატვრის წინაშე მრავალგვარი ამოცანა დგას. მხატვრული განზოგადების ძალით შემოქმედმა უნდა დაგვაჯეროს სახის შინაარსის სიმართლეში. ამისათვის მან უნდა გაითვალისწინოს არა მარტო ზუსტი ცნობები გამოსახასავი პიროვნების შესახებ, არამედ მასზე ისტორიულად ჩამოყალიბებული წარმოდგენაც. საქმე იმაშია, რომ ისტორიულ პიროვნებათა მიღვაწეობა, მათი აზრები, მისწრაფებები, მათი როლი საზოგადოებაში დროთა განმავლობაში იხსება ხალხის შუენებაში. მაშინაც კი, როცა არ არსებობს ნამდვილი დოკუმენტი პიროვნების გარეგნობის შესახებ, ხალხის წარმოდგენაში იქმნება მისი პორტრეტული სახე.

მოქანდაკე-პორტრეტისტი ამოცანა არა მარტო იმ ისტორიული ეპოქის სწორ გაგებაში მდგომარეობს, რომელშიც მოღვაწეობდა ასახასავი პიროვნება, არამედ ხალხის წარმოდ-


გენაში საერთოდ ჩამოყალიბებული მისი სახის გაანალიზებაშიც. ამ რთული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა განაპირობებს მხატვრული განზოგადების ძალას კონკრეტული ადამიანის — ისტორიული მოღვაწის გამოსახატვისას.

თვით ამ ამოცანის პლასტიკაში ხორცშესხმა ღრმა განალიზების საფუძველზე უნდა მოხდეს, რათა მოიქმნოს ყველაზე შესაფერი მხატვრული საშუალებები სახის გარეგნული და სულიერი დახასიათებისათვის. გარეგნული თვისებებების ლაკონური და ნათელი პლასტიკური გადმოცემა, ამ შემთხვევაში, მხატვრისაგან მოითხოვს დიდ სიმკაცრესა და ღრმად მოფიქრებას.

ამგვარი მდგომის შესანიშნავი მაგალითია ქართული ქანდაკების ფუძემდებლის იაკობ ნიკოლაძის ცნობილი ნაწარმოები — XII საუკუნის მოაზროვნის ჩახრუხადის სკულპტურული

ი. ნიკოლაძე

ჩახრუხადის პორტრეტი





მ. ბერძენიშვილი

ვისტანგ გორგასალი

პორტრეტი, რომელიც მართალ და მეტყველ ეროვნულ მხატვრულ ფორმაშია განხორციელებული.

ამ პორტრეტის გამომსახველობის ძალა, უპირველეს ყოვლისა, იმაშია, რომ მოქანდაკემ ღრმად გასხნა თემის შინაარსი. კონკრეტული პიროვნების სასობრივი ხორცშესხმით მოქანდაკე გადმოსცემს თვით ისტორიული ეპოქის, ე. წ. „ოქროს ხანის“ არსს; ეპოქისა, რომელიც ანათებენ რუსთაველის, ჩახრუხაძის, ოპიზართა სახელები.

არ ჰქონდა რა ხელთ რაიმე დოკუმენტური მონაცემები ჩახრუხაძის ვაიფნობის შესახებ, მოქანდაკე გამოვიდა მასზე საერთოდ შექმნილი წარმოდგენიდან, როგორც „ოქროს ხანის“ დიდ წარმომადგენელზე, და იმ შთაბეჭდილების საფუძველიდან, რომელიც მოახდინა მასზე ჩახრუხაძისავე ფილოსოფიურ-პოეტურმა ნაწარმოებმა „თამარამნა“.

ასახეის საშუალებათა ლაკონურობა, მისი ორგანული კავშირი სახის შინაარსთან და ამასთან ღრმა ინდივიდუალიზა-

ცია ნამუშევარს ანიჭებს დამაჯერებლობასა და სიმართლეს, მაყურებელი ამ ქმნილებაში ხედავს ყველა იმ ძვირფასისა და მშვენიერის განსხვავებებას, რაც კი XII საუკუნის ისტორიულმა ეპოქამ დაგვიტოვა.

იმ შემთხვევაშიც კი, როცა მოქანდაკეს ხელთ აქვს იკონოგრაფიული მონაცემები ისტორიული პიროვნების შესახებ, სინალებები როდი ქრება, პირიქით, ზოგჯერ იზრდება კიდევ.

ისტორიულ პორტრეტზე მუშაობისას დოკუმენტური მონაცემების ანალიზის პრობლემა გამსვილებულ ყურადღებას მოითხოვს. გვირდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ ამის შესახებ.

თანამედროვის პორტრეტის შექმნისას მხატვარი მთლიანად გამოსახავი ობიექტითაა შემოზღუდული. სასობრივი განზოგადება, შინაგანი დახასიათება მოდელისა, ამ შემთხვევაში არ უნდა გასცილდეს მისი გარეგნული ნიშნების ასე თუ ისე ზუსტი გადმოცემის საზღვრებს, და მხატვარიც სწორედ ამ ნიშნებზე აგებს სახის შინაარსს.

რამდენადმე სხვაგვარად უღებება შემოქმედი ისტორიული პორტრეტის გადაწყვეტას. იმ შემთხვევაშიც კი, როცა არსებობს დოკუმენტური მონაცემები ასახავი პიროვნების შესახებ, მხატვარი მას ყოველთვის როდი მისდევს ზუსტად.

ჯერ ერთი, ყოველგვარი ამგვარი დოკუმენტი არ შეიძლება იყოს სასებით ზუსტი, და აქ საჭიროა მათი დაკვირვებული კრიტიკული ანალიზი. მეორეც, როგორც აღვნიშნეთ, ისტორიული პორტრეტის შექმნისას შემოქმედმა არ შეიძლება არ გამოხატოს თავისი ეპოქის იდელები, მისი დამოკიდებულება მოცემული პიროვნების ისტორიული როლისა და თვით იმ ეპოქისადმი.

ამიტომ, ბუნებრივია, რომ ამგვარ პორტრეტზე მუშაობის დროს, მხატვარს შეუძლია და კიდევ უნდა დაზოგდეს იგი დოკუმენტურ მონაცემებს პიროვნების გარეგნობის შესახებ, თავის წარმოდგენაში და ფანტაზიაში ჩამოაყალიბოს თავისი გმირის გარეგნული სახე, ზოგი დეტალები უკუაგდოს, სხვა დეტალებს ხაზი გაუსვას და გაამოყოს.

ხელოვნების ისტორია ამის დამამტკიცებელ მრავალ მაგალითს იცნობს. გაიხსენოთ ერთ-ერთი: ძველი საბერძნეთის დიდ მოქანდაკეს ლისიპოს, როცა იგი სოკრატეს პორტრეტზე მუშაობდა, ხელთ ჰქონდა მისი ალიარებული გამოსატყულებანი. მათში სოკრატესთვის დამახასიათებელი იყო გადმოაკრკულეული თვალები, რაც სახეს ერთგვარი სიჩქუნვის გამომეტყველებას აძლევდა. დამაჯერებელი ფსიქოლოგიური დახასიათებისათვის ლისიპომ თვალები უფრო ღრმად მოათავსა და ამით ხაზი გაუსვა ფილოსოფოსის მძლავრ შუბლს, რითაც მიადწია პორტრეტის დიდ ემოციურ-ფსიქოლოგიურ გამომსახველობას.

იმისათვის, რომ სიმართლით იქნას გამოსატყუელი ისტორიული პიროვნების სახე, მოქანდაკემ მკაცრად უნდა გააანალიზოს პორტრეტის გარეგნული დახასიათება, რთა მხატვრული განზოგადება მოხდეს ყველაზე დამაჯერებელი ინდივიდუალური ნიშნების საფუძველზე, ამ პიროვნებაზე ისტორიულად შექმნილი წარმოდგენის შესატყვისად.

ქართველ სამკოთა მოქანდაკეთა როგორც ძველი, ისე ახალი თაობის წარმომადგენლებმა სერიოზული მუშაობა ჩაატარეს ისტორიული პორტრეტის შესაქმნელად, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შესანიშნავი წარმომადგენლების პლასტიკაში გაცოცხლებისათვის.

მხატვრულ სახეებში კონკრეტულ პიროვნებათა ასახვისადმი სურვივამ, იმ ადამიანების პორტრეტების შექმნის ინტერესმა, რომლებზე წარმოდგენაც დაკავშირებულია მოქალაქეობრივ მრწამსთან, სამშობლოს სიყვარულთან და ხალხის ერთნულ სიამაყესთან, ამ წარმოდგენისა და დღევანდლობის შორის კავშირის მოძებნისაკენ მისწრაფებამ არაერთი სკულპტურული პორტრეტი მოგვცა ქართულ სახეით ხელოვნებაში და, კერძოდ, უკანასკნელ წლებში.

ასეთია სულხან-საბა ორბელიანის პორტრეტი (1947 წ. ქვა), — მოქანდაკე ს. კაკაბაძისა, გიორგი ერისთავის (1950 წ. ბრინჯაო) — კ. მერაბიშვილისა, ვაჟა-ფშაველასი (1955 წ. ხე) — ბ. ავალიშვილისა.

ძალზე საინტერესოა ორი ახალგაზრდა მოქანდაკის ე. ამაშუკელისა და მ. ბერძენიშვილის მიერ ერთსა და იმავე თემაზე შექმნილი პორტრეტული ნაწარმოებები. ორივე მათგანი მიხაწილია თბილისის 1500 წლისათვის დაკავშირებით გამოცხადებული კონკურსისა, V საუკუნის მეფისა და მხედართმთავრის ვახტანგ გორგასალის ძეგლზე — ცხენოსან ფიგურაზე. მოქანდაკეებს I და II პრემიები მიეკუთვნათ.

ორივე ავტორის მიერ შესრულებული გორგასალის პორტრეტული გამომხატულებანი ცალკ-ცალკე განხილვას მოითხოვენ, როგორც ისტორიული ძანრის დამოუკიდებელი ნაწარმოებები.

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის, სამშობლოსადმი სიყვარულის იდეას უნდა შეესხა ხორცი ძველი საქართველოს გამოჩენილი მოღვაწის, ვახტანგ გორგასალის მხატვრულ სახეში. ასეთია ნაწარმოების იდეური შინაარსის საფუძველი.

საქართველოს ისტორიაში ვახტანგ გორგასალს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მის სახელთან დაკავშირებულია დანაწევრებული საქართველოს გაერთიანება და მძლავრი სახელმწიფოს შექმნა, მტერთან ხანგრძლივი, ცხარე ბრძოლები.

გორგასალის მეფობის დროს საფუძველი ჩაეყარა საქართველოს სახელმწიფოს შემდგომი განვითარების ახალ გზებს, რამაც დიდი როლი ითამაშა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებასა და ეროვნული კულტურის აღმავლობაში. ამ ხანამ ღრმა კვალი გაავლო შემდგომ ეპოქებში. გორგასალი ისტორიაში შევიდა, როგორც დიდი სახელმწიფო მოღვაწე, პროგრესული, ერუღიერებული დიპლომატი, უშიშარი მეომარი და დიდი სტრატეგი. ძველი ისტორია მას გვიხატავს, როგორც ტიტანური ფიზიკური ძალისა და აღნაგობის ადამიანს.

ხალხის შეგნებაში ვახტანგ გორგასალის სახელთან დაკავშირებულია პოეტური ლეგენდა თბილისის დაარსების შეხახებ. ეს ლეგენდა მოკლებული როდია სიმართლეს იმ თვალსაზრისით, რომ გორგასალმა, მართლაც, დიდი როლი ითამაშა ქალაქის აშენებასა და დედაქალაქად მისი ქვეყნის საქმეში.


ამაშუკელის და ბერძენიშვილის პორტრეტებს აქვთ რაღაც საერთო კომპოზიციურ. გადაწყვეტასა და სპეციფიკურ სტილისტიკურ ტრაქტოვკაში; ამავე დროს ისინი განსხვავდებიან სახის აზრობრივი მხარეებით, რაც დაკვირვებულ განხილვას მოითხოვს.

ამაშუკელის მიერ შექმნილი გორგასალის პორტრეტი (1958 წ. თაბაშირი) წარმოადგენს ენერგიულად მობრუნებულ თავს განიერ და მძლავრ კისერზე. სქელი თმების ზეფულები ფარავნ შეზღს, უკან კი ქმნიან დალალებს, რომელიც გრძელ კისერზე ეშვება. სილუეტური ხაზებით სახის მკაფიო მოცულობები იკვეთება; ხოლო დიდი, ცეცხლოვანი თვალები ენერგიულად და დინჯად იმზირებიან. გამომსახველი ფართოყრმამღძვლიანი სახე ხასიათის სინტიციკსა და შვეურველობაზე მეტყველებს. წინ გამოწეული ნიკაბი, მოკუმული ტუჩები, არწივისებრი ცხვირი დაბერილი ნესტოებით მეფის შინაგან ძალს გამოხატავენ, მის სულიერ სიმდიდრეზე და შეუპოვრობაზე, მძლავრ ნებაზე, დიდსა და გმირულ ცხოვრებაზე გვაუწყებენ.

გორგასალის ვაკეკურ, ბევრის მნახველ, მაგრამ ახალგაზრდულ სახეზე გარდასულ საბრძოლო საქმეთა კვალი აღმებუდილი. თავის ამაყი მოძრაობა და მისი საერთო გამომეტყველება საკუთარი რწმენისა და ღირსების გამომხატველია.

ე. ამაშუკელი

ვახტანგ გორგასალი





ყველაფერი იმავე ლაბარაკობს, რომ ჩვენს წინაშე მფევე და მხედართმთავრია, რომელმაც თავისი სიცოცხლე დაამთავრა ბრძოლის ველზე მასვილით ხელში.

მოქანდაკე ელევჯა ამშუკელმა შემლო დიდი მხატვრული ესტატობით, ლაკონურად გამოხატა პლასტიკაში სახის ეს მართალი და სწორი გაგება.

მკაცრი და მოფიქრებული კონტურები, აქცენტირება სახის ნაკვეთბა და მათი ურთიერთკავშირი არის არა პირობითი, არამედ გასაყირად მართალი; იგი ყვერდნება მოქანდაკის მიერ სახის შინაგანი კონსტრუქციის რეალურ შვგრძნებას. პორტრეტისთვის ნინანდობლივია გაბედული და აქტიური ძერწვა, ზედაპირის სხვადასხვაგვარი ტრაქტოკვა — ხან თანაბარი მონანმებით სახისა და კისრის გამოძერწვისას, ხან თავისუფლად გამოკვეთილი მასებით — თმათა ხვეულების გადმოცემისას. ყოველივე ეს მოქანდაკის მიერ ჩარმონიულ მთლიანობაშია მოყვანილი და პორტრეტს მონათლითობის ანიჭებს. ამ საშუალებებით მიღწეულია სივრცობრივი გამომსახვევლი პორტრეტისა, რომელიც გამიზნულია შორიდან და ყოველი მხრიდან საცქერლად.

ნაწარმოების პლასტიკაში ტრაქტოკვაში იგრძნობა ერთგვარი არქაულობა. ამ შემთხვევაში ეს ხერხი გამართლებულია, რამდენადაც იგი პორტრეტს ანიჭებს ისტორიულ უტყუარობას, მაყურებლის აჯერებს იმაში, რომ პიროვნება შორეულ წარსულში ცხოვრობდა. ამგვარი გარეგნული დახასიათება, ხაზებისა და ფორმების შვენებული განსოვადება, ერთგვარი სტილიზაცია, რამდენადმე დეკორატიულ ხასიათს ატარებს, მაგრამ იგი მოქანდაკეს ესმარება მიაღწიოს ნაწარმოების დიდ მონუმენტურ ჟღერადობას.

მაყურებელი პორტრეტში გრძნობს დიდ ისტორიულ მოღვაწეს, სახლის მფარველს, მხედართმთავარსა და მეფეს, ბელადსა და თავისი სამშობლოს შვილს.

რამდენადმე სხვაგვარ ამოცანას ისახავს მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი ვანკატან გორგასალის მხატვრულ სახეზე შემოაბნა. ამ პორტრეტში (1958 წ. თაბაშირი) ვერ ვამჩნევთ ვერაფერს, რაც უშუალოდ მიუთითებდეს მეფეზე, მხედართმთავარზე, მბრძანებელზე, რომელმაც თავის ცხოვრებაში გადაიჭტანა მრავალი სისხლისმღვლელობა ბრძოლა. ვერ ვხედავთ სიმკაცრესა და ნებას მძლავრი მხედართმთავრისა, რომელიც უნდა გვაოცებდეს ენერჯითა და შინაგანი პოტენციით. ბერძენიშვილის გორგასალი თავისებურად გააზრებული, მაგრამ ღრმად ეროვნული სახეა.

ნაწარმოებში განსასიერებელია ჭაბუკი — პოეტურად პერთიზებული სახე. პორტრეტის სახეობრივი დახასიათება თავისში შეიცავს იდეალურ პოეტურ გმირზე მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურული და ფოლკლორული მეტყველობის განსოვადებას. მასში ბეირი საერთო შეიძლება ვიპოვიოთ ლეგენდარულ სახეობრივ, რომელსაც უმღერის ძველმა მწერლებმა. განასახიერებია იმ იდეალური თვისებებისა, რომელსაც ხალხი მიაწერდა თავის საყვარელ გმირებს. ამიტომ ეს სახე შეიძლება შევადაროთ „ვეფხისტყაისის“ ავიანდლის ან მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანის“ გმირებს და ა. შ.

ამ პორტრეტში სახასიათო ეროვნულ ფორმებსა გამოხატული სიტაბუკე და გაბედულება, კეილშობილება და სულის სისტატიკე, შესვალურობა, პოეტურობა. ამრიგად, ბერძენიშვილი, უპირველეს ყოვლისა, გვიჩვენებს თბილისის დასრულების ლამაზი ლეგენდის გმირს.

შეიძლება ვესაყვედუროთ მოქანდაკეს, რომ მან არ გაითვა-

ლისწინა ისტორიული სინამდვილე, უგულბებლყო თვისი პიროვნების დამახასიათებელი პირადი თვისებები, მაგრამ ამ სახის ემოციური შემოქმედება, ესთეტიკური ღირსებები და ეროვნული ხასიათი იმდენად ძლიერია, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, პორტრეტი ძალივე თავისებურ და საინტერესო მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს. იგი უშავედ იყვრობს ყურადღებას დახასიათების გასაოცარი სიხვადით.

ითითეს ყველაფერი თავისუფლად და უბრალოდა აგებული, მაგრამ ამ უნარბობაში გააზრებული ლაკონურობა და დასრულებულობა. მძლავრ კისერზე თავის მკვეთრი მობრუნება აღსავსაა ჭაბუკური სიმკვირცხლითა და ტემპერამენტით, მოწმობს ფიზიკურ ძალას. ეს შთაბეჭდილება ძლიერდება სახის ცოცხალი გამომეტყველებით. გაშლილი წარბების ქვეშ ფართოდ ჩამჯდარი ნუმიხებრი თვალები, სახის მოგრძობი თვალი და წინ წამოწეული ნიკაპი, ოდნავ შესამჩნევი დიმილი — ყოველივე ეს ახალგაზრდული მჩქვარებობა და სიცოცხლის ხალისით ავსებს პორტრეტს. ამასთან ერთად, ჭაბუკის სახეში ვკითხულობთ მის მეოცნებე და პოეტურ ბუნებას, შთაგონებულ და მგრძნობიარე ნატურას.

პორტრეტის ზომიერად განსოვადებელი პლასტიკური ტრაქტოკვა გაძლიერებულია გაბედული და მტიკე ძერწვით. ერთგვარი დეკორატიული სტილიზაციის საშუალებით მოქანდაკე აღწევს ფორმებისა და ხაზების დიდ გამომსახვევლობასა და მთლიანობას. გრაფიკულად, რამდენადმე პირობადაა გაერთიანებული სახის მკვეთრის მოცულობები და ხაზები, მაგრამ სწორედ ამასი დეკორატიული განსოვადების ძალა და ისტატობა; სწორედ ამის მეოხებით პორტრეტი მთლიანობაში აღიქმება და დიდი ემოციური შემოქმედებით ხასიათდება. სილუეტისა და ცალკეული ფორმების ასეთი განსოვადება შემთხვევითი როლია; იგი დიდ უწყობს ხელს სახის მონუმენტურ გამომსახვევლობას მისი შორი მანძილიდან ეჭირის დროს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამშუკელისა და ბერძენიშვილის ნამუშევრებს, მიუხედავად ატორთა სხვადასხვაგვარი მიდგომისა თემისადმი, აქვთ რაღაც საერთოვე, არა მარტო კომპოზიციურ წყობაში, არამედ ინდივიდუალურ გარეგნულ დახასიათებაში. ამასთან ეს მსავსება მიღწეულია იკონოგრაფიული მასალის უქონლობის პირობებში. ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ ორივე მოქანდაკე კრიტიკულად აითვისა როგორც უძველესი, ისე თანამედროვე ქართული ხელოვნების მდიდარი ნაციონალური ტრადიციები.

ამრიგად, ორივე მოქანდაკე წარმატებით გადაჭრა ისტორიული პორტრეტის შექმნის რთული ამოცანა, თუმცა კი ორივე სხვადასხვაგვარად მიუღვა თემა. ნაწარმოება შორის განსხვავება გაპირობებულია სხვადასხვა შემოქმედებით ტემპირამენტობა და მოქანდაკეთა ინდივიდუალური მანერით. მთავარი კი ის არის, რომ ამ პორტრეტებში ავტორები მოგვეკლინენ როგორც მომწიფებელი მხატვრები, რომლებიც ფლობენ რთულ მასალას და აქვთ უნარი შექმნან ამაღლებული ნაწარმოებები. მათ შეძლეს გაეცოცხლებიათ ისტორია მისი ერთი დიდი წარმომადგენელის სახით და ამავე დროს გამოეთვატა ჩვენნი თანამედროვის დაამოკიდებულება იმ ისტორიული ეპოქისადმი.

ამ პორტრეტების სხვადასხვაგვარობა კი ამ შემთხვევაში მხოლოდ ამდიდრებს ჩვენს ხელოვნებას და ბიძებს აძლევს შეიქმნას ახალი საინტერესო, გაბედული ნაწარმოებები ისტორიული სკულპტურული პორტრეტის ამ საყურადღებო რთულ ჟანრში.

# „მ ლ ე ლ ვ ა რ ე დ ლ ე ე ბ ი“

რამაზ კობიძე

მარჯანიშვილის თეატრმა საბჭოთა საქართველოს ორმოცი წლისთვის ახალი სპექტაკლი უძღვნა — ანა ალბაძის „მღელვარე დღეები“. პიესაში სწორედ ის დღეებია ასახული, რომელთაც სათავე დაუდეს ქართველი ერის ახალ ცხოვრებას.

პირველი და უმკვეთელი დასკვნა, რომელსაც პიესა იმსახურებს, ის არის, რომ ავტორი თვითონ ყოფილა მოწვემ იმ დღეებში, და ახლო ურთიერთობა ჰქონია იმ ადამიანებთან, რომელნიც ახლა პიესის პერსონაჟებად ქცეულან. რა თქმა უნდა, ზედმეტი და უადგილოც იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს პიესის პერსონაჟები, რომელთა რიგები საკმაოდ დიდია, — (უფრო მეტი, ვიდრე პიესის დრამატურგიისა თუ არქიტექტონიკისათვის იყო საჭირო), — ყველანი უშუალოდ ცხოვრებიდან იყვნენ აღებული, და როგორც მხატვრული სახეები, გამოკლებულიც ყველანი ახალნი და ორიგინალურნი იყვნენ. საქმე ასე სრულიად არ არის. პიესის ბევრი პერსონაჟი მეტად ტრადიციულია, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურული თვალსაზრისით. ქართული ლიტერატურის სხვა ნიმუშებში არაერთხელ შეგვხვდებოდა სწორედ ამგვარი სახეები, რომლებიც 1921 წლის თებერვლის მრისხანე დღეებში სწორედ ამგვარად იქცეოდნენ. მაგრამ პიესაში არის სრულიად ახალი, შევითხად ორიგინალური, თვალსაჩინო მხატვრული ოსტატობით შესრულებული სახეებიც, რომელთა შექმნა ანა ალბაძეს უდავო დამსახურებად უნდა ჩავთვალოს.

ამბავი საქართველოს სამხედრო გზაზე იწყება. სიბნელეში, საერთო არეულობასა და პანიკაში, რაც სცენაზე გამეფებულია, ამკარად იგრძნობა მოახლოებული ისტორიული გარდატეხის დასაწყისი. იგრძნობა, რომ პიესის პერსონაჟები მოწოდებული და, ზოგანი იძულებულიც არიან გაამდიანონ საკუთარი ბუნება უღრმესი სოციალური რევოლუციის წინაშე. პიესის დანიშნულებაც სწორედ ეს არის. თუ მასში ვერ ვხედავთ აქტიურად მოქმედ პოლიტიკურ ძალებს, სამაგიეროდ ერთხელ კიდევაა დადასტურებული, უშაბრებელი, დამარცხებული კლასის წარმომადგენელთა ჩვენებით, მომხდარი ისტორიული სიმაართე და გარდაუვალობა. ამ თვალსაზრისით პიესის დამდგემლმა, სსრკ სახალხო არტისტმა ვერკო ანჯაფარიძემ თავიდანვე მართალი ტონალობა მისცა სპექტაკლს და შესაფერი რიტმიც მოუძებნა.

მაგრამ პირველ სურათში ერთ მხატვრულ უხერხულობასაც აქვს ადგილი. ცოტა არ იყოს, ნაძალადევი და დაუჯერებელია ახალგაზრდა ინჟინრის — ვიქტორის და მოხვევ გოგონას — ნაზის სიყვარულის ამბავი. საქმეს ვერ ვგეღვლის დასმ. არტ. ი. ტრიპოლსკის მსახიობური ოსტატობაც, ტრიპოლსკისა, რომელიც განსაკუთრებით — და სავსებით სწორედ ცდილობს პერსონაჟის უშუალობასა და ტემპერამენტს გაუსვას ხაზი. აშკარად იგრძნობა, რომ ეს ისტორია დრამატურგს სხვა მიზნისათვის სჭირდება, ხოლო შემდეგ, მეორე და მესამე მოქმედებაში, ამ მიზნის გამოშფარავენისას, როცა ვიქტორი ნა-

ზისადმი — უბრალო ხალხის შვილისადმი დამოკიდებულებაში თავის ეგოისტურ ცრუნტელციენტურ ბუნებას ამჟღავნებს, როცა ხედავთ, რომ ამ ბუნების ჩვენება აუცილებელია და სწორია ისტორიული სინამდვილის, ცოცხალი ცხოვრების თვალსაზრისით, მაყურებელი უბრალოდ იძულებული ხდება აპატიოს დრამატურგს ის უხერხულობა, რომელიც პიესის დასაწყისში განიცადა. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში — ვიქტორის სახის ექსპოზიციამა, — დრამატურგმა ვერ დააღწია თავი მის ხელთ არსებული ფაქტიური მასალის ტყვეობას და ამიტომაც აცდა ტექნიკური მხატვრულობის გზას.

მაგრამ ასე თუ ისე, ვიქტორს შესაძლებლობა ეძლევა სოციალური რევოლუციის ფონზე თავისი ბუნება გაამჟღავნოს. მის ხელთაა სულით წმინდა, ალალი და თავდავიწყებით მოყვარული მოხვევ გოგონას ბედი.

მასხიობი ქ. კიკნაძე პირველსავე სურათში გვხვობავს, — მისი ნაზი — პოეტური და თბილია; ეს სახე პირდაპირ თხოულობს, რომ იგი დამფრთხალი, პირველყოფილი უპიწოებთა და სიმწვინირით აღსავსე შველს შევადაროთ. რა მოელის ამ გოგონას მოსალოდნელ ქარიშხალში? — ეს კითხვა ნამდვილად ადუღებს მაყურებელს.

ზემოთგამოთქმული შენიშვნა — ზოგი პერსონაჟი მეტად ტრადიციულია ლიტერატურული თვალსაზრისით, პირველ რიგში ვიქტორის მამას, პროფესორ შალვას ეტება ასეთი პროფესორი, რომელსაც უყვარს საქართველოც, უყვარს თავისი შვილიც, ცოლიც, უბრალო ხალხიც და საკუთარი პროფესიაც, რომელსაც არ სურავ ბოლშევიკებისა, მაგრამ საბოლოოდ თითქოს ემხრობა მათ, ემხრობა იმიტომ, რომ ბოლშევიკები იმარჯვებენ, ხოლო სხვა პარტიებისადმი შალვა მაინც

სცენა სამეტაკლიდან „მღელვარე დღეები“, სონა — გ. ლევივა, ნელი — დ. ქიქინაძე





არავითარ სიმამათის არ განიცდიდა, — ასეთი პროფესორი ჩვენ, მართლაც, სწორად გვინახავს. რესპ. სსხ. არტისტი ა. გომელაური როული ამოვანის წინაშე იდგა — მას უნდოდა ახალი დეტალი მოენახა ყველადათვის დიდი მხის ნაყინში სახლის გასაცოცხლებლად. აქა-იქ მსახიობს ლიტერატურული მასალის შინაგანი ულოგიკობის დაძლევაც უნდებოდა. ბოლოს-დაბოლოს ამ სახეზე, მსახიობის პირადი მიმზიზილობის და ზოგი განგებასავსელი დეტალის მიუხედავად, მხოლოდ ერთი შეიძლება ითქვას, — იგი თუ აუცილებელი არ არის სპექტაკლში, ყოველ შემთხვევაში, არც არაფერს ვნებთ მას.

დრამატურგის მიერ ფაქტურის მასალის ცოდნა უფაურესად ანებას არისტოკრატიული ოჯახის ჩვენებაში იჩენს თავს. აქ, განსაკუთრებით მეჯლისის სცენაში, რეჟისორს და მსახიობებს საკმაო შესაძლებლობა ეძლევათ ნამდვილ მხატვრულ სახეზე შესაქმნელად და ისინი ამ შესაძლებლობას შესანიშნავად იყენებენ. ეს სცენები წრფელ სისარულს გვანიჭებს და ნახსუნის სიმართლით, გონებამახვილობით, მართალი ისტორიული პერსპექტივებით, და აუცილებლად უნდა ითქვას, — ადამიანურებითაც. ჩემის აზრით, სპექტაკლის დამდგმელს უმჯობეს და განსაკუთრებულ დამსახურებად უნდა ჩათვალოს სწორედ არისტოკრატების სახეზე მხატვრული სირთულე, მრავალმხრიობა, სავსებობა და კოლორიტულობა.

მაყურებლის წინაშე სახითათა მთელი გალერეა იშლება. აი, რამდენად როულია თუნდაც თვით ანეტას — თავკრიანი არისტოკრატ ქალის სახე, რომელსაც ბრწყინვალედ ანხორციელებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი შ. დავითაშვილი. ანეტა — დავითაშვილი ორგანულად აერთიანებს თავისთავში მრავალ, ერთი შესხედვით, თითქოსდა ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგე თვისებებს და ეს ერთიანობა, — შეიძლება თამამად ითქვას, ბუნებრივი, დიალექტიკური ერთიანობა, — ბოლოსდაბოლოს, ერთ სრულყოფილ მხატვრულ სახეს ქმნის.

ამ არისტოკრატ ქალზე არ ითქმის, მავალითად, რომ იგი ხარბი ამ მუწავია, რომ მას ფული იხვევ უყვარს, როგორც, ვთქვათ, სონას (ამ როლის შემსრულებელ მსახ. ლევავაზე ქვემოთ ვილაპარაკებთ). არა, ანეტა თითქოსდა სრულიად გულგრილია ფულისადრის, ქონებისადმი. იგი ისევე თავისუფლად, ისეთივე ძალდაუტანებლობით ხარჯავს ფულს, ფანტაზს ქონებას, როგორ ძალდაუტანებლობითაც სუნთქავს, დადის, დადგება... უფულობის გამო ჩივილიც იმ ქალის ბავთავან ისე ადვილს, როგორც სულ უმნიშვნელო უსამოგუნება, ვთქვათ, სურდო, რაც რა თქმა უნდა, შემთხვევითია, მალე გაქრება და დავიწყებას მიეცემა. მაგრამ ამავე დროს მ. დავითაშვილის ყოველ ნაბიჯში, ყოველ შესხეში მკვეთრად იგრძნობა, რომ ფული და სიმდიდრე მისთვის არა მარტო არსებობის, არამედ ბედნიერების, ღირსებისა და თავმოყვარეობის პირველი და ერთადერთი წყაროა. ასე ერთიანდება ერთ მიზეზად პერსონაჟის ორი თითქოს საპირისპირო თვისება. იმდროინდელი არისტოკრატების მთავარმა ნიშნებმა ჭეშმარიტად მხატვრული, ორიგინალური და მკვეთრი ხორცშესხმა ჰპოვა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე.

ასევე ადამიანებისადმი დამოკიდებულებაც. შვილებისადმი, ნაცნობებისადმი, შინამოსამსახურისადმი, ყველასადმი ანეტა თავაზიანი და ყურადღებიანია, რაც უნაგარობის და კეთილ განწყობილების შთაბეჭდილებას ქმნის. და ამავე დროს არაფერ არ შეიძლება იყოს ისე ანგარიშანი, ანგარებიანი; პირდაპირ მტაცებელი ცხოველდით დაუნდობელი ადამიანებისადმი, როგორც ეს ნატიფი გრანდ-დამა. ანეტამ, რომელიც

ერთი შეხედვით, გონებაგაფანტულისა და არისტოკრატიულად გულგრილი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებს, ყველაფერზე მსახინაშნავად იცის, მას არაფერი გამოეპარება. ხოლო ბოლოს მისი უძლეურება ისტორიული ქარიშხლის წინაშე ნათლად მეტყველებს არა ამ ქალის უძლეურებას ან აპოლიტიკურობაზე არამედ არისტოკრატიული კლასის განწირულობაზე.

მკვეთრი და დასამახსოვრებელი სახეა მარიამი დამს. არტ. ე. ვანანაძის შესრულებით; კოსმოპოლიტური იერით აღბეჭდილი ანეტასგან განსხვავებით, მარიამი, თავისი საუცხოო ფრანგულის მიხედვად — უფრო „ქართულია“. ასეთივე უნდა ყოფილიყვნენ, ვთქვათ, იმერული თავადის ქალები, რომლებიც დიდ ოსტატობას ამქადაგებდნენ საღონური დროსტარებისა და მეჯლისების მიწყობისათ, შესანიშნავად ფლობდნენ „მაღალ ტანს“, და ამავე დროს ჰიმილიანი სპექლისა და სიტყვის ყადრიც კარგად იცოდნენ. ჩინებულად თამაშობს როლს დიდი ჭიკინაძე, რომელმაც დამაჯერებლად გვიჩვენა ამ მომზიზივად არისტოკრატ ქალის სრული ქარაფუტობა. ჩვენს პრესაში ბევრი დაიწერა სრგ სახალხო არტისტის ვასო გოძიაშვილის მიერ ბებერი გენერლის როლის შესრულებაზე. ძნელია, უკვე თქმულს რაზე მიუმატოს ცაცმა, — ვასო გოძიაშვილის მიერ შექმნილი სახე სამართლიანად ითვლება მსახიობისა და სპექტაკლის დიდ გამარჯვებად და, ალბათ, მტკიცე ადვილს დამკვიდრებს ქართულ სცენურ სახეზე ისტორიაში.

მეჯლისის მონაწილე სახეა ჩამოთვლა და დაწერილი ბითი ანალიზი შორს წაგვიყვანდა, და არც არის საჭირო. რეჟისორისა და მსახიობების მიერ შექმნილი ეს სურათი ნათელი, მართალი და გასაგებია. ისტორიულად განწირული კლასი სასიყვედლო ავონისა შეუპყრია, მაგრამ იგი მაინც ეღალატება სიცოცხლეს და ამით მხოლოდ ხაზს უსვამს საკუთარ განწირულობას.

მეჯლისის სცენაში რეჟისორი მაყურებლისათვის საცნაურს ხდის მოხვევე გოგონას — ნაზის გუდის ტრაგიკულობასაც. ცრუარისტოკრატული მორალით გამსჭვალულ ინტენერს ვიქტორს, რომელიც ფიქრობს, რომ შეიძლება ერისდაერისადმი სამშობლოც გაეყარდეს, სპეკულიაციასაც ეწეოდა ამ მშრომელთა დასახურებლად ტყვეებით ამარაგებდ უცხოელ ინტერვეტებს, ვერ გაუხედავს ნაზის გამოყვანა „საზოგადოებაში“, სადაც „გათლული“ სფულერი გოგონა უსათოდ „შეარცხენეს“ სმოკინიან ინჟინერს. თავისმა პირველმა ალალმა სიყვარულმა ნაზი საზოგადოებიდან გარიყვისა და განმარტოების პირად მიიყვანა.

მარამ ჩვენ ვხვდებით, რომ ნაზი ღირსია ბედნიერი იყოს. და თუ სპექტაკლში, როგორც უკვე ითქვა, სუსტადაა ნაწყნებისი პილიტიკური ძალები, რომლებიც ნაზის ბედნიერებისთვის იბრძვიან, სამაგიეროდ მკვეთრი გამოყვანილობითა აღბეჭდილი იმ ადამიანთა სახეები, რომლებიც — ნეგატიური გზით, — გვარწმუნებენ, რომ ნაზის მალე გაეცნება თავისუფალი ცხოვრების გზა.

უმათრესი ამ სახეთაგან კიტია, ანეტას ქალიშვილი, რომლის როლსაც ქართული სცენის დებიუტანტი სოფი ჭიკინაურელი ასრულებს. ეს სახე იმასხურებს იმას, რომ დაწერილობით იქნას კარგული.

ლიტერატურული თვალსაზრისით, სახე სრულიადაც არ არის უხელო. საქმე იმაშია, რომ კიტია მტყად სწორმარაზი და ცოტა პრიმიტიულიცაა. ქალიშვილი რომ მტყად შთაბეჭდილებიან და ემოციური უნდა იყოს, ამას ჩვენ ვგრძნობთ,

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ კიტი ლექსებს წერს და თავის წრესთან, ნათესავ-ნაცნობებთან შედარებით, დიდი პორიზონტისაა, იგი მაინც არ არის ის, რასაც ინტელექტუალური ტიპი ეწოდება, და რასაც პიესის შინაგანი ლოგიკა თხოვლობის, რასაც ჩვენ მოველით. ეს მით უფრო დასაბანიო, რომ ერთი-ორი რეალიკით თავისფულად შეიძლება ამ მიზნის მიღწევა, ხელო ასეთი რეალიკების შექმნა ანა დღა-ძეს უსათუოდ შეუძლია.

რაც შეეხება კიტის როლის შემსრულებელს, სოფიო ზიანურელს, კარგის მეტი არაფერი ითქმის მასზე. დიდი შინაგანი ძალა, უშვალბობა, მსახიობური გონებაშეხვედლობა, ტემპერამენტი, — აი ახასრული სია იმ ეპიტეტებისა, რომელთაც დებუტანტი იმსახურებს. მხოლოდ მსახიობის ძლიერებამ განსაზღვრა ისიც, რომ ერთი, ჩემის აზრით, ფრიალ უხერხული ადგილი პიესაში მაინც არ კარგავს თავის შინაგან აზრს და უმტკიცებულად აღიქმება მაცურებლის მიერ.

კიტის სძულს თავისი დედის, ძმებისა და ნათესავ-ნაცნობების ფუქსაჰატი წრე. ქალწულის სული გალაიაში მომყვადეული ჩიტვიით ფართხალებს და თავისუფლებისკენ ისწრაფვის. პირველი და ჯარჯრობით ერთადერთი, რის გაკეთებას კიტის შეუძლია, ეს ის არის, რომ დაუფარავად გამოუცხადოს თავის წრეს სიძულვილი. ამის საშუალებაც ეძლევა მამინ, როცა დედა გადასწყვეტს კიტი მილიონერ ბებერს სეიფულა-ხანს მიათხოვოს. (ამ „თავლივით ტკბილ“ მტაცებელს შესანიშნავად ანსახიერებს რეს. სახ. არტისტი შ. გომელაური) და კიტი იღებს კიდევ გადაწყვეტილებას, — მეჯლისზე... საღამური პერანკით ცხადდება. ჟესტი, რა თქმა უნდა, მკვეთრია, მაგრამ ამავე დროს აშკარად ხელიგუნურიც. ეს გარეგნობა კი კიტის — მაინც მაღალი წრის ქალიშვილის და წესიერად აღზრდილის, ისტერიულობისა და თავშეუკავებლობის დაღს ასვას, და ვერც ავლენს ქალიშვილის შინაგან ბუნებას. ამიტომ დებუტანტს ნამდვილად დიდ და ძნელ მიღწევად უნდა ჩაეთვალოს, რომ ამ სცენაში მაცურებელი მხოლოდ სოციალურ, საზოგადოებრივ აზრს ხედავს და ყურადღებას არ აქცევს მის, რბილად რომ ვთქვათ, ნატურალიზმს.

არისტოკრატთა სახეების გვერდით სცენაზე შინამოსამსახურის, გურული გოგონას მამიკოს სახე მკვიდრდება. მსახიობი ბოკურჩავას ლირიზმით, თბილ ადამიანურ, ტონებში მოქაყავს როლი. და სწორედ ამ თვალსაზრისით იგი ქმნის ერთი მთავარი იდეით გამსჭვალულ ანსამბლს ს. ჭიაურელის კიტისა და ქ. კიკნაძის წაწისთან ერთად. სამივე ქალიშვილს საერთო მთავარი ნიშნები ახასიათებს — ისინი ქალწილები არიან ნამდვილი პოლიტიკური ბრძოლისათვის, სამივე და ყოველი

მათგანი თავისებურად უბედურია პირად ცხოვრებაში, სამივე ბუნდობლად, ქვეყნეულად გრძნობს, რომ ახლოვდება ქვეყნის სამყაროს დასასრული, სამივე დიდი ადამიანური პოტენციის მატარებელია.

განწირული კლასის შვილთა და დამქაშთა სახეებიდან აუცილებლად უნდა აღინიშნოს სონა მსახიობ გ. ლევაგას შესრულებით. უპირველეს ყოვლისა, ეს სახე შესანიშნავად ლიტერატურულად, შეიძლება, ამ სახის შექმნაში ყველაზე ძლიერ თავი იჩინა დრამატურის მიერ ფაქტიური მასალის, ცხოვრების, ადამიანების ცოდნამ, და იჩინა სწორად იმგვარად, როგორც ლიტერატურისათვის, სცენისათვის, ხელოვნებისათვის არის საჭირო. სონას სახე პირდაპირ შუაგულ ცხოვრებლად არის ამოტანილი.

სონა „გარადვიოს“ ქვერვია, და ამ გონებაშუღღულად, უმდაბლესი ზრახვებითა და გნებებით შეპყრობილ სულიერს ეს გარემოება საკმარისად მიაჩნია იმისათვის, რომ თავი „მაღალ საზოგადოებას“ მიაკუთვნოს. და იგი სრულიად გულწრფელია თავის ამ რწმენაში. მსახიობი შესანიშნავად იყენებს თავის გარემოებას პერსონაჟის ბუნების გამოსამხეურებლად. ვეებერთელა, მოუხეშავი დედაცაკი ყოვლად ულახაოთ ფიგურა, კოტიტა თითქმის, უძრავი, უმეტყველო სახით, ბრაილა ხარბი თვალებით, — აღმოვთბულია იმით, რომ სოფელშია ნაწიშ გაჰყვდა და თავისი ბედი ინყინერ ვიქტორის დაუცავშირა.

მათლავ, კარგი და ორიგინალური სახეა! და მაცურებელს, ცოტა არ იყოს, სინანულიც იპყრობს: იქნებ, უკეთესი ყოფილიყო, რომ სონას სახეს მარცხ აზრობრივი დეატიერთვა ჰქონოდა. რაჟი პიესის სული მინცე მამხილდება პათოსისა, რატომ არ შეიძლება, სონას თვალით ყოფილიყო დანახული იმდრინდელი ცხოვრება?

თუმცა, ეს უკვე დრამატურგის საქმეა... მოვლენები კი ვითარდებიან. სულ უფრო და უფრო ძლიერად ჰქვს აჯანყებულ მშრომელთა ხმა. სულ უფრო და უფრო ძლიერ ეცემიან მორალურად „ზემოურნი“. ტრაგეზიმის უმაღლეს მწვერვალზე ადის კიტის, ნაწის, მამიკოს ცხოვრება... და თუ პიესაში, როგორც უკვე ითქვა, სუსტნი არიან ბოლშევიკთა სახეები, თუ მათ შორის უმთავრესი — პეტრე, მხოლოდ მშრალი დეკლარაციებით კმაყოფილდება, წითელი არმიის შემოსვლა თბილისში მაინც აღიქმება, როგორც მოვლენათა განვითარების ლოგიკური შედეგი, როგორც დიდი ადამიანური სიმართლის ზეიმი. სამი ქალიშვილი, სოციალური ქარტქსილით აფორიაქებული თბილისის ფონზე, აულეველები, მარბალი და პოეტურნი, ხელაწვიდენი ეგებებიან ახალ ცხოვრებას.

თ. კავთარაძე

სტუმრად კოლმეზრნებათა



# ქართლის ცხოვრების მესაიდუმლე

## ბელა მიქაძე



როგორღე დავით გვრიტიშვილის წიგნი „ქართლის ცხოვრების მესაიდუმლე“, რომელიც გათავსებული აქვდა მანათიან სასაბჭოო სკოლის კლასში, რომელიც ახლაა დასრულებული, მისი მნიშვნელობა უნდა აღინიშნოს. ეს წიგნი არაა მხოლოდ ისტორიის, არამედ მისი მნიშვნელობა უნდა აღინიშნოს. ეს წიგნი არაა მხოლოდ ისტორიის, არამედ მისი მნიშვნელობა უნდა აღინიშნოს.

წიგნი ახალია და მისი მნიშვნელობა უნდა აღინიშნოს. ეს წიგნი არაა მხოლოდ ისტორიის, არამედ მისი მნიშვნელობა უნდა აღინიშნოს. ეს წიგნი არაა მხოლოდ ისტორიის, არამედ მისი მნიშვნელობა უნდა აღინიშნოს.

ქართული ისტორიული წყაროების ნამდვილი მცენებელი შეუძლებელია მოიხილონ მათი მნიშვნელობა. ეს წიგნი არაა მხოლოდ ისტორიის, არამედ მისი მნიშვნელობა უნდა აღინიშნოს.

ქართული ისტორიული წყაროების ნამდვილი მცენებელი შეუძლებელია მოიხილონ მათი მნიშვნელობა. ეს წიგნი არაა მხოლოდ ისტორიის, არამედ მისი მნიშვნელობა უნდა აღინიშნოს.

რების შესწავლის მხრივ, არა მარტო ქართული, არამედ სომხური ისტორიოგრაფიაშიც, აგრეთვე ჯგავნიშვილის დავლის ქართული ისტორიოგრაფიული ტერმინოლოგიის დავლის სფეროში და სხვებით საქართველომდე ამტკიცებს — „... ქართული წესების შედგენა — შესწავლის შედეგად იგი. ჯგავნიშვილი საფუძვლად უყენებს ქართულ დამწერლობაშიაქვეყნების, ანუ საბუღალრობის, როგორც გარკვეულ სამეცნიერო დარგს“.

შემდეგ გვრიტიშვილი იხილავს ჯგავნიშვილის მეორე კაპიტულარ ნაშრომს — „ქართული ერის ისტორიას“, რომლის დასრულება დიდ მუშაობას არ დასცლავდა.

იგი, ჯგავნიშვილი ბევრი ბრძოლა დასჭირდა, რათა ოფიციალური ისტორიოგრაფიის დებულებანი დაემსხვრია და წამოეყენებინა ახალი, წყაროების შესწავლისა და ფსიქოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე შექმნილი თეორია. ჯგავნიშვილის დამსახურებას იხილავს — კეთილშობილ ნიჭში — რომ მის პირველმა მოგვცა ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების პროცესის მეცნიერული ახსნა და აღნიშნა, რომ ქართული ტომების საზოგადოებრივი წყობილების პირველი ფორმა გვაროებრივი წარმოშობა იყო.

ეს იყო გაბედული წარმოშობა ინდოინური ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ, რომელიც უარყოფდა საქართველოში გვაროებრივ წყობილებს არსებობას და ამტკიცებდა ლეონტი მროველის კონცეფციას იმის შესახებ, რომ საქართველოში შეიქმნა თავიდანვე არსებობდა.

